ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსკანი

5

1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარადიული
გიზგიზებს ცეცხლი!..

საძმო საფლავზე გიზგიზებს ცეცხლი,
ეს არის სული, სული უკვდავი,
ვდგევარ მდუმარე და კარგად მესმის
რას ნიშნავს სიტყვა — შეუსუდრავი.
ან ვინ შესუდროს ალი მგზნებარე,
მარადიული, დაუცხრომელი, —
ზემოთ რომ იწევს მკლავებს მღელვარედ, —
თითქოს დაღუპულ შვილს ხმობს მშობელი...

საძმო საფლავზე გიზგიზებს ცეცხლი!

მერაბ აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტი

264

გამოცემის მეოცე წელი

5

მაისი

1979

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

3. გამარჯვებული ვარდოგისთვე

პროზა, პოეზია

5. არჩილ სულაკაური — გრმა ლეკვები ივანე გერიტაშვილისათვის. მოთხრობა
22. თედო გეკიშვილი — ლექსები
26. ოტია კაჭკორია — შენდობა. მოთხრობა
46. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
50. ჯემალ ქარჩხაძე — დღე ერთი. მოთხრობა
101. ფაშა ციციაშვილი — ლექსები
103. გეჟან გარდაველიძე — ლექსები
106. ელიზბარ უგილავა — განძეულის გუშაგი. გაგრძელება
115. ლადო სულაგერიძე — ლექსები

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

118. კოგა იმედაშვილი — კიდევ ერთი დამატება
125. ზურაგ სარჯველაძე — მნიშვნელოვანი გამოკვლევა მსგავსებითი შედარების შესახებ
128. ზაურ ფიფია — მედეას ამგავი
131. ციალა ქაროსანიძე — მცირე გაზსენება

რუსთაველის ნაკვალევზე

134. რამაზ კატარიძე — ავთანდილის „ყოვლი საჭაგუკო“
139. პარმენ მარგველაშვილი — „რაღაა იგი სინათლე...“

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

142. გიორგი გვინჩიძე — დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობის საკითხისათვის

პროგლემები

148. ვახტანგ მდივანი — ერის სასიცოცხლო ფუნქცია და გიოსფეროს უგიფოეგის პროგლემები საქართველოში

პირველი შთაგეგდილება

155. სერგი მინაშვილი — ღამის ლურჯი ზღაპარი
156. ვაჟა ხორნაული — კიდევ ერთი შეხვედრა პუშკინთან
157. რევაზ ჩხარტიშვილი — მეცნიერის უკანასკნელი წიგნი
158. ამირან რობაქიძე — მოლოდინი
159. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
ბორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ბაგუა ამირეჯიბი,
გურამ გვერდწითელი,
გივი გეგეჭკორი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაგ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაგდე,
იოსებ ორჯონიკიძე,
ოტია კაჭკორია
(მთ. რედაქტორის
მოადგილე),
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ფანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამარჯვებული ვარდოსანთვე

დადგა მაისიც. რამდენ რამეს მოგვაგონებს წელიწადის ეს დრო, რამდენ ფიქრს აღუძრავს ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მკვიდრს. მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღესასწაული — 1 მაისი სიამაყესთან ერთად ჩვენში გაზაფხულის, განახლების სიხარულსაც იწვევს. განახლება ხომ ჩვენი ცხოვრების კანონია საერთოდაც, მაგრამ ამ თვეს, ამ მაისს განსაკუთრებით ძლიერია ჩვენი სურვილი მეტი ვიშრომოთ, მეტი შევქმნათ ჩვენი დიადი სამშობლოსათვის, ჩვენი საქართველოსათვის.

ბევრი გვინახავს გასაჭირიც. დროით განელებული, ნათელი სევდითაა შეფერილი 9 მაისიც — ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიული დღე. ჩვენს მახსოვრობაში სამუდამოდაა აღბეჭდილი ამ დღის სიდიადე. ეს დღე აერთიანებს ყველა კეთილი ნების, პროგრესული მსოფლმხედველობის ადამიანებს მთელს ჩვენს პლანეტაზე.

რესპუბლიკის ამ ბოლოდროინდელ ცხოვრებას თუკი გადავავლებთ თვალს, მრავალ საგულისხმო მოვლენას შევამჩნევთ. ვინც სიკეთისათვის იღვწის, ვინც მშობლიური ხალხის სამსახურისათვის მებრძოლად შეიცნობს თავს, იმან არ შეიძლება არ შეამჩნიოს ცხოვრების პოზიტიური მოვლენები, ტენდენციები და, ამასთანავე, შეურიგებელი არ იყოს მანკიერებისადმი.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ 1978 წლის შრომითი მიღწევებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უკანასკნელი წლების მანძილზე ზედიზედ, ამჯერად მეექვსეჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა თავისთავად დამადასტურებელია რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების ერთიანი და ერთობლივი მორალურ-პოლიტიკური გამარჯვებისა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული დიდი აღმშენებლობითი მუშაობისა. ბოლო წლების ეს გამარჯვებები უკვე თვით ცხოვრების ტენდენციის გამომხატველია. შემთხვევითი არაა ისიც, რომ პარტია საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარებაში, შესაბამისად საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს. ჩვენ არ შევუდგებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეულ სფეროებში მიღწეული წარმატებების ჩამოთვლას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ საქართველოს მშრომელებს ყველა წინამძღვარი, ყველა პირობა და საშუალება გააჩნიათ, ასევე და უფრო მეტი შრომითი წარმატებებით დაასრულონ 1979 წელი — მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი; ამჯერადაც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებაში, ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების დროულად და მაღალხარისხიანად გადაჭრაში.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენი საზოგადოების წინსვლისა და გამარჯვებების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარება, მშრომელთა შეგნების შემდგომი ამაღლება. ეს პრინციპები სრულიად ეთანხმება ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის კეთილშობილურ საქმეს. ეს არის პარტიის მტკიცე კურსი, რომელიც ღრმად მეცნიერული ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე ითვალისწინებს თანამედროვე საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს. მაგრამ, ყოველივე ეს სრულიადაც არ გამორიცხავს გარკვეულ სიძნელეებს, მით უმეტეს იმ პერიოდში, როცა მთელი მასშტაბურობითა და სიღრმით, არსებითად პირველად ხდება შეგნებული დისციპლინის დანერგვა ჭეშმარიტად დემოკრატიული, საქმიანი, „აუმღვრეველი" სამუშაო ატმოსფეროს პირობებში. ამ დებულების ბრწყინვალე დადასტურებაა თვით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბოლო პერიოდის ნაწარმოებები — „მცირე მიწა", „აღორძინება" და „უამირი", რომლებშიც ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების ასახვასთან ერთად, სადად, ღრმად და კომუნისტი-ლენინელის მთელი პრინციპულობით გაანალიზებულია ადამიანის სულიერი დირებუ-

ბ. ... სახ. საბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებები. როგორც ადამიანის, პიროვნების ღირსების დაცვის მთელი კოდექსი.

ჩვენ მართლაც მეტად საინტერესო ეპოქაში, დიდი საზოგადოებრივი ძვრების ეპოქაში ვცხოვრობთ. ამ დროს გულგრილობა, განზე გადგომა არა მარტო საკუთარი ერის ღალატია, არამედ გაუგებარიც კია. არადა არც ისე იშვიათია იმის მაგალითი, როცა, თითქოსდა ერთი შეხედვით დადებითი პიროვნება თავს არიდებს სამუშაოს, რატომღაც დაკარგული აქვს სირცხვილის გრძნობაც: არც იმაზე წუხს, რომ მისი სამუშაო სხვაზე ნაწილდება და ის „სხვა", შესაძლოა მისივე კოლექტივის წევრი ზედმეტად, მის მაგივრადაც შრომობს; არც ის აწუხებს, რომ დაუმსახურებლად იღებს ხელფასს — ზოგჯერ მეტად მშვიდადაც, „საკუთარი ღირსების ღრმა შეგრძნებით", გარდა ყველაფრისა, ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს ელემენტარული ეთიკური ნორმების დარღვევას. არ შეიძლება ჩვენი საზოგადოების ნაკლოვან მხარეთა შორის არ შევეხოთ ისეთ მძიმე გამოვლინებებს, როგორიცაა მეშჩანობა, კარიერიზმი, ამპარტავნობა, ფარისევლობა, სიყალბე და სხვა. ეს ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, კაცობრიობის არსებობის ყველა ეტაპზე ყოველმხრივ ბორკავდა ადამიანს, ცნობილია ისიც, რომ ყოველთვის იყო კეთილისა და ბოროტის ბრძოლა და, არამარტო ცხოვრებაში არსებულ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის, არამედ ერთ ადამიანშიც — პიროვნებაშიც. მაგრამ, დღეს, ჩვენს სინამდვილეში — XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს, წარსულის ეს მძიმე გადმონაშთები განსაკუთრებით ძნელად ასატანია, მოუთმენელია.

სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს ის აზრი, რომ მწერლობას განსაკუთრებული როლი აკისრია ადამიანისათვის ბრძოლაში. ცნობილია ისიც, რომ ეს რთული და საპატიო საქმე პარტიამ მწერლობას ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მიანდო.

ქართველი მწერლები მუდამ მხარში ედგნენ კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტს მშრომელთა კომუნისტური, ესთეტიკური და ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ისინი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც არ დაიშურებენ თავიანთ ნიჭსა და შესაძლებლობებს, სულიერ ძალებს საერთო საქმისათვის, მაღალი კომუნისტური მრწამსის ადამიანის აღზრდისათვის, მომავლის გრანდიოზული აღმშენებლობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრჩილ ხულაკაური

ბრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის

ძუკნას ხუთი ლეკვი მოეგო... სახელურმოგლეჯილ კალათში გვერდზე ამობრუნებული იწვა და დაჩუტული მუცელი ბრმა ლეკვებისათვის მიეშვირა. თან საწყალობელი თვალებით შესცქეროდა პატრონს, თითქოს დანაშაული ჩაედინა და პატიებას თხოვდა.

ძველი დაბალი კმაყოფილი ჩალიჩობდა ოთახში, სალაფავი უკვე მოემზადებინა და აკანკალებული ხელებით მიჰქონდა. სავსე თიხის ჯამი იქვე მიუდგა ძუკნას, სულ ახლოს. ჩაცუცქულმა გაულიმა, ხელმეორედ გადათვალა ლეკვები და გაჭირვებით წამოდგა. მერმე ერთხანს უაზროდ იწრიალა და ეზოში გავიდა. რიყის ქვით მოფენილი, სუფთად დაგვილი ეზო გაიარა. მეზობელთაგან არავინ შეხვედრია, თორემ სიამოვნებით გაუჩერდებოდა და გამოელაპარაკებოდა, მით უმეტეს ახლა, როცა მისმა ძუკნამ ქვეყნიერებას ხუთი ლეკვი აჩუქა!

ბერიკაცი ხუთ ლეკვს არ მოელოდა. მანამდე ძუკნას სამზე მეტი არ დაუყრია. სულ პირველად სამი ბრმა ლეკვი ძონძებში გამოხვია და მტკვარში გადაუძახა. გული მაინცადამაინც არ დასწყვეტია, რადგან აქეთ-იქიდან ერთთავად ეუბნებოდნენ, — თავიდან მოიშორე, რად გინდა ამქვეყნად მაწანწალა ძაღლები მოამრავლოო! მადლი ჰქმენ, მადლიო! ისიც ბრმა ლეკვებს უმტკივნეულოდ იშორებდა, დარწმუნებული, მადლიან საქმეს ჩავდივარო...

ამას წინათ ქუჩაში გამოსული ძველი დაბალი ჭიშკართან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამომჯდარი ისვენებდა. აკაციის სურნელით გაბრუებული გაზაფხულის თბილი საღამო იყო. ვიწრო და მყუდრო ქუჩა ტერასივით მიჰყვებოდა აივნიანი, პატარ-პატარა სახლებით დაპყრობილ ფერდობს, რომელიც თითქმის მტკვრის ნაპირთან იწყებოდა და მშვიდად მიიწევდა ზევით, ყოფილ არსენალამდე. აქ ყველა ერთმანეთს სცნობდა და უცხო კაცის გამოჩენა ამ ქუჩის მცხოვრებლებს მაშინვე უღვიძებდა თვლემამორეულ ყურადღებას.

ჭიშკრის წინ მჯდარმა ძველმა დაბალმაც უმალვე შენიშნა უცხო კაცი, რომელმაც არსენალისკენ აღმავალ ქუჩიდან შემოუხვია.

უცხო კაცი დინჯად მოაბიჯებდა, თითქოს მოსეირნობდა. თან სახლებს, აივნებს, ჭიშკრებს, სახლების ნომრებს აკვირდებოდა. ერთი ორჯერ ეზოებშიც შეიხედა და იქაურობა გულისყურით მიმოათვალიერა.

ორმოც წელს იქნებოდა მიტანებული. კაფანდარა იყო, საშუალო ტანისა, ნაცრისფერი კოსტუმი და თეთრი, გაქათქათებული პერანგი ეცვა. შავი წვერ-

ულვაში მოეხშირებინა. კეხიან ცხვირზე კოხტად აჯდა ოქროს სათვალე.

ბერიკაცი რომ დაინახა, სწრაფად გამოეშურა და მოსვლისთანავე მიესალმა:

— გამარჯობა, ძიაკაცო!

ძველი დაბალი წამოდგა და თავის მხრივ უთხრა სალამი.

ახალმოსულმა მოხუცი დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. საუბარში მალე გაირკვა, რომ უცხო კაცი მეძაღლე მუკოს ადგილ-სამყოფელს ეძებდა. ძველმა დაბალმა არ იცოდა, სად ცხოვრობდა მეძაღლე მუკო, თუმცა ხშირად კი ენახა, როგორ დასდევდა თავისი გალიაშედგმული ფორნით ქალაქის მაწანწალა ძაღლებს. მოხუცს გუნებაში უკვირდა, ამ ყოვლად წესიერ კაცს მეძაღლე მუკოსთან რა ესაქმებაო?!

— ძაღლი ხომ არ დაგკარგვია? — ჰკითხა დაეჭვებულმა.

— არა, — თავი გაიქნია უცხო კაცმა და გაიცინა. — ეგეთი ბედი მარგუნა გამჩენმა, უძაღლოდ ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს დაკარგული.

მერმე დიდხანს ლაპარაკობდა დაწყობილად, თუ რისთვის სჭირდებოდა ძაღლები. ძველმა დაბალმა მისი ნალაპარაკევიდან ბევრი ვერა გამოიტანა რა, მაგრამ მიხვდა, ეს კაცი უბრალო გამვლელი არ იყო, დიდი საქმეები მოეკითხებოდა. შეწუხდა, მუკოს ასავალ-დასავალი რომ არ იცოდა. მუკოს მართლა შეეძლო ძაღლების მიყვანა, რადგან გალიაში ყოველთვის ჰყავდა სამი-ოთხი ძაღლი გამომწყვდეული. თუ კაცი იმ საცოდავებს საქვეყნო საქმეებისათვის გამოიყენებდა, მუკო რად იქნებოდა წინააღმდეგი.

ამ საუბრის დროს შავმა ძუკნამ ჭიშკარში გამოჰყო თავი, პატრონს მორჩილად ახედა და ქუჩაში გამოვიდა. მერმე უცხო კაცი დაყნოსა და იქვე, ნაცნობ ფეხებთან მოკალათდა. ბერიკაცს გულმა რეჩხი უყო. თან შერცხვა კიდეც: ამდენი ხანი ძაღლებზე ლაპარაკობდნენ და ერთხელაც არ წასცდენია, შინ თუ ძუკნა ეგულებოდა.

უცხო კაცი გადაიხარა და ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა.

— შენია?

— ჩემია. — მოკლედვე უპასუხა ძველმა დაბალმა დარცხვენილად.

მერმე კარგა ხანს ხმა არც ერთს არ გაუღია.

— სადაური ხარ, ძიაკაცო? — ჰკითხა დუმილის შემდეგ უცხო კაცმა.

— სადაური ვიქნები?... ქალაქელი...

— რა გვარისა ხარ?

— ბოსტოღანაშვილი ვარ, გრიგოლი. უბანში ძია გრიგოლს მეძახიან.

— ბოსტოღანაშვილი... — გაიმეორა უცხო კაცმა, — ჩვენებური ყოფილხარ.

— მამაჩემი ყმაწვილკაცობაში წამოსულა კახეთიდან... მერმე იქით არც მიუხედავს. დაბალი იყო... მეც ვიყავი დაბალი, ახლა დავბერდი და ჯანი აღარ მომდევს... — ძია გრიგოლი გაჩუმდა. დუმილი ამოოხვრით დაარღვია, — გავიდა წუთისოფელი... გათავდა!

— კახეთში თუ ყოფილხარ?

— ბალღობიდან ოფლი ათასწვერად ჩამომდიოდა... ცხოვრებამ თავი არ ამაღებინა და კახეთისკენ ვინ მიმაბრუნებდა?!

— ვეჯინი მენატრება, ძიაკაცო, ჩემი სოფელი! იქ დავიბადე და გავიზარდე... მერმე წამოვედი და წამოვედი, სწავლას გადავყევი! რანაირი მონატრება იცის იმ ოხერმა, გაგაგიჟებს ხოლმე... ხანდახან ისე მომენატრება იქაურობა, რომ მესიზმრება კიდეც: ვითომ ბალღი ვარ და მამაჩემის ეკლესიის გუნდში ვგალობ...

— ეგ ანგელოსების სიზმარია, შვილო!

— ზოგჯერ მესიზმრება, ვითომ ნაწვიმარ რუში ფეხშიშველა ვდგავარ და ბარით სარწყავ წყალს ვუმარჯვებ ვენახს...

— ეგ ღმერთის სიზმარია, შვილო!

— საოცარი მონატრება იცის სოფელმა! აი ცოტას მოვიცლი და უსათუოდ ჩავაკითხავ.

— სიზმარს ზეცა ასიზმრებს კაცსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი რამეა სიზმარი. — თქვა ნაღვლიანად ძია გრიგოლმა. — მე ვის რა გველი შევუწვი, რომ ერთი კურთხეული სიზმარი არ დამასიზმრა გამჩენმა.

ბერიკაცს ცხოვრებამ გაუტეხა გული. ამ დატრიალებული უძირო მორევის წინ სულ მარტო დარჩა და, სასოწარკვეთილი, დღე დღეზე დანთქმას ელოდებოდა. წუთისოფლის ბრუნვამ აღარავინ შეარჩინა.

კურთხეული სიზმარი თავის დროზე არ დამსიზმრებია და სიბერეში ვინ დამასიზმრებსო. — ფიქრობდა უაზროდ მომღიმარი ბერიკაცი. — ან რა ოხრად მინდა, რაღა დროს ჩემი ეგეთებიაო.

მწუხრის იისფერი ბინდი ეფინებოდა ქუჩას. აქა-იქ უკვე ლამპის მკრთალი შუქი გამოკრთოდა ფანჯრებიდან. ისინი კიდევ საკმაო ხანს ისხდნენ ერთმანეთის გვერდით და ხმას არ იღებდნენ. ბერიკაცი მოწყენილი დასცქეროდა თავის ძაღლს, დარწმუნებული იყო, უცხო კაციც მის ძაღლზე ფიქრობდა. ეგონა, წასვლისა თუ გამომშვიდობების წინ ვითომ ყასიდად ეტყოდა: ძიაკაცო, ამ ძუკნას ხომ არ შეელევიო? თუ გამატან, მეცნიერებას დიდ სამსახურს გაუწევო. საგონებელში ჩაეგდო თავი, — მართლა ასე რომ მითხრას, რა ვქნა, როგორ გავიმეტოო?!

უცხო კაცს კრინტიც არ დაუძრავს, წამოდგა და დაემშვიდობა:

— კარგად იყავი, ძიაკაცო, წავედი!.. ხედავ, რა საღამოა! მთელი ქვეყანა მომივლია და ასეთი ტკბილი საღამო, აქ რომ გაზაფხულზე იცის, არსად მინახავს!

— მაშ, მიდიხარ?

— წავალ, საქმეს მივხედავ.

— მაპატიე, შენი ჭირიმე, მაგრამ... რა ვქნა, ამ ძაღლს ვერ გაგატან. — თქვა მორიდებულად და გვერდზე გაიხედა.

— არც მიფიქრია. — გაეცინა უცხო კაცს.

— ეგ არის, ამ ცხოვრებამ რაც შემარჩინა... მშიერ-მწყურვალი ლეკვი შევიკედლე, ოხერმოხეტე... მას შემდეგ სულ თან დამდევს, მეც შევეთვისე და ვეღარ მოვიშორებ, გამიჭირდება. როცა გულზე ნაღველი მომაწვება, ველაპარაკები კიდეც. გონიერი ძაღლია, რომ იცოდე, სიტყვას ვაგებინებ ხოლმე.

— მესმის, ძიაკაცო! აკი გითხარი, არც მიფიქრია-მეთქი. შენ ნუ წუხხარ, ძაღლებს ვიშოვნი.

— სახელი მაინც გეთქვა, ისე მიდიხარ, თითქოს რაღაც გაწყენინე.

უცხო კაცმა ახლა ხმამაღლა გაიცინა:

— ივანე ბერიტაშვილი ვარ! ჩემი გვარი ვერაფერს გეტყვის საიმედოს.

ბერიკაცს უცებ გონება გაუნათდა. აზრი, რომელიც დაებადა, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ აღელდა. თითქოს მის ჩაბნელებულ, კარდახშულ სულში ვიღაცამ სანთელი შეიტანა.

— ივანე, თუ მეტყვი, ლეკვებს დაგიზრდი. — ბერიკაცი შეყოვნდა და მოსაუბრეს თვალი გაუსწორა. — შემოდგომაზე რომ მომაკითხო, სექტემბრის ბოლოს, კარგა მოზრდილ ლეკვებს დაგახვედრებ... სხვა მე არა შემიძლია რა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის!... ის დარგი, ძია გრიგოლ, მე რასაც ვემსახურები, ჩვენში უცხო ხილია, ახლაღა იკიდებს ფეხსა. ამიტომ, ცოტა არ იყოს, უნდობლად ეკიდებიან. ხალხი ვერ შემოვიკრიბე. ორჯერ გაზეთშიც კი გამოვაცხადე. არ უნდათ, არ მოდიან. თუკი დაინტერესდებიან და მოვლენ, გავწვრთნი, ვასწავლი... მერმე ერთად მოვუვლიდით ამ დიდ საქმეს. ეგ კი არადა, ხომ ხედავ, ძაღლებზეც მე დავდივარ, დროს ტყუილუბრალოდ ვფლანგავ... შენ კი, ძია გრიგოლ, უცებ მიმიხვდი, გამიგე, გულთან მიიტანე ჩემი ნათქვამი, ნდობით შემომხედე. გმადლობ, ძია გრიგოლ, კარგი კაცი ხარ!

— უბირი ვინმე არ გეგონო, სახარება ორჯერ მაქვს წაკითხული!

— მაშ, დამიზრდი?

— დაგიზრდი, მაშა!

— სექტემბრის ბოლოს მოვიდე?

არჩილ სულაკაური

გრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის

— მობრძანდი, შენი ჭირიმე! უგზო სიტყვას არ გაკადრებ... ამ უჯიშოს ჯერ სამზე ნაკლები არ დაუყრია და რაღა ახლა გაუწყრება ღმერთი?! რა ვქნა, სამი ცოტა ხომ არ იქნება?

— რას ამბობ, ცოტა როგორ არის?! მადლობელი ვარ, ძია გრიგოლ, შენი იმედი მექნება... სამი ლეკვი კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!

ძუკნამ კი ხუთი ლეკვი მოიგო...

საერთოდ, ძაღლზე არ ამბობენ, „ლეკვი მოიგოო“, მაგრამ ძველი დაბაღი ამ ლეკვებს სხვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: ისინი ქვეყნიერებას სასიკეთოდ მოევლინნენ, მეცნიერებას უნდა ემსახურონო.

თავდაპირველად საიდუმლოს არავის უმხელდა, ლეკვები არ გამითვალონო. მერმე, ცოტა ხანი რომ გავიდა, მოწოლილ ფიქრებს ვეღარ გაუძლო და სათქმელი ითქვა... ეზეკიას დაუფქვა ყველაფერი, ხელოსანს, სანოხე ძაფის მღებავს. ეზეკიასაგან მთელმა უბანმა შეიტყო ძია გრიგოლისა და ვიღაც მეცნიერის ამბავი. თვალყურის დევნება გაუხშირეს... გუნებაში დასცინოდნენ, თანაც ეცოდებოდათ მარტოხელა ბერიკაცი, შავ ძუკნას ვითომ ქვეყნიერების გამოსადგომად რომ აპატივებდა.

შინიდან გამოსული ქუჩა-ქუჩა დადიოდა და თავისთვის დალაპარაკობდა, თან გაოცებული ხელებს შლიდა:

— მაშ, ხუთი, არა?! ხუთი, კაცო, ხუთი! ო, შე შავო, შენა, შავზე შავო! მაინც როგორ მიხვდი, ბევრი რომ გვჭირდებოდა?!

ბერიკაცი ხშირად იხსენებდა მეცნიერთან შეხვედრას და გუნებაში მის ეშმაკობაზე ეღიმებოდა. ჯერ მოეჩვენა, მერმე კი საბოლოოდ დარწმუნდა, ის კაცი მეძაღლე მუკოს კი არა, ძველ დაბაღს ეძებდა და მოაგნო კიდეც. იმის თქმა უკვე აღარ შეეძლო, როგორ გაიგო ან ვინ შეატყობინა, რომ ბერიკაცს განსაკუთრებული ძაღლი ჰყავდა, შავი ძუკნა, ყველა ძაღლისაგან გამორჩეული, რომელსაც მეცნიერებისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო. თუმცა რა, ალბათ სადმე ქუჩაში ნახა და დააკვირდა, შავი ძუკნა ხომ ერთთავად უკან დასდევდა თავის პატრონს!

— სამის ნაცვლად ხუთს რომ დავახვედრებ კარგად მოვლილებსა, დაზრდილებსა, რას იტყვი, ივანე ბერიტაშვილო, ჩვენცა გვქონია თუ არა ყადრი მეცნიერებისა?!

ბერიკაცს მეცნიერებაზე ბუნდოვანი ანდა, უფრო ზუსტად, არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა, მაგრამ გუმანი ათქმევინებდა ხოლმე: ბრძენკაცებს იგი ქვეყნის სასიკეთოდ გამოუგონებიათო.

თუმცა მთავარი მაინც სხვაა...

ძია გრიგოლი ბუნებას კეთილ კაცად გაეჩინა. მთელი სიცოცხლე ცდილობდა, სიკეთე ეთესა — ამის შინაგანი მოთხოვნილება ჰქონდა. ცხოვრება კი დათესილ მადლს ძირფესვიანად უთხრიდა და ხელუკუღმა კვლავ სახეში აყრიდა. როგორც ვთქვი, ხელჩაქნეული ბოლო წუთებს ითვლიდა და აღარ ეგონა, ამქვეყნად თუ კიდევ ვისმე დასჭირდებოდა, მით უმეტეს, ასეთ დიდ საქმეზე უარს ვერ იტყოდა.

მეზობლებისა თუ უბნელებისათვის გაუგებარი დარჩა ბერიკაცის მოულოდნელი გამოცოცხლება, ხალისიანი ჩალიჩი. ზოგს ეგონა, ბერიკაცი საბოლოოდ გამოჩერჩეტდაო. ზოგი ფიქრობდა, ძია გრიგოლმა ვიღაც ოქროსსათვალიანი მეცნიერი ჩვენს მოსატყუებლად მოიგონა, რადგან ლეკვები გადასაყრელად აღარ ემეტებაო. სიბერის გამო გულაჩვილებისა თუ გულაჩუყების მოძალებას აბრალებდნენ.

ამასობაში ბრმა ლეკვები გაშმაგებით სწოვდნენ ძუძუს. ძია გრიგოლი უკვე მეზობლებში აგროვებდა სადილის ნარჩენებს. ერთხელ მერძევისაგან რძეც კი უყიდა, წყალი გაურია და პური ჩაუფჩხვნა: ძუძუებში უფრო მეტი რძე ჩაუდგებაო. მეოთხე დღეს ვეღარ გაუძლო და მეზობლებს სათითაოდ გაუმჟღავნა, ასე რატომ უვლიდა და აპატივებდა შავ ძუკნას. მეზობლები მოჩვენები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი გულისყურით უსმენდნენ, რადგან ეზეკიასაგან უკვე გაგებული ჰქონდათ, რასაც ბერიკაცი ახლა ასე აღტკინებული ჰყვებოდა. ყალბი ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ პაწაწინა ტიკებივით დაბერილ ბრმა ლეკვებს, ზოგი უქებდა და მოხუცისათვის შეუმჩნეველი დამცინავი ღიმილით დიდ მომავალს უქადდა მათ. უმრავლესობა კი უფრო ნათლად ხედავდა ბრმა ლეკვების მომავალს: მეძაღლე მუკოს რკინის გალიას — უბნის მაწანწალა ძაღლების საპყრობილეს. ესენი თავისას მაინც არ იშლიდნენ. — რად გინდა, ძია გრიგოლ, — გულწრფელად ეუბნებოდნენ, — უბანში უპატრონო ძაღლები მოამრავლოო...

ეს კი იყო, ყველა, სჯეროდა თუ არ სჯეროდა მოხუცის ნათქვამისა, სადღაც, გულის სიღრმეში მაინც ელოდა იმ დღეს, როცა ოქროსსათვალიანი მეცნიერი მოაკითხავდა ძია გრიგოლს... უფრო ზუსტად: უცნაური ცნობისწადილი ჰკლავდათ, ყოველ მათგანს საკუთარი თვალით უნდოდა ეხილა ოქროსსათვალიანი მეცნიერი, რომლის არსებობაში, ამავე დროს, ეჭვი ეპარებოდა.

მეწისქვილე სტეფანეს შეუარა, სალაფავისთვის ერთ ჯამ ფქვილს გამოვართმევო, მაგრამ მეწისქვილე სადღაც წასულიყო და წისქვილის კარი დაკეტილი დახვდა.

წისქვილის ბანიდან ეზეკიას ხმა გაიგონა, — ძია გრიგოლ, მოდი, სუფრა დაგვილოცეო.

ძია გრიგოლი წისქვილის ნავზე გადავიდა.

მსხვილი ჯაჭვებით დაბმული წისქვილი მტკვრის ტალღებზე ნელა ირწეოდა, ხის უზარმაზარი ბორბალი ტრიალებდა და ფიცრულიდან ყრუ ბუბუნი და სარეკელას ზომიერი რაკუნი გამოისმოდა. ფიცრულის უკან, წისქვილის მარჯვენა — მთავარი ნავის ბანზე ორნი ისხდნენ: ეზეკია და ჩუმდათუა, ასაკმიდრეკილი მამაკაცები. ჩუმდათუა მჭედელი იყო, ჩია, მაგრამ დაძარღვული, ქუჩრის ალში გამოწრთობილი.

მოაჯირთან მოკალათებულიყვნენ. ხის ყუთზე გაზეთის ქაღალდი გადაეფარებინათ და ორკვარტიანი პურმარილიც გაეშალათ. ამ სიცხეში რა დროს ღვინის სმააო, — გაიფიქრა ბერიკაცმა, მაგრამ წისქვილზე გადმოსულმა უმალვე ოდნავი შვება იგრძნო: მტკვრის ტალღებისაგან ასხლეტილი თუ წისქვილის ბორბლისაგან მონაბერი ნიავი თითქოს აქარწყლებდა ქალაქის სულის შემხუთველ სიცხეს.

ბერიკაცი მაშინვე ჩამოჯდა გრძელ მერხზე, რომელიც ბანის მოაჯირს მიჰყვებოდა კუთხიდან კუთხემდე. შეგვეწიოსო, — შესვეს თითო ჭიქა ღვინო, მერმე ცოტა წაისაუბრეს კიდეც, მაგრამ ძია გრიგოლმა უცებ იგრძნო, გული აღარ უდგებოდა. არც მათთან ყოფნა უნდოდა და არც მათი საუბრის მოსმენა. ცოტას კიდევ მოვიცდი, — ფიქრობდა, — იქნებ სტეფანე გამოჩნდეს; ერთ ჯამ ფქვილს გამოვართმევ და ჩემს გზას გამოვუდგებიო.

დაბალი, სულის შემხუთველი ღრუბელი დასწოლოდა ქალაქს. ვერ გაიგებდი, რა დრო იყო, შუადღე თუ საღამო. წვიმა ერთ სიცოცხლედ ღირდა, მაგრამ გაჯანჯლებული დღე, როგორც ჩანს, უწვიმრად იწურებოდა.

სტეფანე არ გამოჩენილა. ძია გრიგოლმა წასვლა დააპირა, — მეწისქვილეს ხვალ ჩამოვაკითხავო. კიდევ ერთი ჭიქა ღვინო რომ შეასვეს, გადაიფიქრა, — საქმე ხვალისთვის რატომ გადავდო, ბარემ აქა ვარ და დაველოდებიო.

ეზოში მწვანე ფრენჩიანი მამაკაცი შემოვიდა. წამით შეყოვნდა, ირგვლივ მიმოიხედა და ჩქარი ნაბიჯით გამოეშურა წისქვილისაკენ.

წისქვილზე ამოსული, ცოტა არ იყოს, გაშტერდა. ალბათ არ ეგონა, ბანზე თუ

არჩილ სულაკაური

ბრმა ლეკვები იცანეს გერიტაშვილისათვის

ვინმე დაწვდებოდა, მაგრამ იხტიბარი არ გაუტეხია. დამხვდურთაგან ყველას იცნობდა და „კამპანიას გაუმარჯოსო!“ — ისე მიესალმა, თითქოს ძალზე გახარებოდეს მათი დანახვა.

— ბიჭო, სად დაიკარგები ხოლმე ბზობის ყვავივითა?! — ჰკითხა ეზეკიამ, ვითომ დიდი ხნის უნახავობით გულნატკენმა.

მწვანე ფრენჩმა უბიდან ორი კვარტი ღვინო დააძრო და „მაგიდაზე“ დადგა, თან კმაყოფილმა ხელები მოიფშვნიტა.

— ვაჰ, ფული უშოვნია! — გაოცდა ეზეკია. მერმე მწვანე ფრენჩს სახეში შესცინა, — მკვდარი ხომ არ გაგიბანია, ბიჭო?!

ჩუმდათუამ დარცხვენილად ჩაიღიმა და ეზეკიასკენ ჩაიჩოჩა, დასაჯდომი ადგილი მოუზომა ახალმოსულს.

წკიპურტებისთვის მწვანე ფრენჩს ყურადღება არ მიუქცევია, ამნაირებს შეჩვეული იყო. როგორც ყველა ლოთს, მასაც ჯიბე მუდამ ცარიელი ჰქონდა. დუქნებსა თუ სამიკიტნოებში სუფრიდან სუფრაზე სამადლოდ დაძრწოდა და სხვის ხარჯზე იოლას გადიოდა.

მწვანე ფრენჩი დაჯდა. ჩქარობდა, ხელები უკანკალებდა. ერთი სული ჰქონდა, ღვინო გადაეკრა. ფრენჩის დიდი ჯიბიდან ვიწროწელიანი ჭიქა ამოაცოცა და სწრაფად შეივსო. მთაწმინდის მადლი შეგეწიოთო! — წაიჩურჩულა და ღვინო არაყივით გადაკრა.

— შენ მეორე ჭიქაც გექნება, — უთხრა ეზეკიამ, —მე და ძია გრიგოლი ერთი ჭიქითა ვსვამთ.

— რატომაც არა! — მნიშვნელოვნად გაიღიმა მწვანე ფრენჩმა და ახლა გულისჯიბიდან ამოაძვრინა თავისი ჭიქის ტყუპისცალი. — ანტონას დუქნიდან წამოვიღე... სათადარიგოდ. რა ვიცი, კაცნი ვართ.. სხვისი ჭიქით არ მიყვარს სმა

— ბიჭო, ეგეთი პირგაბეული ლაპარაკი რატომ იცი?! — არ აპატია ეზეკიამ. — მთელი ცხოვრება სხვისი ჭიქით არა სვამ სხვის ღვინოსა და არაყსა?! ახლა შეგჯავრდა სხვისი ჭიქა?!. მუქთამჭამელო?! ემაგ ღვინოს სიტყვა-უთქმელად ნუ სვამ, მზაჭამიავ!

მწვანე ფრენჩმა ორი ჭიქა ზედიზედ რომ გამოცალა და სული მოიბრუნა, შემწყნარებლად გაიღიმა.

— კაცო, ხმა ამოიღეთ! — ბუზღუნებდა ეზეკია. — ეგეთი უთქმელობა როგორ იქნება?! უთქმელობით პირიც ობდება ხოლმე!... რამე თქვით, პურ-მარილი სიტყვით მოაზარნიშეთ!

ძია გრიგოლი ოდნავ შებრუნებული იჯდა და გაღმამაცქერალი თავისას ფიქრობდა: ეს მამაცხონებული მეწისქვილე აღარ მოეხეტება და წავალ, ჩემს ლეკვებს მაინც მივხედავო.

ხის დიდი ბორბალი კი ტრიალებდა და ტყლაშუნობდა. ქალაქის დაგუბებულ ჰაერს მტკვრის შხეფებს ასხურებდა და ამოძრავებდა. მაგრამ წისქვილის ბორბლისაგან მონაბერი ეს სიგრილეც მოჩვენებითი იყო, ახალმოსულს ერთს შვებით ამოგასუნთქვინებდა, მერმე ამ სიოს რომ შეეჩვეოდი, აქაც ისე დაგცხებოდა, როგორც შუაბაზრის მოედანზე.

გაღმა, მადათოვის კუნძულის ფერდობზე ვიღაც ჩამორბოდა. მტკვრის ნაპირზე ჩამოსული ხიდისკენ აჰყვა რიყეს. მერმე შეჩერდა. ტანსაცმელი რიყეზე დატოვა და მტკვარში შეცურდა.

მწვანე ფრენჩი სწრაფად მოშინაურდა, თუმცა არც აქამდე გრძნობდა თავს მაინცდამაინც უცხოდ.

— სულ აირია ქვეყანა, — აღსარებასავით გულწრფელად გაანდო ეზეკიას, — ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს.

— ქვეყნის ავანჩავანს ჩვენ არავინ გვეკითხება. — უპასუხა ეზეკიამ.

— ყველაფერი ყირაზე დადგა. — წუხდა მწვანე ფრენჩი.

— შენთვის მაინც არაფერი შეცვლილა. ახლაც ისევე უსაქმოდ დაეხეტები, როგორც მენშევიკების დროსა. — ეზეკიამ გაიცინა და ჩუმდათუას გადახედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინგლისელებმა ერთი ფრენჩი დატოვეს და ისიც ამას ერგო.

— მანამდე? — მწვანე ფრენჩი გამომწვევად მიაჩერდა ეზეკიას. — მანამდე როგორი ვიყავი?

— მანამდე არ მახსოვხარ... თუმცა არც მანამდე იქნებოდი ტრაპიზონის მელიქი.

მწვანე ფრენჩმა რატომღაც გულიანად გაიცინა და ერთი ჭიქაც გადაკრა. უკვე კარგად იყო, სმის ეშხში შესული თვალებს უაზროდ აცეცებდა.

— რამდენი ხანია, რაც ეგ ფრენჩი გაცვია? — ჰკითხა ეზეკიამ.

— რა ვიცი.

— ხომ იქნება ერთი ათი წელი?

— როგორ გეკადრებათ! ამ ოთხი წლის წინ ვიყიდე დეზერტირის ბაზარზე... ერთი რუსისაგან.

— ათი — არა, შვიდი იქნება! — თქვა ჩუმდათუამ.

— სამიც მიუმატე! — თავისაზე იდგა ეზეკია.

— განუკითხაობაა, ბატონებო, განუკითხაობა! — პათეტიკურად წამოიძახა მწვანე ფრენჩმა და ჭიქა ისევ ღვინით შეივსო. ყოველი წარმოთქმული წინადადება მისთვის ღვინის შესმის ან დასხმის საბაბი იყო.

— ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ!

გაისმა უცნობი ხმა.

წისქვილის მეორე ნავზე, მოაჯირს იქით ახალგაზრდა კაცი იდგა, შიშველი, თავით ფეხამდე სველი — წყლიდან ესესაა ამოსულიყო. ორივე ხელი მოაჯირისთვის ჩაევლო და იღიმებოდა.

— აკი მითხარი, მარტო დაგხვდებიო? — უსაყვედურა უცნობმა მწვანე ფრენჩს.

— ჩუმად, ჯალალ ედინ! ამ სუფრას განათლებული ადამიანები უსხედან! — წამოიძახა მწვანე ფრენჩმა.

— მით უმეტეს!.. ეგრე რომ მცოდნოდა, აქ სხვა გზით მოვიდოდი... ჩაცმულ-დახურული — ჯალალ ედინმა მოაჯირს გადმოალაჯა და გადაკრეჭილ თავსა და სახეზე ხელები ჩამოისვა, წყლის წვეთები ჩამოიწურა.

ჯალალ ედინს სუფრაზე მსხდომთაგან არავინ იცნობდა. შავგვრემანი იყო, მაღალი, ხმელი, ავადმყოფურად ფერდაკარგული თუ გაფითრებული. ვიწრო, ჩამოგრძელებული სახე და გადახოტრილი თავი ალაგ-ალაგ დაჩეხილი ჰქონდა, უხეშად შეხორცებული ჭრილობები ეტყობოდა. დიდი ხელები არ იცოდა, სად წაეღო. თითქოს ავიწყდებოდა, შარვალი რომ არ ეცვა და შავ ტრუსებზე ეძებდა ჯიბეებს ხელების დასამალად.

წინა ნავის კიჩოზე გადასვლა არ ისურვა. შავი ტრუსებიდანაც შეძლებისდაგვარად ჩამოიწურა წყალი და იქვე შემოჯდა მოაჯირზე.

— ეს კაცი ამ მოაჯირზე მყუდროდ რომ შემოგვისვი, იქნებ გაგეცნო კიდეც! — უთხრა ეზეკიამ მწვანე ფრენჩს, მერმე უცნობს მიუბრუნდა, — ეგრე შორიდან ცქერა წესი არ არის, ბიჭო.

— ეს კაცი, ბატონებო, ცნობილი პიროვნება გახლავთ... — ღვინომორეული მწვანე ფრენჩი უკვე ლაპარაკის გუნებაზე დამდგარიყო. — ოღონდ სხვა სამყაროდან არის მოსული... ოდესღაც ჯალალ ედინი შეურქმევიათ და, თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე შერჩა ეს ზედწოდება. ჯალალ ედინი... რატომ?.. მეც, განა არ ვიცი, „მწვანე ფრენჩს“ რომ მეძახიან... სულ მესმის აქეთ-იქიდან: „მწვანე ფრენჩი მთვრალია!“ „ღვინო დამალეთ, მწვანე ფრენჩი მოდის!“ „მწვანე ფრენჩი... მწვანე ფრენჩი....,“ რატომ?

— იმიტომ, ზამთარ-ზაფხულ მაგ გაზინთული ფრენჩით რომ დაეხეტები ხოლმე. ახლა კაცი ვერ გაიგებს, რა ფერისაა, მაგრამ ვენაცვალე ხალხსა, კარგად დაუხსომებია, რა ფერისაც ყოფილა ძველად. ხალხმა იცის, ვის რა შეარქვას!

— ამ კაცს საქართველო არ მოუოხრებია და მაშ, რატომ შეარქვეს ჯალალ

ედინი? — ყალბი გაოცებით იკითხა მწვანე ფრენჩმა.

— რა თქვი, საიდან მოვიდაო?

— სხვა სამყაროდან-მეთქი.

— მაპატიეთ, — ხმა ამოიღო სხვა სამყაროდან მოსულმა კაცმა, — მე თვითონ მოგახსენებთ ყველაფერს... რა თქმა უნდა, თუ გაინტერესებთ...

— იყუჩე, ჯალალ ედინ!

ჯალალ ედინი უხმოდ დაემორჩილა მწვანე ფრენჩს. როგორც ჩანს სათქმელი ჰქონდა და სუფრასაც აკი შეჰპირდა, თვითონვე მოგახსენებთო, — მაგრამ უფროს მეგობარს, ეტყობა, ხათრი ვერ გაუტეხა.

— საიდანაო? — მოგვიანებით იკითხა ახლა ძია გრიგოლმა.

— იქიდანაო! — უპასუხა ეზეკიამ,— სხვა სამყაროდანაო... ხომ გაიგე, ძია გრიგოლ?! ამიტომაც შენ გაგიმარჯოს! შენ ისეთი კაცი ხარ, სულ გამარჯვებულმა უნდა იარო ქვეყანაზე!

— რაღა დროს ჩემი გამარჯვებით სიარულია, — ხელები გაშალა და გაიღიმა ბერიკაცმა, — ვერა ხედავ საბრინჯედა ვარ გამზადებული!.. მეყო, რაც მიწის ზურგს კანი ავყარე!

— დამაცა, კაცო, ჯერ მე ჩემი მათქმევინე და მერმე შენ შენი თქვი!.. ძირს დასაგდებ სიტყვას კი არ გეუბნები. შენ ერთი უჩუმრის პირით მომუშაკე კაცი ხარ: რაც შენ სიკეთე გითესია, ათი ვაჟკაცი ერთად ვერ მომკის! ოხერი ცხოვრება კი სულ ნაღველს გაწვეთებს სულში... მაინც ვერ გაგტეხა, მაინც მაგარზე დგახარ!... ძია გრიგოლ, მოდი, შენს კაცობას, შენს სიკეთეს გაუმარჯოს! შენი სიკეთის სადღეგრძელოსა ვსვამ!

— არ არსებობს სიკეთე! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ჯალალ ედინმა.

— როგორ თუ არ არსებობს?! — გაოცდა ეზეკია.

— არ არსებობს!

— იყუჩე, ჯალალ ედინ! — მწვანე ფრენჩმა ჭიქა დაცალა და ისევ შეივსო.

— ეგრე რომ იყოს, ქვეყანა ხომ დაიღუპებოდა?! — უხერხულად გაიცინა ეზეკიამ, — ბიჭო, ამქვეყნად ყველაფერი განა სიკეთით არ იწყება?!

—პირიქით, ბიძაჩემო! განათლებული ხალხი ხართ და გეცოდინებათ... კაცობრიობას სწორედ ბოროტებამ მისცა დასაბამი: ადამი და ევა სამოთხის ბაღში ჩალპებოდნენ, ის ქალბატონი ეშმაკს რომ არ შეეცდინა.

წისქვილის ბანზე ერთი წამით სიჩუმის ანგელოსი ჩამოჯდა.

ძია გრიგოლმა თავი აიღო და დაკვირვებით მიაჩერდა სხვა სამყაროდან მოსულ კაცს, რომელიც მეორე ნავის მოაჯირზე იჯდა და ქვევით — მუხრანის ხიდს მოწყენით გასცქეროდა. ერთი შეხედვით გატანჯულსა და გაწამებულ კაცსა ჰგავდა.

— კეთილი მხოლოდ ღმერთია და ისიც, სამწუხაროდ, არ არსებობს, — სინანულით წარმოსთქვა ჯალალ ედინმა.

— რაებსა ფქვავს ეს კაცი?! — უკვე აღელდა ეზეკია. — ეე, იქიდან მოსულო, ეგეთი რამე მეორედ აღარ წამოგცდეს... ხომ იცი, ეგეთი რამის თქმა მკრეხელობაა!

— ჯალალ ედინ! — ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო მწვანე ფრენჩმა.

— კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ... ანდა სულაც წავალ აქედან.

— მოიცა! — შეაჩერა მწვანე ფრენჩმა. — აკი გითხარი, ამ სუფრას სხვა ხალხი უსხედან-მეთქი. არ შეგეშალოს, ჯალალ ედინ, ეს სხვა უბანია: აქ კაცობას, პატიოსნებას, სიკეთეს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი ფასი.... მეც სწორედ ამიტომ მიყვარს აქ მოსვლა, ამ პატიოსან ხალხთან საუბარი...

— ტყუილია ყველაფერი... ახლა შენც ტყუილს ამბობ!

— მოიცა-მეთქი, ჯალალ ედინ! წელან შენ არა თქვი, — ნუ განიკითხავთო?!

— ამიტომ, ნუ განმიკითხავთ!.. — გაიცინა ჯალალ ედინმა, — რომ იცოდე, მე იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ: ადამიანები ერთმანეთს ყოველთვის ვატყუ-

ებდით, ვატყუებთ და მოვატყუებთ კიდევ!.. შევეჩვიეთ ასეთ ცხოვრებას, ჩვენივე ტყუილი უკვე სიმართლედ გვეჩვენება და ჩვენს თავს შინაგანად აღარც ვამოწმებთ... არ გვინდა, დაგვიჩლუნგდა ამის მოთხოვნილება; გადავეჩვიეთ ანდა ამისათვის აღარ გვცალია... მე სულ არ მინდოდა თქვენი წყენინება... კარგად იყავით! — ჯალალ ედინმა მოაჯირს გადაატარა ფეხები და მტკვარში გადაეშვა

წისქვილის ნავის კიჩოზე მსხდარნი კარგა ხანს ადევნებდნენ თვალს ჯალალ ედინს, რომელიც გაღმა მადათოვის კუნძულისაკენ მიცურავდა, ღონივრად ჭრიდა წყალს.

მუხრანის ხიდთან გავიდა ნაპირზე.

გაღმაგასული ერთხანს გაუნძრევლად იდგა, ეტყობა ისვენებდა, მერმე მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ რიყეს გამოჰყვა. სტეფანეს წისქვილს რომ გაუსწორდა, კიჩოზე მსხდართ ეგონათ, გამოღმა გამოიხედავდა. ჯალალ ედინს თავი არ აუღია, რიყის ქვებზე ფრთხილად, შერჩევით ადგამდა ნაბიჯს.

— შენ გაგიმარჯოს, ძია გრიგოლ! — ახლოდა ადღეგრძელა ჩუმდათუამ.

— ერთი-ორი სიტყვაც მიგემატებინა, შე ფეხის გულებიდან მოცვეთილო! — შეუტია ეზეკიამ. — ისე მიამიტად იყურები, თითქოს ქვეყნის არა გაგეგებოდეს რა.

— მართლაც, ვერაფერი გავუგე რა ამ ქვეყანას. — ჩუმდათუას თვალი არ მოუცილებია გაღმა მიმავალი ჯალალ ედინისათვის.

— ბიჭო, სად აგროვებ ეგეთ პირმორღვეულ ხალხსა?! — მიუბრუნდა ეზეკია მწვანე ფრენჩს. — ერთი პრისტაულად მაცემინა შენი თავი!.. გაგონილა, ღმერთი არ არსებობსო, არც სიკეთე და არც კაცობაო! მაშ, დაღუპულა ქვეყანა და ეგ არის!

— რატომ, ეზეკია? იმიტომ რომ ეგ კაცი ასე ფიქრობს? თუ მართლა ასე ფიქრობს, მაშინ ჩვენთვის კი არა, მაგისთვის დაღუპულა ქვეყანა. ქვეყნად ყველა ადამიანი ხალხსა და სიკეთეს რა გამოლევს, მაგით მიდგას სული, ეზეკია! — მწვანე ფრენჩმა ნეტარებით ამოისუნთქა და ღვინო ახლა უკვე გუნებიერად გამოწრუპა. — მარტო თქმას რა აზრი აქვს, უნდა დაამტკიცოს ან დაასაბუთოს, რომ ქვეყნად ღმერთი და სიკეთე არ არსებობს... თუ გინდათ, თავს დავდებ, რომ საბუთები არ ეყოფა.

მწვანე ფრენჩის ნათქვამმა სამივეს მოფხანა გული, მაგრამ გუნება მაინც შელახული დარჩათ. უკმაყოფილონი იყვნენ, სათქმელი რომ ვერ უთხრეს და უპასუხოდ გაუშვეს.

— ღმერთი რომ არა სწამს, იმიტომაც შეურქმევიათ ქვეყნის მაოხრებელის სახელი. — ეზეკიამ კიდევ ერთხელ გახედა მადათოვის კუნძულს.

— ეგ როდისა თქვა: ღმერთი არა მწამსო?

— მა, რა თქვა?

— არ არსებობსო.

— ეგ რა, ვითომ სხვა რამეა?

ეზეკიასთვის მწვანე ფრენჩს პასუხი არ გაუცია. ისევ დაისხა ღვინო და დალია.

— გეყოფა, ბიჭო, გატიალდები! — ამრეზით მიხედა ეზეკიამ.

— დალაგებულად კი ლაპარაკობდა, მაგრამ ზედვე ეტყობოდა კეთილი სული რომ არ იყო, — თქვა ჩუმდათუამ.

— მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი, — მწვანე ფრენჩმა პირზე ხელი აიფარა და დაასლოკინა. — ციხეში არ დაბადებულა, თორემ თავისი დღე და მოსწრება იქა აქვს გატარებული. გამოუშვებენ, ერთი-ორი დღე თავისუფლად ამოასუნთქებენ, მერე ისევ ჩააყუდებენ...

— რას ამბობ, კაცო, ხელმრუდია?! — შეშფოთდა ჩუმდათუა, — მაგას კაციც ეყოლება მოკლული.

— მაგის თქმა ძნელია, ხელმრუდია თუ კაცისმკვლელი. შეიძლება — იყოს, შეიძლება — არც იყოს!

არჩილ სულაკაური

გრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ რაღაზე მოგყავდა კაცო?!

— რისი შეგეშინდა, — დააიმედა ჩუმდათუა მწვანე ფრენჩმა, — აქ არა ვარ!

— აქა ხარ, თორემ დიდი ვინმეცა ხარ! მამა გიცხონდა, შენც ვითომ თავზე სხვის ფრინველს არ გადაიფრენ.

— ახლა ისეთი დროა, ძნელად თუ გამოარჩევ პატიოსანს უპატიოსნოსაგან, — განაგრძობდა მსჯელობას მწვანე ფრენჩი, — თუმცა მაგის გამორჩევა ყოველთვის ძნელი იყო და, რაც დრო გავა უფრო და უფრო გაძნელდება...

ძია გრიგოლს არ უყვარდა, როცა ეზეკია ასე აგდებულად ელაპარაკებოდა მწვანე ფრენჩს. ეს გალოთებული კაცი გულის სიღრმეში დაღუპულად მიაჩნდა და ეცოდებოდა. ამავე დროს მასთან სუფრაზე ჯდომა და საუბრის მოსმენა სიამოვნებდა. ოღონდ მანამდე, სანამ ენას პირში აბრუნებდა. მერმე, ღვინო რომ მოერეოდა, მისი გაძლება ყველას უჭირდა, მათ შორის ძია გრიგოლსაც. ეზეკიასი არ იყოს, მწვანე ფრენჩის გატიალებას ბევრი აღარ უკლდა და ბერიკაცმა გაიფიქრა, — ახლა დროა, წავალო... ეს მეწისქვილეც რომ აღარ გამოჩნდა!

მაინც ვერ ადგა და ვერ გაეცალა იქაურობას.

ახლა ჯალალ ედინი ეცოდებოდა, თითქოს იმთავითვე შეატყო, მწარე ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი და მღვრიე მორევი თავის ნებაზე აოამაშებდა. ბერიკაცს უნდოდა, მის დასაცავად ორიოდ სიტყვა კიდევ ეთქვა, ამათი აღშფოთება და მოულოდნელად ამოხეთქილი სიძულვილი ოდნავ მაინც რომ გაენელებინა, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა და სათქმელს თავს ვერ აბამდა. ეზეკია კი ისევ თავისაზე იდგა, სიტყვას სიტყვაზე ისროდა, — სულ მაგარ მაგრებს. ბოლომდე მოსპო, გაანადგურა, გააცამტვერა უბედური ჯალალ ედინი...

ვინ იცის, რა კაცი დადგებოდა, ცხოვრებას რომ გაუმართლებინაო. — ფიქრობდა ბერიკაცი.

— წავალ, ჩემს ლეკვებს მაინც მივხედავ! — თქვა ბოლოს და წამოდგომა დააპირა.

— ეს კაცი ლეკვებს რომ უზრდის იმ მეცნიერსა, — წამოდგა ეზეკია, — განა სიკეთე არ არის?! მა, რა ოხრობაა?! ხუთ ლეკვს უზრდის უანგაროდ, უსასყიდლოდ... დადის, ჩალიჩობს, აჭმევს, აპურებს... ცივ ნიავსაც არ აკარებს. რისთვის? სარგებელს გამოელის?.. არაფერსა, ჰო, არაფერსა!..

— რა ლეკვები, რისი მეცნიერი?! — ვერაფერი გაიგო მწვანე ფრენჩმა.

ეზეკიასაც ლაპარაკის საღერღელი აშლოდა და სულ წვრილად მოუყვა მწვანე ფრენჩს ძია გრიგოლისა და ოქროსსათვალიანი მეცნიერის შეხვედრის ამბავი.

— ოო! მაგ ლეკვების ამბავი არ ვიცოდი. — თქვა მწვანე ფრენჩმა.

— მაპატიეთ! — გაისმა ჯალალ ედინის ხმა. — მე მივხვდი, რომ გაწყენინეთ... დამიჯერეთ, სულაც არ მინდოდა თქვენი წყენინება...

— ჯალალ ედინ, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ამ სუფრას განათლებული ადამიანები უსხედან! — წამოიძახა მწვანე ფრენჩმა.

— სწორედ ამიტომაც მოვბრუნდი.., მაპატიეთ!..

ჯალალ ედინი მოულოდნელად წასდგომოდათ თავზე, თავისი პურ-მარილით მოსულიყო. რამდენსაც ორი ხელი მოერეოდა, ღვინოცა და ხემსიც წამოეღო.

მწვანე ფრენჩი დატრიალდა, სუფრიდან ცარიელი ბოთლები აალაგა და მოსულს ხელები გაუთავისუფლა.

— რა ამბავია, კაცო! — აბუზღუნდა ეზეკია, — ამ ოხერ მუცლებს თავებზე ხომ არ ჩამოვიცვამთ?!

ჯალალ ედინმა ხელები გაითავისუფლა თუ არა, მაშინვე ჯიბეებისაკენ გააქანა და იქვე მოაჯირს მიეყრდნო. შავი ხალათი ეცვა, გვერდზე ჩაჭრილი საყელო ბოლომდე ჰქონდა ღილებით შეკრული. სუფრაზე მოიპატიჟეს, დასაჯდომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილიც გამოუძებნეს, მაგრამ ჯალალ ედინმა არც ახლა ისურვა დაჯდომა. ღვინო რომ გაუწოდეს, თავი გაიქნია,— ჩემს სიცოცხლეში სასმელისთვის პირი არ დამიკარებია.

მწვანე ფრენჩის გარდა, რა თქმა უნდა, არავინ დაუჯერა, რომ სასმელს არ ეტანებოდა. მიუხედავად ამისა, ნათქვამს მაინც ჯადოსნური ძალა აღმოაჩნდა: უეცრად თითქოს დამშვიდდნენ კიდეც და ბოღმაც გაუნელდათ. ფხიზელი რაც იყო, ხედავდნენ, მთვრალი, კაცმა არ იცის, რა გუნებისა აღმოჩნდებოდა. ამიტომ არც მისძალებიან,—სვამ თუ არა, ერთი ჭიქა მაინც დაგვილიეო.

ძია გრიგოლს ცოტათი იმ მხრივ არ ესიამოვნა ჯალალ ედინის გამოცხადება, რომ საუბარი უკვე მისთვის სასურველ არხით მიედინებოდა და უცებ წყალი სხვა არხში გადაუგდეს. ძალზე აინტერესებდა მწვანე ფრენჩის აზრი, რას იტყოდა, როგორ შეაფასებდა მის შეხვედრასა და ურთიერთობას მეცნიერთან... მერმე, როცა ბოლომდე გატყვრებოდა და გატიალდებოდა, მწვანე ფრენჩის აზრს არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა. ეს კარგად იცოდა ძია გრიგოლმა.

თითქოს ბერიკაცის გულში იჯდაო, ერთი-ორი ჭიქის შემდეგ, მწვანე ფრენჩმა ეზეკიას ნაამბობი გაიხსენა და ძია გრიგოლს სუფრისაკენ გული მოუბრუნა.

— მაშ, ლეკვებს უზრდის, არა? — იკითხა სხვათა შორის.

— აღარ გვინდა იმ ლეკვებზე ლაპარაკი, — თქვა ეზეკიამ, — ახლა სუფრას მივხედოთ!

,— რატომ, კაცო?! — ცოტა არ იყოს, ეწყინა ძია გრიგოლს. — დროდადრო იმათზეც ვილაპარაკოთ.

— მეცნიერმა თვითონ მოგაკითხათ, ძია გრიგოლ?

— ჭიშკართან მყუდროდ ვიჯექი და მოვიდა... არა, ჯერ შორიდან დავინახე, ჩვენს ქუჩაზე როგორ ამოუხვია.

— რაო, ძაღლები მჭირდებაო?

— ჰო, ეგრე თქვა... არა, ჯერ მუკო იკითხა, მეძაღლე.. სადა ცხოვრობსო?..

— რად მინდაო, რა თავში ვიხლიო?!

— რა ვიცი... — ძია გრიგოლი შეყოვნდა და დაეჭვებულად შეხედა მწვანე ფრენჩს. — ადამიანების თუ ქვეყნის საკეთოდ მეცნიერებას სჭირდებაო.

— მუკო, თუ ძაღლებიო?

— ძაღლები, კაცო! — უპასუხა ოდნავ ნაწყენი კილოთი ძია გრიგოლმა.

— რამდენ ლეკვს უზრდით, ძია გრიგოლ?

— ხუთი დაყარა იმ მაიმუნმა... ჯერ თვალები არც კი აუხელიათ.

— გესმის, ჯალალ ედინ, — რატომღაც აღელდა მწვანე ფრენჩი, — რა ხდება ქვეყანაზე?!

ჯალალ ედინმა მხრები აიჩეჩა, ეტყობა ვერ გაიგო, რა ხდებოდა ქვეყანაზე.

— შენ მართალი იყავი, ჩემო ჯალალ ედინ, როცა თქვი: მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანები ერთმანეთს ვატყუებთო! ეს კეთილი და პატიოსანი ბერიკაცი, ვითომ კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ბრმა ლეკვებს უზრდის ვიღაც მეცნიერს და არც კი წარმოუდგენია, რა სატანჯველს უმზადებს იმ საცოდავებს.

ჯალალ ედინს არც ახლა ამოუღია ხმა. სამაგიეროდ ეზეკიამ შეუღრინა მწვანე ფრენჩს:

— ე, უმარილოვ, აღარ მორჩები ყბედობასა?! ღმერთმანი, ავდგები და წავალ, არც ეგეთი ღვინის სმა მინდა და არც პურის ჭამა!

— მოიცა, ეზეკიავ! ამ ბერიკაცს ცოდვა არ ჩავადენინოთ და ისედაც სანთელდაშრეტილი სიცოცხლე სულ არ დავუბნელოთ. — მწვანე ფრენჩი წამოდგა და ბანის მოაჯირს იდაყვებით დაეყრდნო, მტკვარს დაქინებით ჩააცქერდა. მერმე სწრაფად მოტრიალდა. თვალები ამღვრეული ჰქონდა, ქვედა ყბა— მოქცეული.

— წასულია შენი საქმე, უფალს მი-

არჩილ სულაკაური

გრმა ლეკვები ივანე ბერიტაშვილისათვის

ულიხარ! — უთხრა ეზეკიამ და ხელი ჩაიქნია.

—ოო, რა წვალება ელოდებათ იმ საცოდავებს! მთელი არსებობა წკავწკავში უნდა გაატარონ. თავის ქალას ახდიან, ჩახედავენ... ელექტრონსაც მიუერთებენ... ხან აჭმევენ, ხან აშიმშილებენ... — მწვანე ფრენჩს ხმა აუთრთოლდა და თვალზე ცრემლი მოადგა. — თქვენ კიდევ ღმერთსა და სიკეთეზე ლაპარაკობთ? ძაღლი რა, ღვთის გაჩენილი არ არის?!. ჯალალ ედინ, ერთი სიტყვა შენც შემაწიე!

— მე ვერაფერს ვიტყვი, ამ დარბაისელ ხალხს ჩემი ნათქვამი რატომღაც გულზე ხვდება და აღიზიანებს.

— ის მაინცა თქვი, მართალს ვამბობ თუ არა!

— ეგ ყველაფერი სიმართლეა, თუმცა...

— რა, თუმცა?

— მაგ დღეში ჩავარდნილი რამდენი კაცი მინახავს და ძაღლი რა სათქმელია... თავის ქალასაც ახდიან და ელექტრონსაც მიუერთებენ!.. შენ კაცი თქვი, თორემ ძაღლი ძაღლია, აიტანს... მაგრამ არავინ იცის, ამით რაიმე თუ ეშველება ქვეყანას.

— გაიგონე, ეზეკია, რა თქვა ამ კაცმა?! ამ კაცს ბევრი რამ უნახავს და ბევრიც თავს გადახდენია! — მწვანე ფრენჩი სავსე ჭიქას დაწვდა და სულმოუთქმელად გამოცალა. მერმე ჯალალ ედინის მოტანილ ორ ბოთლს დაავლო ხელები და თითქოს ქვეყნის დასანახად მაღლა ასწია. — გმადლობთ, ბატონებო! მე თქვენ სადღეგრძელოს კიდევ მრავალჯერ შევსვამ!.. წავედით, ჯალალ ედინ! ამ განათლებულ ადამიანებს მადლობა გადაუხადე გულთბილი მასპინძლობისათვის! — მწვანე ფრენჩმა რწევა-რწევით გაიარა ბონდის პატარა ხიდი, რომელიც წისქვილს ნაპირთან აკავშირებდა, და უკანმოუხედავად გაბარბაცდა ჭიშკრისკენ.

— მეც უნდა წავიდე, ბატონებო! სიამოვნებით დავრჩებოდი და გაგეცნობოდით, მაგრამ ამჯერად მაპატიეთ. მეც ვისწავლი, როდის რა უნდა ვთქვა. ალბათ ადამიანებზე ასეთ ცუდ მოახლეობას აღარ მოვახდენ. — ჯალალ ედინმა თავაზიანად დაუკრა თავი წისქვილზე დარჩენილებს და სირბილით დაედევნა მწვანე ფრენჩს.

— მოიცათ, სად მიდიხართ! — უხმობდა გაქცეულებს ეზეკია, ხმა თითქოს გაბზარვოდა და თვალებშიც გაურკვეველი ელდა ჩასდგომოდა. — ეგრე როგორ იქნება, სიტყვა დააგდეთ და გიჟებივით გარბიხართ!

წასულებს უკან არ მოუხედავთ, თითქოს ეზეკიას ხმა არც გაუგონიათ.

დღე მიმწუხრისაკენ გადაიხარა.

ერთიანი ღრუბელი აქა-იქ გარღვეულიყო და ჩამავალი მზით გაბრწყინებული ცა სიღრმეში ლურჯად კრიალებდა.

ისინი დიდხანს ისხდნენ მდუმარედ. სამივენი დაბნეულები თუ შეწუხებულები ჩანდნენ. ძია გრიგოლს დანა პირს არ უხსნიდა, ეზეკიასა და ჩუმდათუასკენ გახედვას ვერ ბედავდა. მოსმენილისაგან დათრგუნული, თითქოს ბნელი ჯურღმულიდან გამოსასვლელს ეძებდა და ვერ პოულობდა. ეს ბერიკაცის შესაძლებლობებს აღემატებოდა... გაიხსენა ოქროსსათვალიანი მეცნიერი — კეთილად მომღიმარი, მასთან შეხვედრა, გულითადი საუბარი, რითაც აქამდე სულდგმულობდა, რამაც ერთგვარად თითქოს ძველი ძალა და სიხალისე დაუბრუნა. მასთან შეხვედრის შემდეგ ერთხელ დაესიზმრა კიდეც პატარა ბიჭი, რომელიც ეკლესიის გუნდში წკრიალა ხმით გალობდა. ისიცა ნახა, გრძელტარიანი ბარით წყალს როგორ უმარჯვებდა ვენახს. როგორღაც ბუნებას არ ეთანხმებოდა წელან მოსმენილი სიტყვები და მისი წარმოდგენა იმ კაცზე, რომელსაც გულით ენდო და დაუჯერა. „თავის ქალას ახდიანო“... „ელექტრონს მიუერთებენო...“ ელექტრონის ხსენებაც კი ჟრუანტელს ჰგვრიდა და მთელ ტანზე ცივ ოფლს ასხამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი რამე უნდა იცოდეს კაცმა... — თქვა ჩუმდათუამ. — თითოც ხომ არ დაგველია?

თავის დროზე უნდა წავსულიყავი, ეგენი არ მეცოდინებოდა და დამშვიდებული ვიქნებოდი. — ფიქრობდა ბერიკაცი. — რა ეშმაკი შემიჯდა, ეს ოხერი წელი რომ ვერ ავითრიეო... ახლა გაჭირვებით წამოდგა, ხელი მოაჯირს ჩაავლო და გაიმართა.

— დაჯექი, დაჯექი! — უთხრა ეზეკიამ, — სად მიდიხარ, რომ მიდიხარ?

— რა ვიცი, წავალ...

— თითოც ხომ არ დაგველია? — მეორედ იკითხა ჩუმდათუამ.

— კაცს როგორც უცხოვრია, ისევე უნდა იცხოვროს. გამოცდილი გზა არ უნდა დაადგოს... კაცი სიბერეში ფანდურის დაკვრას რომ ისწავლის, საიქიოს გამოადგებაო. ეგრეა ჩვენი საქმე... მეცნიერების სამსახურში მაგ შენი ბრმა ლეკვებიანად ცოტა გვიან ჩადექი, ძია გრიგოლ. რას უპირებ ახლა მაგ საცოდავებს?

— ჯანდაბას ჩემი თავი! რა ვიცი, რას დავუპირებ...

— ისა ჰქმენ, რაც აქამდე გიქმნია... ოღონდ მანამდე ჰქმენ, სანამ თვალი აუხელიათ. ქვეყანას რომ დაინახავენ, მერმე ცოდვაა! — ეზეკიამ შუბლზე ხელი მოისვა და ამოიოხრა — უჩუმრად, არავინ გაგიგოს... ვითომ ზღვაში ქვა გადაგიგდია.

— მერმე იმ კაცს რა პირით შევხვდე?

— მე მომიყვანე! უთხარი, ძაღლების მთელი ხროვა ჰყავს, იმათი უსტაბაშიათქო... იმ კაცს მე გავცემ პასუხს.

— ეგრე არ გამოვა.

— თავის მეცნიერებას თვითონვე მიხედოს მამაცხონებულმა, შენთან რა ხელი აქვს?! ქვეყანაზე ცოტაა ხალხი, ამ სიბერეში ცოდვით რად გიმძიმებს სულსა?

— სიზმარში სოფელს ვხედავო, ვითომ მამაჩემის ეკლესიაში გუნდთან ერთად ვგალობო... რა ვიცი, რა უნდა იფიქროს კაცმა.

— ისა ჰქმენ, რაც აქამდე გიქმნია!

— ეგ რა, ცოდვა არ არის?

— ცოდვაც არის და მადლიც! ის კი მხოლოდ ცოდვაა! — ეზეკია წამოდგა და ძია გრიგოლს მკლავში ხელი ჩაავლო. — დამიჯერე! ოღონდ, სანამ თვალი აუხელიათ... უჩუმრად... ვითომ ზღვაში ქვა გადაგიგდია.

— ხალხო, რატომ წამოიშალეთ?! თითოც დაგველია!

ძია გრიგოლი წისქვილზე აღარ გაჩერებულა. გულდამძიმებულმა გაიარა ეზო და ქუჩაში გავიდა. ჭიშკართან მეწისქვილე სტეფანე შეხვდა. გამალებული მოდიოდა და მაინც გაუჩერდა, სალაფავისთვის ფქვილი ხომ არ გინდოდაო? — ჰკითხა. არაო! — უსიტყვოდ ანიშნა ძია გრიგოლმა და გაეცალა, თავის გზას გაუდგა. ქუჩა გადაჭრა და სვენებ-სვენებით შეუდგა არსენალისკენ აღმავალ ქუჩას.

„ვითომ ზღვაში ქვა გადაგიგდია...“

შინ შებინდებისას მიაღწია. დაღლილმა ჭიშკარი შეაღო და ეზოში შეიხედა. ეზოში არავინ იყო, არც უნდოდა ვინმე ყოფილიყო. შინ შესულმა ასანთი მონახა და ლამპა აანთო. ძუკნა კალათში ლეკვებიანად იწვა და დარცხვენილივით შესცქეროდა პატრონს. ძია გრიგოლმა მზერა მოარიდა და ლამპა მაგიდაზე დადგა. უცებ იგრძნო, რომ ოთახში გული აღარ უძლებდა. თან ჩახუთული ჰაერის გამო სუნთქვაც უჭირდა. ინანა კიდეც, ასე უცებ რომ მიატოვა წისქვილის ბანი... შეწუხებული და აფორიაქებული უმიზნოდ წრიალებდა ოთახში, ეჭვი მაინც უღრღნიდა გულს: გადაწყვეტილი კი ჰქონდა, რაც უნდა ჩაედინა, მაგრამ აღსრულებისათვის თითქოს რაღაც აკლდა, თითქოს წისქვილზე ნალაპარაკევი არა ყოფნიდა.

ისევ ეზოში გამოვიდა.

ნეტავი აივნებზე მეზობლები გადმო-

არჩილ სულაკაური

ბრმა ლეკვები ივანე გერიტაშვილისათვის

ქ. ... სახ. საქ. ... ლიტერატურ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგნენ და ყველანი ერთად აყაყანდნენ, როგორც აქამდე ყაყანებდნენო: თავიდან მოიშორე ეგ ლეკვები, რად გინდა ქვეყანაზე მაწანწალა ძაღლები მოამრავლო! მაგრამ მეზობლებს ბერიკაცის ეზოში გამოსვლა არც შეუმჩნევიათ, აივნებზე თავიანთი საქმით იყვნენ გართულნი.

„ვითომ ზღვაში ქვა გადაგიგდია“...

საწოლიდან გათენებისას წამოდგა. ჯერ კიდევ ბნელოდა და ლამპას აუწია. ძლივს მოირგო ტანსაცმელი, თითები ვერ დაიმორჩილა და ფეხსაცმლის თასმებს დიდხანს იკრავდა.

მერმე ძუკნა გარეთ გაუშვა და კარი მოხურა...

მერმე ლეკვებს სათითაოდ დახედა,— თვალი ხომ არ აუხელიათო...

მერმე ზანდუკში რაღაც ძველი ფალასი მონახა და ბრმა ლეკვები ფრთხილად გამოხვია...

მერმე ეს თბილი მოძრავი და მფეთქავი ფუთა ცოლის შეკერილ ჯვალოს ჩანთაში ჩადო...

შუა გზაზე იგრძნო, ძუკნა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. დატუქსა და დაემუქრა. ძუკნა გაბრუნდა, ქუჩის კუთხესთან ჩაცუცქდა და იქიდან დაუწყო პატრონს თვალთვალი.

ბერიკაცმა გზა განაგრძო. იცოდა, ძუკნა რომ აედევნა და შორიახლო მოძუნძულებდა, მაგრამ რა ექნა, მუქარითა და დატუქსვით ვერაფერს გააწყობდა. შინ დაბრუნების თავიც არა ჰქონდა, თორემ ოთახში ჩაჰკეტავდა, ოხერი გზაც აღარ დაილია, ბერიკაცი მიდიოდა და მიდიოდა დაუსრულებლად, ჩანთას ძლივს მიათრევდა. როგორ დამძიმებულანო, — გაიფიქრა სინანულით.

„ვითომ ზღვაში ქვა გადაგიგდია...“

წისქვილიდან ეზოში გადმოვიდა. აივნებს გახედ-გამოხედა და მძიმედ გაეშურა ქუჩისაკენ. აივნებზე არავინ დაუნახავს, ალბათ მობინადრეებს ჯერ კიდევ ეძინათ. ქუჩაც თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ ანტონას დუქნის წინ ირეოდა ხუთიოდე მამაკაცი. ღამლის არყის მოტრფიალენი მოთმინებით ელოდებოდნენ კარის გაღებას.

ქუჩა ირიბად გადაჭრა და თავდახრილი გაჰყვა ფილაქანს.

ანტონას დუქანი ზურგსუკან დარჩა.

ბერიკაცი გარედან დამშვიდებული ჩანდა. ასეც იყო. ეს სიმშვიდე წუხელ უძილო ღამედ დაუჯდა. თითქმის დილამდე არწმუნებდა თავს, რომ ლეკვების მოშორება უფრო უპრიანი იქნებოდა, ვიდრე დატოვება. დიდხანს აწვალებდა ეჭვიანი ფიქრი, მაგრამ სულის სიღრმიდან თანდათან ამოიზარდა უცხო და მოულოდნელი გრძნობა შურისძიებისა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ბრმა ლეკვების ბედი. ძია გრიგოლმა დაიჯერა, რომ ოქროსსათვალიანმა მეცნიერმა იგი მოატყუა, ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე არ უთხრა სიმართლე. ან არ ენდო, ან არაფრად ჩააგდო: ერთი უბირი მოხუცია, ქვეყნად არა გაეგება რაო. ის კი უთხრა, რისთვის სჭირდებოდა, მაგრამ მთავარი, თუ რა გზით და როგორ გამოიყენებდა ამ საცოდავ ლეკვებს მეცნიერებისათვის, დაუმალა. ამიტომ ლეკვების თავიდან მოშორებით მეცნიერის დასჯასაც ფიქრობდა. ძაღლებისათვის მოსულს მშრალზე დასტოვებდა, გააცბუნებდა, სათქმელს ეტყოდა და ისე გააბრუნებდა...

ქუჩის კუთხეში უცებ მწვანე ფრენჩი შეეფეთა და ბერიკაცი კინაღამ წაექცია. წაიქცეოდა კიდეც, მწვანე ფრენჩს ხელი რომ არ შეეშველებინა. ბოდიში მოუხადა, ამდენი ქუჩა გამოვიარე, არავინ შემხვედრია და რაღა მაინცადამაინც თქვენ შეგეფეთეთო... ხომ არაფერი დაგიზიანეთო? შეშლილის სახე ჰქონდა, თვალებს მოუთმენლად აცეცებდა.

— ნუ შეწუხდები, არაფერი დამშავებია. — დაამშვიდა ძია გრიგოლმა და წასვლა დააპირა.

— თავი მისკდება! — ამოიკვნესა მწვანე ფრენჩმა. —ერთი ჭიქა არაყი რომ არ გადავკრა, მოვკვდები.

— ანტონას ჯერ არ გაუღია დუქანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააღებს, სხვა რა გზა აქვს. — ნაძალადევად გაიღიმა მწვანე ფრენჩმა,— მაგის საქმე ეგ არის: დილით უნდა გაიღოს, საღამოთი კი — დახუროს! თქვენ საით გაგიწევიათ, ძია გრიგოლ?

— შინ მივდივარ.

— აქამდე იქ ხომ არ ისხედით? — დაეკვდა მწვანე ფრენჩი.

— არა, კაცო, აქამდე იქ რა გაგვაჩერებდა?!

— მშვენიერი დრო გავატარეთ გუშინ, ღვინომაც გაგვიმართლა... კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!... ჩემგან ხომ არაფერი გწყენიათ, ძია გრიგოლ?

— რა უნდა მწყენოდა, შვილო?!

— არც იმათ?

— არც იმათ.

— მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად დავშორებულვართ ერთმანეთს!—მწვანე ფრენჩი გულსგარეთ ლაპარაკობდა, ქვეყანაზე არაფერი არ აინტერესებდა ერთი ჭიქა არყის გარდა. სულ ანტონას დუქნისკენ ეჭირა თვალი, კარი თუ გაიღოო.

— ის მეცნიერი კი ძალზე მაგრა გამიბიაბრუე.

— რომელი მეცნიერი?

— აი ისა... ჩემი ნაცნობი რომ იყო... ოქროსსათვალიანი.

— ოქროსსათვალიანი?

— ლეკვებს რომ ვუზრდიდი, კაცო!

— რა ლეკვები, ძია გრიგოლ? — გულწრფელად გაოცდა მწვანე ფრენჩი.

— კაცო, შენ არ დამიშალე, რატომ უზრდიო?! თავის ქალას ახდიანო, ელექტრონს შეუერთებენო...

მწვანე ფრენჩი უაზროდ მიაჩერდა ბერიკაცს, ასევე უაზროდ გაუღიმა და ხელები გაშალა, — ვითომ არაფერი მაგის მსგავსი მე არ მითქვამსო.

— მომისმინე, კაცო!..

— ეგეთი რამე არ მახსოვს, ძია გრიგოლ. მე მახსოვს, ჯალალ ედინი რომ მობრუნდა და ღვინო მოიტანა...

— ორთავე არ ამბობდით. — ძაღლებს წამებითა და ტანჯვით ამოხდიან სულსაო... ცოდვაა, ძაღლიც ღვთის გაჩენილიაო! ეგრე არ ამბობდით, კაცო?!

— არ მახსოვს და მომკალი, ძია გრიგოლ!

— მოიცა, კაცო! ეგ რა სიტყვაა, როგორ თუ არ გახსოვს?!

— რა ძაღლი, რის მეცნიერი?! თუ ვიცოდე, მამაძაღლი ვიყო! იქ ხომ ჯალალ ედინის მეტი არავინ მოსულა და ეგ მეცნიერი საიდან მოიყვანეთ?!

ძია გრიგოლმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა, გული ყელში ებჯინებოდა. გუშინ წისქვილის ბანზე მოსმენილი დღესაც უნდოდა გაეგონა, თავისი საქციელის სისწორეში კიდევ ერთხელ რომ დარწმუნებულიყო. იქნებ გავახსენოო, — ფიქრობდა. ხელი ფრენჩში ჩაავლო და მოზიდა. მერმე სული მოიბრუნა და სცადა, გუშინდელი ნალაპარაკევი შეეხსენებინა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩემგან რა გინდათ, ძია გრიგოლ?

— რა მინდა?... ვერ გაგაგებინე, რა მინდა?!

— ის კაცი თუ მეცნიერია, თავისი საქმეც ეცოდინება. — მხრები აწურა მწვანე ფრენჩმა. — როგორც მოესურვება, ისე ჩაატარებს თავის ექსპერიმენტებს, მე ხომ ვერ დავუშლი?!... ძია გრიგოლ, თქვენ იცით, რა არის ექსპერიმენტი?

— კაცო, შენ სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ!

ანტონამ დუქნის კარი გააღო და ხალხი ნელ-ნელა შელაგდა დუქანში.

— ძია გრიგოლ, მოდით, მაგ საკითხებზე სხვა დროს ვისაუბროთ... კარგია, ამ ბოლო დროს მეცნიერებით რომ დაინტერესებულხართ... ოღონდ ახლა ერთი ჭიქა არაყი რომ არ გადავკრა, სული გამძვრება! — ფრენჩში ჩავლებული ხელი მოიშორა და დუქნისკენ გაიჭრა. დუქნისკენ გაჭრილი გზადაგზა რაღაცას ეუბნებოდა, რაღაცას ჰპირდებოდა და უმტკიცებდა, მაგრამ ძია გრიგოლს არაფერი აღარ ესმოდა, დარეტიანებულივით მისდევდა უკან.

არჩილ სულაკაური
ბრმა ლეკვები ივანე გერიტაშვილისათვის

— კაცო, რა დროს ერთი ჭიქა არაყია!... ეგ სადაური ლაპარაკია, კაცო!.. ეგრე როგორ იქნება! — ამბობდა თავზარდაცემული. — ბრმა ლეკვებს რაღას ერჩოდი, შე ოხერო, შენა!.. იმ პატიოსან კაცს რა ვუთხრა, რა პირით შევხვდე?!

მწვანე ფრენჩი გიჟივით შევარდა ანტონას დუქანში. ძია გრიგოლიც მილასლასდა დუქნის კარამდე, შეიხედა, მაგრამ შიგ უკვე იმდენი ხალხი ირეოდა, ვერაფერი გაარჩია.

ახლა ყოველგვარი ცდა ამაო იქნებოდა, მწვანე ფრენჩს დუქნიდან ცოცხალი თავით ვერავინ გამოიყვანდა. ჭიქა არყით დაიწყებდა და ბოლომდე ჩალღვებოდა ღვინოში.

წელმოწყვეტილი მიდიოდა შინ. ორშაბათი დღე გათენდა. ქალაქს უკვე ეღვიძა.

სულ ერთი წამი უნდა ქალაქის გამოღვიძებასა და ფეხზე დადგომას, უცებ აფუსფუსდა, ამოძრავდა, ახმაურდა.

„ჩემი ბრალია, — ფიქრობდა ბერიკაცი, — არ უნდა დამეჯერებინა, არავისთვის არ უნდა დამეგდო ყური... არც უნდა გამემხილა, არავისთვის არ უნდა მეთქვა, იმ კაცს რომ ლეკვებს ვუზრდიდი. ვისი რა საქმე იყო... ის ლეკვებიც დავღუპე და იმ პატიოსან კაცთანაც შევირცხვინე პირი... რამდენი კაციც არის, იმდენი ჭკუა ყოფილა ამქვეყნად. არ უნდა ავყოლოდი... მერმე რა, თუ ყველა ჩამძახოდა, — თავიდან მოიშორე, მადლი ჰქმენიო!... ესეც შენი მადლი!.. ნეტავი ახლა მაინც თუ დამშვიდდებიან და დაწყნარდებიან“?.. ვერ მოისვენეს, სანამ არ გადამაყრევინეს ის საცოდავები...“

უცებ გაახსენდა, შინიდან გამოსულს ძუკნა რომ გამოჰყვა. შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა: ძაღლი აღარსად ჩანდა. შინ დაბრუნდებოდაო, — გულის დამშვიდება სცადა, მაგრამ რახან ეჭვი აედევნა, აღარ მოასვენა. ნაბიჯს მოუმატა, თუმცა რაღა მომატება ეთქმოდა, ბოლოს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს.

თავის ქუჩისკენ რომ გაუხვია, შორიდანვე ჭიშკრის წინ, გრძელ სკამზე მჯდარი ორი კაცი დაინახა. იმათაც შენიშნეს ძია გრიგოლი, წამოდგნენ და შესახვედრად გამოეშურნენ. ბერიკაცი გუმანით მიხვდა, ვინც იყვნენ, მიხვდა იმასაც, რისთვის მოსულიყვნენ. უსიტყვოდ მიესალმა დამხვდურებს — ეზეკიასა და ჩუმდათუას.

ასევე სიტყვის უთქმელად გაიარეს დარჩენილი ქუჩის მონაკვეთი და ეზოში შევიდნენ. ძია გრიგოლს ოთახის კარის დახურვა დავიწყებია — ღია იყო. პირდაპირ ოთახში შევიდა და მაშინვე გამოტრიალდა. რატომღაც ეგონა, იქ ძუკნა დახვდებოდა მოკალათებული. ასე დახვედრია ყოველთვის, როცა ლეკვები მტკვარში გადაუყრია და უკან ამობრუნებულა.

— უფრო ადრე უნდა მოვსულიყავით. — თქვა ეზეკიამ

ძია გრიგოლს აღარ ახსოვდა, წისქვილის ეზოშიც შეჰყვა თუ არა ძაღლი. ბონდი გაიარა. მერმე წისქვილის ბანიდან ეზოს მოხედა, აივნებიდან არავინ მიყურებდესო. მერმე მოაჯირს მიადგა და ჯვალოს ჩანთას ხელი გაუშვა. არ დაუნახავს, მხოლოდ გაიგონა, ჩანთა როგორ ჩაეშვა ძძიმედ წყალში. მერმე გამობრუნდა. ბონდზე გასულმა ისევ გაიგონა ხმაური, თითქოს წყალში რაღაცამ მოადინა ტყაპანი. მაშინ ამ ხმაურისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ახლაღა ეცნაურა.

— იმ პირმორღვეულს არ უნდა ავყოლოდით... დავთვერით და გამოვტვინდით, — ბუზღუნებდა ეზეკია. — შენც რა გეჩქარებოდა, ბოსწრებაზე ხომ არ იყო?! არ უნდა გადაგეყარა!

— ჰო, არ უნდა გადაგეყარა! — დაუდასტურა ჩუმდათუამ.

მათ გარშემო უკვე მეზობლები შემოკრებილიყვნენ, ცნობისმოყვარეობით კითხულობდნენ: — რა მოხდაო? ზოგი მათგანი ოთახშიც კი შევიდა და სახელურმოგლეჯილი კალათი საგულდაგუ-

ლოდ დაათვალიერა, თითქოს ლეკვებს კი არა, რწყილებს ეძებდა. მეზობლები აივნებზეც გადმოდგნენ, იქიდანაც იკითხეს, — რა ამბავია, გაგვაგებინეთ, რა ხდებაო!

შუა ეზოში დამნაშავესავით იდგა ძია გრიგოლი, თავდახრილი, მოკუნტული. გაუთავებელი ყაყანი ესმოდა. ხმებს არჩევდა, სათითაოდ სცნობდა მეზობლებს ხმაზე.... ისინიც კი, რომლებიც გუშინ თუ გუშინწინ დაბეჯითებით ეუბნებოდნენ, — მადლია, თავიდან მოიშორე, რად გინდა ქვეყანაზე მაწანწალა ძაღლები მოამრავლოო, — ახლა საყვედურობდნენ, — ეს რა ჩაიდინე, ძია გრიგოლ, უკვე დაზრდილი ლეკვები მტკვარში როგორ გადაყარეო?! ბერიკაცმა ერთი კი ამოიოხრა, — თვალი ჯერ არ ჰქონდათ ახელილიო, მაგრამ ნათქვამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ანდა რა მნიშვნელობა ჰქონდა, თვალახელილი თუ ბრმა ლეკვები გადაყარა მტკვარში?!

აქამდე მეცნიერის არსებობაში ეჭვი თუ ეპარებოდათ, ახლა ყველა მეზობელი დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერი არსებობდა და სექტემბრის ბოლოს უსათუოდ მოვიდოდა. შეწუხებულები მსჯელობდნენ, ბერიკაცისათვის პირი როგორ მოეწმინდათ, რა პასუხი გაეცათ, როცა ის პატიოსანი კაცი ლეკვების წასაყვანად მოაკითხავდა. მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ყაყანებდნენ, ერთმანეთს დაურიდებლად ესროდნენ სიტყვებსა და აზრებს. თანაც ისე ღელავდნენ და შფოთავდნენ, თითქოს თავიანთ საარსებო თუ საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდნენ და დღეს რომ არ გადაეწყვიტათ, ხვალ უკვე გვიან იქნებოდა.

ზოგმა, უფრო გულმოწყალემ, ძია გრიგოლს აპატია კიდეც დანაშაული, — კაცმა არ იცის, მაგის ხნისა ვინ როგორ მოიქცეოდაო. არ უნდა გადაეყარა და, რა მოხდა, გადაყარაო... არ უნდა ჩაედინა და, რა მოხდა, ჩაიდინაო... ნეტავი გამჩენმა ჩვენც მოგვყაროს მაგ ხნობამდეო. ზოგმა მეცნიერიც კი გაამტყუნა, — ნუთუ მთელს უბანში ამ ბერიკაცის გარდა სხვა ვერავინ მონახა, ჩვენთვის ეთქვა იმ დალოცვილს, ლეკვებს ჩვენ დავუზრდიდითო... ეს კაცი დაბერდა და მეტი აღარ მოეთხოვებაო.

ასე გახურდა მსჯელობა. სიტყვების კორიანტელში დაინთქა ბერიკაციცა და მეცნიერიც, ხოლო მათ ნაცვლად ამოტივტივდა პატარ-პატარა პირადი სატკივარი თუ საწუხარი. თითქმის ყველამ თქვა, რაც აწუხებდა და უჭირდა, სულის სიღრმიდან გასამზეურებლად თუ გულის მოსაოხებლად ამოალაგეს გადამალული, ძველისძველი ტკივილები...

...და, რა თქმა უნდა, ყველაფერი წუთისოფლის უკუღმართობას დაბრალდა.

ამ დავიდარაბაში ძია გრიგოლმა ჭიშკრისაკენ გაიკვლია გზა. ყველასთვის შეუმჩნევლად გავიდა ქუჩაში.

მარტო მიდიოდა.

არავინ დასდევნებია, არავის დაუძახია.

აუჩქარებლად გაიარა ქუჩა და თავქვე დაეშვა.

იქ, მყუდრო ეზოს მიღმა, მდინარეში იდგა ძველი წისქვილი, რომლის ბორბალი ჯერ კიდევ ტრიალებდა, აბრუნებდა დოლაბს და საფქვავს აფქვევინებდა...

ქუჩაში მიმავალს კიდევ ერთხელ შემოესმა საცნაური ხმა, თითქოს რაღაცამ მოადინა წყალში ტყაპანი.

„ვითომ ზღვაში ქვა გადაგიგდია...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

სანთელი

სანთელი მოჩანს —
    როდესაც ბნელა,
შორიდან მოჩანს მისი ნათება.
მოფრინავს ღამით სულის პეპელა,
ბნელში შუქისკენ მოემართება.

მეც ასე —
    შენსკენ მიჭირავს თვალი,
მეც მასულდგმულებს იმის შეგნება,
რომ შენი ცეცხლის სპეტაკი ალით
ჩემი სიცოცხლეც დაიფერფლება.

მეგობრის წიგნი

ჩემს მაგიდაზე
    შენი წიგნი
მწვანე ხავსივით ფესვებს იდგამს,
    ნაყოფისაგან დაზნექილი
ტოტების ჩრდილქვეშ მეპატიჟება, —
    როგორც გულუხვი მასპინძელი —
ისე ცდილობს ჩემს შეტყუებას.

მე ამ ტოტებს გადავწევ განზე.
ფრთხილად,
ისე ფრთხილად,
რომ ძირს არ დაცვივდეს მწიფე ნაყოფი.
გავაღებ სარკმელს.
სარკმლის ჩარჩოში ჩატეული
მოვარსკვლავული ცის კაბადონი
მომტაცებს მზერას...
შორს, იმ უდაბურ ვარსკვლავებზე
გადავსახლდები,
სად საგზალივით
    შენი ჩურჩული,
შენი ხმის ექო
თან მიმყვება და მიმაცილებს...

შენზე ვფიქრობ და გული მტკივა

შენზე ვფიქრობ და გული მტკივა —
ვერა გარგერა სარგებელი.
ვერცრა კერია გაგიღვიე,
ვერცრა საქმე ვქენ საქებელი.

ვერცარა ჩრდილი მოგიჩრდილე,
ვერცარა ფარა მოგიმწყემსე,
ვერცარა წყლული მოგირჩინე,
ვერცარა ლექსი მოგილექსე.

ვერცარა კევრი დაგიბრუნე,
ვერცრა ყამირი გაგიბაღე,
ვერცარა მტერი გაგიბრუნე,
ვერცრა მოყვარე გაგილაღე...

აღმართს მოვრჩი და დაღმა მივალ,
გული ცრემლებმა ჩამოლიეს...
შენზე ვფიქრობ და ფიქრი მტკივა —
სიცოცხლე უქმად ჩამოვლიე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანდათანობით

თანდათანობით, თანდათანობით,
უფრო მკვეთრად და მძაფრად
მოგონებებში ისევ ამოდის
შუქი, რომელიც ჩაქრა.

ის შუქი მართლა შუქი არ იყო,
არცა ციური სხივი...
ის არც მოსულა, ბნელმა წაიღო,
წაჰყვა ქარების კივილს.

წავიდა, გულიც თან წაიყოლა,
ახლა სხვის კარზე ბრიყვობს,
თითქოს იყო და არა იყორა —
არადა მართლა იყო...

ვით უეცარი ბედის წყალობა,
ვით გაცხადება ზღაპრად,
ვით საღამოის ჩიტთა გალობა,
ვით შორეული აფრა...

ახლაღა მივხვდი დაგვიანებით,
როს სხვის ბაღჩაში გალობს,
გამომიხურა როცა კარები —
გული გალეწა კალოდ...

თანდათანობით, თანდათანობით,
თანდათანობით მძაფრად —
მოგონებებში ისევ ამოდის
შუქი, რომელიც ჩაქრა.

ავდრიანი დღე

ველარც მთა გადავიარე,
ველარც ნადირი დავთოფე,
ველარც ტყე ავახმიანე,
ველარც მდინარე გავტოპე.

მთავ, მთაზე გადაგრეხილო,
ვზი, მოწყენილი გიყურებ...

თითქოს მზე სულ არ გეხილოს,
მკერდზე შენც ცრემლებს იპკურებ.

ცის პირი ჩამოტეხილა,
მთას წვიმა ჩამოსთქრიალებს...
მთა მაღალი და მე — მღილი,
ორივ ვცლით ჯავრის ფიალებს.

ნ უ თ უ

ნუთუ
ამ სულში
არაფერი არ ხდება მართლა?
ნუთუ
ისეთი ღარიბი ვარ,
როგორიც ვჩანვარ?
ნუთუ, ძმავ ჩემო,
დაო ჩემო,
სამშობლოვ ჩემო,
არაფერი მაქვს შენთვის სათქმელი?

საიდან მოდის
ეს მწყურვალის მტანჯველი გრძნობა?
რად გაქრა
განცდა სიახლოვის?
ნუთუ ამ სულში
არაფერი არ ხდება მართლა?

ვარიაციები მარტოობის თემაზე

მე მარტო არ ვარ.
არც არავინ ყოფილა დღემდე.
სულ ტყუილია, პოეტები აზვიადებენ:
მარტო რომ იყო,
მეფე უნდა იყო ან ღმერთი...

გაღებულია ოთხივე კარი
და დრო სამივე,
როგორც პირქარი —
დაძენძილ ღრუბლებს
ოთხივე მხრიდან მოერეკება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მარტო არ ვარ. ჯვარი მწერია.
მილიონიან ჩემი ქალაქის
ნხუთავი კვამლით გაჟღენთილ ჰაერს
ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი
იმდენი კაცის ფილტვები სუნთქავს —
რომ სრულიად საკმარისია
პათეტიკურად განვაცხადო:
მე მარტო არ ვარ!

დაქცეულია ბროლის კოშკები.
უკანასკნელი მზეთუნახავი
კარგა ხანია,
დღისით, მზისით,
ცისა და მიწის თანდასწრებით
თავის უფლისწულს
ყელზე ურცხვად ჩამოეკიდა.

იმ მარტოობას —
კაცი რომ კაცის გვერდითაა
და მაინც მარტოა —
სხვა სახელი გამოვუძებნეთ:
გაუცხოვება...
მაგრამ მას
„სოფლის სიამენი აღარ ელტვიან" —
როგორც უწინ...

ცეცხლი კვლავ ღვივის,
მაგრამ ის ცეცხლი
სხეულს ათბობს —
სულს კი ახლოს არ ეკარება.

გამოვიცვალეთ სამოსელი.
ჩვენ მარტო არ ვართ.
ჩვენ ცალ-ცალკე ვართ,
ვით ლოდები, მომწყდარნი კლდიდან,
დაბლა, უძირო ხეობისკენ დაქანებულნი...

ჩვენ მარტო არ ვართ.
არც არავინ ყოფილა დღემდე.
სულ ტყუილია, პოეტები აზვიადებენ!

რა აკლებინებთ ხეებს ზამთარში...

ზაფხულის მწვანე ერთფეროვნება
დაშლილია უთვალავ ფერად.
როგორც ვეება,
გიზგიზა კოცონს ქარმა დაბეროს —
ალაგ თრიმლი გამოანათებს,
ნაღვერდალს ნავლი გადაეცლება...

მივდევ ხეობას,
თვალი მუდამ მშვენიერს ეძებს,
ფიქრი — საამოს.

ამ ღვთაებრივი შემოდგომის გამოცხადება
მზერას ალაღებს,
გულს — მსუსხავი ეკლებით ჩხვლეტავს:
ყავლი გასვლია ყველაზე ლამაზს,
სიცოცხლის წვენი ამომშრალა,
ამოშრეტილა.

ეს ველ-მინდვრები,
ათასფერად მორთული მთები,
თითქოს ბ...ეო მეჯლისს მართავენ,
რომ თავისთავი
ხამუდამოდ დაგვამახსოვრონ...
ასე გულდაგულ
გარდაცვლილსა მოსავენ ხოლმე,
გაამზადებენ მარადიული მგზავრობისათვის.

თვალი მუდამ მშვენიერს ეძებს,
ფიქრი — საამოს.

ოცი წელია,
ამ ხეობას ავდევ და ჩავდევ.
ერთმანეთს გაჰყვნენ
შემოდგომა-გაზაფხულები,
სითბო-სიცივე,
ზაფხულ-ზამთრები.
ოცი წელია,
ამ ხეობას — უფასო სცენას, —
სულშეგუბული ვათვალიერებ.
ასე მგონია, დღესა თუ ხვალე
ბედნიერების თეთრი ფრინველი
ამოფრინდება ამ ტყეებიდან
და გამინათებს ნაღვლიან დღეებს...

ადამიანი გულისგულში
მუდამ რაღაც სასწაულს ელის.
ალბათ სიზმრები
იმ ნალოდინარ სასწაულის ნაფლეთებია,
არყოფნიდან გამოხმობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამთრის უმკაცრეს პეიზაჟზე აფარებული
ეს შემოდგომის ჯადოსნური ფერთა
თამაშიც
იმ სიზმრებსა ჰგავს,
მე რომ ხშირად მეზმანებოდა
მძიმე, მკაცრი დღეების ზღურბლზე.

ნუთუ ბუნებაც ითხოვს რაღაც ნუგეშს,
მხნეობას —
სუსტთა, გულჩვილთა ტკბილი ბანგით
ისიცა თვრება და ზამთარს
ნუთუ გაზაფხულის აქვს მოლოდინი?

რა აძლებინებთ ხეებს ზამთარში?
ალბათ რწმენა,
მაგრამ სხვაგვარი...
ისინი თავს არ იტყუებენ.
ამ ფერების დღესასწაულით
მხოლოდ ჩვენს მზერას უხალვათებენ,
ჩვენთვისაა ეს ყველაფერი...
ჩვენთვის, ვინაც ამ ხეობებში,
ამ მინდვრებზე, ამ მთა-გორებში
მივდი-მოვდივართ,
ნუდამ ცასა და მიწას შუა გამოკეტილნი,
ელდანაცემნი ჩვენივ ყოფნის წამიერობით.

ქ ა რ ი

ვით მოძალადე, ადგილს ეძებს,
გასაძრომს ეძებს,
აწვება ფანჯრებს, კარებს, აივანს,
წივის, გუგუნებს,
სივრცეს და სოროს ერთნაირად მიეტანება
ყველგან შეღწევის ჟინიანი სურვილით
მთვრალი,
დაუოკები, ბრაზიანი, გახელებული.
მიაფრიალებს ხეებს და ფოთლებს,
ჩამოხეულ ყვითელ აფიშას, თუნუქის
კოლოფს,
ფოთლიანად დამტვრეულ ტოტებს...
ვით არითმია სნებიან გულის —
ფეხს ვერ აუწყობ, ვერ გადაასწრებ,
ვერც დაეწევი —
მოთმინებით უნდა ელოდო, როდის ჩადგება,
ხეები წელში ისევ როდის აიხრებიან..

ფიქრო, მარად დაუძინარო,
შენც ხომ ქარის ტყუპისცალი ხარ —
სანამ მოძრაობ, სანამ წვალობ, სანამ
წრიალებ
მანამდის გქვია ფიქრი სახელად;
ჩადგები და
ყოფნას შენსას ვეღარვინ იგრძნობს,
როგორც ქარებს ვივიწყებთ ხოლმე,
როს მზე გამოდის ავდრისა და ქარიშხლის
მერე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტია კაჭკორია

შენდობა

ო, მიკიოტო,
ბოღმასავით სულში უზიხარ
ღვთაებრივ ღამეს
და იქიდან სიზმრებს უკივი...

ა. სულაკაური.

ლურჯი მთებით შემოგარსული ზეგანის ხრიოკ ზურგზე დროდადრო ქარბორბალას სვეტი წამოიმართებოდა და რწევით შეებჯინებოდა ცის თავანს.

(ნათქვამია — ხანჯალს თუ შეაგდებ ქარბორბალას სვეტში, სისხლის წვეთები დაასხდებაო პირზე).

აქა-იქ ჩანდა სახურავმორღვეული ბაზილიკები — ტრამალის ჯოჯოთა სადგომი... მცირე ზეგანი იისფერ-მოყვითალო ჯანღში ტივტივებდა.

ტრამალის კიდეზე იდგა სამკურნალო სახლის ორსართულიანი, გრძელი შენობა. ფართო ეზოს ალიზის გალავანი ერტყა. შენობის მისასვლელს თეთრი სვეტები ამშვენებდა.

ეზოში ორად ორი ძეწნა ხარობდა — სევდიანი და გრაფიკული.

ყრუდ რეკდა ზარი შენობის სიღრმეში...

●

— მე ყველაფერი მაინტერესებს, — უთხრა ექიმმა შამანიძემ ოთახის კუთხეში ფეხმორთხმულ კაცს, — სულ ყველაფერი.

მძიმედ, სიზმარეულად გაუსწორა კაცმა თვალი, მკრთალად შეჰღიმა და არაფერი უპასუხა.

უცნაური ჩვეულება ჰქონდა ექიმ შამანიძეს, ასწევდა ფეხს, შავ „შტიბლეტზე“ ხელისგულს გადაისვამდა, მერე ფეხით შარვლის ტოტს დაჰყვებოდა და ისე გაიპრიალებდა ფეხსაცმელს.

ყომრალი კაცი იყო ექიმი, გეზად აჭრილი ტუჩ-პირით... ვიწრო, კილოჩაწითლებული თვალები უელავდა.

ახლაც იდგა ცალ ფეხზე ექიმი შამანიძე და აკვიატებული წამოძახილის თავიდან მოშორებას ლამობდა. „ოჰ, ეს...“ — აეკვიატა ექიმ შამანიძეს და წვალებით ეძებდა მესამე სიტყვას: მწიგნობრები, განათლებული ვაჟბატონები!.. რაღაც ამგვარის წამოყვირება სურდა, მაგრამ მხოლოდ ამ — „ოჰ, ეს“-ს — წაიბურდღუნებდა თავისთვის, ან დროდადრო კაცთან მივიდოდა, დაიხრებოდა მისკენ და დაყვავებით ეტყოდა, — ჩემო ევგენი!

გრძელი, გაკრიალებული ოთახი, ფანჯრებზე ჩამოფარებული დოლბანდის ქათქათა ფარდებითა და მოლიპული იატაკით, ისეთ სიმშვიდეს უქადდა იქ მყოფთ, რომ კედელთან ჩამჯდარ ევგენის კეთილგანწყობაც კი დაეუფლა. თუმცა ბრგე სანიტრები, ორი მდუმარე ბეყეჩა უზაკველი გამომეტყველებით ატუზულიყო კედელთან („დიოსკურებს“ ეძახდნენ შამანიძის განუყრელ მხლებლებს); ისინი დიდის მორიდები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და ბლაგვი ცნობისწადილით უთვალთვალებდნენ (ევგენიმ უკვე იცოდა, მოსათვინიერებელი პერანგიც ხელთ ჰქონდათ), იდგნენ გულხელდაკრებილი ახმახები და ხელს უშლიდნენ ევგენის თავიანთი შეუმღვრევი, მუქარიანი სიდინჯით.

— მე ყველაფერი მაინტერესებს! — იმეორებდა შამანიძე მეათედ და მეასედაც გაიმეორებდა. „ცნობისმოყვარეა", — გაიფიქრა ევგენიმ, თუმცა ხვდებოდა, აქ ცნობისმოყვარეობა არაფერ შუაში იყო... ისე კი, მათი შეხვედრა უცნაური იყო, სასაცილოც. ჯერ კიდევ იქ, ანგრეულსა და აწეწილ ბუნაგში, „თეთრი ცხელებით" გახელებული ევგენი კედლებს რომ აწყდებოდა. იქ მოვიდა შამანიძე, თან ეს ორი ყმაწვილი ახლდა. დიდი ინტერესით მოავლო თვალი ოთახს: აწეწილი ლოგინის ქვეშ ნამწვებით ავსებული ტაშტი იდგა და აუტანელ სიმყრალეს ჰფენდა ირგვლივ... მაგიდაზე ძველი, მტვერდაფენილი ჟურნალები და ნოტის წიგნები ეყარა... კუთხეში იდგა დიდი პიანინო, ტაძარივით ზვიადი და ჩუქურთმიანი „მიულბახი", ბრინჯაოს შანდლებით, ოქროცურვილი გერბებითა და პირხმელი კაცის ბარელიეფით შავი ხის დაფაზე.

ექიმს თვალში ეცა: არსად ჩანდა ბოთლები, — არც სავსე, არც ცარიელი.

მერე ევგენისკენ შებრუნდა შამანიძე, ხელი აიქნია და შეეკითხა:

— რას გრძნობთ, მხედავთ თუ არა, მხედავთ თუ არა?

— კარგად გხედავთ. — დაამშვიდა ევგენიმ ექიმი, ერთხანს თვალგაყრით შეცქეროდა, აზრმიხდილი ცქერით; მერე უცებ კედლისკენ გაქანდა. მარწუხებივით ხელები ჰქონდათ „დიოსკურებს", აფართხალდა ევგენი, დუქი მოადგა პირზე, სიკვდილი მოუნდა... ახლა ახალი შეკითხვა ჩაესმა. ჯერ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ექიმი. როცა მიხვდა, გააბოროტა შეკითხვის მიღმა შეფარულმა ღალატმა.

— ვინ წაგაქეზა? — ეკითხებოდა შამანიძე. ევგენის ისე უაზრო და უადგილო მოეჩვენა შეკითხვა, რომ თავდაპირველად ყური არ ათხოვა, მერე მის ცბიერ შინაარსს მიწვდა და რატომღაც გამხიარულდა. სადღაც ამოკითხული და მივიწყებული ფრაზა გაახსენდა, ხელი აღმართა და წარმოთქვა:

— ბატონო ჩემო, ვფიქრობ ასეა, ამ პატარა და ყბედ ევგენის თავისი დედა წააქეზებდა!

სწორედ მაშინ აეკვიატა შამანიძეს წამოძახილი — ოჰ, ეს!.. და ისეთი გაღიზიანება, უსაზმნო მტრობა დაეუფლა ამ საწყალობელი შლეგისა და ალკოჰოლისგან ჭკუიდან გადასული კაცისადმი (მარტო მის მიმართ არა, ყველას მიმართ, ვისაც აი ასე, „მწიგნობრულად" შეეძლო ელაპარაკა), რომ წუთიერი ყოყმანის შემდეგ მხლებლებს მიუბრუნდა;

— ჩააცვით პერანგი! — სურდა ებრძანებია, მაგრამ კარის ძგიდეს აკრული დედაკაცის ჩანაოჭებული სახე და უჩვეულოდ კამკამა თვალები დაინახა და თავი შეიკავა.

— გაიცანით, — ჩაესმა ხრინწიანი ქირქილი, — დედაჩემი გახლავთ!

შემოუარა ექიმ შამანიძეს ევგენიმ, მუყაოს თოჯინასავით მიჰქონდა ფეხები, თითქოს ყვავილნარში მიაბიჯებდა, ხელებიც გაეშალა... გადაუდგა წინ შამანიძეს, სახეში გადამწვარი სპირტის მჟავე ოხშივარი შეაორთქლა.

— დედაჩემია, — გაუმეორა გამოწვევით. მერე ისე გულწრფელად და ფხიზლად გაიცინა, შამანიძე მოულოდნელობისგან შეკრთა კიდეც.

ევგენი მოხდენილად დაიხარა მის წინ და ისევ ვიღაცის სიტყვები, სადღაც ამოკითხული სიტყვები წამოიძახა:

— და მეც, თამამი, ცელქი, ოხუნჯი, დედაჩემს ვგავარ თავით-ფეხამდე.

— ნუ იმანჭებით! — უთხრა ზიზღით შამანიძემ, თუმცა ხედავდა, ევგენის

ოტია პაჭკორია
ვენდოგა

გამოუნელებელი ცხელება მიაქანებდა თავქვე.

— ნუ იმანჭებით! — ახლა უკვე იყვირა შამანიძემ. სანიტრები შეირხნენ, გადმოდგეს ნაბიჯი...

უცებ ჩაწყდა მკერდში რომელიღაც სიმი ევგენის, გული შეუქანდა, წამით შეუფართხალდა, მერე გაირინდა, ფეთქვა შეწყვიტა და მასაც ღრმა, უცნაური დუმილი და სიმშვიდე დაეუფლა...

მაშინ მივიდა ქალთან ევგენი, ჩახედა თვალებში (პაწაწინა ნაირფერქიმიანი ფიგურები ჩალაგებულიყო ცისფერ ფსკერზე — თითქოს კალეიდოსკოპში ჩაეხედოს) და ალერსით, შემპარავად შეეკითხა:

— ეს რა ამბავია ჩემს თავს, ქალბატონო?

* * *

— მეხსიერება საპყრობილეა, — ბრძანა ექიმმა შამანიძემ, — და მე გაგათავისუფლებთ, ოღონდ თქვენ ყველაფერი უნდა მიამბოთ, სულ ყველაფერი.

●

ვინ არის ექიმი შამანიძე?

ამას იოლად ვერ იტყვი. იქნებ იგი სასწაულმოქმედია და მაგი? იქნება მხოლოდ ნევროპათოლოგი?

ექიმი შამანიძე ამ დიდი სახლის, ამ ფართო ეზოსი, ამ ორი დევის უფალი და გამგებელი გახლავთ.

დიდი ხანი გავიდა მას უკან, რაც ზეგანზე ამოვიდა შამანიძე. თვითონ ამოირჩია ეს ბაზილიკებიანი მცირე ტრამალი... მისი გეგმის მიხედვით ააშენეს ეს სახლიც. ამოიყვანა პირველი რიგი ავადმყოფთა, ჩაასახლა სუფთა და გრილ სენაკებში.

თითი არ გაუნძრევია შამანიძეს, ისე დადგინდა ყოფის წესი და ადათი ამ სახლში. არ დაჭირვებია რამის გამოგონება, საამისოდ, ალბათ, წარმოსახვაც არ ეყოფოდა. თითქოს კედლები თავისთავად კარნახობდნენ ამ წესსა და კანონს. თავისთავად იქმნებოდა და ვრცელდებოდა ამგვარი სახლების, ხანაგების, ლაზარეთებისა და მონასტრების დადგენილი, ხელშეუვალი ყოფა. აქაც ქარს მიჰქონდა ტრამალის მტვერთან, აბზინდის სუნთან, ბაზილიკების დუმილთან ერთად... და იწერებოდა კედლებზე უხილავი განაწესი, შეურყეველი კანონი მარტოსულთა, სნეულთა და შეპყრობილთა ცხოვრებისა.

უცქეროდა ევგენი ექიმ შამანიძეს და არც მტრობას, არც მოყვრობას არ გრძნობდა. უცქეროდა ისე, როგორც განგებისგან მოვლენილ აუცილებლობას. ყოველ შემთხვევაში, იგი თავისი წრეგადასული „თავისუფლების“ საზღაურს იხდიდა და აქ, ამ თეთრსა და მდუმარე სახლში მას განკურნებას უპირებდნენ... აი ეს კაცი უპირებს... ერთია ოღონდ, რისთვის ჭირდება ამ კაცს ყველაფრის ცოდნა? ანამნეზისთვის, — უთხრა შამანიძემ... ანამნეზი წინათქმაა, შესავალი, პროლოგი... მერე იგი ევგენის ცხოვრების წიგნს შეადგენს, წინასწარ განჭვრეტს მის მომავალს, აღზევებასა და აღსასრულს... დიახ ასეა... მას ყველაფერი ეცოდინება...

უცქეროდა ევგენი ექიმ შამანიძეს და მანაც იცოდა ზოგი რამ; მან იცოდა: მოყვასს ხელი უნდა გაუწოდო, დაცემული წამოაყენო (იქნებ გვერდი აუქციო?) სნეულს უწამლო... ოღონდ ერთს ვერ ხვდებოდა ევგენი — რა იყო ლოთის წამალი — სასმელის მიწოდება თუ სასმელის წართმევა... ვერ გარკვეულიყო, ვერ დაედო ზნეობრივი ზღვარი. იქნებ ერთიც სწორია და მეორეც, იქნებ ორივ საქციელი კაცთმოყვარულია: აკანკალებულის, პირგამშრალისა და გონდაბინდულისთვის კათხა ლუდისა და სირჩა არყის მიწოდება იქნებ იგივე სათნოებაა, რაც გონდაბინდულისა და ძალაწართმეულისთვის კათხა ლუდისა და სირჩა არყის წართმევა. აი ამას თუ ამიხსნის ექიმი შამანიძე? — ევგენი გულდასმით ათვალიერებს თეთრსა და გაკრიალებულ ოთახს.

... ახლა „დიოსკურები“ კედელთან აღარ ატუზულან; ევგენიმ თვინიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქციელით ნდობა მოიპოვა და უმხლებლებოდ დაიარება სახლშიც, ეზოშიც. პირველად კი ექიმმა, სანიტრებმა, მთელმა ამალამ მიაცილა სენაკამდე და იქ დაივანა სნეულმა ევგენიმ მარტოობისა და მოგონებათა ამარა.

ვიღაცამ უთხრა — მარტოობა თავისუფლებაო. არ იცის. შევიდა ევგენი სენაკში (საწოლი, მაგიდა, სკამი, კარადა, წიგნების თარო), გაიარ-გამოიარა, ჩამოჯდა საწოლზე, შემოატარა ხედვა კედელ-კედელ და მიხვდა — მარტოობა არ ყოფილა თავისუფლება. მიხვდა, რადგან აქაც არ ტოვებდა განცდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა და ვიღაცის დასანახად იქცეოდა ასე... ოთახში გამოკეტილი ისევე თამაშობდა (ისევე თვალთმაქცობდა), როგორც ადრე უთამაშია ადამიანების წინაშე — სცენაზე, რესტორანში, სახლში... არაფერი შეცვლილა, რადგან ყოველთვის გრძნობდა მადევარ თვალს.

და უცებ... ყურს არ დაუჯერა ევგენიმ; შამანიძემ კიდევ უფრო მოჭუტა ისედაც ვიწრო თვალი და ღაღადჰყო — ყმაწვილო, თავისუფლება აი აქ უნდა დადგეს (ხელი შუბლსა და მკერდზე მიიდო) და არა აქ (ხელით სივრცე შემოხაზა).

არ დაიჯერა ევგენიმ, თუმცა წიგნების თარო გაახსენდა. თუ წიგნების შერჩევაში შამანიძეც მონაწილეობდა (რა თქმა უნდა, მონაწილეობდა), მაშინ გასაკვირი არაფერი იყო. წიგნები პირდაპირ სიჭაბუკის აისს აგონებდა — ბუნებას, სიზმარეულ წარმოდგენებს, პატივმოყვარულ ოცნებებს (ვაჟას მოთხრობები, „დავით კოპერფილდი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, პლუტარქე ქართულად და რატომღაც ფორსტერის რომანი — ალბათ შემთხვევით; კიდევ „პოლი და ვირჟინი“ და დოდეს „კაცუნა“).

ამ აღრეულ ბიბლიოგრაფიულ საოცრებაში არსებობდა რაღაც კანონზომიერება, მას ალბათ გამაბრუებელი და დამამშვიდებელი მისიაც ეკისრა. ისე კი, რატომ მაინცდამაინც დოდე და პლუტარქე, ამას აწყობილად ექიმიც ვერ ახსნიდა, და მაინც, მეტი პატივისცემითა და ყურადღებით დააკვირდა ექიმს ევგენი. იგი მიხვდა — რაც შემთხვევითად, გაუაზრებლად, მეტიც — თვითნებობად მიაჩნდა, თურმე გააზრებული და გამიზნული ყოფილა. იქნებ გუმანით მიკვლეული, ოღონდ ამას მნიშვნელობა აღარ ქონდა, რადგან ყოველივე ერთიან სისტემას ქმნიდა.

შეკრთა ევგენი. შამანიძის შეეშინდა იმ განუსაზღვრელი და განუკითხავი ძალაუფლების გამო, ამ კაცის ხელთ რომ იყო და იმ დესპოტიისათვის, ამ ბაზილიკებიან ზეგანზე რომ დაეფუძნებია.

და მაინც, ვინ არის ექიმი შამანიძე?

იქნებ კეთილი სამარიტელია და გადაწყვიტა ამ სალოსთა და ქადაგთა ვნებადამცხრალ ბრბოს მაგნეზიის ფაფის ოყნები უკეთოს ყოველ ცისმარე; თუ მოგვია, მოსული აღმოსავლეთით; ძველ ცოდვათაგან გათავისუფლებული სარაცინი, ძღვენით ხელდამშვენებული და კეთილი ზრახვებით აღვსილი... ეცინება ევგენის, ოღონდ გულში ეცინება, რადგან შეატყო — არ სიამოვნებს შამანიძეს სხვისი სიცილი.

...შენობის სიღრმეში ეჟვანი წკარუნობს (მხოლოდ შამანიძემ იცის, ვის მოუხმობს ეჟვანი), დერეფნებში თექის ფარდაგები აფენია (ისიც შამანიძემ იცის, რისთვის აფენია თექა დერეფნებში), ტალანს ჭერის ნაცვლად შუშაბანდი ახურავს (და ესეც შამანიძის აღმშენებლობითი გენიის ნაყოფია...)

ექიმ შამანიძეს თავზევით, მუქ აბაჟურში ორასსანთლიანი ნათურა ანთია. მკვეთრი სინათლის წრეში ზის შამანიძე და ჰგავს სინზე შესმულ, გასაკვეთად განწირულ ვასაკას. ნაბავს შამანიძე სინათლით მოჭრილ თვალებს და ვერაფერს ხედავს სინათლის წრის გარეთ. იგი ევგენისაც ვერ ხედავს, ოღონდ ხმა მოსწონს მისი; ექიმ შამანიძეს მოსწონს ამ კაცის ხმა—მელოდიური, დაღ-

---

ოტია პაჭკორია
შენდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი და მკერდისმიერი... მოსწონს ხმა და არ მოსწონს თვით იგი — გამხდარი, დიდთავა კაცი; არ მოსწონს მისი უნებისყოფო, წაწვეტებული ნიკაპი; არ მოსწონს მისი უნებისყოფო, რბილად შემოხაზული ტუჩები; მისი უნებისყოფო, მორჩილი გამოხედვა... ოღონდ ექიმმა შამანიძემ ისიც იცის, სადღაც, ამ ვნებისგან დაცლილი ნიღბის მიღმა მოედინება ნებელობის წყარო — დაუმორჩილებელი და ჯიუტი; მას სურს ამ წყაროს დაშრეტა. იქნებ ეს მხოლოდ სიჯიუტეა — ჩვეულებრივი, ადამიანური სიჯიუტე! მერე რა! ექიმმა ჯერ ამ კაცის სული უნდა დაიმონოს, მერე შთაბეროს სული...

— მე არ მჭირდება შენი თავაზიანი მორჩილება... მე შენი სული მჭირდება. — ეუბნება ევგენის ექიმი შამანიძე და გაოგნებული ევგენი ცდილობს წარმოიდგინოს არყის, ნივრის წნილისა და გამხმარი თევზისგან შეწნული ეს სული; და უცნაური რამ ეჩვენება ევგენის — ექიმი შამანიძე ნაცნობი, შეჩვეული ენით ესაუბრება; იმ ენით, შეზარხოშებულ მეინახეებს რომ ესმით კარგად. იხრება ევგენი, სინათლის წრეში რგავს თავს და ექიმს ეკითხება:

— იქნებ თქვენც ლოთი ბრძანდებით, ექიმო?

— არა, — მშვიდად უარყოფს შამანიძე — არა ვარ...

...ქარია ტრამალზე და სილის ზვირთებს მოერეკება... გვანან ნიჩაბგადაყრილ ნავებს სილიან ქარში გაფანტული ბაზილიკები.

●

— მე ოლიფანტს მეძახიან, — თქვა სტუმარმა, — და შენ კარგად მიცნობ; შენ მიცნობდი მაშინ, როცა ბესო მერქვა. ახლა ოლიფანტი მქვია.

ევგენი საწოლზე იჯდა და ასე შესცქეროდა სენაკის კარში გახერილ კაცს. სტუმარს დარდისგან ჩამუქებულ თვალზე რუხი ლიბრი გადაჰკვროდა. ევგენიმ იცნო ოლიფანტი, უწინ ბესო რომ ერქვა და მას სკოლაში ხაზვას ასწავლიდა.

იცნო და გაახსენდა — რწევა-რწევით შემოდიოდა საკლასო ოთახში. ლურჯი ხალათი მოუჩანდა გაცვეთილი პიჯაკის ქვეშ. წვერი ღაწვისთავზეც ამოსდიოდა და იყო ეს სამოსშემოძარცული, გაუპარსავი კაცი — ნატიფი, ზრდილი და დარბაისელი.

შემოიტანდა ხის უზარმაზარ ფარგალს, დაფაზე წრეს შემოხაზავდა, მერე პირველ მერხზე შესკუპდებოდა, ფეხებს სკამზე შეაწყობდა და უყვებოდა პირდაღებულ ყმაწვილებს ლივენგსტონისა და სტენლის ხიფათიანსა და შესანიშნავ თავგადასავალს.

კარგად ყვებოდა, გატაცებით, სერიოზულად... ეტყობოდა, თავადაც მოსწონდა საკუთარი თავის ყურისგდება.

დარეკავდა ზარი და სათქმელს შუაზე გაწყვეტდა. წამოავლებდა ხელს ფარგალს და სწრაფად გაეცლებოდა ბავშვებს. ფეხათრეული სიარული იცოდა, დაღლილი, უსწორმასწორო...

ევგენი წამოდგა.

— მობრძანდით! — უნდოდა სახელით მიემართა და დაიბნა. სტუმარი მიხვდა.

— ბესო დამიძახე. ოლიფანტი შამანიძის მოგონილია, მკურნალობის მეთოდი. ასე ცდილობს ჩემში წარსულის კვალის აღმოფხვრას. შენც შეგარქმევს რამეს. არის აქ კიდევ ოლიფანტი, არქილოქეც არის, მარკუსიც...

შევიდა სენაკში ბესო, სკამზე დაჯდა.

— მე თქვენი მოწაფე ვიყავი. — უთხრა ევგენიმ.

— იყავი, — დაუქნია თავი ბესომ, — მე მაშინვე გიცანი, ეზოში დაგინახე თუ არა. მე სკოლის შემდეგაც მინახავხარ. — ბესო შეჩერდა, მოითქვა სული (სუნთქვა უმძიმდა), — კონცერტზე მინახავხარ. კარგად მახსოვს, ჭაბუკი უკრავდა „სი-ბემოლ მაჟორს...“ ისიც ვიცი, შენ ყოველთვის უკრავდი, ბავშვობიდან უკრავდი.

— ყოველთვის ვუკრავდი, — ანგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიშმიუცემლად დაეთანხმა ევგენი და ხელები ზურგს უკან დამალა.

გაიცინა ბესომ, დაემანჭა სახე, დაუპატარავდა... შუბლი კი პიტალო ჰქონდა, იმ შუბლზე უხილავ გუთანს ღრმა სვრელი გაეტანა.

— ჰო, — ჩაფიქრდა, — უკრავდი და ჩინებული ყმაწვილი ბრძანდებოდი.

სახეზე ხელი ჩამოისვა, ჟანგისფერი ჭორფლი ჩამოიხვეტა და ხელში ჩაბღუჯა.

— აქ რამ მოგიყვანა, ევგენ?

— „ესეც შეკითხვას მაძლევს, ამ სახლში ყველა შეკითხვებს იძლევა; ეს არის სახლი, სადაც ყველა რამეს გეკითხება“. — ევგენის დაყვირება მოუნდა.

— ჩემით არ მოვსულვარ. მომიყვანეს. პერანგით მოსილი. — ჩავარდნილი ხმით წაილაპარაკა.

— იცის ასე შამანიძემ, — შეწუხდა ბესო, — იცის!

ფეხი ფეხზე გადაიდო და მთლად დაემსგავსა იმ კაცს, მერხზე რომ შემოჯდებოდა და ზღაპრებს ყვებოდა.

— სვამდი? — შეეკითხა ბესო უბრალოდ.

ევგენიმ თვალი გაუსწორა.

— ყოველთვის. — უპასუხა ისე, როგორც წუთის წინ უთხრა — „ყოველთვის ვუკრავდიო“.

ჰო, ყოველთვის უკრავდა, რაც თავი ახსოვს უკრავდა და მერე... მერე სვამდა... სვამდა ყველაფერს: უსახელაურსა და ქვევრის ნარეცხს, არაყსა და სპირტს, კაგორს, ოდეკალონს... ამ კაცს, ბესო რომ ერქვა და ეს უცნაური სახელი — ოლიფანტი — შეარქვეს, არ უნდა გაუკვირდეს. იგიც მუსიკოსია, კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და რატომღაც ხაზვას ასწავლიდა სკოლაში... ერთხელ მარჯვენა გაიხვრიტა ტყვიით; ისე, არაფრისთვის, სანაძლეოზე... და საერთოდაც, გამოცანა იყო ბესო. ჩურჩულით ყვებოდნენ ბავშვები მის ამბავს. იცოდნენ — საღამოობით ინგლისურისა და ქიმიის მასწავლებლებთან ერთად ლუდხანაში იჯდა და იქვე, ჰუჰყიან დახლზე საბავშვო ლექსებს თხზავდა.

მეგობრობდნენ ხაზვის, ინგლისურისა და ქიმიის მასწავლებლები. ქიმიისა კარგად მღეროდა, არიებსა და რომანსებს მღეროდა. ინგლისურის მაგრად სვამდა, სვამდა და არ თვრებოდა. ერთი იყო ოღონდ, ყოველ საღამოს „მესაფლავეს“ უკითხავდა მეგობრებს.

დიდ პატივს სცემდნენ ყმაწვილები ბესოს, იმის გამო კი არა, ბოჰემა რომ იყო, დახვეწილი საქციელისა და სიტყვისთვის სცემდნენ პატივს. ბავშვებს ხიბლავდა ამ კაცის ამაყი და დამოუკიდებელი ინტელიგენტობა.

ევგენი კი ყოველთვის უკრავდა, რაც თავი ახსოვს. — „სი-ბემოლ მაჟორსაც“ უკრავდა ევგენი.

— დიდებულად უკრავდი, — ბესომ ოცნებით მილულა თვალი, — ახლაც ჩამესმის ძლევამოსილი ალეგრო. ო, როგორ მიგყავდა პიესა, — მოილოკა ტუჩები კონსერვატორიადამთავრებულმა ხაზვის მასწავლებელმა, — როგორ აზროვნებდი და რა ხელები გქონდა!

— რა მქონდა?

— ხელები.

— ალბათ მქონდა, — ევგენიმ თითები გაშალა, — რატომაც არა...

...მაშინ ევგენიმ რაღაც-რაღაცეები გაბედა. შფოთავდა იქ, სადაც წონასწორობა იგულისხმებოდა, ენერგიას ნერვიულობით ცვლიდა... და მაინც, იყო უფრო წვრილმანი, დაქუცმაცებული, თუმცა თავნება და ჯიუტი.

ევგენის იმდენი ყოველთვის ესმოდა, რომ ნაწარმოები არ დასრულდება გარეშე ვითარების ჩაურევლად: დაღლილობის, მობეზრების, სიკვდილის... მაგრამ არასოდეს მოსურვებია დამთავრებულის გამეორება. იგი ამას აკეთებდა, მაგრამ მოთხოვნილება არ ჰქონდა... ევგენი ცუდი შეგირდი იყო და იმავ დროს იყო დამჯერე და მორჩილი შეგირდი. ოღონდ იმასაც ხვდებოდა, რომ

ოტია კაჭკოლია
შენდობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმავალისა და მოკვდავისთვის მარადიულობის მინიჭების უნარიც არ მიეცა მისთვის განგებას.

— შენ არ გიყვარდა შენი მოწოდება! — მიხვდა ბესო.

— თუ სიყვარული მიბაძვას ნიშნავს, საერთოდ არავინ და არაფერი მყვარებია ამქვეყნად. — გაღიზიანდა ევგენი.

— სხვისი ნაწარმოების შესრულებაც მიბაძვაა. — ჩაილაპარაკა ბესომ.

— რა თქმა უნდა, — ევგენის მოუნდა გულწრფელი, ბოლომდე გულახდილი ყოფილიყო ამ კაცთან, — მაგრამ მე არჩევანი არ გამაჩნდა, და მაინც, იმ დღეს, ერთადერთხელ ჩემს ცხოვრებაში, დავიმორჩილე ადამიანები, მივანიჭე მათ სიხარული. მე არ ვიცი, როგორი მუსიკა იყო ეს, მაგრამ ეს იყო ჩემი მუსიკა... იმ დღეს მიყვარდა ჩემი ხელები... ამას გაძლება უნდა, — ცოტა შეჩერდა და დასძინა — თურმე უნდა... იმ ძეწნებს ხედავ? „დიოსკურების საფლავი“ დავარქვი.

სარკმლიდან ყვითელი მთვარე ჩანდა; ტრამალის მთვარე. იგი თითქოს იღვენთებოდა და წვეთ-წვეთად მოჟონავდა, მისი ულიმღამო შუქი პკედ ედებოდა ველს.

— წარმატება განსაცდელივითაა, — თქვა ბესომ, — გაძლება სახელს უნდა და მარტოობას, სახელიანი კაცის ძნელ მარტოობას.

მხარი აიჩეჩა ევგენიმ.

— მე არ მქონია სახელი.

...ისხდნენ სენაკში და შორეულ ჩქამს უსმენდნენ. ოდნავ ჟღერდა იდუმალი ბგერა; ამ კედლების, ტრამალის მიღმა, იმ გორაკებთან, სადაც გადარჩენილი და ერთადერთი ქურციკი ცხოვრობდა, იქ გაჩენილი ბგერა და მხოლოდ ამ ორ კაცს ესმოდა იგი.

●

— ჩემს ამქვეყნად მოსვლას წინ უსწრებდა ჩემს გამო აზრის გაჩენა. როგორი უნდა ვყოფილიყავი... ვინ გამოვსულიყავი...

* * *

იმ პატარა ქალბატონს ბევრი მუსიკოსი ენახა (მამაც ოპერის ორკესტრის პირველი ვიოლინო ჰყავდა).

და გადაწყვიტა, თუ ოდესმე გათხოვდებოდა (რა თქმა უნდა, ხელოვანს გაჰყვებოდა და არა პროვინციელ დასტაქარს, როგორც სინამდვილეში მოხდა) და შვილიც ეყოლებოდა, აუცილებლად მუსიკოსად აღზრდიდა.

თუმცა... ერთ ზაფხულს წაღვერში, მათი აგარაკის გვერდით, ნადიაკვნარის სახლში პოეტი ჩამოხტა.

საღამოობით ვაშლის ხის ძირას გაშლილი სუფრიდან ისმოდა ბაიათივით გაბმული, ვნებიანი კვნესა პოეტისა და მშვიდ მიმწუხრს უძილობით, წუხილითა და სახსრების მტვრევით აღავსებდა.

აივნის სვეტს აკრული ქალი ტოტებით დატიხრულ სურათს ბუნდოვნად არჩევდა და უთრთოდა ბაგე.

მერე, ნადიაკვნარი გადმობობღდა ღობეზე. პატარა, მოციმციმე და ეშმაკი თვალები შეანათა გახევებულ გოგონას, ცბიერად გაიღიმა და მიიპატიჟა.

— წამობრძანდი, შვილო ჩემო!

გალობას ნაჩვევმა ხმამ პირთამდე გაავსო ღამე და შეაშინა ქალიშვილი... იგი ოთახში შევარდა და კარი გამოკეტა. ახლა ოთახში ესმოდა ვიოლაცის ბუტბუტი ნაძვის მორებით ნაგები კედლის მიღმა და ზოგჯერ პოეტის კვნესაც აღწევდა აქამდე.

მერე, კეჩხობში გამართულ „კოცონზე“ ნახა პოეტი. ტილოს თეთრ კოსტუმში გამოწყობილი, თავაზიანი და მღელვარე კაცი ბავშვებს ლექსებს უკითხავდა — ოხვრითა და ვაებით.

მოიხიბლა ქალი: ისე მოხიბლა ლექსის გაბმულმა ჰანგმა და იდუმალმა სიტყვებმა, რომ დაიბნა. აღარ იცოდა, ვინ უნდა გამხდარიყო მისი პირმშო (პირმშო კი მალე მოევლინა საწუთროს — თავკომბალა და რაქიტიანი... და დაარქვეს ევგენი).

აკვირდებოდა ბიჭს დედა და თანდათან იზრდებოდა მის სულში სიყვარუ-

ლი და სურვილი, — გამორჩეული, განსაკუთრებული კაცი აღეზარდა, დიდი ხელოვანი და არტისტი... იზრდებოდა და იპყრობდა პატარა ქალბატონს ეს სურვილი და მალე ველარც არჩევდა, რა უფრო მძლავრად იმორჩილებდა მის პატივმოყვარე და მოჯადოებულ სულს, სიყვარული ევგენისადმი თუ მისი დიდებული მომავლისადმი, რომლისაც ასე სწამდა და სჯეროდა.

ისეთის ჩაციებით აკვირდებოდა ბიჭს, რომ მას აშინებდნენ განუშორებლად ადევნებული სხივიანი თვალები.

...არჩევანი ჩემმა სრულყოფილმა სმენამ გადაწყვიტა. — ევგენის ხმაში მოწყენა და მობეზრება ჟღერდა.

* * *

ამბობენ ევგენი ხშირად ტიროდაო. თურმე ტიროდა, როცა მათი მეზობლის, სახელმოხვეჭილი თამადისა და მოღვაწის (ევგენისთვის ეს ორი ცნება რატომღაც გაერთიანდა) სახლიდან მთვრალ მოქეიფეთა სიმღერა ისმოდა. ცრემლი თავისით სცვიოდა ევგენის, რადგან ყურებს ტკენდა აცდენილი ხმები, ლხინში ჩამღრჩვალი კონტრაპუნქტი... ცრემლს გვრიდა ომის დროს თბილისში გადმობარგებული ბარიტონის ვარჯიში მოპირდაპირე სახლში; ერთხელ, როცა საქვეყნოდ განთქმულ მომღერალს, ბერძნული გვარის კაცს ლეონკოვალოს ოპერაში წამოუყივლია, ევგენის გულიც კი შეჰღონებია.

ევგენის ეცინება — ასე ყვებიან და ყოველივე ამის ამოკითხვა დიდი და მცირე ყველა ხელოვანის ბიოგრაფიაში შეიძლება.

ევგენის არ ახსოვს, გული წასვლოდეს ოდესმე ან ეტიროს; მან ისიც არ იცის, მოუსმინა კი ბერძენ მომღერალს „ჯამბაზებში"... ისე კი, მელოდიის შეგრძნების განსაკუთრებული უნარი ჰქონდა და ყალბ ბგერასაც ტკივილივით განიცდიდა; ასე იყო, მაგრამ ნუ დაიჯერებთ, ძვირფასო ექიმო, თითქოს ღამღამობით ბნელ დარბაზში შეიპარებოდა და უკრავდა, თავდავიწყებითა და გახელებით უკრავდა ღვთაებრივ იმპროვიზაციებს, ან თითქოს ის უხაროდა, რომ საბავშვო ორკესტრის ტამბურმაჟორი იყო... არც ის ახსოვს, როგორ წარუდგინეს დიდ მუსიკოსს და როგორ დალოცა მან შუბლზე ამბორით. ეს ძველთაძველი თქმულება რამდენიმე სიმღერისა და ერთი სიმებიანი კვარტეტის ავტორის მონაწილეობით გათამაშდა... პატარა ქალბატონს მუსიკოსი იმ პოეტს აგონებდ, კეჩხობში კოცონთან რომ იდგა განწირული მწვალებელივით.

...მე მისჯილი მქონდა დიდებისა და სახელის მოხვეჭა, ისე, როგორც თქვენა გაქვთ მისჯილი ჩემი განკურნება, — დაცინვით შეტეხა წარბი ევგენიმ.

* * *

სირბილით აჰყვა მრგვალ კიბეს ტამბურმაჟორი.

ეგონა, აირბენდა და მერე ველარ შეაჩერებდა წრიულ აღმასვლას — ცის სილურჯეს შეეხრახნებოდა.

აივანზე შედგა, კვერთხი მოაჯირს მიაყრდნო.

ღია ფანჯარასთან იჯდა ფაიფურის ქალბატონი, უღიმოდა.

— მოხვედი?

—მოვედი, — ტამბურმაჟორმა ხელები ჩამოყარა.

— დაიღალე? — ქალმა ატლასის მკლავები რაფაზე გადმოაწყო.

— ჰო, — დაუქნია დიდი თავი, — მომბეზრდა!

აწრიალდა ქალი, ვედრებით აღაპყრო თვალი.

— ნუ იტყვი ამას, ნუ იტყვი!

ტამბურმაჟორმა ჯიუტად გაიმეორა:

— მომბეზრდა ხელების ქნევა, — შეისროლა მარჯვენა ჰაერში, მივიდა და კვერთხს ჭვინტი წაჰკრა. კვერთხი დაცურდა, გაყვა მოაჯირს და კიბეზე ხრიგინით ჩაეშვა. მიხტოდა და გამეტებით ურახუნებდა ოქროცურვილ ბუნიკს თუჯის საფეხურებს.

ოტია პაჭკორია
შენდობა

— ეს რა ჰქენი?! — გადმოეკიდა ქალი რაფას.

ტამბურმაჟორი კიბეს ჩასცქეროდა.

კვერთხმა კიბე ბუნიკმომსხვრეულმა ჩაათავა, ეზოში გავარდა, ერთხანს იბზრიალა, წაბარბაცდა და დაეცა... მიგორდა კედელთან და ჩვეულებრივ, გადატეხილ ჯოხს დაემსგავსა.

იცინოდა ტამბურმაჟორი — მოლხენილი, თავისუფალი და ბედნიერი.

●

არასოდეს უფიქრია შამანიძეს — მისი პროფესია რაღაცით წააგავდა უსახლკარო ძაღლებზე მონადირის პროფესიას.

არასოდეს უფიქრია და უცებ მიხვდა, როცა დიდი მოედნის შუაში საბარგო მანქანა შეჩერდა, გადმოვიდა ხელბადიანი კაცი და გაზონისკენ გაემართა.

უნებლიეთ შედგა შამანიძე, ჯერ მანქანის ძარაზე მოწყობილ ჯიხურს ახედა და მერე იქვე, გაზონთან ჩაცუცქული ფინია შენიშნა... მიდიოდა ხალხი ქუჩაში, უამრავი ხალხი და მიემართებოდა ძაღლისკენ შავხალათიანი კაცი, პეპლების ვეება საჭერით ხელში...

ძაღლი მოკუნტულიყო. ძაღლი გრძნობდა, რაც მოელოდა და არ გარბოდა, არ ყეფდა, არ იბრძოდა... ჩამჯდარიყო დარტყმის მოლოდინით გაშეშებული და დაინახა შამანიძემ ნაცნობი თვალები, ძაღლის მორჩილი, მავედრებელი თვალები... რამდენჯერ უნახავს ასეთი თვალები, — გულგრილობითა და შიშით გათოშილი მზერა; თვით ეს უნებისყოფოდ ჩაქინდრული თავ-კისერიც ნაცნობი იყო; კაცი უახლოვდებოდა ძაღლს, თითქოს მორევში შედიოდა თევზზე სანადიროდ... ხალხი მიედინებოდა მოედნის გასწვრივ, არავინ შეჩერებულა... მხოლოდ შამანიძე იდგა და ფიქრობდა; არა, კი არ ფიქრობდა; ამას ფიქრი არც ერქვა, სადღაც ცნობიერების სიღრმეში აღებეჭდა მსგავსება საკუთარ თავსა და იმ ბადიან კაცს შორის.

სწრაფად მივიდა ძაღლთან შამანიძე, ფერდში წაჰკრა ფეხი; ძაღლი შეხტა, წამოიღრინა და უცებ მოწყდა ადგილს, ხალხში შეიჭრა...

— ეს რა ჩაიდინეთ, ჩემო ბატონო! — ყვედრებით უთხრა კაცმა და შამანიძემ თავისთვის აღნიშნა მიმართვის უჩვეულოდ თავაზიანი კილო, შინაგანად დაიძაბა, შეხედა კაცს და კინაღამ გადაიხარხარა — კაცს შამანიძის პაციენტებისა და შეშინებული ძაღლის თვალები ჰქონდა.

— ლოთია, — გაიფიქრა შამანიძემ, — ლოთია და უპატრონო ძაღლებზე ნადირობს!

მას ნაცნობი აზარტი დაეუფლა, მონადირის აზარტი, ნელა დაიძრა კაცისკენ, ფეხაკრეფით... გაიწოდა ორთავე ხელი... ვინ იცის, რა ამოიკითხა იმ კაცმა შამანიძის სახეზე, ბადე გადააგდო და მანქანისკენ გაიქცა.

* * *

საფიქრალი გაუჩნდა შამანიძეს; ვერ იცილებდა თვალთაგან იმ სურათს...

ექიმი შამანიძე არ თანაუგრძნობდა პაციენტებს, არ ებრალებოდა ისინი, მტრობაც კი ეუფლებოდა მათ მიმართ. იგი ცდილობდა წარსულისგან გაეთავისუფლებია ისინი. „რომ არ არსებობდეს ხსოვნა, არ იქნებოდა თრობის საბაბი“, — ამბობდა და ებრძოდა მეხსიერებას. საკუთარსაც კი ებრძოდა, შეეძლო მოესმინა აღსარება და მაშინვე ცნობიერების ყრუდ დაგმანულ ნიშში შეეკეტა... მას არ უყვარდა იწილო-ბიწილო და საკუთარ ზნეობრივ მისიაზეც იშვიათად დაფიქრებულა.

და მაინც, შამანიძე შეაშფოთა ამ სურათმა და შინაგანმა მსგავსებამ ძაღლებზე მონადირე კაცთან... შეაშფოთა და მოუნდა ფიქრი ვინმესთვის გაეზიარებია. ოღონდ ვისთვის? კლინიკაში მომუშავე ექიმებთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, რომ მისი გულახდილობა თუ გააოგნებდა მათ. იქნებ ამ თალამუსამოკვეთილ „დიოსკურებს“ უამბოს, — გაიფიქრა დაცინვით, — ან ევგე-

ნის?! — შამანიძე შებრკოლდა, — სწორედ ევგენის, ლოთ ევგენის, ასე რომ არ ჰგავს ლოთს.

„ჩემს გაჩენამდე გაჩნდა აზრი ჩემს გამო!“ — თქვა ევგენიმ და მიხვდა შამანიძე, ამ კაცის ტრაგედია არც მისით დაწყებულა და არც მისით დამთავრდება. იქნებ თავისი ჩუმი ირონიით გააცამტვეროს კიდეც ევგენიმ შამანიძის განცდები? ერთი სიტყვით, დარდი გაუჩნდა და დარდის გამზიარებელიც დასჭირდა შამანიძეს.

* * *

ევგენი კი, ეს გულუბრყვილო ევგენი, ვერაფერს ხვდებოდა. ევგენი ახლა თავის სიძულვილზე ყვებოდა; ყვებოდა, როგორ შესძულდა თავისი მოწოდება, ნიჭი... მუსიკა არ შესძულებია ევგენის (მუსიკის შეძულება არც შეიძლება), მას საკუთარი თავი შესძულდა, თავისი ხელები — ნავარჯიშევი, ძვირფასი ხელები... შესძულდა, რაკი მიხვდა, რომ თავისი დაკვრით არავისთვის შვება არ მოაქვს; ისიც იგრძნო, რომ აღარ ფლობს აღზევებულსა და მღელვარე სულს, რომ დაიღალა წინასწარმისჯილი დაფნის გვირგვინების თრევით და ჩუმი ომით იმ პატარა ქალბატონთან, რომელსაც ჰქონდა მიზანი და ამ მიზნის სახელით ყოველივეს მუსრავდა თავის ირგვლივ... აღარ იცოდა ევგენიმ, ვის ჭირდებოდა მისი დაკვრა, მისი მუსიკა?! მას მხოლოდ ბრძენი, ძლიერი თითები შემორჩა და გულის სიღრმეში ჩაგუბებული ზიზღი.

ევგენიმ არ იცოდა, როდის დაიწყო ეს, სად დაიდო სათავე გულაცრუებამ, გაღიზიანებამ... იქნებ მის გაჩენამდე იშვა? ევგენი ფიქრობდა: სადღაც, მიუწვდომ სფეროში ჩამოყალიბდა მისი პიროვნება, მისი მოდელი და აქ, მიწაზე, პატივმოყვარე პროვინციელთა ოჯახში შეადგინეს მისი ცხოვრების პროგრამა... მას ყოველთვის ტანჯავდა ეს შეუსაბამობა. შესაძლოა, იგი მართლაც იყო ხელოვნების ქურუმი... ოღონდ არამც და არამც არ იყო თავისი ხელოვნების ქურუმი... გული ეტკინა, როცა მიხვდა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მსმენელისთვის მის წვალებას, ყოველ მუსიკალურ ფრაზაზე გამუდმებულ ფიქრს, სტილის გამო რუდუნებას. ევგენიმ აღარ იცოდა, როგორ შეეთავსებია ერთმანეთისთვის სისხლ-ხორცში გამჯდარი მოთხოვნილება დიდი ვაგნერისა, რომელიც შემსრულებლისგან მხოლოდ ერთგულებას და, უპირველეს ყოვლისა, ერთგულებას მოითხოვდა და სურვილი დარბაზისა — ეხილა ამბოხება, მოესმინა რაღაც სხვა, განსხვავებული... დარბაზს სულაც არ ადარდებდა, ათენებდა ღამეებს იგი, რათა სწორად ამოეკითხა ნაწარმოების შინაარსი თუ პირდაპირ, ფურცლიდან კითხულობდა და იქვე, მათ წინაშე ქმნიდა თავის „შესრულებას“. დარბაზი ტირანი იყო და სხვა რამ სურდა; ის, რაც ევგენის არ გააჩნდა; იქნებ იმპროვიზაცია, იქნებ სწორედ „ცუდად“ დაკრული სონატა, ოპუსი, კონცერტი სჭირდებოდა დარბაზს?! მან კი მხოლოდ ერთადერთხელ შესძლო ასე დაკვრა, ერთადერთხელ იყო უფალი მელოდიისა და დარბაზისა, და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთადერთხელ უღალატა საკუთარ თავს და „სწორად“ არ დაუკრა; როგორც ბესომ უთხრა, იყო თავნება და ჯიუტი. მხოლოდ ერთხელ იყო თავნება და ჯიუტი... მერე უკვე ოსტატი გახლდათ და ადამიანებიც გაყინული სახეებით შესცქეროდნენ ჭაბუკს, შეცდომის უფლება რომ აღარ ჰქონდა, რადგან ყველაფერი იცოდა, თავისი ხელობის ყველა საიდუმლოს ფლობდა... და ადამიანები კი არ უსმენდნენ მას, ადამიანები ხელებში შესცქეროდნენ, რადგან თითქოს მხოლოდ ის აინტერესებდათ, თუ სად წარმოიქმნებოდა არპეჯიოს ეს ნიაღვარი. ამას გრძნობდა ევგენი და თვითაც მხოლოდ საკუთარ ხელებსა და კლავიშებს ხედავდა, და სადღაც აქ იწყებოდა გაღიზიანე-

---

ოტია პაპაკორია
შენდობა

ბა, გულაცრუება, ევგენი ჰკარგავდა უბრალოებასა და მღელვარებას... და მაინც, რა სურდათ მისგან ახლობლებს, რას მოითხოვდნენ, რისთვის შესციცინებდნენ მონური მორჩილებით; იმ მორჩილებით, ყველა ბატონობაზე დიდი ბატონობა რომ არის და ვერსად გაექცევი. ევგენის ისეთი ყურმოჭრილი ყმები ჰყავდა, რომელთა ერთგულება ერთიანად ნთქავდა მის სასიცოცხლო ენერგიას, წარმოსახვასა და ვნებას; და არავინ იყო ამქვეყნად, ხსნის გზა რომ ესწავლებია.

სულმოუთქმელი სკერცო უცებ შეფერხდა. აა, თურმე შამანიძე რაღაცას ეუბნება და რას ეუბნება შამანიძე? ვინ იყო ძაღლებზე მონადირე კაცი? რატომ არ გარბოდა ძაღლი? იცოდა, რომ დაკლავენ და არ გარბოდა... ვინ ჰგავდა შამანიძეს? ვერაფერს მიხვდა ევგენი. მაინც რომელ თვალებზე ლაპარაკობს ექიმი, სად ნახა ისინი და რას ვერ ივიწყებს? იმ ძაღლის თვალებს? არა, იმ კაცის თვალებს...

ხა, — ევგენის გონება გაუნათდა, — ექიმი შამანიძე სულის ქექვას იწყებს...

ბესო, ბესო! — აყვირდა ევგენი და კარს მიაწყდა, — გესმის, ბესო, ექიმ შამანიძეს სული აღმოაჩნდა; ნაზი, მოწყვლადი სული!

გავარდა ევგენი დერეფანში, სიცილი აღრჩობდა, გახელდა კაცი; მერე უცებვე შეტრიალდა ოთახში, შევიდა სინათლის წრეში, მიუახლოვა სახე დაწინწკლულ, ჩოფურა ნიღაბს და შეესმა შეგუბული ჩურჩული:

— ფრთხილად, ევგენი, ფრთხილად!

ჩახედა ევგენიმ ექიმ შამანიძეს ფართოდ გახელილ თვალებში და დაინახა — ფსკერზე ძაღლივით ჩაცუცქულიყო შიში.

●

მოდიოდნენ ადამიანები. ასანთის თავწამწვარი ღერით ან ფანქრის ნალევით აწერდნენ კედელზე სახელს, თარიღს, ვედრებას, წყევლას... აწერდნენ იმისთვის, რისთვისაც პომპეელნები აჭარელებდნენ წარწერებით თავიანთი ქალაქის ქათქათა კედლებს... წერდნენ იმიტომ, რომ აწვალებდათ მეხსიერება, კვალის დატოვების უბრალო და ძლიერი ჟინი.

* * *

ევგენის ახსოვს:

ცხელი ქარებით კედლებდაღრღნილი „ლურჯი მონასტერი"; მძიმე, ჩუქურთმიანი კარი და კართან, კედლის ჩრდილში მოკალათებული ელამი კაცი.

ხედავს ევგენი — ყუთებაკიდებულ მგზავრებს, მონასტრის ბინდში ინთქმებიან და იქიდან ხელდაცლილები უბრუნდებიან შუადღის ხვატს (რადიომიმღებებს აბარებენ საწყობში).

ევგენისთვის ომის დაწყება წითელი ხის ლამაზ ყუთს დაუკავშირდა. თავისი ხელით ჩამოიტანა ყუთი, ოფლში გაიხვითქა, დაწყდ მკლავები ყმაწვილს, მაინც არავის დაუთმო. ჩამოიტანა და იმ ელამი კაცის წინ, მაგიდაზე შემოდო.

ელამმა ყუთს ახედა:

— ექვსნათურიანი „პიონერია", — ჩაილაპარაკა და ზეწრისხელა ქვითარი გამოწერა.

— ახალთახალია! — უთხრა ევგენიმ და ყუთს ხელი გადაუსვა, გაუძნელდა ხელის მოცილება პრიალა, გრილი ზედაპირისთვის, — ახალთახალია! — გაიმეორა.

საწყობის გამგის თვალები კარგად ფარავდნენ ფიქრს; საით იცქირებოდნენ, იმასაც ფარავდნენ; ასე ეგონა ევგენის — სადღაც, მის ზურგს უკან, სივრცეში დაფათურობდნენ ეს თვალები, როგორც ორი პროჟექტორის ერთურთს აცდენილი სხივი ცაზე... მოუხელთებელი თანაგრძნობა კრთოდა ამ უსწორმასწორო გამოხედვაში.

— რას იზამ, — წაიმღერა გამგემ, — ომია!

* * *

ტოლაღი, — სიტყვა პირველად იმ დღეებში გაიგონა ევგენიმ, გადაეჯაჭვა

სიტყვა დრამატულსა და ირონიულ ამბებს და ასე შერჩა მეხსიერებას.

მამა გაიწვიეს.

სამედიცინო სამსახურის ემბლემა და კაპიტნის სწორკუთხედი, „შპალ-“ რომ ეძახდნენ, საყელოზე დააბნიეს; ხაკის ხალათი, ხაკისვე უბეჩაკიდული შარვალი ჩააცვეს; დიდი წაღები და ტოლაღები მისცეს. შემოიხვია წვივზე სახვევი, ჩაიცვა უზარმაზარი ბათინკები და საოცრად დაემსგავსა წყალზე მოსიარულე მწერს.

გააწამა ტოლაღმა კაცი, გამუდმებით ეხსნებოდა, თუმცა დასტაქრის მოქნილი თითები ჰქონდა და ბანდის ათასნაირი გადახვევა იცოდა, იმ ტოლაღს ვერაფერი მოუხერხა, დღეში ოცჯერ იხსნიდა და იხვევდა წვივსახვევებს წვრილ წვივებზე.

მერე სანაპიროზე ნახა ბიჭმა მამა. რამდენიმე ხანდაზმული ინჟინერი, ექიმი და ინტენდანტი დააბიჯებდა მწყობრში. ახალგაზრდა, ყოჩაღი ლეიტენანტი მეთაურობდა.

...ქალაქის კომენდანტს გადაყროდა მამა. მრისხანე გენერალი გაოგნებული შემდგარა. ტოლაღებიანმა კაპიტანმა თურმე პილოტურა მოიშვლიპა და თავაზიანად დახარა თავი: გამარჯობათ, ჩემო ბატონო!

„ჩემო ბატონოო“, — გადარეულა გენერალი, იქვე გადაუცია მხლებლებისთვის ნირწამხდარი კაპიტანი. „მხედრული მისალმება კარგად ასწავლეთო“, —უბრძანებია.

...ეს იყო ჩვეულებრივი, ათასგზის გამეორებული ამბავი სამოქალაქო პირის მხედრად გარდაქმნისა — ცოტა ირონიული, ცოტა სევდიანი და აუცილებელი... მამაც მშვიდად ეკიდებოდა თავის თავგადასავლებს, თანდათან ეჩვეოდა წესსა და რიგს, თანდათან იხვეწებოდა მისი მოძრაობა, უფრო მოხდენილად მიქონდა ხელი ქუდთან და ერთ მშვენიერ დღეს ბიჭმა პეწიც კი შენიშნა მის საქციელში. კინოში ნანახი ოფიცრების მკაცრი თავისუფლება, შინაგანი უპირატესობით გამოწვეული შუნწი ქედმაღლობა.

მან დაკვირვებით შეხედა მამას და ეუცხოვა იგი, ჯერ კიდევ არ იცოდა — ეს სიუცხოვე მხოლოდ იმისგან როდი იყო, რომ მამის ბეჭებზე ჯვარედინი ღვედები ჭრიალებდნენ და ტყავის ბუდიდან რევოლვერის ლურჯი ტარი გამოკრთოდა. სიუცხოვე იმ ღრმა შეგნებიდან მოდიოდა, რომ ამ კაცს შორი გზა და დიდი განსაცდელი ელოდა და იგი მათთან აღარ დაბრუნდებოდა.

მან განიცადა განშორების სევდა და შემდეგ, გვიან, როცა ეძებდა იმ დღეების გამოძახილს და განცდილის აღდგენას ლამობდა — წიგნებშიც ამოიკითხა. ამის თაობაზე წერდნენ, უმეტესად ისე წერდნენ, როგორც ახსოვდა, ან აღარ ახსოვდა და მერე წაკითხული გადაეფარა სინამდვილეს; ახლა იგი იმ დღეებს კი არ იხსენებდა, იმ დღეებზე დაწერილი მოთხრობების სიუჟეტებს იმეორებდა და აღიზიანებდა იმის შეგნება, რომ საკუთრივ მის განცდას მთელი ლიტერატურული მიმართულების მზამზარეული განცდა ცვლიდა. მაგრამ მაინც არსებობდა სულის სიღრმეში ჩარჩენილი ნალექი — ის სიუცხოვე და სურვილი, მისულიყო მამასთან, ხელი მოეხვია მხრებზე... იგი ჯერ კიდევ იმ ხნისა იყო, როცა მამასთან მტრობა ადრეა და ჯერ კიდევ არ იყო იმ ხნის, როცა ამ მტრობას განვლიან და უბრუნდებიან მამას.

გავა დრო; იგი დაუბრუნდება ფიქრს მამის გამო, უფრო და უფრო მკვეთრად შეიგრძნობს შინაგან ერთიანობას, იმ ტანმორჩილ, მოხდენილ სამხედრო ექიმთან რომ აკავშირებდა; გაიხსენებს გამოთხოვების დღეს და აქაც დაეჭვდება: რაა მისი და რა არის წიგნიდან, კინოდან, სხვათა მონათხრობიდან.

მამა გაემგზავრა მაშინ, როცა უკვე მინელდა პირველი დღეების ნერვული აღტკინება, საზეიმო განწყობილება და გულუბრყვილო რწმენა იმისა, რომ ნაძ-

---

ოტია კაბაკორია
შენდოგა

ვის რტოებით მორთული დიდი ეშელონები სულ ერთ კვირაში დაბრუნდებიან.

●

— მე ვტირი, ანუ მე სევდიანი ვარ! ბესო შეზარხოშებული გახლდათ, რახი ეშოვა („იქნებ დიოსკურებმა მოუტანეს“ — გაიფიქრა ევგენიმ); ჩახუტებოდა ბესო ძეწნას და ირყეოდა, გულს ურევდა ქვიშისა და აბზინდის რუხყვითელი ფერი, ტრამალი წარმოსახვას უღატაკებდა, მთებს კი კარგა ხანია აღარ უყურებდა ბესო.

— მე სევდიანი ვარ, — ბუტბუტებდა ბესო, ევგენის ცუდად ესმოდა, რას ამბობდა ბესო; ბესო კი ეუბნებოდა: — რისთვის დაკარგე მაღალი ნიჭი, გესმის, რისთვის დაკარგე მაღალი ნიჭი? მე ასე ვფიქრობ, სიტყვა ხშირადაა ბუნებრივის მტერი. რისთვის მიმართე სიტყვას, როცა გქონდა მუსიკა? შენ ხომ იცოდი, არ შეიძლება არ გცოდნოდა, მუსიკა არ არის სიტყვით მეტყველი და დიდებული სავანეა ფიქრით დამძიმებული გონებისთვის. შენ კი დაიწყე დავა, კამათი, მსჯელობა. ხომ ნახე, სიტყვა უფრო სახიფათო და ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე გეგონა. შენ სიტყვამ დაგღუპა, ან როგორც იტყოდა ჩემი ბებერი და მოდას ჩამორჩენილი ოსტატი: დაიღუპე, რადგან მელეთას გამო უარყავ აედა.

ევგენი ხედავდა ბესოს უკან გაჭიმულ გრძელ სახლს და ფიქრობდა: „რატომაა ასე, სახლი გამოჭედილია ავადმყოფებით, ექიმებით, მოწყალების დებითა და ძმებით... და რატომაა, რომ მხოლოდ სამნი ვართ ამ სახლში — ბესო, მე და შამანიძე? იქნებ მართალია ბესო, მე დავიწყე ყბედობა; მე დამძლია სურვილმა, სიტყვით გამომეხატა რაც მსურდა, როგორც მესმოდა, რასაც ვფიქრობდი.. მაგრამ ნუთუ ამის გამო დავკარგე ნიჭი? შეიძლება კი ნიჭის დაკარგვა? მე არ ვყოფილვარ განსაცვიფრებელი ბიჭუნა, ხუთი წლისას კონცერტები არ მომიწყვია, არც მამა-ჩემი ითვლიდა ამ კონცერტებზე ნამდვილ თუმნიანებს“...

— მე ასე ვფიქრობ, — ბესო ძეწნას მოეშვა და იქვე ჩაიმუხლა, — ერთ ძველ წიგნში წერია: მიხედეთ ციის ფრინველებს, არც თესავენ, არც იმკიან, არც საუნჯესა და დოვლათს მოიხვეჭენ და ცხოვრობენ ასე... და ჩვენ, კაცნი რითა ვართ ფრინველთა უპირატესი... მე არაფერი გამაჩნია, ვარ უქონელი და უპოვარი და ვარ იმიტომ, რომ ასე ვცხოვრობდი... ჩემი აუგად სახსენებელი ცხოვრებით მივაღწიე ზნეობრივ უპირატესობას... დიახ, ვიცოდი, არა ვარ ფრინველთ უმჯობესი და არ ვიხვეჭდი არაფერს...

— მე კარგად მახსოვს, სად წერია ფრინველებზე. გინდა, გითხრა: „განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარიგი აღორძნდის...“ მე ეს მოდა მეგონა, მაგრამ როცა ამას შენისთანა კაცი ამბობს, მოდა აღარაა.

— გმადლობთ! — წაიბურდღუნა ბესომ.

— არაფრის! — ჩაიცინა ევგენიმ, კეფა მოიქექა, — ყველაფერი ნაცნობია და ძველთაძველი... — გულგრილად თქვა, — თავის მართლებაც ნაცნობია... ჩვენ ხომ აღვირახსნილ ლოთობაშიც კომფორტსა და თავის მართლებას ვეძებდით; მაღალგონიერებისა და მტკივნეული სულის სახელით ვანგრევდით ყოველივეს ჩვენს ირგვლივ და საკუთარი უსასოების, ხელმოცარულობის თავშესაფარს მიველტვოდით.

(„საბრალო, კეთილშობილი და განათლებული მატყუარები“, — იტყოდა მათ გამო ექიმი შამანიძე).

— მტკივნეული სულის სახელით... —გაიმეორა ევგენის სიტყვები ბესომ, — მართალია, ლოთებსა და რეციდივისტებს უყვართ სულსა და სიკვდილზე ბევრი ლაპარაკი.

ევგენი იჯდა მიწაზე, შესცქეროდა ძეწნის რტოებს და რაღაც მივიწყებულს აგონებდა იგი: პიანინოს დაფაზე ამოტვიფრული პირხმელი, მკვეთრნაკვთიანი კაცის შოლიოდ ჩამოშვებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ თმებს — აი რას აგონებდა იმ დღეს ევგენის ძეწნა.

იჯდა ევგენი მიწაზე და ფიქრობდა: რატომ არ იყო მისთვის მუსიკა ფიქრით დაქანცული გონების სავანე... ფიქრობდა: მწირზე, წმინდა ნაწილები რომ მოჰქონდა უბით; ყმაწვილზე — ტამბურმაჟორის კვერთხით ხელში; სიკეთის, სამართლიანობისა და ქმედების წყაროსა და სათავეზე.

„მე ცნობიერი არსება ვარ!“ — იმეორებდა თავისთვის, ხშირად იმეორებდა (სენაკში, კედლისკენ პირშექცეული, თეთრად გათენებულ' ღამეებში) და ამჩნევდა, როგორ ეცლებოდა აზრი სიტყვებს, ცხადდებოდა ის ფარული ხიფათი, სწორედ აქ რომ ემუქრებოდა; გუბდებოდა ფრაზაში ირონია, სარკაზმი, თავის აწყვეტის ჟინი.

წამოდგა ევგენი მიწიდან.

— მე ასე ვფიქრობ, — გამოაჯავრა ბესო, — რა თქმა უნდა, ხსნა გონებაა, მშვიდი, მაღალი გონიერება... და მაინც, მე მეშინია სიმშვიდის, ხომ არსებობს სიკვდილმისჯილთა სიმშვიდე, მათი კრიალა, დაწმენდილი გონი... იგი გადაძაბული, გადამწვარი ფსიქიკის მოულოდნელი წყალობაა... მე არ მსურს, მე მეშინია ამ წყალობის მიღება.

— ნუ გეშინია! — ბესო მიწყნარდა, დაკვირვებით დააცქერდა ევგენის, — ნუ გეშინია! ის, რაც ჩვენ გვჭირს, სენი არ არის და წამალი არ გააჩნია, — ისევ წაეტანა ძეწნას, შეარხია, — სადღაც ამოვიკითხე, იქნებ არც ამომიკითხავს და თვითვე მივხვდი: ყველაზე მაღალი და საუკეთესო გვენიჭება ჩვენ, ვით მცენარეს ზრდა და განვითარება, იგი ბუნებრივია და იოლი, რადგან ჩვენ უკვე შევითვისეთ კანონი სიყვარულისა.

— ლიტერატურაა! — წაიბურდღუნა ევგენიმ.

— იყოს ლიტერატურა, მერე რა... ის ხომ სიმართლეა, რომ ამაღლებული გვენიჭება ჩვენ, ვით ხეს ზრდა, ასე უბრალოდ, ასე თავისთავად... თუ ხე, ბალახი, მცენარე მართლა ასე თავისთავად არსებობს და ზრდის ნიჭის გარდა არ გააჩნია სხვა, მეორე, ის, რაც თავისთავად არ ვითარდება და რასაც წვრთნა ჭირდება. — ბესომ თვალები დახუჭა, — იქნებ ჩვენ ამაღლებულისთვის ომს გადავყევით?! ვინ იცის! — იჭვით ჩაილაპარაკა, — ხომ ასე აეწყო ყველაფერი... ბედმა შეგვყარა: შენ — დიდი პიანისტი, მე — მასწავლებელი და ოსტატი შენი... და მაინც, მე ასე ვფიქრობ! სიყვარულით დაწყება იოლია; საქმე ისაა, სიყვარულით დაამთავრო.

შენობისკენ დაიძრა, შემობრუნდა.

— თუ გინდა წამოდი, კიდევ მაქვს რახი!

— არ მინდა, — უთხრა ევგენიმ.

* * *

გაოცდა ბესო — სად გაქრა უწინდელი ენამზეობა, სალოსის ვნება და სიამაყე?

სტკიოდა ლურჯი საფეთქელი.

კათხაში რახი ესხა. ანთებიანი, დაშაშრული სასით ვერ გრძნობდა სითხეში მოცურავე ნაფლეთების ლორწოვან შეხებას. მას სძაგდა რძისფერი სითხე, მთელი არსებით სძაგდა, ამაზრზენი იყო მისი სიმყრალე.

კათხა პირთან მიიტანა, მოსვა და წამოაზიდა, სისხლი მოაწვა თვალებში, სიმწრის ოფლმა დაუცვარა შუბლი; ტანჯვით ჩაყლაპა პირველი ყლუპი და გაეხსნა სუნთქვა.

მისი არსების სიღრმიდან დაიძრა ნისლი, ამოჰყვა ძარღვებს, მყესით შეკრულ კუნთებს, ხერხემალს... დაებურა ცნობიერება.

იგი ზმუოდა კათხაში ცხვირჩარგული; ნისლში გამოხვეულ საკუთარ ტვინს ისე ხედავდა, როგორც ცილოვან გუნდას და ტვინი თავისუფლებას პირდებოდა — თუკი გაძლებდა, თუ სკამიდან არ გადმოვარდებოდა.

— აღარაფერი არ მახსოვს, — დახეთქილ, ნაწიბურიან ბაგეს მანჭავდა, —

ო�ia პაპაკორია
შენდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მახსენდება!.. — იმეორებდა და იცინოდა, რადგან ტყუოდა და აცინებდა უცოდველი სიცრუე.

მერე შუბლი მაგიდაზე ჩამოსდო; უხვთმიანი თავი ჰქონდა, განზე გადგმული ყურები — სიფრიფანა ნიჟარიანი... ისე მჭიდროდ მიეკრა შუბლით ფიცარს, ისე გადააგორ-გადმოაგორა თავი საფეთქლიდან საფეთქლამდე — ვეება „პრესპაპიეს“ დაემსგავსა.

ბესო თვლემდა მაგიდას ღაწვით ჩამოყრდნობილი, ხელები უმწეოდ ჩამოეყარა და თითებით იატაკს ეხებოდა... თვლემდა და წვალობდა, ყრუდ გუგუნებდა მისი სისხლი და შვიდფერი წრეები სქდებოდნენ მიღუშულ ცნობიერებაში.

* * *

— თქვენ ალბათ არ იცით, ყმაწვილო, — ექიმი შამანიძე მოწოლილ ბოღმას იცოხნიდა, — არ იცით, რა ჩაიდინეთ... თქვენ არც ის იცით, რომ ოლიფანტი მძიმე ავადმყოფია... ალკოჰოლზე არ გეუბნებით... ბოლოს და ბოლოს, ალკოჰოლი თქვენი პირადი საქმეა... მას ცუდი სისხლი აქვს, აი ამხელა, — ხელი მომუჭა, — აი ასეთი თრომბებით, — წამით მოითქვა სული და უცებ იყვირა — ოლიფანტ, ეს რა ჩაიდინეთ, ოლიფანტ!

რისხვა შემოენთო ევგენის, მივიდა შამანიძესთან, სახელოზე დაქაჩა და კბილებში გამოცრა:

— მოეშვი ამ ოლიფანტს, იდიოტო!

კვდებოდა ბესო.

მოწყდა თრომბი და მისი ნაფლეთები ჯიუტად, ნელა მიიკვლევდა გზას გულისკენ, (ასე აუხსნა ექიმმა ევგენის).

მოლურჯო ზეწრების ფონზე მკვეთრად გამოყოფილიყო ბესოს სხეული, მისი ვიწრო, მაღალშუბლიანი თავი.

თენდებოდა.

ექიმი დაიხარა ავადმყოფისკენ, ფრთხილად შეეხო ხელზე და შეეკითხა:

— როგორ გეძინათ?

გაუღიმა ბესომ (ევგენის არასოდეს ენახა ასეთი სათნო ღიმილი — დიდი საიდუმლოს ცოდნით სიღრმეშემატებული).

ბესომ გაბმით, გარკვევით წარმოთქვა:

— კარგად მეძინა, გახსნილი გულით, მთელი ღამე ჩიტთა გალობა მესმოდა და ფიჭვის სუნი მომდიოდა.

დაიძაბა ევგენი, მაშინ გაუელვა პირველად: უკვე საწუთროს გაცდენილი ლაპარაკობდა ბესო.

ევგენი საწოლთან მივიდა, მხარში ამოუდგა შამანიძეს. სურდა დალაპარაკებოდა ბესოს. მიაჩერდა მის დარარულ შუბლს, დამშვიდებულ სახეს და მოეჩვენა: მჭრქალ, მთრთოლვარე ნათელს აფენდა ირგვლივ ბესო; მიხვდა ევგენი: ვეღარაფერს შეეკითხებოდა ამ კაცს, აღარაფერს უპასუხებდა ეს კაცი.

ბესო თვალს ადევნებდა მათ, ოღონდ მის თვალებში არც ცნობისწადილი იდგა, არც რაიმე ინტერესი ჩანდა. სენაკში მათ გადაადგილებას აღიქვამდა მხოლოდ, განთიადის გამკრთალ სხივთა გადაკვეთას უთვალთვალებდა და ეს უფრო ჩვევა იყო, სხვა არაფერი.

შამანიძე სარკმელთან მივიდა, იდაყვით ჩამოეყრდნო სარკმელს:

— ეს ემბოლეაა! — თქვა მან.

ევგენიმ თავი აიღო. იმდენი დარდი ისმოდა ექიმ შამანიძის ხმაში, ისე ფაქიზად მოძრაობდნენ მისი დიდი, მოუქნელი ხელები, რომ ევგენის აღარ აღიზიანებდა შამანიძე. პირიქით, იგი ნათლად გრძნობდა, რომ ირღვეოდა უცნაური, სამთა ერთიანობისა და განცალკევების აუხსნელი განცდა და ამ კავშირის დარღვევა უფრო ღრმად, უფრო მჭიდროდ აკავშირებდა შამანიძესთან.

...იწვა ევგენი კედლისკენ პირშექცეული და ტიროდა.

მზის ამოსვლისას მოკვდა ბესო.

სახე არ შეცვლია, ოღონდ უფრო ამაყი და შორეული გაუხდა; თვალებმა დაკარგეს ფსკერი, სიღრმე ამოექოლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც ენახა ევგენის ასეთი სახე, ცხოვრებაში კი არა; სურათებზე, ტილოებზე, ფრესკებზე...

— ო, დიდებულო მაწანწალავ! — გაჰკიოდნენ მეინახენი, თავზე ვაზი შემოეწნათ, ხელში მტევნები ეჭირათ; ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ სისხლ-ხორცში გამჯდარ, უსახელო ცეკვას და თან ყიჟინებდნენ:

— ო, დიდებულო მაწანწალავ!

ვენახის თავში იდგა ბესო და ხარხარებდა. ბესო-ბახუსი, ბესო-ქურუმთ-ქურუმი, ბესო მარადიული ინტელიგენტი, ხის ფარგლით რომ შემოგარსა არსებობის ზღუდე.

...ქვევრის პირას ჩაემუხლა მასპინძელს. პატარა ორშიმო იღლიაში ამოეჩარა, დახრილიყო ქვევრზე და ფრთხილად, უნატიფესი მოძრაობით ღვინოს პკეს ხდიდა ჭინჭრით.

* * *

და გაახსენდა ევგენის, ვის აგონებდა ბესოს სახე; გარდამოხსნილი მაცხოვრის სახეს და იმასაც მიხვდა ევგენი — ერთადერთხელ ემსგავსება ადამიანი მაცხოვარს — მხოლოდ სულის ხორცთან გაყრის ჟამს.

* * *

იქნებ მოეჩვენა ევგენის — სენაკის კუთხეში მიმდგარიყო შამანიძე და ყრუდ ყმუოდა.

●

ექიმი შამანიძე გრძნობდა, რომ დამარცხდა.

ახლა იგი ფრთხილად დააბიჯებდა თექადაფენილ დერეფნებში; ახლა იგი ზოგჯერ დამნაშავესავითაც კი შეხედავდა სენაკთა ბინადართ და ეს იმიტომ, რომ ბესომ (ბესომ და ევგენიმ) იგი ერთი წუთით, ერთი საათით (ერთი განთიადით) გარდასვლის მაღალ წუთს აზიარეს; და ის, რაც შამანიძისთვის ჩვეულებრივი, აუცილებელი, გარდუვალი იყო და არ სცილდებოდა ბუნებისმეტყველთაგან შემოწერილ წრეს, უცებ მოირღვა, განიზიდა. შამანიძე გასცდა მას და წამიერად ჰაერის იმ ფენებში ამოჰყო თავი, რასაც უკვე ზეცა, ზესკნელი, ზესთასოფელი ერქვა.

ექიმ შამანიძეს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ გარდაცვალება (სიკვდილი, საერთოდ) აუცილებელი და ლოგიკური მოვლენა იყო, ოღონდ უფრო და უფრო უსამართლო და არალოგიკური ეჩვენებოდა ნაცნობი, ახლობელი ადამიანის სიკვდილი. მძიმედ ამოძრავდა აქამდე უძრავი დოლაბი მის თავში და სულ სხვა ეჭვი და წუხილი ჩამოცრა.

გარდაიცვალა ბესო („დიდი კაცი იყო შენი მეგობარი!" — უთხრეს ექიმს „დიოსკურებმა", ისე სერიოზულად და თანაგრძნობით უთხრეს, რომ დააბნიეს შამანიძე)... გარდაიცვალა ბესო და შამანიძემ გადაწყვიტა, აღარ შეერქმია ავადმყოფებისთვის უცხო სახელები. უწინ ეგონა, ამით შველოდა მათ, ავიწყებდა წარსულს, სიამაყესა და მნიშვნელობას მატებდა (ამიტომაც ირჩევდა ბერძნულ და რომაულ სახელებს). ახლა მიხვდა, ეს მხოლოდ თამაში იყო, სხვა არაფერი.

ბესოს შეეძლო ქედმაღალი ირონიით მიეღო უცნაური, ცოტა არ იყოს სასაცილო თიკუნი (სიმშვიდისა და შინაგანი სიამაყის გამო შეარქვეს ოლიფანტი). ბესოს ბევრი რამ შეეძლო, რადგან არ ეკარებოდა არაფერი დამაკნინებელი. მისი სული მტკიცედ ნაჭედი ზნეობრივი აბჯრის მიღმა იყო შეფარული, მაგრამ შამანიძის პაციენტთა უმეტესობა შერქმეულ სახელს სასჯელივით აღიქვამდა, დაცინვისა და ქილიკის საბაბად გადააქცევდა. ავადმყოფები უმეტესად რაიმე სასაცილოს აღმოაჩენდნენ ერთმანეთში ამ სახელების წყალობით და საოცარი იყო, რაოდენ გამახვილებული ჰქონდათ მათ თვალი სასაცილოს დასანახად. ამით ისინი საოც-

---

ოტია პაჭკორია
შენდობა

რად ჰგავდნენ მაზვილგონიერსა და დაუნდობელ ბავშვებს.

ისე კი, შამანიძე ეს უკანასკნელი ღღეები თითქოს თავისას განაგრძობდა, იგი უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა ევგენის წარსულში, მისი ბავშვობის წიაღში, ოღონდ ახლა სხვა მიზნითა და მიზეზთა გამო. უფრო იზიდავდა იგი და იქნებ იმიტომ, რომ შამანიძეს მართლა არ ახსოვდა საკუთარი ყრმობა, აღარ ახსოვდა წარსული, რადგან ისე „სწორად“, ისე კანონიერად იცხოვრა, რომ მისი წარსულის გამოყოფა და გამოცალკევება შეუძლებელი გახლდათ... და შამანიძეს ევგენის მწირი, ღარიბი ყოფა ძველ ლეგენდად ეჩვენებოდა, იქნებ იმის გამო, რომ იყო ევგენის წარსულში შამანიძისთვის უცხო და მიუწვდომი — სულიერი ცხოვრების მირაჟი.

შეიცვალა შამანიძე და ასეთი იგი უფრო ხარბი იყო, მაგრამ ასეთი იგი გონიერი და დამთმენი ჩანდა; ხმაც უფრო მგრძნობიარე და მოქნილი გაუხდა, აღარ ჯდებოდა სინათლის წრეში, აღარც თუჯისაგან ჩამოსხმულ აფორიზმებს წარმოთქვამდა. ფიქრით დამძიმებული დაეხეტებოდა დერეფნებში და ცდილობდა საკუთარი არსიდან მღელვარებისა და თანაგრძნობის ნაშთის გამოწურვას ისე, როგორც დაცლილი ტიუბიკიდან გამოწურავენ საღებავის ნარჩენს.

არ ეგონა ექიმ შამანიძეს, თუ გამოცდილება ცოდნისა და გაოცების ნაზავი იყო; არ ეგონა და როცა გაოცდა, დაიბნა კიდეც. იმ კაცმა, ბესომ, და კიდევ, ევგენიმ დაურღვიეს ასე სანდო და სასურველი წონასწორობა, ცრემლიც კი მოჰგვარეს. დიახ, შამანიძე ტიროდა; შამანიძემ მაშინაც იტირა, ბესოს ცხედარს რომ მიაცილებდა.

* * *

იმ დღეს ზეგანზე უამრავი მანქანა და ავტობუსი ამოვიდა.

ხალხი იდგა მზისგულზე, ალაყაფის პირდაპირ, ქვიშნარში და დუმდა. როცა „დიოსკურებმა“ და სანიტრებმა ბესოს ცხედარი გამოასვენეს, ჩუმმა შრიალმა გადაუარა ხალხს. ათეული ხელი წაეტანა კუბოს და ტრამალის სუფთა სივრცეში დინჯად გაცურდა ბესოს მაღალი შუბლი და მკვეთრი პროფილი.

უგზოდ გაჰყვა ხალხი ტრამალს, მითელავდა აბზინდის ბარდებს და მტვრის სვეტებს ტოვებდა ტრამალზე.

მიდიოდა ხალხი და მოეჩვენა შამანიძეს, მისთვის უცხო და უცნობი ტომი გამოდიოდა უდაბნოდან...

თვალი არ მოუშორება, ვიდრე დანახვა შეეძლო.

ყველა ბაზილიკა გაეღოთ ზეგანზე და თავგადახდილ ბაზილიკებში სანთლები დაენთოთ.

* * *

...შამანიძე სწრაფად შებრუნდა შენობაში, ფეხათრევით აიარა კიბე და თავის ოთახში შევიდა. ჩართული რეფლექტორის ქვეშ იჯდა არაბუნებრივად ფერმიხდილი ევგენი, ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებოდა. მერე შეირხა, სახეზე ხელი ჩამოისვა და უცნაურად შეეკითხა:

— წავიდა?

შამანიძე მიხვდა, რასაც ეკითხებოდა. იქვე, კართან მიდგმულ სკამზე დაეშვა და თანხმობით დაუქნია თავი.

...„დიდი კაცი იყო შენი მეგობარი!“ — უთხრეს „დიოსკურებმა“ იმ დილით. არასგზით არ ელოდა, თუ ვინმე ეტყოდა ამას. მით უმეტეს, არ ელოდა „დიოსკურებისგან“, ერთი კი ახედა თავს წამომდგარ ახმახებს და თავისთვის რაღაც წაილაპარაკა. თუმცა, ხომ ითქვა სიტყვა და... იყვნენ კი ისინი მეგობრები? შამანიძეს არასოდეს ყოლია მეგობარი; არ იცოდა მან მეგობრობა, ყოველთვის მართალმა და შეუცდომელმა შამანიძემ.

...შემოდგომის ერთ მზიანსა და თბილ დღეს ამოვიდა ბესო, ამოვიდა მარტო, ავტობუსს ამოყვა. ხელში ფუთა ეკავა. ბევრი არაფერი უთქვამს. „სამკურნა

ლოდ ამოვედი"! — მიმართა შამანიძეს, ცოტა ხნით შეჩერდა და დაურთო — „თვითონ ამოვედი".

იმ ფუთაში პარტიტურა აღმოჩნდა და ზეთის საღებავით დახატული პატარა პორტრეტი — დიდყურებიანი, სახენაოჭიანი ჭაბუკის პორტრეტი; ისეთი ძველთაძველი თვალები ჰქონდა იმ ვიღაც ჭაბუკს, ისეთი დარდი ჩაკიროდა ღრმა ნაოჭებში და ნაცრისფერი გადაკროდა სახეზე, რომ ცქერა ჭირდა.

(„ერთი მხატვრის ავტოპორტრეტია, ერთი კარგი და სვეგამწარებული კაცის", — თქვა ბესომ და სურათი თავთან დაიკიდა).

ამოვიდა ბესო და მიენდო ექიმს, მიენდო ისე ამაყად, თავშეკავებითა და მშვიდად, ისეთი მედიდური თავგანწირვით, რომ შამანიძემ არ იცოდა, რითი შეეძლო ამ კაცის შველა.

მერე, წავიდა ბესო, დაუტოვა დამარცხების, დანაშაულის განცდა და სადღაც სულის სიღრმეში ჩუმად გაჩმიანებული წასვლის გაურკვეველი სურვილი.

აწრიალდა შამანიძე, წვალობდა, იტანჯებოდა... მაინც რა ერქვა ამას. ისეთი სიტყვა ჭირდებოდა, თავის დღეში რომ არ დასცდენოდა.

— შემინდე! — წაიჩურჩულა მან.

— შემინდე! — გაიმეორა ხმამაღლა.

...ევგენიმ თავი აიღო. იგი მიხვდა, მას არ მიმართავდა ექიმი. მაინც წამოდგა და ნელა დაიძრა მისკენ. მიდიოდა ისე, თითქოს სახსრების ნაცვლად თხელი ძაფები ქონდა გაყრილი... ფარატინა და მსუბუქი ევგენი, უცხო და გრძნეულ ძალას აყოლილი; მიემართებოდა ისე დიდხანს, თითქოს ტრამალის თავში იჯდა ექიმი, მიდიოდა ევგენი და გული ტკიოდა. ვინ თქვა და როდის? „ვერა, ჩვენ ამ ვირტუოზთან ერთად ვერ ვიცლით!" ეს ევგენიზე ითქვა. მასთან ერთად, ოსტატ ევგენისთან ერთად არ სურდათ სიარული. სამტროდ შეუბრუნდა დახელოვნებულს, რაც სამოყვროდ ეწადა... ასეც ხდება, აგერ, აქვე ზის კიდევ ერთი ოსტატი თავის საქმისა და შენდობას ითხოვს, ზის და უაზროდ იღიმება. ევგენიმ ახლოლა შენიშნა, წინა კბილები აკლდა შამანიძეს და უსიამო იყო ეს ბჭეშენგრეული ღიმილი.

ევგენიმ გვერდი აუარა მას, გავიდა ტალანში, კარდაგმანულ სენაკებს ჩაურბინა, დაეშვა კიბეზე და ეზოს მიაშურა.

* * *

ღამდებოდა.

ისევ ის, პარაფინის მთვარე ეკიდა ცაზე და დუმილი იდგა. ევგენის არ ეშინოდა დუმილის, მაგრამ იგი ახლა არყოფნას ჰგავდა და აკრთობდა.

მერე შორეულ ხმას მოჰკრა ყური. ბნელში გაზავებული გორაკებიდან, იქიდან, სადაც ქურციკს დაედო ბინა და ღვიისა და საკმევლის ხის ტყე იყო, კიოდა ჭოტი.

დროის თანაბარი მონაკვეთებით კიოდა ჭოტი, უშფოთებდა მეხსიერებას.

ახლა, ამ ღამით იგრძნო, რომ რაღაც შეიცვალა, რაღაც მივიწყებული და ნაცნობი აღიძრა მის არსში.

...ასე იყო:

გაჩირაღდნებულ დარბაზში თხელი, გამჭვირვალე არილი ბოლავდა და მის უხილავ ტალღებში კრთოდა ბროლის, ალმასის, ყალბი ქვებით მოოჭვილი გულქანდებისა და დიადემათა ანარეკლი.

თეთრი სვეტების გვირგვინებთან წდებოდა ხმაური...

სცენის წინ, ზედ რამპასთან იდგა გრგონა და ყვავილებს უწვდიდა.

ევგენი ბორგავდა სცენაზე და განცვიფრებული იყო; რატომ დაეუფლა მაშინ, იქ, გამარჯვებულსა და ბედნიერს, იმ ხალხის წინ, ათასი მოწმის წინაშე, უცნაური და ყოვლისმომცველი მარტოობის განცდა.

ეული იდგა ევგენი და ეული იყო მისი ფიქრი.

...და ახლა იგივე მარტოობა ეწვია... უცნაური და განსხვავებული... ეს არ

ოლია პავკორია
შენდობა

იყო უთვისტომობისა და სულიერი ობლობის განცდა. სულ სხვა რამ გახლდათ და მაინც, რა იყო იგი? გამოცდილება თუ ის იდუმალი ძალა, რაც ევგენის თავის ხელოვნებას დაუბრუნებდა, რადგან იგი იყო აზრის სიმარტოვის მძაფრი შეგრძნება... გონებრივი მარტოობა... ტკივილით აღავსებდა ევგენის და სიახლისთვის, მოულოდნელობისთვის შეამზადებდა მას.

იდგა ევგენი და ყურს უგდებდა მის სულში ჩაპირქვავებულსა და ჩაწურულ წყვდიადს. ყურს უგდებდა, როგორ მოედინებოდა ღამეში ნაკადებად მელოდია — ნაცნობი, განცდილი მელოდია. იგი ამ მელოდიას ოდესღაც უკრავდა, მერე დაკარგა, დაავიწყდა... და აი ახლა კვლავ აღსდგა იგი, აღსდგა ისეთის სიმძაფრით, რომ ევგენის თითები დაეკრუნჩხა; თითებმა კლავიშების სიგრილე, ურღვევი რიგი და მორჩილება გაიხსენეს.

დაბანგულივით ატორტმანდა ევგენი, გაჰყვა ველს. მიდიოდა გაბრუებული მუსიკითა და რწმენით, რომ კვლავ დაიბრუნა უნარი ბუნებაში განფენილი ჰარმონიის შესმენის, დაიბრუნა ბუნებასთან სასაუბრო ენა და რაც მთავარია, სურვილი და უნარი დაკვრისა... უფრო და უფრო ეკრუნჩხებოდა თითები, უხტოდნენ ხელები. მათგან ახსოვდა ყველა სიხარული და ყველა ტკივილი... და მიჰქონდა ევგენის წინგაწვდილი ხელები ისე, როგორც სამარხში ნაპოვნი განძი მიაქვთ, ან ძველი მიტრა, ან გვირგვინი.

...ძეწნებთან მივიდა ევგენი. თავი მტვრიან ფოთლებში შერგო. ერთხანს ისუნთქავდა მტვრისა და სინედლის სუნს. მერე გასცილდა ძეწნებს. ალაყაფთან მიმავალ კაცს მოჰკრა თვალი. კაცი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ვეება ჩემოდანს მიაქნევდა.

მერე ძეწნებთან „დიოსკურებმა“ გაიშლიგინეს.

ერთი შედგა.

— ეწიმი მიდის! — უყვირა და გაიქცა.

ჯერ დაიბნა ევგენი, ვერაფერს მიხვდა, მერე მოწყდა ადგილს, კვალში ჩაუდგა გაქცეულებს. წამოეწია და გაუსწრო „დიოსკურებს“. ბოლოს შამანიძეს წვდა მკლავში.

შამანიძე შემოტრიალდა. ევგენიმ დაინახა მისი ყვითელი სახე და შავი ღრმულები თვალების ნაცვლად.

ევგენიმ უყურა, უყურა და ჰკითხა:

— მე აქ მტოვებ?

შამანიძე შეირხა, ჩემოდანი მიწაზე დადგა, ზედ დაეშვა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო.

— მე აქ მტოვებ? — გაუმეორა ევგენიმ.

ახედა შამანიძემ, გააქნია თავი.

— მე არ გტოვებ, — უთხრა, — მე აღარ გჭირდები.

„მჭირდები!“ — სურდა ეთქვა ევგენის და თავი შეიკავა.

შამანიძემ ფეხები ნელა ააბაკუნა და პატარა კორიანტელი დააყენა.

— შენ ღონიერი კაცი ხარ, ევგენი! ბესოც ღონიერი იყო.

— ეიჰ! — ამოისუნთქა ევგენიმ და გაიცინა.

შამანიძემ ყური არ ათხოვა მის სიცილს.

— ესაა და ეს! — ამოიოხრა, წამოდგა, აიღო ჩემოდანი, წაჰკრა მხარი ევგენის — მშვიდობით, ძვირფასო ევგენ! — დამცინავად უთხრა და ირგვლივ შემოუარა.

— ხვალ მეც წავალ! — თვითონაც არ ელოდა, ისე წამოცდა ევგენის.

შეკრთა შამანიძე, წამით შეყოვნდა, მერე თავი მხრებში ჩარგო და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ევგენი კარგად ხედავდა გზად მიმავალ ექიმს. შეუძლებელი იყო ღამეში ისე დანახვა, როგორც ევგენი ხედავდა. მერე სახლისკენ შებრუნდა. მშვიდად გაწოლილიყო გრძელი შენობა ტრამალზე და დავსებული ფანჯრებით სივრცეს გასცქეროდა.

— ხვალ მეც წავალ! — იყვირა ევგენიმ და გაიცინა, გულით, ხმამაღლა გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერე ბნელში ბაზილიკას წააწყდა. უკარფანჯრო შენობას ქარი ფიტავდა... მაინც ნესტის სუნი იდგა, მონგრეული კედლის თავზე ორი ჯოჯო გაწოლილიყო... ბაზილიკაში თითქოს ჩამწვარი სანთლები ბოლავდა და მწარე კვამლი ქვიტკირში გაჩენილ ნაპრალებში მიცოცავდა.

ევგენიმ შენობას შემოუარა. იქვე, მცირე ხევს გადაესერა ნახევარუდაბნოს გამომშრალი გული; გადაღმა, ტაფობზე საღსალაჯის კუნძებით დიდი კოცონი დაენთოთ ექიმ შამანიძის ობლად დაყრილ მხლებლებს.

იდგნენ კოცონთან „დიოსკურები“ და ცამდე ისროდა ალი მათ მობარბაცე ჩრდილებს.

უცქეროდა ევგენი და იცოდა, კარგად იცოდა, სამუდამოდ დაირღვა კავშირი იმ სამყაროსთან, სადაც ეს ორი კაცი ცხოვრობდა, ნათელშეპარული ცის ფონზე იცრიცებოდნენ ისინი და აღარ არსებობდნენ ისევე, როგორც არ არსებობდა არაფერი, რაც იმ უცნაურ სახლში ნახა და განიცადა... განახლებული, განწმენდილი გამოვიდა იგი ამ ზმანებიდან, გამოვიდა თავისი ფიქრის ამარა, თავისი ხელების იმედით და ვინ იცის, იქნებ არაფერი არ არის გვიანი ამქვეყნად, ვიდრე სული გიდგას პირში.

...ერთია ოღონდ — იმ ღამეს მოჰკლეს „დიოსკურებმა“ ტრამალის ბოლოს უკანასკნელი ქურციკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

მეშჩანები

ვისაც გგონიათ — ყველაფერი დამთავრდა უკვე
და წვრილმანებზე ფაციფუცში გაგყავთ ცხოვრება,
მოსაჩვენებლად დაფუსფუსებთ
და არხეინად იქსოვთ
სიმშვიდის ცარიელ პარკებს...

ოი, როგორ მებრალებით
აბრეშუმის ჭიებო,
რა საცოდავად დაფუთფუთებთ შიშის ფოთლებზე.

ვისაც გგონიათ ყველაფერი დამთავრდა
უკვე,
რომ ეს ჭაობი სიმშვიდეს ნიშნავს,
იყიყინეთ, ვიღრე თქვენზე ძვირფასი წიგნი
ძილისწამალზე გაცილებით სწრაფად
მოქმედებს,
ვიდრე წიგნი ბროლის ლარნაკზე იაფია,
მაგრამ „იყოს, თაროს ამშვენებს".

ოი, როგორ მებრალებით
აბრეშუმის ჭიებო!

თქვენი ფიქრები
მწვრებივით დაღოლავენ ძვირფას ნივთებზე:
ავეჯზე და ფაიფურის უნიტაზებზე.
თქვენ არასოდეს არ გიგრძვნიათ
ახლად გამომცხვარ პურის სურნელი,
რომ სამშობლოს თბილი სუნთქვაა
და სათავე ჩვენი არსობის.

მთავარია ძაღლები არ გაგიცივდეთ,
თოვლში დიდხანს ნუ ასეირნებთ,
თუ ასეირნებთ, თბილად ჩააცვით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგიხედიათ იქით?!
იქ კრწანისის ველია — გესმით?!
იქ ძვლების რიყე შთანთქა მიწამ,
არა იმიტომ, რომ თქვენს ხავსიან
თავებს ეხარა,
როგორც ნაკელზე ამოსულ გოგრებს?!

გესმით შვილები სულ სხვა კამერტონს
აჩვევენ სმენას
და სულ სხვა მხარეს იმზირებიან?!

მდუმარე კაცის ზღაპარი

ფიქრებში დიდი სარდალი იყო,
ფიქრებში ყოვლის შემძლე იყო,
მარტოდენ ფიქრებში.

საცოდავი არასოდეს დაფიქრებულა მხოლოდ ერთზე: — ვიდრე იგი ფიქრში ცხოვრობდა, სხვანი ბევრი ფიქრის გარეშე ან საერთოდ დაუფიქრებლად თავიანთ საქმეს აგვარებდნენ და უარყოფდნენ ფიქრიანი კაცის სიჩუმეს.

ერთხელ ჰკითხეს:

— უარყოფილო, ფიქრიანო კაცო, რისი იმედით სდუმხარ, რისი იმედით სჭვრეტ ქვეყანას და არას იტყვი?

ფიქრიან კაცს რადგან მხოლოდ ფიქრი შეეძლო და სიტყვების ხმამაღლა თქმა, მიმიკის და ხელის ქნევის მოშველიებით ეჯავრებოდა, მხოლოდ ფიქრში უპასუხა:

— როდემდე უნდა მიეხმაროთ სიტყვებს ყვირილით, ერთ მშვენიერ დღეს უთქვენოდ რომ დარჩებიან სქელ წიგნებში თქვენი სიტყვები, შეძლებენ თქვენი გულისცემის განმეორებას?! თურმე თქვენი ღრიანცელი ცაში გროვდება, ინახება, არ იკარგება. არ გეშინიათ, ერთხელ უკან რომ დაბრუნდეს და...

მეორედ ჰკითხეს:

— უარყოფილო, მდუმარეო, რისი იმედით სდუმხარ ანდა რას ელოდები? მომავალში გეკრძალება ჩუმად ფიქრი, წერილობით მოგვახსენე, რასაც ფიქრობ ან ხმამაღლა იფიქრე, რომ ჩვენც გავიგონოთ!

იფიქრა კაცმა ხმამაღლა:

— მეფის ასული მიყვარს, თუმცა ბრიყვის შვილია იგი.

— როგორ გაბედე! — აყაყანდნენ ნაზირ-ვეზირნი.

რასაც სხვებიც ფიქრობდნენ და არ ამხელდნენ, სწორედ ის იფიქრა ხმამაღლა მდუმარე კაცმა.

ატყდა ჩოჩქოლი, ვინღა აცალა ხმამაღლა ფიქრი, მარადიული მდუმარება მიუსაჯეს ფიქრიან კაცს, მარადიული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მოწაფე გამოუჩნდა დამტირებელი,
იმანაც ასე დაიტირა:

ფიქრებში დიდი სარდალი იყავ,
ფიქრებში დიდი პოეტი იყავ,
ფიქრებში ყოვლისშემძლე იყავ,
მარტოდენ ფიქრებში.

სადიდო და საბავშვო ბაღი

დილით, როცა საბავშვო ბაღის გზას დავადგებით მე და ჩემი სამი წლის ბიჭი, იგი ფეხს ითრევს და ვინ იცის მერამდენედ მეკითხება:

— საბავშვო ბაღი, მამი, ჩემი სამსახურია? შენც ხომ დადიხარ დიდების ბაღში? მასწავლებლები შენც გაჭმევენ უგემურ ფაფას?

— ო, თქვენი ფაფა გაცილებით გემრიელია იმ ფაფასთან შედარებით, ჩვენ რომ მივირთმევთ.

ამასობაში მივაღწევთ კიდეც საბავშვო ბაღის რუხ შენობას და თუმცა თვალი უეცარი სევდით ევსება, ისტიბარს მაინც არ გაიტეხავს, დიდი კაცივით ხელს დამიქნევს, გამიღიმებს ნაძალადევად და შებრუნდება.

რად მეჩვენება, როცა პაწია ხელს მიქნევს იგი — უხილავ ძაფს ეწევა თითქოს, რომლის მეორე ბოლო ჩემს გულზეა გამობმული...

ასე იწყება დღე „საბავშვო ბაღის სამსახურიდან" — „დიდების ბაღის სამსახურამდე".

ხოლო საღამოს, დაქანცული შინ რომ ვბრუნდები, ჩემს დანახვაზე, ისე ლაღად მოფარფატებს ჩემი ბიჭუნა — საბავშვო ბაღის ღია კარისკენ, როგორც ჩიტი გალიიდან თავდაღწეული.

მივალთ სახლისკენ ბედნიერები, შინ გველოდება ზღაპრები და ველოსიპედი, შინ გველოდება ლექსების წიგნი, ძილი და მერე გამოღვიძება...

„ღორო, ბოძე ჯაგარი"

იცი რა მითხრა იმ არამზადამ,
თოკი რომ ვთხოვე,
თუნდაც თოკის მცირე ნარჩენი?!
— სახრჩობელისთვის ყულფებს ვამზადებ,
სადა მაქვს თოკი
ჭიანჭველას გადასარჩენი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაქირავებული თოვლის ბაბუა

(მარტივი ჩანახატი)

კარი გაიღო, საბავშვო ბაღში შემოაბიჯა თოვლის ბაბუამ და ბავშვების მბრწყინავ თვალებში ჩაიხატა ასი ნაძვის ხე, ასიოდე თოვლის ბაბუა, ასჯერ ჰატარა, მაგრამ ასჯერ უფრო წმინდა, ვიდრე ნამდვილი.

როცა დასრულდა საახალწლო ზეიმი ბაღში,
როცა მიიღო გასამრჯელო თოვლის ბაბუამ
და სხვა ბაღისკენ გაქანდა ტაქსით, მოწყენილ მამას
შინისაკენ მიჰყავდა შვილი — მხიარული და ბედნიერი.

სტუდენტის დღიურიდან

შენ მსუბუქი ხარ —
მოყვავილე რტოზე მსუბუქი ,
მოგეფერები, მწვანე სიზმრებს გაგიიისფრებ,
ნეტა ვინ ისმენს იდუმალი ნიჟარის
შრიალს,
შენი სხეულის ზღვაურს ვინ ისმენს?!

შენ კი არ გღვიძავს,
გეჩვენება თითქოსდა გღვიძავს
და ძილღვიძილის უნეტარეს
სიბუნდოვანეს
ადევნებიხარ, როგორც მარტის ღრუბელს
მთოვარე.

ეს დღეც გავიდა, მწარე ფიქრი მივასამარე,
ეს დღეც გავიდა — საოცნებო და დასანანი,
შენ სადღაც ფეთქავ,
შენით სუნთქავს ღამის ჰაერში
ახლად გაშლილი იასამანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

ღღე ერთი

ბაახილა თვალი ლუარსაბ რაზმაძემ და გაიფიქრა: „მგონი, დავიბადე“.

მოგვიანებით (მოთხრობაში ეს არ შეა), როცა იგივე ფრაზა ფხიზელ გონებაზე გაახსენდება და საკუთარ თავზე ისეთივე ირონიით გაიცინებს, როგორც სხვებზე იცინის ხოლმე, გულში დარწმუნებით იტყვის: ეს უადგილო ფიქრი სიზმრის დაბოლოება იყო და არა სიფხიზლის დასაწყისი. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მთლად ასე არაა საქმე. სინამდვილეში ეს არის ის იშვიათი და მოუხელთებელი წამი, როცა ორ სხეულს ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე ადგილი უჭირავს, როცა კაცი პირისპირ ხვდება საკუთარ თავს, როცა გამოწკეპილი და ფხიზელი ლოგიკა უკვე გამოცხადდა სამსახურში და მკლავებდაკაპიწებული მიუჯდა სამუშაო მაგიდას, რომლიდანაც დამლაგებელს ჯერ კიდევ არ გადაუწმენდია ალოგიკური მტვერი. მაგრამ ლუარსაბ რაზმაძემ ეს არ იცის (და შეიძლება ვერც ვერასოდეს გაიგოს). ლუარსაბ რაზმაძემ გაიფიქრა, მგონი, დავიბადეო, და, როგორც კი ტვინში სიზმარი ელვასავით აინთო და ჩაქრა, გაახსენდა, რომ ამ დილით სამოცი წლისა გახდა.

გულაღმა იწვა და ოთახის ზედა კუთხეს მისჩერებოდა, იმ ადგილს, სადაც ჭერი და კედლები დეკარტეს კოორდინატთა სისტემას ქმნიან.

ფიქრები წამით შეჩერდნენ, გაირინდნენ და დრო დაამუხრუჭეს. მერე, ლუარსაბ რაზმაძემ **რომ** თავისებურად ჩაიღიმა ულვაშებში, ამ ღიმილის ბიძგით ამოძრავდნენ და აიშალნენ.

„ნეტა როდის მოვკვდები? (პაუზა) სად, ან რა ვითარებაში?“

ხელები საბანს ზემოთ, გულზე დაიკრიფა; მერე ის მიცვალებულები გაახსენდა, რომლებიც მრავალრიცხოვან პანაშვიდებზე ენახა, და ცოტა ქვემოთ ჩასწია, მუცლისკენ.

„რომ მოვკვდები, ეს ცხადია. ყველა კვდება. ენუქიც მოკვდა უკვე. ისინიც კი კვდებიან, ვინც ზედმეტად გაერთო სიცოცხლით“.

მემენტო, ქალბატონებო და ბატონებო!

წყნარად ჩაიცინა. მერე უცებ მიხვდა, რომ ხელში საათი ეჭირა. ძილის წინ მუდამ თავთით იდებდა და დილით ისე მექანიკურად აიღებდა ხოლმე, გამოცდილი შოფერი რომ სიჩქარეს გადართავს.

უნდა ადგე კაცი და სამსახურს თავი დაანებო... კარგი ეფექტი კი იქნება, მართლა მიუტანოს განცხადება პრეზიდენტს...

პრეზიდენტი ნახა. ნამდვილად პრეზიდენტი ნახა; ოღონდ ეს იყო, თავის თავს არ ჰგავდა... (სიზმარი წამით აინთო და ჩაქრა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი უკანვე დადო, პატარა, დაბალ მაგიდაზე, რომელზედაც ცისფერაბაჟურიანი ლამპა იდგა და შავყდიანი, მომცრო ფორმატის წიგნი იდო — მსუბუქი ლიტერატურა, ძილის წინ საკითხავი.

„რომელი საათი იყო?“ — გაკვირვებით გაიფიქრა უცებ და შუბლი შეიჭმუხნა. საათს თურმე ისე დახედა, უაზროდ, დრო არ შეუმჩნევია.

„რა უცნაური გამოთქმები აქვს ენას! დრო როგორ უნდა შეამჩნიო საათზე? რა აქვს საათს დროსთან საერთო?“

თუმცა, რატომაც არა აქვს! საათი ციხის დარაჯია, რომელიც დრომ დანიშნა. ტუსაღი გაიღვიძებს თუ არა, მაშინვე კარის ჭუჭრუტანას ეცემა და დარაჯს დაინახავს.

ლუარსაბ რაზმაძეს საგანგებოდ არასოდეს უფიქრია, ისედაც იცოდა, რომ გაღვიძებისთანავე საათის ნახვა შემთხვევითი რამ მოვლენა იყო და ეს შემთხვევითობა წლების განმავლობაში ჩვევად ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ დილით ყველაფერი რაღაც უჩვეულო კუთხით ეჩვენა და ბუნდოვანმა შიშმა მაჯლაჯუნასავით გადმოალაჯა ფანჯრიდან თავისი უფორმო და ვეებერთელა ფეხებით. ხოლო იმავ წამს, როგორც კი ამ უსხეულო მასის სახიფათო სიმკვრივეში შორეული ნაპერწკალი აკიაფდა, რომელიც გაუგებარი რწმენის გამო ნეტარებად უნდა გაზრდილიყო, მაჯლაჯუნა გაქრა და ცხადი შეიქნა, რომ გაღვიძებისთანავე საათის ნახვა იყო არა შემთხვევითობა, არამედ შეუცნობელი კანონის გარდაუვალი შედეგი, როგორც ახალშობილის ტირილი.

„საათი მართლა ჰგავს ტირილს, — გაიფიქრა ლუარსაბ რაზმაძემ. — შესაძლებელია, საათი იმასვე ნიშნავს, რასაც ტირილი“.

საბანი მკერდიდან გადაიწია და ღია ფანჯრიდან შემომავალი სუფთა ჰაერი ღრმად შეისუნთქა.

საათი ძალადობაა. პატარა თვითმკვლელობა.

შედარებები ბუნდოვანი ჩანდა და უკეთესის საპოვნელად ნამძინარევი გონება ოდნავ დაძაბა. თავი თითქოს დაბუჟებული ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, რაღაცას ისეთს გრძნობდა, რაც ტკივილსაც ჰგავდა და გაბრუებასაც.

საათი განივთებული დროა.

სივრცემ ნივთიერება გამოყო და კუნძულებად მიმოაბნია საკუთარი უსასრულობის ზღვაში, რათა ამით რაოდენობა შეექმნა, ეს უცნაური ცნება, რომელიც ადამიანის გუნიამ (საცილო სიდღაც მუცლის არეში დაირხა და იქვე ჩაქრა) ამოსავალ წერტილად გამოიყენა შემეცნების გზაზე. დრომაც შექმნა რაღაც-რაღაცები, მაგრამ ადამიანი ამ რაღაც-რაღაცებს არ ენდო, ნაკლებ ხელშესახები ეჩვენა, და საათი გამოიგონა. საათი იგივე კუნძულია, ოღონდ დროის ზღვაში.

ხოლო კუნძული დახრჩობის ნიშანია.

ლუარსაბ რაზმაძე გაიზმორა და ერთბაშად მიხვდა, რომ, როცა ესეთ რამეებზე ფიქრობ, მკერდზე ბანჯგვლი არ უნდა გქონდეს.

„მგონი, ჯერ კიდევ მძინავს“. — გაიფიქრა და თავი გადაიქნია. ოდნავ ტკიოდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ეს ისეთი ტკივილი იყო, ადგომისთანავე რომ გაივლის ხოლმე.

საბანი სწრაფად გადაიგდო და საწოლში წამოჯდა. პირისახე ღია ფანჯრისკენ ჰქონდა მიქცეული და გრილი დილა საამოდ, ტალღა-ტალღა შემოვიდა სხეულში.

როდესაც ახალშობილი, ზნეობრივად ჯერ კიდევ გაუბრწყინული დილა, ნათელი და პირმოღიმარე, შავქლიავის ელვარებით დახუნძლული და კაკლის სუნით გაჟღენთილი, დაუბრკოლებლად შემოვა სხეულში და იქ პატრონივით დაბინავდება, ასაკი კარგავს სოლიდურობას და სამოცი წლის კაცს სხეულში ბალღის სული დაუვლის. ეს კია, რომ ამგვარი ნეტარება წამსვე უნდა გაქრეს, თორემ შეიძლება მოგკლას, რადგან

ჯემალ ქარჩხაძე

დღე მარტი

ნეტარება იგივე ტკივილია, ოღონდ განსხვავებული მუხტის მქონე.

— ელენე!

ხმამ ჭარბი ნეტარება თან გაიყოლა. ლუარსაბ რაზმაძე ახლა თვალდახუჭული იჯდა და მშვიდი სიხარულით გრძნობდა ახლად გათენებულ დილას, მთის ჯანსაღ, გამჭვირვალე ჰაერს და ხეხილის ბაღის მწიფე სურნელს. მერე, სადღაც კარმა რომ გაიჭრიალა და აივნიდან ფეხის ხმა მოისმა, გაიფიქრა: „და ჰყავდა მშვენიერი მეუღლე, სახელად ელენე“.

დედ-მამა და და-ძმები ელის ეძახდნენ და ამ საალერსო სახელში, მისი სინატიფისა და დახვეწილობის გამო, მეჯავნდებოდა არა მარტო უმცროსი შვილის გამორჩეული სიყვარული, არამედ ოჯახის მაღალი ეკონომიური დონეცა და არისტოკრატობის მორიდებული პრეტენზიაც.

კალისტრატე, ელენეს მამა, თანამდებობის პირი იყო და საზოგადოებრივი მდგომარეობით იმ ფენას ეკუთვნოდა, რომელიც პოლიტიკურ ნასუფრალს შეექცეოდა, მაგრამ ამ დროს ისეთი კარგი და ამაყი სახე ჰქონდა, გარეშე თვალს მაგიდის თავში მჯდომარე ეგონებოდა, და რომლის უმთავრეს საზრუნავს კულტურული ცხოვრების დარგში წარმოადგენდა ის, რომ უცხოეთიდან საგასტროლოდ ჩამოსული გამოჩენილი ტენორის კონცერტს პირველსავე დღეს დასწრებოდა და თან როგორმე წინა სამ რიგში მოხვედრილიყო.

ეს საქმე არ იყო მაინცდამაინც ძნელი და ხსენებული ფენა მას იოლად უმკლავდებოდა. მომდევნო ტვირთი უფრო მძიმე გამოდგა. როცა ბუნებამ სიცარიელე იგრძნო იმ ადგილას, საცა არისტოკრატია ჩაიძირა და ნაკლული სტრიქონის შევსება მოითხოვა, ეს რთული დავალება ბედმა, ადამიანის გაუცნობიერებელმა მისწრაფებამ, თუ სხვა რაღაც ძალამ სწორედ ამ ფენას დააკისრა. და, გარემოებათა უცნაური დამთხვევის წყალობით, ცნება „არისტოკრატია“ მისი საპირისპირო ცნების — „თანამდებობის“ სინონიმი გახდა. მაშინ იყო, ვიღაც-ვიღაცეებმა — რომ ბჟიბიის ნაქონი ძველისძველი ზანდუკი გადააქოთეს და იქიდან ჩუმად ამოაცოცეს ისეთი პაწაწკინტელა ნიღბები, როგორიცაა შვილის სახელის სტილიზაცია, კოლეგის მეუღლისთვის ხელზე კოცნა და სხვა მისთანანი. ზოგიერთმა სალონობანას თამაშიც კი სცადა, მაგრამ ეს წამოწყება მალევე ჩაიფუშა, რადგან, ჯერ ერთი, სალონს ყოველთვის საეჭვო სუნი ასდის, და მეორეც, სალონური შეკრების ყველა ცდა აუცილებლობის გზით გადადიოდა ყოვლად ჩვეულებრივ ღრეობაში ყანწებით, გოჭებითა და სხვა არასალონური ნიშან-თვისებებით.

კალისტრატეს ჰალსტუხს ისევ ყანწი ერჩივნა. იგი ბუნებით გლეხი იყო და ყველაზე უკეთ სოფელში გრძნობდა თავს, მამაპაპეულ სახლში. მხოლოდ იქ, გლეხურ ყაიდაზე ჩაცმული და მეზობლებთან დინჯ მასლაათში გართული, იყო იგი ნამდვილი კალისტრატე და რეალური ადამიანი. ქალაქში კი დირექტორი იყო, რადგან ბედმა დირექტორობა არგუნა წილად, დირექტორი და იმ წრის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უეჭველად პირველ დღეს და უეჭველად წინა სამ რიგში ეძებდა ადგილს.

კალისტრატეს არც წინა რიგი უნდოდა და არც ბოლო. უფრო მეტიც, ღრმა სიძულვილით სძულდა ყველა უცხოელი ტენორი, რომლებიც სიმღერასიმღერით ხოცავდნენ საკუთარ ცოლებს; მაგრამ რა ექნა? დირექტორს თავისი კულტურული დონის ამაღლებისათვის უნდა ეზრუნა.

რაც ლუარსაბ რაზმაძეს ახსოვდა, კალისტრატე მუდამ დირექტორი იყო. სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა უბანზე, მაგრამ უსათუოდ დირექტორი. და როგორც ჩვენი გულუბრყვილო და გულკეთილ ხალხს, რომელთაც საკუთარი მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ, მან თანამდებობა მიიღო როგორც აუცილებლობა და იმდენ ხანს და ისე მუყაითად იდირექტორა, რომ ბოლოს მართლა დირექტორად

იქცა. და ყველგან დირექტორი იყო, — ოჯახშიც, მეზობლებშიც, ნათესავებშიც. ყველგან დირექტორი იყო და ყველას ქვეშევრდომივით ეპყრობოდა. მაგრამ ორ გამონაკლისს მაინც უშვებდა. ერთი ელენესთან ურთიერთობა იყო. უმცროსი შვილი განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა, ენის მოჩლექით ელაპარაკებოდა და ისე თბილად ეფერებოდა, თანამშრომლებს რომ გაეგოთ, დაწესებულებაში ალბათ სახელი გაუტყდებოდა. ხოლო რაკი ოჯახიც ერთგვარად დაწესებულება იყო და შინაურებიც ერთგვარად თანამშრომლები იყვნენ, მათ თვალში ამ დროს ისეთ კაცს ჰგავდა, რომელსაც სხვისი პალტო აცვია და ეს ამბავი წამითაც არ ავიწყდება. მეორე გამონაკლისი სოფელი იყო. აქ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რა მიზეზები მოქმედებდნენ. ერთადერთი, რისი თქმაც დაბეჯითებით შეიძლება, არის თვით ფაქტი: სრულიად შეუცნობლად, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, დირექტორის მანტია ტყავივით ძვრებოდა სადღაც სოფლის მისადგომებთან და იქ ელოდა, სანამ ისევ ქალაქისკენ არ იზამდა პირს.

სხვა შემთხვევებში განუყოფელი დირექტორი იყო. ლუარსაბ რაზმაძე რომ პირველად შეხვდა, გაუკვირდა მისი ოფიციალურ-თავაზიანი ტონი და, ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდეც, მაგრამ მერე, როცა სასიმამრო ახლო გაიცნო, გუნებაში გაეცინა და წყენამაც გაუარა.

სინამდვილეში ბუნჩულა და საყვარელი კაცი იყო. გარეგნობაც ბუნჩულა ჰქონდა და ხასიათიც. ქონებას კი მაინც აგროვებდა. ლუარსაბ რაზმაძე მალე მიხვდა, რომ ქონების დაგროვება მას ისევე ეჯავრებოდა, როგორც უცხოელი ტენორები, მაგრამ დარწმუნებული იყო, ქონების დაგროვებას ისევე მოითხოვდა მისგან თანამდებობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა, როგორც კონცერტებზე სიარულს. აი, თინას კი, მის ცოლს, სიმდიდრის სიყვარული ქმრის პიროვნული თვისება ეგონა. ამიტომ, როცა ელენესა და ლუარსაბის ამბავი გაირკვა, ხელები გაასავსავა, თუმცა აშკარად შეეტყო, სასიძო მოეწონა. მისი უარი ქმრისა და დირექტორის მორჩილებით იყო ნაკარნახევი; სასიდედროს ეჭვიც არ შეპარვია, რომ კალისტრატე, ვინც ესოდენი რუდუნებით აგროვებდა მატერიალურ დოვლათს, თავის საყვარელ ქალს, ნაფერებსა და ნალოლიავებს, არაფრით არ გაატანდა ლუარსაბ რაზმაძეს, რომელსაც პრინციპებისა და „აზროვნების უკომპრომისო თავისუფლების“ მეტი არაფერი გააჩნდა. მაგრამ ქმარმა სულ სხვაგვარად შეხედა საქმეს. სწორედ მაშინ უთქვამს ის სიტყვები, შემდგომში რომ ლუარსაბ რაზმაძის ოჯახში ფრთიან ფრაზად იქცა და მხოლოდ კომიზმისათვის გასაგები ლოგიკის წყალობით ყოვლად უადგილო სიტუაციებშიც კი ჩინებულად ჟღერდა: „მთავარია, მასალა იყოს საღი, დამზადება ჩვენი ხელობაა“. იმ პერიოდში წვენების თუ რაღაც ნედლეულის დამზადებას ხელმძღვანელობდა.

ასე დირექტორობდა ბუნჩულა კაცი ნაირ-ნაირ დაწესებულებებს, ახალ-ახალ საფეხურზე აჰყავდა ოჯახის ეკონომიკა და, რაკი ცხოვრების სწორხაზოვნებამ, რაც უეჭველად ქმნის იმის ილუზიას, რომ კაცმა ერთხელ და სამუდამოდ შეიცნო თავისი დანიშნულება, არისტოკრატის ქუდიც არგუნა, თავის დაზღვევის მიზნით შვილების საალერსო სახელებს განსაკუთრებული თარგის მიხედვით დაუწყო გამოჭრა.

ლუარსაბ რაზმაძე კი ელენეს მუდამ სრული სახელით მიმართავდა და, როცა საჭირო შეიქნა ამ საქციელის ახსნა, უთხრა: „ნახევარი სახელი რომ დაგიძახო, მეშინია, მართლა არ განახევრდე“.

ცხადია, ეს მხოლოდ ფრაზა იყო. სინამდვილეში ამ თავისებური განკერძოებითა და გამორჩეულობით ლუარსაბი კალისტრატესა და დანარჩენი კალისტრატეების მეშჩანურ ყოფას უპირისპირდებოდა. იგი ვერ იტანდა ამ

ჯემალ ჭარჩხაძე
დღე ერთი

ხალხს, მოჩვენებითი ღირსებითა და ფუყე სიდარბაისლით რომ ცდილობდნენ შეენიღბათ შუბი, რომელიც ხალთაში ვერა და ვერ დამალეს. კალისტრატე და მისი მეუღლე თინა, ალბათ, ფრიად გაკვირვებულნი დარჩებოდნენ, ვინმეს რომ ეთქვა, იმ დროს, როდესაც თქვენ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ უმცროსი შვილის განსაკუთრებული სიყვარულის გამო დათანხმდით ელენესა და ლუარსაბის ქორწინებაზე, თქვენზე მეტად თვითონ ლუარსაბი ყოყმანობდაო. არადა, სრულ სიმართლეს ეტყოდნენ. ლუარსაბი მაშინ ოცდახუთი წლისა იყო, ფილოსოფიის ფაკულტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა, არ მუშაობდა (ამას დიდად არც განიცდიდა, რადგან სამსახური, მისი აზრით, ჯებირი იყო, რომელშიც მდინარის სილაღეს ფრთებს აჭრიან) და ერთადერთ რეალურ პრინციპად „აზროვნების უკომპრომისო თავისუფლება“ მიაჩნდა. ბუნებრივია, ასეთ კაცს არ სურდა თავისი ცხოვრება კალისტრატეთა და მოკალისტრატოთა ოჯახებისთვის დაეკავშირებინა. მაგრამ ელენე ვერ დათმო. ელენე ძალიან უყვარდა, მის გვერდით მეტ ძალას გრძნობდა, მეტ თავისუფლებას, მეტ სიხარულს.

მოგვიანებით, როდესაც სიმამრი ახლო გაიცნო და ნათლად დაინახა, რა გული ყოფილა შეხვეული მანტიაში...

დაინახა კია?..

ლუარსაბ რაზმაძე შეკრთა.

ალბათ, იმიტომ, რომ ოთახის კარი გაიღო და ელენე შემოვიდა.

„მაშინ რომ მართლა მეთქვა უარი, ნეტა ახლა რა ვიქნებოდი?“

ელენე ღიმილით მიუახლოვდა, დაიხარა, ცალი ხელი მხარზე დაადო და მარჯვენა საფეთქელზე აკოცა.

— საკვირველია, რატომ გარდაცვალებას კი არ ვულოცავთ ერთმანეთს. — თქვა ლუარსაბმა.

— მკვდარს რას გააგებინებ! — მშვიდად მიუგო ელენემ.

— ცოცხალს? — ლუარსაბმა ღიმილით ახედა.

— ცოცხალს გააჩნია.

ლუარსაბი დაკვირვებული იყო: რაც არ უნდა მოულოდნელი და უადგილო რამ ეთქვა, რაც არ უნდა ალოგიკური, შემზარავი და ცინიკური, ელენე არასოდეს არ გაღიზიანდებოდა, როგორც ჩვეულებრივ ემართებათ ხოლმე ასეთ დროს ადამიანებს; მშვიდად, დაჯერებულად გაეპასუხებოდა და არავითარ პოზიორობას არ ხედავდა უცნაურ და მოულოდნელ გამოხდომებში.

ლუარსაბი წამოდგა, ელენეს მხარზე ხელი მოჰხვია და დიდ, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმულ სარკესთან მიიყვანა. ჯერ ცოლს ახედ-დახედა სარკეში, მერე საკუთარ გამოსახულებას დააკვირდა.

— გვარიანად კი გაჭაღარავებულა, მაგრამ სამოცი წელი მაინც არ ეტყობოდა. — აქ წელში გაიმართა, თავი უკან გადასწია და სასაცილო მაღალფარდოვნებით დაიწყო: — დღეს, ამა წლის ცხრამეტ აგვისტოს, ლუარსაბ რაზმაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსობის უპირველესი კანდიდატი... — სარკეში წამით სიზმარმა გაიელვა, მაგრამ მაშინვე გაქრა, ისე რომ მაღალფარდოვნებისათვის რაიმე ხიფათი არ შეუქმნია. — კაცი განათლებული და ნიჭიერი, წარმოსადეგი და... — ცოტა შეყოყმანდა, თავი ახლო მიიტანა სარკესთან და საკუთარი სახე დაკვირვებით შეათვალიერა. — წარმოსადეგი და სიმპათიური, ხეხილის ბაღით გარშემორტყმულ კოხტა სახლში ზარზეიმით ეგებება სამოცდამეერთე წელს. — ეს რომ დაამთავრა, სარკეში უთხრა ცოლს, რომელიც მშვიდი ღიმილით შესცქეროდა. — მამაშენი გამახსენდა. იმიტომ ვიჯექი წეღან საწოლზე ისე დაფიქრებული.

— დასცინოდი?

ლუარსაბს გაუკვირდა:

— დავცინოდი?

— ყოველთვის დასცინოდი.

ლუარსაბმა თვალებში შეხედა ცოლს.

ერთხანს უყურა, მერე ნელა, მძიმედ გაიქნია თავი.

— მით უარესი ჩემთვის, თუ დავცინოდი. დაცინვა საკუთარი ნაკლის აღიარებაა. — აქ ცოტა შეიცადა და განაგრძო: — ყოველ შემთხვევაში, სოფელში არ დავცინოდი. სოფელში მიყვარდა. მე რომ ღმერთი ვიყო, ადამიანებს თავთავიანთ ადგილს მივუჩენდი და ამით მოვათავებდი საქმეს.

„ღმერთი რომ ვიყო, ყოველივეს სამართლიანად განვსჯიდი“, — სარკეში გამოსახულებები გაქრა და ღრმა, უსასრულო სივრცე გამოჩნდა.

— მამაჩემს სად მიუჩენდი ადგილს? სოფელში?

სარკეში გამოსახულებები დაბრუნდა და ლუარსაბს გაეცინა.

— ვინ მკითხავს მე ადგილის მიჩენას! ისე, მამაშენის ადგილი რომ სოფელში იყო, ეს დანამდვილებით ვიცი. წარმოდგენილიცა მყავს: თავზე ფაფანაკი ადევს, გრძელი გლეხური ხიფთანი აცვია, წელზე ქამარი აქვს შემორტყმული და ღიღინით კვირტავს ვაზს. თვითონ რომ სცოდნოდა, რატომ გრძნობდა ასე კარგად თავს სოფელში, შეიძლება მიეფურთხებია კიდეც ეშმაკისთვის და ქალაქი მიეტოვებია. — ლუარსაბმა ჩაიცინა. — აი, მაშინ ნახავდით ოჯახურ კონფლიქტს! ქალაქი თავისი გარდაუვალი რიტუალებით მისთვის ნამდვილი შხამი იყო. შინაურები ასეთ რამეს ვერ ამჩნევდნენ; რასაც დღენიადაგ ხედავ, იმას თვალი მალე ეჩვევა და ყოველდღიურ ბოროტებას ბოროტებად აღარ აღიქვამ. ერთხელ ისეთი რამ ჩაიდინა, კინაღამ თავი მომეჭრა და გული ამიჩუყდა.

— რა ჩაიდინა?

— სიმფონიური ორკესტრის კონცერტს დასწრებოდა. ვიღაც ბელგიელი თუ ჰოლანდიელი დირიჟორი იყო ჩამოსული. თავის რთახში დამიმარტოხელა და მკითხა, კონცერტი თუ მოგეწონაო. მე ვუთხარი, არ მომისმენია-მეთქი. ასეთ პასუხს, ეტყობა, არ მოელოდა. რატომო, მწყრალად მკითხა. არ მიყვარს-მეთქი სიმფონიური მუსიკა. ნეტავ გენახა, რა მოუვიდა! მოწყვეტით დაჯდა სკამზე და განცვიფრებული, თითქმის შეძრწუნებული მომაჩერდა, თითქოს მის წინ საყვარელი სიძე კი არა ჰერბერტ უელსის რომელიღაც პერსონაჟი იდგა, მარსიდან ახლახან ჩამოსული. ძლივს დაიჯერა, რომ შეიძლება კაცს სიმფონია არ უყვარდეს და ამ უბრალო მიზეზის გამო ბელგიელი დირიჟორის კონცერტზე არ წავიდეს.

— ახლაც დასცინი.

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, როცა დაიჯერა, კი არ შეშურდა და კი არ შევძულდი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, გაეხარდა და უფრო შევუყვარდი. სახე გაუნათდა და ის კონიაკი გახსნა, მხოლოდ ძეობებზე, ქორწილებზე და სხვა დიდ-დიდ ზეიმებზე რომ ხსნიდა ხოლმე. გარდა ამისა, იმ საღამოს, და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, არ მიგრძვნია, რომ ქვეშევრდომი ვიყავი და დირექტორი მელაპარაკებოდა.

ელენემ თბილად გაიცინა.

— ჰო, ეგ მართალია. ყველას ქვეშევრდომებივით გვექცეოდა. ლუარსაბ რაზმაძისგან კი ისიც დიდია, სიმამრის მოგონებაზე რომ ამდენ დროს ხარჯავს. ჩაიცვი და დაიბანე. მე წავალ, ყავას მოგიდუღებ.

— მომლოცველები არ ჩანან?

ელენე კართან მოტრიალდა.

— ჯერ ადრეა.

— მართლა! რომელი საათია?

— ადრეა ჯერ.

ელენე გავიდა.

ლუარსაბი ფანჯარას მიადგა. ახლად ამოსული მზის პირველი, ჯერ კიდევ გრილი სხივები ირიბად ეცემოდა ბაღს და მსხმოიარე ხეხილი ნაირფერად ელავდა.

ლუარსაბ რაზმაძე ბაღს გაჰყურებდა და ბუნდოვნად გრძნობდა, რომ სამოცი წლის თავზე რაღაც გაურკვეველი, უსახელო აფორიაქება გაჩნდა. ოღონდ იმას

ჯემალ ქარჩხაძე
<u>დღე ერთი</u>

ვერ მიმხვდარიყო, მისსავე სხეულში დაიბადა ეს უცნაური განცდა თუ გარედან მოვიდა.

„ყველაფერი იმის ბრალია, დრო რომ ვერ გავიგე“, — გაიფიქრა და თვალები მოჭუტა, რათა მზის სხივები უფრო ლამაზად აბრჭყვიალებულიყო.

ელენემ თქვა, ჯერ ადრეაო, მაგრამ „ადრე“ ხომ არაფერს ნიშნავს. რა არის „ადრე“? ახლა უფრო ადრეა, თუ მაშინ უფრო ადრე იყო, იესო ქრისტე რომ ჯვარს აცვეს?

დროს ნაჭდევები უნდა ჰქონდეს, როგორც ჯოხს უკეთებენ მეცხვარეები, ცხვარს რომ ითვლიან; მაშინ უფრო გაიოლდებოდა საქმე.

ლუარსაბმა შუბლი მოისრისა და ფანჯარას მოშორდა.

იქნებ დროის კი არა, სიზმრის ბრალია?

„ყველაფერს ისა სჯობს, დავიბანო და ვისაუზმო“. — გაიფიქრა და მტკიცე ნაბიჯით გავიდა სააბაზანოში.

გრილი შხაპი ეამა და სააბაზანოდან მხნე და ხალისიანი გამოვიდა. ჯანსაღი ჰაერით გაჟღენთილი ქათქათა დილა მსუბუქად უღიტინებდა და თავს ჩინებულად გრძნობდა. წეღანდელი გამოუცნობი აფორიაქება და გზასაცდენილი ფიქრები ნაბან წყალს გაჰყვა. ლუარსაბ რაზმაძე ახლა ისევ ლუარსაბ რაზმაძე იყო, კაცი, რომელმაც კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასიც, სხვისი ფასიც, ამ ფასებს შორის განსხვავებაც, და ამის გამო მტკიცე ნაბიჯი ჰქონდა, ლაღი და ძალდაუტანებელი მიმოხრა, დაჯერებული გამოხედვა და კეთილმოსურნე ღიმილი.

ელენემ, ყავა რომ დაუსხა, კონიაკის ბოთლი და ორი პატარა ჭიქა დადო მაგიდაზე.

— შენი სადღეგრძელო არ დავლიოთ?

— ჰო, ჰო! რა თქმა უნდა! — სწრაფად დაეთანხმა ლუარსაბი და ჭიქები შეავსო. — სხვისი სადღეგრძელოს თქმა რომ შეიძლო, ჯერ საკუთარი თავი უნდა ადღეგრძელო.

— გაგიმარჯოს! — გაუღიმა ელენემ.

— ნუ, არ ვარგა. — თავი გააქნია ლუარსაბმა, — სადღეგრძელოს გულღვიძლი უნდა ამოაყოლო. უნდა გაახარო კაცი, თუკი შენ ამით არაფერი გაკლდება. იცოცხლე, ჩემო ლუარსაბ! ლუარსაბს გაუმარჯოს, ბატონებო! დიდბუნებოვან ადამიანს, ღირსეულ მოქალაქეს, ერის მოჭირნახულეს, ჭეშმარიტ ქართველს! აი, ეს არის სადღეგრძელო! თან სასიამოვნოა, თან დამაფიქრებელი. მაგალითად, როცა „ჭეშმარიტ ქართველს“ გიწოდებენ, ვერასგზით ვერ მიხვდები, პირადად შენ დაგცინიან, თუ, საერთოდ, ქართველს. „მოჭირნახულე“ სულ სხვაა. აქ ყველაფერი დღესავით ნათელია. „ჭირნახული“ მოსავალია, მაშასადამე, „მოჭირნახულე“ ისაა, ვინც მოსავალს იღებს.

— ერთხელ მამაჩემმა მითხრა...

— აა! შენც გაგახსენდა? — გააწყვეტინა ლუარსაბმა. — თურმე მარტო მე არ მჭირს სენტიმენტალობის სენი.

— შენი ქმრის ნიჭი რომ მომცა და ჩემი სინდისი, ალბათ, ყველაფერს მივატოვებდი და ბერად შევდგებოდი.

— რაო?! — ლუარსაბს ყავის ფინჯანი ჰაერში გაუშეშდა და სახტად დარჩენილი კარგა ხანს თვალმოუშორებლივ უყურებდა ცოლს. მერე დამშვიდდა, ფინჯანი ნელა დადგა ლამბაქზე და გაიღიმა. — აკი, ბუნჩულა და მიამიტი ვარო? გვატყუებდა?! თუმცა სიცოცხლეში ერთხელ ყველა ამბობს თითო გაუგებარ სიბრძნეს. — ყავა ერთ ყლუპად დაცალა, ფინჯანი ორივე ხელით ჩაბღუჯა და დაფიქრდა. — ნიჭი ჩემი ინდომა, ხოლო სინდისი საკუთარი არჩია... — აქ წამით ჩვეული ირონიული კილო გამოურია. — პირველი სავსებით მაკმაყოფილებს, მეორე კი მძაფრ აღშფოთებას იწვევს. — მერე ისევ დაფიქრებით განაგრძო: — არა, მე იმას კი არ ვამტკიცებ, ჩემს სინდისს ლაქას ვერ უპოვი-მეთქი. ადამიანი იმიტომ იბადება, რომ სინდისი მთლად სუფთა არა აქვს; მაგრამ ხომ არსებობს ფარდობითობა, ეს ყოვლისმომცველი და ძილისპირულივით ტკბილი ცნება? არა,

აქ რაღაც პარადოქსი იმალება, რომელიც ასე უცებ ვერ ამოიხსნება. — ლუარსაბმა ფინჯანი ისევ ლამბაქზე დადგა. — ეჰ, მოვეშვათ საჭოჭმანო პრობლემებს და პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდეთ. სადილის საქმე როგორაა? ხომ იცი, საღამოს სულ რჩეული მოჭირნახულეები შეიკრიბებიან, სირცხვილი არ ვჭამოთ!

— ყველაფერი გვაქვს. ნამცხვარს ლარისა ჩამოიტანს; ათი საათისთვის ველოდები.

ლუარსაბმა მარჯვენა ხელი მარცხენა მაჯაზე იტაცა.

— ასეც ვიცოდი! საათი საწოლ ოთახში დამრჩა.

— მერე რა მოხდა?

— არაფერი. ვინ წაიღებს! — ლუარსაბი წამოდგა. — ბაღში გავივლი.

— ჰო, მართლა! პეტრემ დარეკა.

— რომელმა?

— დიდმა.

ლუარსაბმა დაამთქნარა.

— რაო?

— მოგილოცა. და საღამოს შეიძლება ვერ მოვიდე, ქალაქში ვარ ჩასასვლელიო.

ლუარსაბმა მცირე პაუზა გააკეთა. მერე ღიმილით თქვა:

— მიიძურწება პეტრე დიდი? არაფერია, მაინც მოვა. ბოლო წამს გახსენდება, რომ მე ლუარსაბ რაზმაძე ვარ. — და უკვე ოთახიდან გასულმა მოაძახა: — ბაღში ვარ, თუ რამე დაგჭირდეს.

— ჰო.

საწოლ ოთახში შეიარა და საათი აიღო. საათი შვიდის ნახევარზე იყო გაჩერებული. არ გაუსწორებია, ისე გაიკეთა მაჯაზე და ეზოში ჩავიდა.

სახლის წინ კოინდარი იყო, მწვანე, ხასხასა ბალახი. მარჯვნივ, ქვედა მხარეს, სამზადიდან ჭიშკრამდე ყვითელი და თეთრი კენჭებით მოკირწყლული გზა მიუყვებოდა, არც ძალიან ვიწრო, არც ძალიან განიერი, სწორედ ისეთი, რომ ერთი მანქანა თავისუფლად შემოსულიყო. დანარჩენი ეზო, დამრეცი და გვარიანად მოზრდილი, მთლიანად ხეხილს ეჭირა. როცა ეს ხეხილი გაუშენებიათ, ეტყობა, თავისუფლად გაუშენებიათ, „აგროტექნიკური გამოცდილებისა“ და „თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა“ გაუთვალისწინებლად. ამიტომ მთელ ეზოში ძალდაუტანებელი სილამაზე სუფევდა და ნაირფერად შემოსილი ბაღი ლაღად და თავისუფლად სუნთქავდა პირველყოფილი, დაუოკებელი სურნელით.

ეს ეზო-გარემო ლუარსაბ რაზმაძის ნამდვილი სიყვარული იყო. და თუ შეიძლება ყოველგვარი სიყვარული ერთად შევყაროთ და დავახარისხოთ, ელენეს შემდეგ ყველაზე მეტად აქაურობა უყვარდა. ადრე ელენეს შემდეგ შვილები მოდიოდნენ. მაშინ აგარაკი მესამე ადგილზე იყო. ეს მხოლოდ იმიტომ ჟღერს მკრეხელურად, რომ ადამიანს სიმართლე მაინცდამაინც არ სიამოვნებს, თორემ აქ არაფერია არაბუნებრივი და შეურაცხმყოფელი. ლუარსაბ რაზმაძეს ადრეც უყვარდა შვილები და ახლაც უყვარს, ოღონდ ესაა, დღეს ამ სიყვარულს ძველებური სიმძაფრე აღარ მოსდევს. ამის მიზეზი არც მამაა და არც შვილები. ლუარსაბს თავიდან ეს კერძო შემთხვევა ეგონა, შეშფოთებით აკვირდებოდა, როგორ წყდებოდა შვილების ზრდასთან ერთად სიყვარულის ყველაზე მტკივნეული სიმები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ლამის მთელ მის ამქვეყნიურ არსებობას განსაზღვრავდა, და ჯიუტად, დაუნდობლად ეძებდა საკუთარ ხასიათში ისეთ თვისებებს, ამ მოვლენის ასახსნელად რომ გამომდგარიყო. მერე, როცა სხვა მამებს დაუწყო ჩუმ-ჩუმად თვალთვალი და თითქმის ყველგან ერთი და იგივე სურათი დაინახა, მიხვდა, რომ მიზეზი გაცილებით უფრო ღრმა და ზოგადი ყოფილა. დიდხანს იფიქრა ამაზე და, ბოლოს და ბოლოს, დამაკმაყოფილებელი პასუხიც იპოვა. პასუხი ასეთი იყო: ადამიანის დაბადება მთავრდება არა მა-

---

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

შინ, როცა დედის სხეულს გამოეყოფა, არამედ გაცილებით გვიან, როცა სამყაროს საერთო ცნობიერებიდან თავის წილ ცნობიერებას გამოსწოვს. მანამ კი შვილის სიცოცხლე, მისი დამოუკიდებლობა, მისი შიში, მისი ეჭვები, მისი თავისუფლება, ყველაფერი, რაც მოგვიანებით სიტყვა „გონებაში“ გაერთიანდება და სამყაროსთან დაპირისპირების იარაღად იქცევა, მშობლებშია დარჩენილი. გარკვეულ დრომდე შვილი მშობლებში განაგრძობს არსებობას. მშობელი შვილის მაგიერ შიშობს, შვილის მაგიერ ეჭვობს, შვილის მაგიერ ცხოვრობს. სწორედ ეს არის მძაფრი სიყვარული, ეს არის ის უსათუთესი სიმები, რომლებიც დროთა განმავლობაში, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდება ბავშვი, როგორ ითხოვს თავის კუთვნილ შიშსა და თავის კუთვნილ ეჭვს, სათითაოდ წყდება და ამოუვსები სიცარიელის სასოწარმკვეთ განცდას იწვევს. ეს განცდა გარდაუვალია და მას ვერავინ გაექცევა. მართალია, ზოგი მშობელი ჯიუტად ცდილობს, არ დაუბრუნოს შვილს კუთვნილი სიცოცხლე და თავსაც იმართლებს, ვითომ ამით შვილს ტკივილებს უმსუბუქებს, სინამდვილეში, თუ ეს გაუცნობიერებელი ეგოიზმი არაა, სიმების დაწყვეტის შიშით გამოწვეული, მაშინ უგუნურებაა. ნებით არ მისცემ, ძალით წაიღებს. ბუნების კანონს ვერავინ დაარღვევს. არავის არ ძალუძს სხვის მაგიერ იტანჯოს და სხვის მაგიერ იცხოვროს. ამქვეყნად ყველა თვითონ უნდა მოკვდეს.

ვინ იცის, იქნებ ეს არც არის ასე, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ლუარსაბმა დაიჯერა თავისი თეორია, ხოლო, რაკი დაიჯერა, დიდი შვებაც მოჰგვარა. ამის შემდეგ სხვა მამებს უკვე შემზადებული პოზიციიდან აკვირდებოდა და მისი კანონის დამადასტურებელ ფაქტებსაც იოლად პოულობდა.

პირველი და მთავარი სიყვარული კი, რომელსაც არასოდეს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, ელენე იყო. ელენე იმთავითვე პირდაპირ არსს დაეუფლა, როგორღაც ერთბაშად, მარშიც შემოვიდა გულის უღრმეს ფენებში და სადედოფლო ტახტზე დაჯდა. სიყვარულს, ისე როგორც ყველაფერ სხვას, პოლუსები აქვს და, რამდენადაც მაღალი და ღვთაებრივია ზედა პოლუსი, იმდენად მდაბალი და უხეშად მიწიერია ქვედა პოლუსი. ელენეს სიყვარულს მხოლოდ ზედა პოლუსი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ლუარსაბს არასოდეს უგრძვნია (როგორც ეს, ჩვეულებრივ, ხდება ხოლმე), თითქოს უაზროდ მიათრევდეს რაღაც მძიმე და მოუშორებელ ტვირთს. გასაოცარი ტაქტით, რომელიც მისი ბუნების ორგანული თვისება იყო, ელენე ისე შეუმჩნევლად მართავდა ორგვლივ ყოველივეს, რომ მმართველის ხელი არსად ჩანდა. არაფერი თვალში არ მოგხვდებოდა, ვერაფერს იმაზე მეტად ვერ შეამჩნევდი, ვიდრე აუცილებლობა მოითხოვდა. გაჭირვების ჟამს ხალისს არ კარგავდა. არასოდეს არ გეტყოდა იმ სიმართლეს, რომელსაც მალავდი, პირიქით, დამალვაში მოგეხმარებოდა და სხვა, შენთვის სასიამოვნო სიმართლეს წამოსწევდა წინ. და შეუცდომლად გრძნობდა, როდის უნდა ყოფილიყო მხოლოდ ქალი და როდის — ადამიანი.

ასეთი ხოტბა, ცხადია, გულში თუ ითქმოდა, თორემ ურთიერთობისას მუდამ მსუბუქ ირონიულ ტონს იყო ამოფარებული, რადგან ლუარსაბ რაზმაძეს არ უყვარდა გრძნობების გამომზეურება. არ უყვარდა მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ცუდ ტონად და ქალაჩუნობად მიაჩნდა, არამედ დარწმუნებული იყო, ეს ადამიანობაში უშლის ხელს ადამიანს; ზერელობასა და სულიერ სიზანტეს აჩვევს. ის მტანჯველი ფიქრები, რომლებიც დაწყვეტილი სიმების გამო გაუჩნდა, თავის დროზე რომ ელენესთვის გაეზიარებინა, ყველაფერი გაუფასურდებოდა. რომც არ გაეფანტა ელენეს მისი ეჭვები, თვითონ დარდის გაზიარება მაინც გაანელებდა სატკივარს და იმ თავის კანონსაც ვეღარ აღმოაჩენდა. საქმე ის კი არაა, ჭეშმარი-

ტია თუ არა ის კანონი, საქმე ისაა, რომ აზრი იძულებული ხდება სიღრმეებში ჩაეშვას, ეძიოს და არ ჩასთვლიმოს. კაცი სათუთად უნდა გაუფრთხილდეს ყოველგვარ ძლიერ გრძნობას, სულ ერთია, ტანჯვა იქნება ეს თუ სიხარული.

ჰმმ... ლუარსაბს ახლა ეღიმება ამაზე, მაგრამ ერთი აუტანელი ტანჯვა და უძილო ღამეების მთელი წყება პეტრე დიდმაც მიანიჭა.

მაშინ პეტრე დიდი ჯერ კიდევ არ ფლობდა „დიდის“ წოდებას, რადგან თავისი თავბრუდამხვევი და ერთი შეხედვით მოულოდნელი კარიერა ახალი დაწყებული ჰქონდა; გარდა ამისა, არენაზე გამოსული არ იყო მეორე პეტრე, რომლის სიმცირემ განაპირობა, ყოველ შემთხვევაში, დააჩქარა მაინც მისი გაპეტრედიდება. მაგრამ კარიერა მაინც დაწყებული იყო, ჩიტი უკვე აფრინდა ბუდიდან, ღამურას უკვე გამოესხა ფრთები. ოღონდ იმ ცნობილი ღამურასაგან განსხვავებით, პეტრე დიდი მშვენივრად შეეგუა ახალ ორბიტას და დაუყოვნებლივ შეუდგა აუცილებელი რიტუალების შესრულებას. როცა საზოგადოებრივ აღმართზე თვისობრივ ნახტომს გააკეთებ და ახალ ორბიტაზე მოხვედრილი დაკვირვებით მიმოიხედავ, ხელად მიხვდები, რომ, პირველ ყოვლისა, საშლელი უნდა აიღო და ქვედა ორბიტასთან დამაკავშირებელი ხაზები საგულდაგულოდ წაშალო, რათა ღამით, მარტო დარჩენილს, ისეთი არაფერი გაგახსენდეს, რაც ძილს დაგიფრთხობს.

საშლელის აღება და ხაზების წაშლა, რასაკვირველია, სუფთა მეტაფორაა და მხოლოდ სათქმელადაა ადვილი, სინამდვილეში კი კავშირის გაწყვეტა რთული და ხანგრძლივი შრომაა. მაგალითად, თუ რომელიმე ახლობელთან კვირაში ერთხელ დადიოდი, ორბიტის გამოცვლის შემდეგ, პირველ ხანებში ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა იარო, მერე — სამ კვირაში ერთხელ, მერე — თვეში ერთხელ და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ისე ნელ-ნელა, შეუმჩნევლად უნდა ამოიკვეთო ფეხი, რომ ეს ამბავი თვალში არავის ეცეს და სალაპარაკოდ არ გახდეს. ეს, ცხადია, უმარტივესი მაგალითია. გაცილებით ძნელია, ვთქვათ, ურთიერთობათა ხასიათის თანდათანობითი გარდაქმნა ისე, რომ, ვინც აქამდე „შენობით“ გელაპარაკებოდა და სახელით მოგმართავდა, ბუნებრივად და შეუმჩნევლად გადავიდეს „თქვენობით“ ლაპარაკზე და სახელს ან „ბატონო“ წაუმძღვაროს წინ, ან მამის სახელი მიაყოლოს უკან.

ასეთი და სხვა მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად ყველას საკუთარი ხერხი აქვს. პეტრე დიდმა, მაგალითად, ლუარსაბსა და მის ოჯახთან დამოკიდებულებაში ფრიად ორიგინალურსა და გონებამახვილურ ხერხს მიაგნო. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მთლად ტიპიური შემთხვევა არ ყოფილა. ლუარსაბმა და პეტრე დიდმა უნივერსიტეტი ერთად დაამთავრეს, დიდი დრო გაატარეს ერთად, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ასეთი ხაზის გაწყვეტა, მეტი რომ არა ვთქვათ, ძნელია. პეტრე დიდმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ეს ამბავი და მიზანშეწონილად მიიჩნია, კი არ გაეწყვიტა ურთიერთობა, არამედ სასურველ კალაპოტში მოექცია. ჯერ კამათზე აიღო ხელი. სერიოზულ პრობლემებზე საუბარს ოსტატურად არიდებდა თავს, სიტყვას ბანზე უგდებდა, აწყვეტინებდა, ხუმრობაში უტარებდა, მოკლედ, ყოველნაირად ცდილობდა, ურთიერთობათა ძაფები, რომლებიც ორივე მათგანში ღრმად იყო ჩაფლული, სათითაოდ ამოეძრო და ზედაპირზე დაეწყო. ამას მოჰყვა იუმორის ერთგვარი მისაკუთრება. ლუარსაბის ოხუნჯობაზე მოწყენილ სახეს იღებდა, ზოგჯერ პირზე ხელს აიფარებდა და ყალბი მორიდებით ამთქნარებდა, ხოლო თუ ოხუნჯობა პირადად მას შეეხებოდა, სათვალის შუშებს ხაზგასმული სერიოზულობით შეანათებდა და ასე, ოდნავ

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

გაკვირვებული, ოდნავ დაღლილი, ოდნავ ცივი, მოზრდილ პედაგოგიურ პაუზას გააკეთებდა. სამაგიეროდ საკუთარ ოხუნჯობაზე გულიანად იცინოდა და ყურადღებით აკვირდებოდა ეფექტს. ერთი ორჯერ ლუარსაბი სამუშაო კაბინეტში „მიიღო“ და იქ, მკაცრი ოფიციალობის ცივ შხაპქვეშ თავისი ორბიტის სიმაღლე მკაფიოდ დაანახვა.

მაგრამ ეს არაფერი. მთავარი ელენესთან ურთიერთობა იყო. აქ ხერხი, რომელიც დასაწყისში აირჩია, შემდგომში აღარც განუვითარებია და აღარც შეუცვლია. ეტყობა, მიაჩნდა (და, ალბათ, არც შემცდარა), რომ ამით მალე მიაღწევდა საჭირო საორბიტათაშორისო დისტანციას. კერძოდ, ეს ხერხი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველი შეხვედრისას ხელზე აკოცებდა ელენეს და რამე სანიმუშო ქათინაურს ეტყოდა, თან ამ დროს ისეთი ღიმილით შეხედავდა, რომელიც თითქოსდა რაღაც გარემოებებს უწევდა ანგარიშს და ამიტომ იყო თავშეკავებული, თორემ ერთი სული ჰქონდა, თავხედურობის ელფერი მიეღო.

ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, ლუარსაბს უჭირს მიუდგომელი თვალით შეხედოს ყოველივე ამას, ამიტომ არ იცის, მართლა ასეთი იყო თუ არა ის ღიმილი, ანდა მართლა გამოურია პეტრე დიდმა რამდენჯერმე თავის სანიმუშო ქათინაურებში წრეგადასული ფამილიარობა თუ ეჩვენებოდა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი, რომელიც იმ პერიოდში მოხდა, სავსებით ობიექტურია, სავსებით რეალური და სავსებით იდიოტური: ლუარსაბ რაზმაძემ ეჭვიანობა დაიწყო.

ეჭვიანობა უნიადაგო, უაზრო და შეურაცხმყოფელი იყო; გონებამ ეს იცოდა, მაგრამ გონების მონაცემები მხედველობაში არ იქნა მიღებული.

ეს არ ყოფილა ახალგაზრდული ბრმა ეჭვიანობა. პირიქით, ლუარსაბი დროდადრო მტკივნეული სიცხადით გრძნობდა, რომ ამ ეჭვიანობას რაღაც ავი და დაუნდობელი ძალა მართავდა, რაღაც დემონური ანგარიში, რომელიც ზენა მანტიაში იყო გახვეული და, თუმცა ხანდახან კი გამოიჭვრიტებოდა უხილავი სამალავიდან, მაგრამ აზრის ნათელ სამყაროში შემოსვლას ვერ ბედავდა, როგორც ეშმაკეული, საკუთარ ჩრდილს ამოფარებული, დაუოკებელი ცნობისწადილით რომ უვლის გარშემო მაღალი კოცონით განათებულ წრეს და შიგ შესვლას ვერ ბედავს...

ლუარსაბი წამით დააფრთხო ინსტინქტმა და ფიქრებიდან გამოაფხიზლა. ინსტინქტი პირველი გრძნობს ხიფათს და ამით მზრუნველი მშობელივით გვიცავს ისეთი რამეების გაცნობიერებისაგან, რისი გაცნობიერებაც სასურველი არ არის.

აღმოსავლეთით, მაღალი მთის წვერზე გადმომდგარი მზე ქოჩორზე ეფინებოდა მსხმოიარე ბაღს, მერე ტოტებზე და ფოთლებზე იმსხვრეოდა და ძირს, ბალახებში ნაწილ-ნაწილ ეყარა.

ლუარსაბ რაზმაძემ კოინდრის პირას ობლად მდგარ მაგნოლიის ხეს ხელი მოუთათუნა, ღიმილით ახედა თეთრ, სქელ ყვავილებს და მარცხნივ გაუყვა ბილიკს, რომელიც ძლივს შეიმჩნეოდა უხვად ამოტეხილ ბალახში და მქრქალ ზოლად მიემართებოდა ზემოთ, სადაც ლუარსაბს ამოჩემებული, განსაკუთრებით საყვარელი ადგილი ჰქონდა.

თქმა არ უნდა, სერიოზულად რომ მოეწადინებინა, ლუარსაბი იოლად გაუმკლავდებოდა იმ სულელურ ეჭვიანობას, ძირისძირობამდე გაჩხრეკდა, მკაფიოდ წარმოაჩენდა უყალბეს ამოსავალ წერტილებს და აზროვნების ცეცხლით დაფერფლავდა. მაგრამ რაღაც გაუგებარი ძალა აიძულებდა სადავე მიეშვა ავადმყოფური ფანტაზიისათვის და შიშითა და ნეტარებით ჩაშვებულიყო ტკივილში, რომელიც ადამიანური გამძლეობის საზღვარზე გადიოდა.

და ფანტაზიაც ლაღად და მუყაითად შეუდგა საქმეს. ლუარსაბის გონებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შემაძრწუნებელი, გაუსაძლისი ტკივილით გაჟღენთილი სურათები. ყველა არ შემორ-

ჩა მეხსიერებას. იქნებ არც ერთი არ შემორჩენოდა, ფანტაზიასაც რომ არ ჰქონდეს თავისი ჩარჩო და ხშირ-ხშირად რომ არ უბრუნდებოდეს ერთ რომელიმე აკვიატებულ სურათს.

სამსახურიდან მობრუნებულს სახლში ბარათი დახვდებოდა. შხამით, ტკივილით, სიკვდილით სავსე პატარა, ოთხად დაკეცილი ქაღალდი. ლუარსაბს გულის არეში რაღაც გაუწყდებოდა, წამით გახევდებოდა, მერე რატომღაც უაზროდ მიმოიხედავდა, ბოლოს გაბედავდა და აცახცახებული ხელით აიღებდა ბარათს...

ტექსტს მუდამ განსაკუთრებული მონდომებით ამზადებდა. ბარათი ლაკონიური უნდა ყოფილიყო — სულ ორიოდე ფრაზა, სადა და უბრალო, როგორც ტყვია.

ხელი მოწყვეტით ჩამოუვარდებოდა, ბარათი შეუმჩნევლად გასხლტებოდა თითებიდან და ძირს დაეცემოდა. და როგორც ყურძენი იცლება მძიმე წნეხის ქვეშ წვენისაგან, ისე დაიცლებოდა სხეული ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად რაღაც არსებითისაგან, რაღაც ისეთისაგან, რის გამოც ადამიანი ადამიანია, და ამ არსებითის ადგილს დაიჭერდა სიცარიელე, საშინელი, ველური ტკივილი. დარღვეული სხეულის გათიშული ნაწილები განწირულის უკანასკნელი ძალით შეეცდებოდნენ დაწყვეტილი კავშირები აღედგინათ, მაგრამ ამაო იქნებოდა მათი თავგანწირული სწრაფვა, რადგან სიცარიელე გადაულახავ ზღუდედ ჩადგებოდა მათ შორის. ლუარსაბი უსიცოცხლოდ დაახვავებდა სკამზე თავის დაშლილ სხეულს, მაგრამ სიცარიელე, მარადიული ტკივილი, აიძულებდა სწრაფადვე წამომდგარიყო. და წამოდგებოდა. და გამწარებული დაიწყებდა წრიალს, უაზროდ მიაწყდებოდა აქეთ-იქით, როგორც გალიის კედლებს აწყდება ახლად შეპყრობილი ნადირი, რომლისთვისაც ეს კედლები კოსმიური პანიკაა, რადგან გარედან ჯერ კიდევ ესმის დაკარგული თავისუფლების სუნთქვა. ლუარსაბი ეცდებოდა სხვა რამეზე ეფიქრა, მაგრამ არც შიგნით და არც გარეთ არაფერი არ იარსებებდა ისეთი, რაც სევდა არ ყოფილიყო, სიცარიელის გარდაუვალი, უსასოო სევდა. ბოლმა მოაწვებოდა და ყელში ბურთივით გაეჩხირებოდა. უკანასკნელ ძალებს მოიკრებდა, რათა სადღაც თვალების სიღრმეში უკვე გაჩენილ ცრემლებს გარეთ არ გამოეყონა, და კბილებს აღრჭიალებდა.

და ეს ყველაფერი მართლა ასე ხდებოდა. სადავემიშვებული ფანტაზია იშვიათი სიზუსტით მუშაობდა და სიცხადის ისეთ მწვერვალებს აღწევდა, სადაც თითქმის იშლება ზღვარი წარმოსახვასა და სინამდვილეს შორის. და ლუარსაბს, საკუთარი თავის ესოდენ ნატიფი წამებით გართულს, გული მართლა ყელში ებჯინებოდა და მართლა აღრჭიალებდა კბილებს, თვალზე მომდგარი ცრემლი რომ შეეკავებინა.

იყო ამ აუტანელ ტანჯვაში რაღაც აუტანელი ნეტარება...

ლუარსაბი კვლავ ერთბაშად გამოერკვა ფიქრებიდან. დამფრთხალმა კალიამ ისკუპა და ბილიკის მეორე მხარეს გადახტა. იქ, ეტყობა, თავი სამშვიდობოს დაიგულა, მაღალი ბალახის ძირში გაშეშდა და გაიტრუნა. ლუარსაბი შედგა და კალიას დამშვიდება აცალა, მერე უჩუმრად, სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით გადადგა ნაბიჯი, რათა უმიზეზოდ შეშინებული მწერი უფრო არ შეეშინებია. მართლაც ისე გაეცალა იქაურობას, კალიას არაფერი შეუმჩნევია.

ელენე, ცხადია, ვერაფერს ამჩნევდა. ლუარსაბი კი გადარაჯებული იყო, უჩუმრად, სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით აკვირდებოდა და თავისი ეჭვების დამადასტურებელ საბუთებს ეძებდა. რამდენჯერმე, ვითომ სხვათა შორის, სინამდვილეში წინასწარ საფუძვლიანად დამუშავებული გეგმის მიხედვით, ჩამოუგდო სიტყვა პეტრეზე, იმედი

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ჰქონდა, რომ ცოლი ხმის კილოთი, გამოხედვით, სახის რომელიმე კუნთის არაბუნებრივი შეტოკებით გასცემდა თავს.

მერე, როცა პეტრე დიდმა ცოლი შეირთო (მშვენიერი ქალი, კეთილშობილი, გულითადი და უბრალო), ტანჯვა ნელ-ნელა გაილია და გაქრა.

ლუარსაბმა ბილიკი აათავა და თავის საყვარელ ადგილს მიადგა.

დიდი, სამტოტა კაკლის ძირში ქვის მრგვალი, სოკოს ფორმის მაგიდა იდგა, რომელსაც ზედა მხრიდან ნახევარწრედ შემოვლებული ჰქონდა ქვისავე მერხი. კიდევ უფრო ზემოთ, წნული ღობის ძირში, ეზოს მთელ სიგრძეზე ჭინჭარი და ნაირ-ნაირი ბალახი ხარობდა. კაკლის პირდაპირ, მაგიდის მეორე მხარეს, სწორი, აშოლტილი ბლის ხე იდგა მოშავო-მონაცრისფრო პრიალა კანით და სიმეტრიულად განლაგებული, ცისკენ აშვერილი ტოტებით.

ლუარსაბი მაგიდას მიუჯდა. აქ ყოველთვის საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. საათობით იჯდა ხოლმე, ფიქრობდა და გაჰყურებდა სივრცეს, რომელიც დამრეცად ეშვებოდა ქვემოთ, ჩაივლიდა სოფელს და მერე, როცა მთის ცივსა და ხმაურიან მდინარეს გადალახავდა, მაღლა მიუყვებოდა დაბურულ ტყეს. ამ ტყეს აქაურები „დათვის ტყეს“ ეძახიან. შემოდგომაზე ყანის სურნელით გაბრუებული დათვი თურმე სოფელშიც შემოდის და ჭირნახულს აჩანაგებს. ამიტომ აგვისტოს ბოლოდან მოყოლებული მოსავლის აღებამდე მდინარის პირას, სადაც განაპირა ყანებია, კოცონს ანთებენ ხოლმე, ხაფანგებს აგებენ, სახელდახელო კარვებში ჩასაფრებულები მთელი ღამე დარაჯობენ. მართალია, ლუარსაბს ცოცხალი დათვი აქ არასოდეს უნახავს, მაგრამ ბლომად უნახავს ტყავი — შეუვალი საბუთი.

ჭინკების ამბავი კი ცოტა გადაჭარბებულია.

ლუარსაბს გაეღიმა. გაახსენდა, რა გატაცებით ყვებიან სოფლის მოხუცები (და მათი გავლენით სულ პატარა ბავშვებიც) ჭინკების ამბავს.

ჭინკები სოფელში არ შემოდიან, მაგრამ ტყეში თუ დაგიმარტოხელეს ღამით, გადაგიდგებიან წინ და წვრილი, ჭინკური ხმით გეტყვიან: „ან ამიკიდე, ან ამეკიდე.“ თუ აიკიდე, ქვად იქცევა და ქვეშ მოგიყოლებს, თუ აეკიდე, თავის სამფლობელოში გაგაქანებს და კაცმა არ იცის, რა მოგივა. შეიძლება შენც ჭინკად იქცე და ერთ მშვენიერ დღეს შენსავე თანასოფლელს გადაუდგე წინ: „ან ამიკიდე, ან ამეკიდე!“ საინტერესო ისაა, რომ, როცა ღრმა რწმენით, რაღაც ჯიუტი სიამოვნებით ყვებიან ჭინკების ამ უცნაურ ამბავს, ერთი რამ ავიწყდებათ, ან განზრახ არიდებენ თავს: ამ ჭინკურ არჩევანში შეცდომაა დაშვებული, რადგან კაცს ყოველთვის გრჩება მესამე გზა. ეს გზა არის: „არც აგიკიდებ, არც აგეკიდები“. თავის დროზე ამან ლუარსაბი ძალიან დააინტერესა და ერთხელ, შემთხვევა რომ მიეცა, ჰკითხა კიდეც ერთ ბერიკაცს, რომელიც სოფელში ჭინკების საკითხის მთავარ მცოდნედ ითვლებოდა. ლუარსაბმა, წესისამებრ, აცალა ზოგადი ლეგენდისა და რამდენიმე კერძო შემთხვევის მოყოლა და მერე სასხვათაშორისო კილოთი, ისე რომ მთხრობელს მომზადებული დაინტერესება არ შეემჩნია, ჰკითხა: „თუ არც ავიკიდე და არც ავეკიდე?“ ამ ამბავს ბლომად ხალხი ესწრებოდა და ყველა სხვადასხვანაირად შეხვდა ლუარსაბის კითხვას. ახალგაზრდებში, რომლებიც ისედაც სკეპტიკურად უყურებდნენ ჭინკების ზღაპარს, სიცილი გაისმა. პატარა ბავშვებმა პირი დააღეს. მოხუცები შეიშმუშნენ და სახეზე შიშნარევი ინტერესი დაეტყოთ. „მცოდნეს“ ძარღვი არ შეტოკებია. ნელა მოაბრუნა თავი, ჩაბლირტული თვალები მოწკურა და ერთხანს დაჟინებით უყურა ლუარსაბს. მერე თვალი ისევ მოაშორა, ერთი დამცინავად ჩაიქირქილა და ყოველგვარი ეჭვის გამფანტავი კილოთი გაიკვირვა: „აბა რას იზამ?!“

შედავება გამორიცხული იყო. ლუარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბი დარწმუნდა, რომ თავისი კითხვის პასუხს ამ ხალხისაგან ვერ მიიღებდა.

ლუარსაბი წამოდგა, ღობემდე დარჩენილი მცირე მანძილიც აიარა და ზემოდან გადმოხედა თავის ბაღს. მერე მეზობლის ეზოს მოავლო თვალი და გუნებაში გაეღიმა. ზოგჯერ კაცი უნებურად წარმოიდგენ, ვითომ ადამიანი არა ხარ, რაღაც სხვა ხარ, ადამიანისგან სრულიად განსხვავებული, და ღობე გულუბრყვილო და სასაცილო გამონაგონად მოგეჩვენება. ვერაფრით ვერ მიხვდები, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს საზღვარს, ან როგორ უნდა გაყო „შენად“ და „ჩემად“ ისეთი რამ, რაც არც შენშია და არც ჩემში. მაგრამ წამიერი გაუცხოება ხელადვე გაგივლის და ისევ ადამიანად იქცევი. ადამიანმა კი ყველაფერი ეს იცის. მხოლოდ ადამიანმა იცის, რომ ღობეს თუ გადააბიჯე, ამით რაღაც დანაშაული ჩაიდინე, რადგან დაუკითხავად შეხვედი ისეთ ადგილას, რომელსაც „სხვისი“ ჰქვია. დათვმა, მაგალითად, არ იცის. დათვი დარწმუნებულია, რომ, რაკი სიმინდი შემოვიდა, მისი ჭამაც შეიძლება, ამიტომ ხაფანგსა და თოფს აუხსნელ, უაზრო ბოროტებად აღიქვამს.

ლუარსაბი ღობის გასწვრივ ეზოს ბოლოსკენ გაუყვა გზას. ამ დროს მანქანის ხმა შემოესმა და გაახსენდა, რომ ამ დილით სამოცი წლისა გახდა. იმავ წამს გონებაში სიზმარმა გაიელვა, მაგრამ მაშინვე ჩაქრა, რადგან კოინდრის პირას მანქანამ დაამუხრუჭა.

„ათი გამხდარა“. — გაიფიქრა ლუარსაბმა და საათზე დაიხედა. გრძნობადაკარგული საათი მაჯაზე ისევ მოსულიერებულიყო და ფეხათრევით დაძრულიყო ადგილიდან, მაგრამ მის განწირულ ენთუზიაზმს ძველებური შემართება აკლდა, ამიტომ მისუსტებული ხმით წიკწიკებდა და, სამყაროს რიტმიდან ამოვარდნილი, რაღაც შეუსაბამოსა და წარმოუდგენელ დროს აჩვენებდა. ლუარსაბს შეეცოდა საათი და მარცხენა ხელი რამდენჯერმე აიქნია და დაიქნია, რათა მისი მისუსტებული გულისცემა ასე ხელოვნური სუნთქვით გაეძლიერებინა. ოღონდ გასწორებით არ გაუსწორებია, თუმცა იცოდა, ახლა ზუსტად ათი საათი იქნებოდა. ელენემ თქვა, ლარისა ათ საათზე ჩამოვაო. ლარისას, ცხადია, ალექსი-ალე ჩამოიყვანდა. ალექსი-ალე კი ადამიანთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთაც მთელ არსებაში აქვთ გამჯდარი სიზუსტის გრძნობა და ყოველი წუთის დაგვიანებას საოცრად მტკივნეულად განიცდიან.

ლუარსაბს გაბარჯღული ლეღვის ხე ეფარებოდა და ცოტა გვერდზე მიიწია. აქედან მანქანა კარგად ჩანდა. ალექსი-ალე გადმოვიდა, უკანა კარი გააღო, მოიხარა და თავი და ხელები სალონში შერგო. ცოტა ხნის შემდეგ თავი ისევ გამოჰყო, ზურგიც ნელ-ნელა გამოსწია უკან, თან მარჯვენა ფეხის მუხლით ღია კარს იჭერდა. ბოლოს ტორტიც გამოჩნდა — ვეებერთელა ტორტი, ლარისას ერთ-ერთი შედევრთაგანი. ალექსი-ალეს ტორტი ფრთხილად ეჭირა ორივე ხელით; შიგნიდან ლარისა ეხმარებოდა, ლუარსაბმა მისი ხელები დაინახა. ბოლოს, როგორც იქნა, ალექსი-ალემ ტორტი მანქანიდან გამოატია. ამ დროს ელენეც ჩამოვიდა ეზოში, ალექსი-ალეს ღიმილით მიესალმა, ტორტი შეათვალიერა, ეტყობა, შეაქო კიდეც. ალექსი-ალემ ტორტი სახლისკენ წაიღო. ფრთხილად მიაბიჯებდა, ძვირფასი და უზარმაზარი ტვირთის ქვეშ მიწას ვერ ხედავდა და ამიტომ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე წინასწარ ფეხით ამოწმებდა ნიადაგს. ლარისა მანქანიდან გადმოვიდა, ელენე გადაკოცნა (ამ დროს მარცხენა ფეხი ოდნავ ასწია და უკან შეიკეცა), მერე შეერთებული ძალით მანქანიდან დიდი, ალბათ ნამცხვრით სავსე ჩანთა გადმოიღეს, აქეთ-იქით ჩაჰკიდეს ხელი ყურებში და სახლისაკენ წავიდნენ. მაგრამ ამასობაში ალექსი-ალე მობრუნდა, ჩანთა ჩამოართვა ქა-

---

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ეგვიპტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს და თვითონ შეიტანა სახლში. ელენე და ლარისა კოინდარზე შეჩერდნენ. ლარისამ რაღაც ჰკითხა. ელენემ ზემოთ გამოიშვირა ხელი და ლუარსაბი მიხვდა, რომ ლარისამ შეფი მოიკითხა. ალექსი-ალე ისევ გამოვიდა სახლიდან. ახლა ლარისამ გამოიშვირა ხელი ზემოთ და ალექსი-ალეს უთხრა რაღაცა. ალექსი-ალემ თავი დაუქნია, მანქანა შეათვალიერა, ირგვლივ შემოუარა, ქვეშაც შეიხედა და მერე ლარისასთან ერთად ალმართს შემოუდგა.

ლუარსაბი ლეღვის ძირას ბალახში ჩაჯდა და ლარისასა და ალექსი-ალეს ცქერა დაუწყო.

ისინი ვერ ამჩნევდნენ. წინ ლარისა მიდიოდა, მაღალ-მაღალი და ისეთი გამხდარი, რომ ფორმების ნასახიც არ ეტყობოდა, და ალმართშიც კი პერპენდიკულარივით გამართული. ვიწრო, ნაცრისფერი ქვედა კაბა ეცვა, რომელშიაც თეთრფონიანი და ყვითელკოპლებიანი ხალათი ჩაეტნია, და ვეებერთელა სათვალე ეკეთა. მთელი თავისი გარეგნობით, სარგადაყლაპული სიარულით, მიმოხრით, გამომეტყველებით, მთელი თავისი არსებით ლარისა ყოველი მნახველის გონებაში გარდაუვალად იწვევდა სიტყვა „ინტელიგენტს“. ლუარსაბს არ ახსოვდა არც ერთი შემთხვევა, ვინმეს ლარისაზე აზრი გამოეთქვა და ეს სიტყვა არ ეხმარა. რა თქმა უნდა, ამგვარი წარმოდგენა ინტელიგენტზე საკმაოდ ცალმხრივია; იგი შექმნეს იმ ქალებმა, ახლა რომ ოთხმოცდაათ წელს არიან მიტანებული, შავ-შავ ულვაშებს გულმოდგინედ იქნიან და ერთმანეთში რუსულ-ქართულად ლაპარაკობენ. ალექსი-ალე, პატარა, ქაჩალი, ღიპიანი, ამოჩაჩული თეთრი ხალათით, მუხლებზე გამობერილი შარვლითა და ისტორიულად ძველი სანდლებით უკან მოსდევდა ლარისას და დროდადრო შუბლზე ოფლს იწმენდდა. მას მთელი სიცოცხლე მანქანაში ჰქონდა გატარებული და ფეხით სიარულს გადაჩვეული იყო.

ბილიკს მოუყვებოდნენ და, ცხადია, მოსალოცად მოდიოდნენ.

ალექსი-ალეს აზრადაც არ მოუვიდოდა აქ ამოსვლა და მოლოცვა. იგი ძილის მოყვარული კაცი იყო და წვრილმანებზე არ ხარჯავდა დროს. მაგრამ ლარისა მისთვის ქცევის ნიმუშს განასახიერებდა და მის მითითებებს ყოველთვის მორჩილად ასრულებდა. ლარისამ იცოდა არა მარტო ის, თვითონ როგორ მოქცეულიყო, არამედ ისიც, სხვები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, და, საერთოდ, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, სამყაროს ქაოსში საჭირო წესრიგი შეჰქონდა.

ლარისა უეჭველად მოსძებნიდა ლუარსაბს და მიულოცავდა. წელან, ელენე რომ გადაკოცნა, იმასაც, ეჭვი არ არის, ქმრის დაბადების დღე მიულოცა. ლარისა წვრილმანებისაგან შედგებოდა, ისე როგორც ყველა ჩვენგანი, ვინც პირობითობათა აუცილებლობას ვაღიარებთ და ადამიანურ ურთიერთობათა დაუწერელ წესებს ბუნების კანონებად ვაქცევთ.

ალექსი-ალე უხერხულად და მოუქნელად ჩამოართმევს ლუარსაბს ხელს და მილოცვას სრულიად გაუგებრად წაიბურტყუნებს, მაგრამ ლაპარაკს „შენობით“ გაუბამს. ლარისა დახვეწილი მოძრაობით აკოცებს ლოყაზე (მარცხენა ფეხს ოდნავ ასწევს და უკან შეიკეცავს), სამაგიეროდ, „თქვენობით“ მიმართავს და ნატიფი თავაზიანობის კალაპოტიდან წამით არ ამოვარდება. და მაინც ორივე მათგანის დამოკიდებულებაში იქნება რაღაც არსებითი უბრალოება, ღრმა და ბუნებრივი შინაურულობა, რომელიც ერთ შემთხვევაში „შენობით“ ლაპარაკში გამოიხატება, მეორე შემთხვევაში — კოცნაში. ასეთი დამოკიდებულება უფროსსა და ქვეშევრდომს შორის, ეტყობა, წმინდა ქართული თვისებაა. ჩვენებური იერარქია არის არა მკაცრ საფეხურებად დაყოფილი კიბე, არამედ ერთიანი, უწყვეტი ფერდობი, რომელსაც სიმაღლეთა გამყოფი ხაზები არ გააჩნია.

ლარისამ შორიდანვე შეამჩნია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუარსაბი თავის საყვარელ მაგიდასთან არ იყო და ეს ამბავი უკან მომავალ ალექსი-ალეს აცნობა. და ალექსი-ალემ, რომელსაც განათლებულ და კულტურულ წალხზე კომიკურობამდე გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა და მათთან ურთიერთობისას მუდამ კალაპოტიდან ამოვარდნილი იყო, აუჰო, შეიცხადა და ისეთი შეშფოთებული სახე მიიღო, თითქოს ლუარსაბის პოვნის უკანასკნელი იმედი დაეკარგოს.

ლუარსაბს გაეღიმა. ლარისამ კი ვეებერთელა სათვალის ცივი მზერა მცირე ხნით შეაჩერა ალექსი-ალეს შეწუხებულ სახეზე, მერე უსიტყვოდ მიტრიალდა და გზა განაგრძო. ალექსი-ალე მორჩილად შეხვდა სათვალის მკაცრსა და გამჭოლ კრიტიკას და თვალების ხამხამით დაადასტურა თავისი შეუცნობელი დანაშაული.

ქვის მაგიდასთან ლარისა შეჩერდა, ერთი მიმოიხედა და ბაღს ხმადაბლა გადასძახა:

— ბატონო ლუარსაბ!

— აქეთ, დამპყრობლებო, აქეთ! — გასძახა ლუარსაბმა და წამოდგა.

— უჰ! აგერ არ ყოფილა! — გაეხარდა ალექსი-ალეს.

ხელი რომ ჩამოართვა, როგორც მოსალოდნელი იყო, გაუგებრად ჩაიბურტყუნა რაღაც.

ლარისამ იუბილარს ლოყაზე აკოცა (თან მარცხენა ფეხი ოდნავ ასწია და უკან შეიკეცა) და უთხრა:

— მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ლარისას მკაფიო მეტყველების ფონზე ალექსი-ალემ, ეტყობა, ცოტა დაჩაგრულად იგრძნო თავი. ამიტომ ლუარსაბი ყურადღებით შეათვალიერა და უთხრა:

— კი არ დაგტყობია, ხო იცი!

ალექსი-ალე გუშინაც აქ იყო, ღვინო ამოიტანა, მაგრამ, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ თუ დატყობაა, ასაკი დღეს უნდა დატყობოდა შეფს, რადგან სწორედ დღეს გახდა სამოცის, გუშინ კი ჯერ ისევ ორმოცდაცხრამეტისა იყო.

ლუარსაბს გაეცინა და ალექსი-ალეს ბეჭზე მსუბუქად დაჰკრა ხელი.

— საღამოს დამეტყობა, ჩემო ალექსი. ქალაქში რა ხდება, ლარისა?

—არაფერი. ცხელა.

— აქ რა კარგად გრილა, კაცო! — წამოიძახა ალექსი-ალემ და რატომღაც ცას ახედა. — სიცოცხლეა პირდაპირ!

— ჩემები ხომ არ გინახავთ? — იკითხა ლუარსაბმა.

— ცოტნემ დარეკა, — მიუგო ლარისამ. — მირიანს ველოდებით და ორი საათისათვის ყველანი ერთად წამოვალთო. — მერე დაუმატა: — ქვემოთ არ ჩამობრძანდებით?

— ეგ ზედმეტად თავისუფალი რედაქციაა, ლარისა. ასე უნდა გეკითხა: „ქვემოთ ჩამობრძანებას ხომ არ ინებებთ, ხელმწიფის შვილო?“

ლარისამ მარცხენა წარბი აზიდა და ზღვრამდე გამართულმა როგორღაც მაინც მოახერხა კიდევ უფრო გამართულიყო.

— რატომ?

ლარისა ყოველთვის ამაყად სერიოზული იყო, მაგრამ თუ სადმე ხუმრობის კილოს წააწყდებოდა, მისი სერიოზულობა ისეთ სიმაღლეს აღწევდა, სათვალის შუშებსაც კი ეტყობოდა.

— იმიტომ, რომ მაშინ მე გეტყოდი: „სად? ქვესკნელში?“

ალექსი-ალე უსიამოდ შეიშმუშნა.

— თფუ, თფუ, თფუ! ჯვარი აქაურობას! — მაგრამ ბოლო სიტყვაზე მთქნარება მოერია.

ლარისამ კი მშვიდად და ღირსეულად მოისმინა ლუარსაბის ნათქვამი და ასევე მშვიდად და ღირსეულად უთხრა:

— ფოსტა ჩამოგიტანეთ.

— აა! მე კი მეგონა, ტორტზე მეპატიჟებოდი.

ალექსი-ალე მოცოცხლდა:

— ტორტია!.. ტორტია, რომ... — მაგ-

ჯემალ ქარჩხაძე
ღღე ერთი

რამ საჭირო შედარება ვერ იპოვა და ისევ დაამთქნარა.

— ადამიანი რომ გზააბნეული ბატკანი არ იყოს, ჩემო ალექსი, ლარისა ახლა კულინარ-მენამცხვრეთა ასოციაციის თავმჯდომარე იქნებოდა, — ლარისამ წარბი აზიდა და ლუარსაბმა ღიმილით დაამატა: — ხოლო თავისუფალ დროს მამაკაცისა და იუმორის მოძულე ქალთა კლუბს ჩამოაყალიბებდა. კარგი, კარგი, ლარისა, დასწიე წარბი და ჩავიდეთ იქ, სადაც ფოსტა გველოდება.

ქვემოთ რომ ჩავიდნენ, ლარისამ მანქანის კარი გააღო და მომცრო ჩანთა გამოიღო.

ალექსი-ალემ დაამთქნარა და თქვა:

— დავიღალე, კაცო, ხო იცი! წავალ, ცოტა თვალს მოვატყუებ.

ეს ალექსი-ალეს ჩვეულებრივი შესავალი ფრაზა იყო და ლუარსაბმაც დაუყოვნებლივ წააქეზა:

— მოატყუე, ალექსი, მოატყუე!

ალექსი-ალე ქვედა სართულზე, სამზადის გვერდით შევიდა. იქ, პატარა ოთახში მისთვის ტახტი იყო, რომელზედაც „თვალს მოატყუებდა“ და უცხოთათვის სრულიად გაუგებარი, მარტო მისთვის ნაცნობი ალღოს წყალობით სწორედ იმ წამს გაიღვიძებდა, რა წამსაც საჭირო შეიქნებოდა.

ლარისამ ჩანთა გახსნა და დიდი, გაბერილი კონვერტი ლუარსაბს გაუწოდა.

— აი, ინებეთ ფოსტა. — მერე ელენეს მიუბრუნდა, რომელიც ის იყო სამზადიდან გამოვიდა. — ახლავე გამოვიცვლი და მოგეხმარებით.

— ყავა გაგიკეთო? — ჰკითხა ელენემ.

— არა, გმადლობთ. წამოსვლისას ვისაუზმე.

ლარისა თავისი ჩანთით მეორე სართულზე ავიდა.

— მე ხომ არაფერში გჭირდები? — ჰკითხა ლუარსაბმა ელენეს.

— არა. შენ იუბილარი ხარ. — ღიმილით მიუგო ელენემ. მერე დაუმატა: — ლარისას გასაკეთებელიც არაფერია, თვითონ გაერთობა თორემ...

— კარგი. მაშ, შუ აგერ მოსალოდ დეპეშებს წავიკითხავ და გულ-იმედ-ყით ამევსება.

ელენემ ღიმილით გადაიქნია თავი და სამზადში შებრუნდა.

ლუარსაბი მერხზე ჩამოჯდა მაგნოლიის ძირას, დიდ კონვერტს თავი გადაუხსნა და იქიდან დეპეშები და წერილები ამოიღო. წერილები ცალკე გადაარჩია და გვერდზე მოიწყო, ხელში მხოლოდ დეპეშები დაიტოვა და კითხვას შეუდგა.

ის იყო დეპეშები ჩაათავა და ერთი გაკვირვებით დაუსტვინა, რომ კიბის თავზე ლარისაც გამოჩნდა. ლარისას ახლა შარვალი ეცვა და, თუმცა ძველებურად გამართული მოდიოდა და სათვალის შუშებიც ძველებური ამაყი სერიოზულობით უელავდა, შარვლის გამოისობით ამ სერიოზულობაში მაინც შეპარულიყო რაღაც კომიკური არეულობა.

— ლარისა!

— ბატონო!

— რას ჰგავს ეს, ლარისა?!

ლარისა მიუახლოვდა.

— რა მოხდა?

— ეს დეპეშები, მგონი, ერთიმეორისგანაა გადაწერილი.

ლარისა შეცბა.

— როგორ თუ...

— ნახე, თუ არ გჯერა! — ლუარსაბმა დეპეშები მიაწოდა და, სანამ ლარისა რამდენიმე მათგანს გადაათვალიერებდა, დაუმატა: — დამცინიან, თუ რა არის?

ლარისამ მხრები აიჩეჩა და დეპეშები დაუბრუნა.

— მილოცვის დეპეშა ყოველთვის ტრაფარეტულია.

ლუარსაბი ლარისას სათვალის შუშებს მიაჩერდა. ლარისას თვალი არ დაუხამხამებია.

— მაშ, შენ ფიქრობ, რომ ეს ტრაფარეტულობა დეპეშის თვისებაა?

— რა თქმა უნდა.

— ღმერთიც გიშველის. მე კიდევ შევშინდი, ვაითუ ჩემი თვისებაა-მეთქი. შარვალი კი უფრო ხშირად უნდა ჩაიც-

ვა. შარვალი ერთგვარ ბზარს აჩენს შენს მიუკარებელ სერიოზულობაში და ოჯახურ სითბოს მონატრებული სოლიდური სასიძო კაცები უფრო თამამად გაგიბედავენ ხელის თხოვნას.

ლარისა ამაყად შეტრიალდა და სამზადისაკენ წავიდა.

ლუარსაბმა დეპეშები მერხზე დააწყო, ახლა წერილები აიღო და რამდენიმე მათგანი ზერელედ გადაათვალიერა. ბოლოს ერთი გაუხსნელი კონვერტი მოყვა ხელთ. ზედ ლუარსაბის სახელისა და გვარის გასწვრივ ფრჩხილებში ეწერა „საკუთარ ხელში". გამომგზავნის მისამართი კონვერტზე არ იყო; იყო მხოლოდ ხელმოწერა, უცნობი და მკაფიო ხელით შესრულებული: „ა. ბუაძე".

„ა. ბუაძე, ა. ბუაძე, ა. ბუაძე..." — ფიქრობდა ლუარსაბი. — „ვინ არის ა. ბუაძე?"

გონების თვალმა დაძაბული ყურადღებით მოჩხრიკა მეხსიერება, მაგრამ ვერავითარი ა. ბუაძე იქ ვერ იპოვა.

რატომღაც უცნაური და გაუგებარი ინტერესი აღეძრა. დანარჩენი წერილები და დეპეშები სწრაფად მოხვეტა და უთავბოლოდ ჩაჭმუჭნა დიდ კონვერტში. ბუნდოვნად კი გრძნობდა, რომ ამით ა. ბუაძესთან პირისპირ დარჩენის ბავშვურ სურვილს ისრულებდა, მაგრამ რატომ სჩადიოდა ამას, არ იცოდა. კონვერტი მარცხენა ხელით დაიჭირა, პატარა ჩხირი, რომელიც ბალახებში მოქექა, ფრთხილად შეუყარა ნაწიბურში და ნელ-ნელა დაუწყო გახსნა. ბოლოში გასულს ოდნავ კი გაეხა კონვერტის პირი, მაგრამ ძირითადად მაინც წარმატებით გაართვა საქმეს თავი. წერილი ამოიღო და სანამ გაშლიდა, გონებაში უხმაუროდ და დიდი სისწრაფით გაირბინა ამდილანდელმა სიზმარმა.

„ჩემო ბატონო! გავკადნიერდი და კიდევ ერთი წერილი მოგწერეთ. არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა. თუ არ მოგეწონოთ, ნუ გამირისხდებით, მე ხომ ნამდვილი სიტყვები არ გამაჩნია..."

ლუარსაბმა თავი აიღო. სივრცე როგორღაც უსიამოდ ეუცნაურა. თვალები დახუჭა და გაირინდა. მერე, როცა გონებაში უპატრონოდ მოფარფატე ფიქრი დაიჭირა — „სხვისი წერილი ყოფილა," — უცებ თავისუფლად ამოისუნთქა და ერთბაშად გაოცებითა და უცნაური შეძრწუნებით შენიშნა, რომ მთელი ეს ცერემონიალი, დანარჩენი წერილებისა და დეპეშების საგულდაგულოდ გადამალვა, ჩხირის ძებნა და კონვერტის უჩვეულო სიფრთხილით გახსნა, რაღაცის გაუცნობიერებელი მოლოდინი, ყველაფერი ეს თურმე შიში იყო, გაუგებარი შიში. ასეთი შიში შეიძლება დაეუფლოს ბავშვს, რომელიც ზაფხულის გაგანია სიცხეში, გზის პირას ბალახში ჩამჯდარი და ხოჭოებთან და ჭიანჭველებთან თამაშით გართული, თავს ასწევს და უცებ თეთრ ცხენზე ამხედრებულ უცხო კაცს დაინახავს.

„სხვისი წერილი ყოფილა." ამ ფიქრმა ნისლივით გაფანტა უცნობი შიში და სიმშვიდემ ნელ-ნელა დაიწყო კუთვნილი კუთხე-კუნჭულის ამოვსება. ცოტა ხნის შემდეგ ლუარსაბმა თვალის გახელაც გაბედა. სივრცე აღარ ეუცხოვა. გარემოს თავისი სახე დაბრუნებოდა.

„რაღაც გაუგებარი ეჭვი ამყვა ლოგინიდან და ის მაწვალებს."

ამ ფიქრმა კიდევ უფრო დაამშვიდა და ისევ წერილს მიუბრუნდა.

„ჩემო ბატონო! მტრობა, ცილისწამება, სილაჩრე, პირმოთნეობა, აუგის თქმა, ღვარძლიანობა, ლაქუცი, კერპის შექმნა, მედროვეობა, კმაყოფილება, თავდაჯერება, ყოჩის კვალდაკვალ სიარული, მაბეზღარობა, კაცის ზურგსუკან ქირქილი, სხვის ტირილზე გაცინება, საკუთარი აზრის ჩახშობა, ჭორიკანობა, მიეთმოეთი, წამხედურობა, ბილწსიტყვაობა, ავხორცობა, ორპირობა, ქრთამის აღება და მიცემა, უზომო ჭამა, თვალის ახვევა, სხვისი ძეგლის ნამსხვრევებზე საკუთარი ძეგლის აგება, შეურაცხყოფა, სიხარბე, სუსტის დაჩაგვრა, სიძულვილი, კაცის კაცისგან

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

გამორჩევა, სიცრუე, მოთავისეობა, შუ-
რი, უდარდელობა, ოცდაათი ვერცხლის
სიყვარული, ათი მცნების აგდებულად
მოხსენიება, მხოლოდ საკუთარ შვილ-
ზე ზრუნვა, ტრაბახი, ოხვრა-წუწუნი,
სხვის იმედად ყოფნა, სიზარმაცე, ზერ-
ლეობა, არაბუნებრიობა, ქედის მოდ-
რეკა, გულგრილობა, ყოყლოჩინობა,
უნდობლობა, სიმდიდრის სიყვარული,
ოლი გზებით სიარული და სხვა მრა-
ვალი ცოდვა, რაც ამქვეყნად ჩაგვიდე-
ნია, იმ ქვეყნად რომ მართლა მოგვე-
კითხოს, მაშინ რაღა ვქნათ?"

„ბევრი კი ყოფილა, — გაიფიქრა
ლუარსაბმა. მერე გაუგებარი პაუზა
გააკეთა და დაუმატა: — მაგრამ მე რა
შუაში ვარ?"

კონვერტს კიდევ ერთხელ დახედა.
მისამართის ქვეშ ეწერა: „პროფ. ლუარ-
საბ რაზმაძეს (საკუთარ ხელში:)" და
ცოტა უფრო ქვემოთ: „ა. ბუაძე."

ლუარსაბმა გულში რამდენჯერმე
გაიმეორა: „ა. ბუაძე, ა. ბუაძე, ა. ბუა-
ძე". მერე უცებ ხმამაღლა და მწყრა-
ლად დაიძახა:

— ლარისა!

სამზადიდან ჯერ ელენემ გამოიხედა,
მცირე ხნის შემდეგ მის თავს ზემოთ
ლარისას სათვალემაც გამოანათა.

— რა იყო, ლუარსაბ? — იკითხა
ელენემ.

— აბა, ერთი აქ მოდით! — და როცა
ქალები მოვიდნენ, ლარისას თვალი
თვალში გაუყარა და მკაცრად ჰკითხა:
— ვინ არის, ლარისა, ა. ბუაძე?

— ა. ბუაძე, ა. ბუაძე, ა. ბუაძე... —
დაფიქრებით გაიმეორა ლარისამ, მერე
წარბი ოდნავ აზიდა და ისეთი კილოთი
დაუბრუნა კითხვა, თითქოს გამოცანა
ვერ გამოიცნოო: — ვინ არის?

— მე მეკითხება! — ელენეს მიუბ-
რუნდა ლუარსაბი და იმავ წამს კვლავ
ლარისას მიუტრიალდა. — ა. ბუაძე
არის მორალისტი, რომელიც მასხრად
მიგდებს მე, გამოჩენილ მეცნიერსა და
მოაზროვნეს, კაცს, რომელსაც სტუ-
დენტებიც კი იშვიათად იგდებენ მასხ-
რად. — ლუარსაბმა ელენეს მშვიდი და
დაჟინებული მზერა იგრძნო და მიხვდა,
რომ ეს მზერა, საცა იყო, გაუცხოებე-
რებელი, მაგრამ ყოვლად აუცილებე-
ლი კალაპოტიდან ამოაგდებდა. ამიტომ
სწრაფად დაუმატა: — ლარისა, რა სა-
ხელები იცი „ა"-ზე?

ლარისა ზებუნებრივად გაიმართა და
ამაყი ღირსებით დაიწყო ჩამოთვლა:

— ათინა, აფროდიტე, არტემიდა...

— მოეშვი მაგ ოხერ ღმერთებს! —
შეაწყვეტინა ლუარსაბმა. — ღმერთი
ასეთ წერილს როგორ მომწერდა! ადა-
მიანები ჩამომითვალე. თანაც მამა-
კაცები.

და გაიფიქრა: „რატომ მაინცდამაინც
მამაკაცები?"

ხოლო ლარისა ღირსეული მორჩი-
ლებით შეუდგა საქმეს:

— ანაქსაგორა, აგამემნონი, ალექ-
სი-ალე...

— გეყოფა! — ხელები გაასავსავა
ლუარსაბმა. — ასე ჭეშმარიტებას ვერ
დავადგენთ.

— შეიძლება წავიკითხო? — იკითხა
ელენემ.

და მშვიდი ხმა მიწვდა იმას, რასაც
წელან მშვიდი მზერა ვერ მიწვდა.
ლუარსაბი მიხვდა, რომ უმსგავს კომე-
დიას თამაშობდა. ეს კომედია ერთგვა-
რი ფარი იყო, რომლითაც თავს იცავდა
რაღაც უცხო და უცნაური აფორიაქე-
ბისაგან, მთელი ამ ხნის განმავლობაში
რომ აბეზარი ბუზივით დასტრიალებდა
თავს და ტვინში შეღწევას ლამობდა.

— წაიკითხე! — ლუარსაბმა წერილი
მიაწოდა. და სანამ ელენე ჩუმად კი-
თხულობდა, ერთხანს ინერციით განაგ-
რძო კომედიის თამაში: — ეტყობა,
ა. ბუაძეს მართლა ჰგონია, რომ ჭრი-
ლობას მარილი არჩენს.

და უცებ გაჩუმდა.

აბეზარი ბუზი ბზუილით შეძვრა
ტვინში.

გაცნობიერებით არაფერი გაცნობიე-
რებულა, მაგრამ ერთბაშად გაუფუჭდა
გუნება. მოეჩვენა, თითქოს სხეულიდან
უსიამო ზრიალით გამოვარდა რაღაც.

თუმცა, ელენემ რომ კითხვა მოათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღიმილით დაუბრუნა წერილი, კომედიამ კიდევ ერთხელ მოიქნია კუდი:

— იქნებ ალექსი-ალეც გავაღვიძოთ და საჯარო განხილვა მოვაწყოთ?

— აქ რაღაც სასაცილო გაუგებრობაა, — თქვა ელენემ. — არ ღირს ალექსი-ალეს გაღვიძება ამ უბრალო ამბის გამო.

— სასაცილო? — ლუარსაბმა ელენეს მშვიდ, ნათელ სახეს შეხედა, მაგრამ კომედია უკვე დამთავრებული იყო და ამიტომ თავის გულშიღა გაიფიქრა: „თუ სასაცილოა, რატომ არ ვიცინით?“ მერე ლარისას მიუბრუნდა: — შენც ასე ფიქრობ, ლარისა?

ლარისას სათვალის შუშები ცნობისმოყვარედ აულაპლაპდა.

— მე არ წამიკითხავს.

— წაიკითხე.

ლარისამ წაიკითხა და განაჩენი გამოიტანა:

— ეს თქვენი წერილი არ უნდა იყოს.

— აბა ვისი უნდა იყოს, ლარისა?

— არავისი. ისე...

ლუარსაბს უცებ გაეცინა.

— ყოჩაღ, ლარისა. მუდამ მიგრძნობდა გული, რომ ერთხელაც იქნებოდა, რაღაც მაგდაგვარს იტყოდი. და, საერთოდ, ფხიზლად იყავით. დღეს განსაკუთრებული დღეა. ვატყობ, კვალში ვუდგევართ ჭეშმარიტებას და, თუ მარჯვედ ვიქნებით, ვერც გაგვისხლტება ხელიდან. მე პირადად სუნი უკვე მცემს.

— მეც. — თქვა მოულოდნელად ლარისამ და ჰაერი მეძებარივით მოყნოსა. — დამწვრის სუნია.

— წყალი ჩაიშრო! — შეშფოთდა ელენე.

ლარისამ, მე მივხედავო, და გრძელი ნაბიჯებით გავარდა სამზადისაკენ.

— კინაღამ დაგვეწვა ჭეშმარიტება! — თავი გადაიქნია ლუარსაბმა.

ელენემ შეხედა, კარგა ხანს მშვიდად უყურა. მერე გაუღიმა და უთხრა:

— დაკვირვებული ვარ, ყოველ დაბადების დღეზე საგანგებოდ ცდილობ გუნება გაიფუჭო.

„და მგონი, ბოლოს და ბოლოს, მივაღწიე კიდეც საწადელს.“ — გაიფიქრა ლუარსაბმა.

ელენე მიტრიალდა და ნელი ნაბიჯით წავიდა სამზადისაკენ. მაგრამ შუა გზაზე წამით შემობრუნდა.

— მალე ბავშვები ჩამოვლენ.

მთელ სხეულში გაშლილმა უგუნებობამ საკუთარი თავი წამით ერთ წერტილში შეისრუტა. ლუარსაბმა სევდის მწვავე ჩხვლეტა იგრძნო და უცებ შეძრწუნებით აღმოაჩინა, რომ ელენემ შეცდომა დაუშვა.

ეტყობა, მართლა საგანგებო ცხრამეტი აგვისტო დადგა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ განსაცდელის ჟამს ელენეს შინაგანი ჰარმონია მოჰკლებოდეს და მალამოს ძებნა გარეთ დაეწყოს. დღეს კი მოაკლდა. დღეს აშკარად მოაკლდა. თვითონაც მიხვდა ამას და შემწედ შვილებს მოუხმო. სწორედ ეს იყო შეცდომა. ის კი არა, რომ შვილებს მოუხმო. შვილები შეიძლება გამოგადგნენ გაჭირვებაში და შეიძლება ვერ გამოგადგნენ, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ ელენეს შველა დასჭირდა და ეს ამბავი ქმარს აგრძნობინა. ლუარსაბი წლების განმავლობაში ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მიჩვეულიყო ელენეს მკვიდრ შინაგან ჰარმონიას და იგი თავისი არსებობის საყრდენად ექცია. და უეცრად ამ მტკიცე საყრდენს ბზარი გაუჩნდა, როგორც პატარა ბავშვის ფსიქიკას გაუჩნდება ბზარი, თვალწინ რომ მამა გაულახონ.

მაშასადამე, დღევანდელი ცხრამეტი აგვისტო განსაკუთრებული ცხრამეტი აგვისტოა. დღეს რაღაც მოხდება. ან უკვე მოხდა რაღაც.

კაცმა რომ თქვას, უცნაური და უსიამო მოლოდინი გაღვიძებისთანავე იგრძნო, მაგრამ ცდილობდა, თავს არ გამოტყდომოდა. ცხადია, ეს სულელური მცდელობა იყო და ქვიშაში თავჩარგუ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ლი. სირაქლემას სასაცილო უგუნურებას ჰგავდა.

ახლა, როცა ბუნდოვან მოლოდინს ელენემ თავისდაუნებურად დასტურის ბეჭედი დაუსვა, საჭიროა ყველაფერი გაირკვეს და ნისლი გაიფანტოს.

ა. ბუაძის წერილი კონვერტიანად ჩაიდო გულჯიბეში, დანარჩენი ფოსტა, დიდ კონვერტში ჩაჭმუჭნილი, მერხზე დატოვა და ნელი ნაბიჯით წავიდა ჭიშკრისაკენ.

ეზოს გასცდა და მტვრიან შარაგზას დაუყვა. ქვემოთ, მარცხნივ, სიმინდის ყანები მოჩანდა. გზის ორივე მხარეს რკინითა და ხით შემოღობილი აგარაკები ჩამწკრივებულიყო. ღობის ძირას, გზის მთელ სიგრძეზე, საპატიო ყარაულივით იდგნენ გვირილები და, თუმცა მტვერი დასდებოდათ, მაინც კოპწიად ყელყელაობდნენ.

დაღმართი რომ ჩაათავა და აგარაკების პირველ რიგს გასცდა, ვიწრო ბილიკზე გადაუხვია. ბილიკი რცხილისა და ნეკერჩხლის ხეებს შორის მიიკლაკნებოდა. აქ ვერც მზის მცხუნვარება აღწევდა და ვერც შარაგზის მტვერი. ლუარსაბს ხშირად უვლია ამ წყნარ ბილიკზე. რცხილა და ნეკერჩხალი მცირე მანძილზე მისდევდა. იქით კაკლები იწყებოდა, პანტა და წაბლი მშვენიერი ჩრდილებით, მაღალი ბალახით, სიჩუმით.

ლუარსაბი ნელა მიაბიჯებდა, მონატრებულივით ისუნთქავდა სუფთა, გამჭვირვალე ჰაერს, მკაფიო ბუნდოვანებით გრძნობდა, რომ დღევანდელი ცხრამეტი აგვისტო განსაკუთრებული ცხრამეტი აგვისტო იყო და შეშფოთება და სიმშვიდე რაღაც უცხო, გაუგებარ ჰარმონიად ერთდებოდა.

ელენემ უთხრა, ყოველ დაბადების დღეზე იმას ცდილობ, როგორმე გუნება გაიფუჭოო და ლუარსაბი არ შედავებია. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უსიტყვო დასტური ნდობა იყო და არა რწმენა. ლუარსაბმა გამოცდილებას დაუჯერა, თორემ ცოლის ნათქვამმა გააკვირვა და ძალიანაც გააკვირვა. არასდროს, არც რომელიმე ცხრამეტ აგვისტოს და არც წლის დანარჩენ დღეებში თავის თავში ისეთი არაფერი შეუმჩნევია, რაც ელენემ ესოდენ ეჭვმიუტანელ ცნობად გამოაცხადა. ცხრამეტი აგვისტო რომ მოახლოვდებოდა, ლუარსაბი, რაც მართალია, მართალია, ხშირად ფიქრობდა თავის დაბადების დღეზე; მეტიც, მიკერძოებით ფიქრობდა. ზოგჯერ იმასაც კი წარმოიდგენდა, ვითომ მოლოცვებში ისეთი რამ უთხრეს, რასაც თვითონ ფიქრობდა საკუთარ თავზე, ანდა ისეთმა ხალხმა გაიხსენა, ვისაც რეალიზმის კანონების მიხედვით ვერ უნდა მოეცალა მის გასახსენებლად. ეს უწყინარი სისუსტე დიახაც ჰქონდა და ამას თავის თავს არც უმალავდა. რაც შეეხება ელენეს ნათქვამს, აქამდე მსგავსი არაფერი შეუმჩნევია. ახლაც ფიქრობდა და ვერ გაეგო, რატომ უნდა ცდილიყო, რომ საკუთარ დაბადების დღეზე გუნება გაჰფუჭებოდა. იქნებ ელენე შეცდა, როგორც ცოტა ხნის შემდეგ, როცა შვილებს უხმო? თუმცა არა. შვილებს რომ უხმო, მაშინ კი არ შეცდა, არამედ შეცდომა დაუშვა. ეს კი სულ სხვა რამეა, რადგან შეცდომა სწორედ იმიტომ დაუშვა, რომ არ შემცდარა.

ხოლო რაკი ასეა, საჭიროა ყველაფერი გაირკვეს და არეულობა მანამ მოწესრიგდეს, სანამ ქაოსში არ გადაზრდილა. თუ ლუარსაბი მართლა ცდილობს, ყოველ დაბადების დღეზე გუნება გაიფუჭოს, ამას თავისი მიზეზი ექნება და ეს მიზეზი უნდა დადგინდეს.

შეურიგებელი რაციონალიზმი ლუარსაბისგან გარდაუვალად მოითხოვდა მიზეზების დადგენას. მიზეზების დადგენა მძაფრი მოთხოვნილება იყო, ჩვევა, ხასიათის უმთავრესი ნიშანი. ბავშვობიდანვე მტკიცედ შეთვისებული ძველი ჭეშმარიტება, რომ მოვლენა ემყარება მიზეზს და მიზეზი ბადებს მოვლენას, ყველაფერს განსაზღვრავდა. სამყარო მთლიანად თავსდებოდა ამ მარტივ სისტემაში და არ არსებობდა არავითარი „გარეთ“. „გარეთ“, ლუარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბის აზრით, გონების ერთი უმთავრესი შეცდომათაგანი იყო, რომელიც კაცობრიობის განვითარებას ხელს უშლიდა, ხოლო დროდადრო ხანგრძლივადაც ამუხრუჭებდა. ამიტომ ყოველივე ზებუნებრივი მასში ღრმა შინაგან პროტესტს იწვევდა და ისე აღიზიანებდა, როგორც თავდაჯერებული, გაყინული უმეცრება უნდა აღიზიანებდეს მუდამ დაეჭვებულ, მაძიებელ გონებას.

ტვინში რაღაც მოგონება გაკრთა. ლუარსაბი შედგა, თვალები დახუჭა და საკუთარ თავს ყური მიუგდო. მალე მიხვდა, რომ ეს სიზმარი ამოტივტივდა წამით მეხსიერებაში. „რა უნდოდა სიზმარში ეკლესიას?“ — გაუკვირდა ლუარსაბს.

დილიდან ცდილობდა აღედგინა ეს უცნაური სიზმარი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა. სიზმარი შავ ფარდას ამოფარებოდა და, თითქოს კუკუდამალობანას ეთამაშებაო, დროდადრო რომელიმე ნაწილს დაანახვებდა. ჯერ იყო და, შავ ფარდას იქით აკადემიის პრეზიდენტი გამოჩნდა, რომელიც თავის თავს არ ჰგავდა, ახლა კიდევ ეკლესია. ლუარსაბს ვერ გაეგო, რა კავშირი ჰქონდა პრეზიდენტს ეკლესიასთან.

წაბლის ბურძგლა ნაყოფი პატარ-პატარა ზღარბებივით მოფენილიყო ბილიკზე. ლუარსაბმა ხეს ახედა, მაღალი წაბლი იყო, სწორი, აშოლტილი. ქარს ნაყოფი ბლომად კი ჩამოეყარა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ესხა. სანამ ლუარსაბი ხეს ათვალიერებდა, კიდევ ერთი ბურძგალი მოწყდა, შრიალით გამოარღვია ფოთლები და ფეხებთან დაეცა. ლუარსაბი დაიხარა, მწვანე ბურძგალს ფრთხილად დაწვდა, რომ ეკლებს არ დაეჩხვლიტა, და ამ დროს ხალათის ჯიბიდან წერილი გადმოუვარდა. ლუარსაბმა ბურძგალს ხელი უშვა, სწრაფად გაიმართა და ინსტინქტურად მიმოიხედა. მერე ისევ დაიხარა, წერილი აიღო, ბილიკიდან გადავიდა და წაბლის ხის მსხვილ ფესვზე ჩამოჯდა. წერილი გაშალა და კითხვას შეუდგა. ბოლოში რომ გავიდა, თავი ასწია, სივრცეს მიაჩერდა და დიდხანს იჯდა ასე გაშეშებული.

მაინც რატომ ჰგონია ელენეს, თითქოს ლუარსაბი თვითონ ცდილობდეს გუნება გაიფუჭოს? იქნებ გარემოება უბიძგებს? დღეს დილიდანვე რაღაც წვრილ-წვრილი უსიამოვნებანი იბადებოდნენ და გაჩქარებული მიისწრაფოდნენ ერთმანეთისაკენ. ბოლოს ყოველივე ეს უცნაური შეჯამებით შეაჯამა ვინმე ა. ბუაძემ.

წერილი დაკეცა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

წაბლის ბურძგალი ფრთხილად აიღო, გაშლილ ხელისგულზე დაიდო, გადაგორა და გადმოაგორა. ბურძგალი მსუბუქად ეხებოდა ეკლებით. ჩხვლეტით არ იჩხვლიტებოდა. მაშინ ხელის ზურგზე დაიდო და იქ გააგორა. ნაზმა კანმა მაშინვე იგრძნო წვეტიანი ეკლების ჩხვლეტა. ლუარსაბს სიტყვა „ფარდობითობა“ მოაგონდა. ბურძგალი ისევ ხელისგულზე დაიდო და დააცქერდა.

თუ ბიოლოგიური მეცნიერება სწორად ხსნის მოვლენებს, რაში დასჭირდა წაბლს ასეთი ნემსებით დაცულ ქურქში მოექცია ნაყოფი? და რატომ არ დასჭირდა ასეთი რამ, ვთქვათ, კაკალს?

ხანდახან რაღაც ავი, დაუნდობელი სიცხადით იგრძნობ, რომ უამრავი რამაა ისეთი, რაც არ იცი და კოსმიური უმწეობის ცხელი განცდა წამით ტკივილად დაგივლის სხეულში...

იქნებ არავითარი ა. ბუაძე არ არსებობს და უბრალოდ ვიღაცამ იხუმრა? ახალგაზრდობაში ლუარსაბსაც არაერთხელ გაუგზავნია მეგობრებისათვის დაბადების დღეზე სახუმარო მილოცვები და საჩუქრები. თუ მართლა იხუმრა ვინმემ, კარგა ღვარძლიანად კი უხუმრია. ვინ იზამდა? პეტრე დიდი? არა. პეტრე მცირე? არა. დანარჩენი პეტრეები? რომელი?

საკვირველი ის იყო, ელენეს რომ საკუთარი ძალა არ ეყო და მაშველ

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

რაზმს მოუხმო. მაშველი რაზმი მალე ორი მანქანით მოგრიალდება, ოღონდ შველით ვერავის უშველის; იმიტომ რომ ყველას თამაშის საკუთარი წესი აქვს. სანამ ლუარსაბი ერთგვარი ცეცხლგამძლე კარადა იყო, რომელშიაც შვილები დრომდე და ვადამდე თავიანთ ცნობიერებას ინახავდნენ, ყველა ტკივილი და ყველა სიხარული საერთო ჰქონდათ, მშობლები და შვილები ერთი საერთო სხეულის ნაწილები იყვნენ და მაშველ რაზმს საშველად მოხმობა არ სჭირდებოდა. მაგრამ მერე შვილებმა კარადა გააღეს და თავიანთი საქონელი წაიღეს.

ლუარსაბმა გონება დაძაბა და ძალისძალად გამოეთიშა ფიქრებს.

ჩიტები მუსიკალური ფრაზებით ებაასებოდნენ ერთმანეთს და მთელი ტყე უცხო მელოდიით იყო სავსე. მაღალი ხეები მშვიდად სუნთქავდნენ. ნიავის რიტმს აყოლილი ფოთლები მსუბუქად ირხეოდნენ. გარემო საკუთარი სიცოცხლით ხარობდა. ტყე თავდავიწყებით მღეროდა და ეს ტკბილი, უნაზესი სიმღერა, რომელიც ბავშვობის შორეულ მოგონებას ჰგავდა, თითქოს ხაზს უსვამდა რაღაც უჩვეულო სიჩუმეს, პირველყოფილს, იდუმალს, მივიწყებულს.

ლუარსაბი გრძნობდა, როგორ თანდათან ივსებოდა სხეულის სიცარიელე ამ დუმილის გრილი და ნეტარი სიმშვიდით და გაიფიქრა: „რაღაც ძალზე მარტივი და ნათელი განზრახ გავართულეთ და გავაბუნდოვანეთ“.

სამოცი წლის შესრულებას სხვანაირი მოლოდინით ელოდა. დაბადების დღეზე ფიქრს, ჩვეულებრივ, ერთი კვირით ადრე იწყებდა, სამოცი წლის ხსენება კი პირველად სამი თუ ოთხი წლის წინ გაჩნდა. არავითარი მკაფიო მიზანი ამ ხსენებას არა ჰქონია. უბრალოდ, ფიქრი შემოძვრა ტვინში და თქვა: „სამოცი წელი“. მართალია, ეს ფიქრი მალევე გაძევებულ იქნა, რადგან გონება სხვა საზრუნავით იყო დაკავებული, მაგრამ ფიქრი დროდადრო მაინც პოულობდა ხელსაყრელ შემთხვევას, რათა ტვინში შემოეჭყიტა და ეთქვა: „სამოცი წელი“. პირველ ხანებში, შესაძლებელია, სწორედ იმის გამო, რომ ამ გახსენებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ლუარსაბს ეგონა, ეს ფიქრი, ალბათ, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ სამოცი წელს ვერ მივატანო. ცხადია, ეს ვარაუდი მოკლებული იყო რაიმე საფუძველს. ამას თვითონაც მალევე მიხვდა და თავის გულში თქვა: „არა. სამოცი წელს კი მივატან, მაგრამ...“ ამ „მაგრამის“ იქით აღარაფერი იყო, გარდა მრავალწერტილების ბუნდოვანი წყებისა, რომელიც დროთა განმავლობაში გაურკვეველი მოლოდინის განცდად ჩამოყალიბდა. თავიდან ცდილობდა ყურადღება არ მიექცია ფიქრის ამ თვითნებობისათვის, მაგრამ მერე და მერე, როცა მოლოდინის გაურკვევლობამ ძალიან შეაწუხა, ჩვეულებისამებრ, მიზეზებს დაუწყო ძებნა. ფორმალური პასუხი მალევე იპოვა: სამოცი წელი ისეთი თარიღია, როცა კაცის ცხოვრებაში ერთი დიდი მონაკვეთი მთავრდება. ადამიანს კი დროდადრო სჭირდება შეაჯამოს განვლილი გზა და შეძლებისდაგვარად განსაზღვროს თავისი ადგილმდებარეობა სამყაროში. პასუხი სწორი ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ლუარსაბს ეჭვი არ ეპარებოდა მის სისწორეში და მხოლოდ ის უკვირდა, რომ მოლოდინს ზოგჯერ უსიამო ფერი დაჰკრავდა; ეს კი გაუგებარი იყო, რადგან ლუარსაბს მიაჩნდა, რომ, ის, რაც შეიძლება ერთ კაცს მოეთხოვოს, მან გააკეთა.

შეკრთა და წაბლის ბურძგალი ხელიდან გაუვარდა.

წამით მთელი სხეული ელვასავით გაანათა უაღრესად მკაფიო ცოდნამ; ყველაფერი, რაც იყო, შეცდომა იყო, რადგან ადამიანს არ ძალუძს საკუთარ თავს მსაჯულად დაუდგეს. მერე ელვა ელვისავე სისწრაფით ჩაქრა და სხეულის შორეული ხვრელები ისევ დაბნელდა; თუმცა წამიერმა განათებამ კვალი მაინც დატოვა.

გაბედული დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთი კაცის გასაკეთებელი გაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენილია, ბურმე ქამდე მხოლოდ ბუნდოვან განწყობილებად არსებობდა და შეგნებულად გაურბოდა აზრად გაცხადებას; ახლა, როცა წამიერმა განათებამ სააშკარაოზე გამოიტანა, ერთბაშად დაემსგავსა უმწეო ტყუილს, მშიშარა გოშიას, რომელიც დაკეტილი ჭიშკრის იმედით დიდ გულზეა და გააფთრებით უყეფს თავის გზაზე მშვიდად მიმავალ ნაგაზს, მაგრამ თუ ნაგაზი შეჩერდა და ჭიშკარში თავი შემოყო, წამსვე კუდამოძუებული გაიქცევა და სამალავს დაუწყებს ძებნას.

ბომბორა ნაგაზმა ლუარსაბ რაზმაძის ჭიშკარში შემოყო დიდი, ცნობისმოყვარე თავი და უკუდო ტყუილი, რომელიც იდუმალ ძალებს თავის მართლებისთვის შეეკოწიწებინათ, კისრისტეხით ჩაეშვა სხეულის მიუვალ სამალავებში.

რას ნიშნავს „ის, რაც შეიძლება ერთ კაცს მოეთხოვოს“?

არაფერს, გარდა იმისა, რომ ადამიანი მიჩვეულია შაბლონებით აზროვნებას. ჩვენ თვითონ სიმარტივისთვის ვქმნით შაბლონებს და მერე ისე ვეპყრობით, თითქოს ღვთით დაწესებული კანონი იყოს. რა მოეთხოვება კაცს? ან ვისგან მოეთხოვება? კაცი იმას აკეთებს, რაზედაც სინდისი გაწვდება. სინდისს კი ყველა საკუთარი მტკაველით ზომავს. ალბათ, ამიტომ უთქვამს...

ჰაერი თითქოს მუცლის არეში გაიჩხირა. გული დაძაბულად ცდილობდა ზემოთ ამოექაჩა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ყრუ ტკივილით მიანება თავი. მაშინ ლუარსაბი წაბლის ხის სქელ ტანს მიეყრდნო, მთელი სხეული მოადუნა და შეეცადა გულისთვის დასვენების საშუალება მიეცა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ სცადა ბედი. გული დაიძაბა, დაიძაბა, დაიძაბა და უკანასკნელ წამს, როცა წეღანდელივით უარი უნდა ეთქვა შეუძლებელ საქმეებზე, რომელიღაც ამოქოლილი ხვრელი გაიხსნა, ჟანგბადი ზემოთ წამოვიდა და სხეულმა შვება იგრძნო.

...ალბათ, ამიტომ უთქვამს სიმამრ კალისტრატეს, ლუარსაბის ნიჭი რომ მომცა და ჩემი სინდისი, ბერად შევდგებოდიო.

გულს ისევ გაუჭირდა, მაგრამ ამჯერად შედარებით იოლად დაძლია დაბრკოლება.

რა ნიჭი. სჭირდებოდა ბერად შედგომას! სახარება ჰქონდა სათარგმნელი წმინდა კალისტრატეს თუ სამების საიდუმლო ჰქონდა ამოსახსნელი?

ტყე ერთბაშად ჩაჩუმდა. ჩიტების ჟღურტული მიყუჩდა, ფოთლებმა შრიალი შეწყვიტეს. გარემომ რაღაცას ყური მიუგდო და გაირინდა. ლუარსაბ რაზმაძემ საკუთარი არსების სივრცეში წამით განივთებული ნიჭი და სინდისი დაინახა, რომელთაც არც ფორმა გააჩნდათ და არც სიმკვრივე, მაგრამ რაღაც გამოუცნობი და მოუხელთებელი ნიშნის მიხედვით მაინც ნივთიერ სახეებად გაცხადებულიყვნენ. და ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ერთმანეთს მკვიდრი, გარდაუვალი კავშირით დაკავშირებოდნენ, ერთმანეთის არსებობას ეყრდნობოდნენ და ერთმანეთისაგან გამომდინარეობდნენ, როგორც მკვლელი და მოკლული.

„შესაძლოა, მართლა ასეა, — გაიფიქრა ლუარსაბმა მერე, როცა დროს მოწყვეტილი წამი ჩაქრა და გარემომ ლოცვის სიმღერა განაახლა. — შესაძლოა, სინდისი და ნიჭი მართლა გარდაუვალი კავშირით არიან შეკავშირებული და ამ კავშირში რომელიღაც უმთავრესი აზრის გულისგულია ჩამარხული.“

ლუარსაბი გრძნობდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ იდო ახლო, მაგრამ ხელი ვერაფრით ვერ ჩაევლო, რადგან უწვრილესი ძაფები სხივებივით ირეკლებოდნენ.

„იქ რომ ვიჯდე ახლა, ჩემი ეზოს თავში, ქვის მაგიდასთან, და წინ დიდი სივრცე მქონდეს გადაშლილი, და ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყოს, და მთელ სოფელში კაცის ჭაჭანება არ იყოს...

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ვინ იცის, იქნებ დროს სხვა საზომი აერჩია და ისეთი წერტილი დაესვა, რომ ეს უსაშველოდ გაწელილი სამოცი წელი, ეს წყალწყალა...“

— გამარჯობა შენი, ლუარსაბ ბატონო!

პატარა ბიჭი მარჯვენა ხელით უღელს უკან მიაწვა. ხარები შეჩერდნენ, თავები ოდნავ ასწიეს და დაიფრუტუნეს. მარცხენა ხელში ბიჭს წკეპლა ეჭირა.

მსხვილი თოკის ერთი ბოლო უღელზე იყო გამობმული. მეორე ბოლო ვეებერთელა მორს ნაჭდევზე ყულფად ჰქონდა წაჭერილი. მორს მიწაზე თრევისაგან ალაგ-ალაგ ქერქი გადაცლოდა.

ბიჭი და კაცი სასაცილოდ ჰგავდნენ ერთმანეთს. ტანსაცმელიც ერთნაირი ეცვათ, ქუდებიც ერთნაირი ეხურათ. ეს იყო მხოლოდ, რომ კაცი მოღიმარე, გულკეთილი სახით შესცქეროდა ლუარსაბს, ბიჭს კი სერიოზული და საქმიანი გამომეტყველება ჰქონდა.

ლუარსაბი გამოერკვა.

— ოჰ! იაკინთეს გაუმარჯოს! იაკინთეს და მის ამონაყარს! — ლუარსაბმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა „ამონაყარი“, რომელმაც სახე უფრო მოიქურუხა, რათა უცხო კაცს მის ასაკზე შეუფერებელი წარმოდგენა არ შექმნოდა. — ხომ შენი ბიჭია?

— ჩემი გახლავს. — თბილი ღიმილით დაუდასტურა იაკინთემ.

— ან რას გეკითხები! გაჭრილი ვაშლივით გგავს. უყურებ და ხედავ, როგორ თვალდათვალ იაკინთდება.

ბიჭმა უნებურად წაცდენილი სიცილი სწრაფად მოისხიპა, მაგრამ ქუფრი ღრუბელი სახიდან უკვე გადაეყარა. დაგუბებული სიცილი შიგნიდან აწვებოდა და ლოყები ებერებოდა. ამიტომ თავდაცვის მიზნით განზე დაიწყო ყურება.

ლუარსაბი ახლო მივიდა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა შენი!

— ჩამოართვი, ბიჭო, ხელი! — ღიმილით შეუწყრა მამა.

ბიჭმა ერთი ცერად ამოხედა ლუარსაბს, მერე ისევ განზე გაიხედა, გამოწვდილი ხელი ჩამოართვა და გულმოსული ხმით უთხრა:

— გაგიმარჯოს.

— რა გქვია?

ბიჭმა სახელის გახსენებაზე კიდევ ერთი წაიფრუტუნა, მაგრამ ამჯერადაც დროზე შეიკავა თავი. სამაგიეროდ ხმაში მეტი სიმკაცრე გამოურია.

— კოსტა.

— შენ, ჩემო ძმაო, კოსტა კი არა, კაი დასრულებული კონსტანტინე ხარ. — მერე კაცს მოუბრუნდა: — ნამდვილი ბოკვერია. მაგარი ბიჭი დადგება. ადრე კი მიგიჩვევია მუშაობას.

— მიეჩვიოს, რა უჭირს. ალიონზე ტყეში წასვლა არ ურჩევნია ლოგინში კოტრიალს?

— ასე ადრიანად წახვედით?

— გათენებული არ იყო, ტყეში ვიყავით.

— ძალიან გაგიბედიათ! — ლუარსაბმა ბიჭს შეხედა. — არ გეშინოდა, ჭინკა რომ გადაგდგომოდა გზაზე და, ან ამიკიდე, ან ამეკიდეო, ეთქვა?

ბიჭი შეეცადა დამცინავი გამომეტყველება მიეღო, რათა თვალებში მოწოლილი ცნობისმოყვარეობა დაემალა.

კაცმა გულკეთილად და სევდიანად გაიღიმა და ხმას ოდნავ დაუწია:

— წავიდა საწყალი ალისტრახო.

ლუარსაბი შეცბა. და თუმცა ნათქვამის აზრს მაშინვე მიხვდა, მაინც ჰკითხა მექანიკურად:

— სად წავიდა? — და იქვე გამოასწორა: — რას მელაპარაკები! როდის, კაცო?

— დღეს მარხავენ. ეგერ, ცოტაზე რომ გაიწევ, კი გაიგონებ ხმას.

— რა ხმას?

— სამარეს უჭრიან... — კაცი ისევ ისე თბილად და სევდიანად იღიმებოდა. — მოილია ალისტრახომ საქმეები და გაუყვა გზას.

— კაი ხნის კი იქნებოდა.

— ოთხმოცდაათს გადაცილებული იყო.

— აცხონოს ღმერთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამინ.

— დარჩენილან აბა ჭინკები უპატრონოდ.

ბიჭსაც გაეცინა და კაცსაც.

— ჭინკებს არ გაუჭირდებათ. სხვას იშოვიან.

— კაი კაცი იყო. აბა, კარგად იყავი, ჩემო იაკინთე.

— კი, კაი კაცი იყო. კარგად ბრძანდებოდე, ბატონო.

— ნახვამდის, კონსტანტინე. — ლუარსაბმა ხელი გაუწოდა.

ბიჭმა ხელი ჩამოართვა. მერე თოკი თავისკენ მიიზიდა. ხარებმა თავები ჩაღუნეს და დინჯად დაიძრნენ.

ლუარსაბმა თვალი გააყოლა.

მორი ნელა მიცურავდა ბილიკზე. დროდადრო გვერდზე გადაიწევდა, გადაბრუნებას დააპირებდა, მაგრამ ყელში წაჭერილი თოკი არ უშვებდა და ისევ სწორდებოდა. ხარები მშვიდი, ბედს შერიგებული ნაბიჯით მიდიოდნენ.

ალისტრახომ, ჭინკების დიდმა მცოდნემ, მოითავა საქმეები (მოილაო, იაკინთემ) და წავიდა.

ლუარსაბმა ხელით მოისინჯა გულჯიბე, დარწმუნდა, რომ ა. ბუაძის წერილი თავის ადგილას იდო, და ბილიკს გაუყვა.

ბილიკს მორის კვალი აჩნდა.

ცაცხვები და წაბლები ხმამაღლა შრიალებდნენ. ჩიტები გალობდნენ.

ცოტა გზა რომ გაიარა, მართლა მოესმა ხმა და მალე სასაფლაოსაც მიადგა.

სოფლის სასაფლაო იყო, შემოუღობავი და მოუვლელი.

მესაფლავეები მზის გულზე მუშაობდნენ და ოფლი გადასდიოდათ. ლუარსაბი რომ მიუახლოვდა, მუშაობა შეწყვიტეს და ოფლიანი შუბლები სახელოებით მოიწმინდეს.

ლუარსაბი ხმადაბლა და წყნარად, ვითარების შესაბამისად მიესალმა:

— გამარჯობათ.

— იცოცხლე, ჩემო ბატონო! — ერთდროულად უპასუხა სალამზე ორივე მესაფლავემ.

ერთი პირმრგვალი იყო, ჯმუხი და ჭროღათვალებიანი. მეორე — ხმელი, შუბლდაღარული და წვერმოშვებული; დაკაპიწებული სახელოების ქვეშ, მაჯებზე და მკლავებზე დაბერილი ძარღვები ასხდა.

ხელობით არც ერთი არ ყოფილა მესაფლავე, ჩვეულებრივი მიწის მუშები იყვნენ, როგორც მათი ნათესავები და მეზობლები. ლუარსაბი ორთავეს იცნობდა. სახელებიც ახსოვდა: ერთს სარდიონი ერქვა, მეორეს — ვასილი. თუმცაღა ეს ცოდნა უსარგებლო იყო, რადგან ის აღარ იცოდა, რომელს ერქვა სარდიონი და რომელს — ვასილი.

მისალმებისას თითო ნაბიჯით უკან დაიხიეს, ბარებს დაეყრდნენ და ასე ერთ ადგილას გაშეშებულები სივრცეს მიაჩერდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ პირველ სიტყვას ლუარსაბისგან მოელოდნენ.

ლუარსაბმა თქვა:

— გავიდა სამშვიდობოს საწყალი ალისტრახო?

— ღმერთმა შენც მოგყაროს, ჩემო ბატონო, მაგის ხნის და ჩვენც. — სწრაფად გამოეპასუხა წვერმოშვებული.

— იაკინთე შემხვდა წელან და იმან მითხრა, თორემ, ალბათ, ვერც გავიგებდი.

— შორს არიან. არ მოაწევდა ხმა. ისე, დიდი კივილი და შეცხადება არც კი ჰქონიათ. — ამჯერად ჭროღათვალებიანმა უპასუხა.

— სწორიცაა, — თქვა წვერმოშვებულმა. — მაგ ხნის კაცს დიდი ტირილი არ შეეფერება. შეიძლება მერე გაგკილონ კიდეც. ხომ იცით, სოფელი სხვანაირია.

— მე თუ მკითხავ, — ჭროღათვალებიანმა თავისი ჭროღა თვალები სივრცეს გაუშტერა. — დიდი მოთქმა და ტირილი არც მოხუცს უნდა და არც ახალგაზრდას.

— ოჰ! რატომ, შეკაცო? — წვერმოშ-

ჯემალ ქარჩხაძე
ღღე ერთი

ვებულმა დაღარული შუბლი კიდევ უფრო შეიჭმუხნა.

— რა იცი, სად მიდის? იქნება უკეთეს ადგილს კაცი ვერ ინატრებს!

— ხო მოკვდა და, სადაც არ უნდა მიდიოდეს, დატირება მაინც საჭიროა. ორი დღით რომ ამგზავრებ ახლობელს, მაშინ გინდება კაცს ტირილი და... თუ არადა, აგერ ვკითხოთ, ნასწავლი კაცია და გვეტყვის... — წვერმოშვებული ლუარსაბს მიუბრუნდა.

ჭროღათვალებიანიც სმენად იქცა.

— რა ვიცი... — თქვა ლუარსაბმა. — ვისაც როგორ ეტირება, ალბათ, ისე უნდა იტიროს. კაცი ხომ საკუთარ თავს ტირის და არა მიცვალებულს.

— ა, სიმართლე თუ გინდა, ესაა! — სწრაფად და უყოყმანოდ დაეთანხმა წვერმოშვებული.

— კი, კი. რაც მართალია, მართალია. — ხალისით დაუკრა კვერი ჭროღათვალებიანმაც.

და ლუარსაბი მიხვდა, რომ, რაც არ უნდა ეთქვა, მაინც დასტურს მიიღებდა. იმიტომ კი არა, თითქოს მის „ნასწავლობას“ ბრმად ენდობოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ამ პატარა, სახელდახელო კამათს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და მხოლოდ მის საპატივცემლოდ, მის შესაქცევად გამართეს.

ლუარსაბს ჯერ ისეთმა გრძნობამ გაჰკრა გულში, კაცს რომ გაგაცურებენ და ძალიან გვიან მიხვდები ამას, მერე ეს გრძნობა გაიფანტა და მის ადგილას ბუნდოვანი სიამაყე და უმისამართო პატივისცემა გაჩნდა. ამ ორმა გლეხმა, ერთი შეხედვით უხეშმა მიწის მუშებმა, ალბათ, არც იციან, რა უნატიფესი ნერვი აქვთ სხეულში, რა ფაქიზად და გულმოდგინედ უმუშავია მათს ჯიშში საუკუნეობის ჩარხს. ერთი პირმრგვალი იყო, ქერა და ჭროღათვალებიანი, მეორე — გამხდარი, კუშტი და წვერმოშვებული. მშვიდად ჩამოყრდნობოდნენ ბარებს და დინჯად მასლაათობდნენ. სტუმრის პატივისცემა მუშაობის გაგრძელებას უკრძალავდა, თუმცა საქმე ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ და, ალბათ, დროც აღარ ითმენდა.

ლუარსაბი მალე მიხვდა ყოველივე ამას და წასვლა დააპირა.

— აღარ გაგაცდენთ. საქმე გაქვთ მოსათავებელი.

— თუ გვიკადრებ და არ დაგვძრახავ, — აუჩქარებლად შეაჩერა წვერმოშვებულმა, — კი ეკუთვნის ალისტრახოს შესანდობარი.

ამ სიტყვებით ბარი ნელა დაუშვა ძირს და შეტრიალდა.

ლუარსაბმა თვალი გააყოლა. იქვე, ცაცხვის ძირში, დოქით ღვინო იდგა, ჭიქა და თეფში, რომელზედაც თხლად დაჭრილი პური და ყველი ეწყო.

წვერმოშვებულმა ცალი ხელით დოქი აიღო, მეორეთი — ცარიელი ჭიქა, ლუარსაბისკენ მოტრიალდა და ისე შეჩერდა.

ჭროღათვალებიანმაც დადო ბარი და ამხანაგს შეუერთდა.

ლუარსაბი რომ მივიდა, წვერმოშვებულმა ჭიქა შეავსო და მიაწოდა.

— სუფთა ჭიქაა. ჯერ არავის დაულევია.

ლუარსაბმა უცებ ვერ იპოვა პასუხი. „ოჰ“-ო, თქვა საყვედურნარევი ღიმილით და ჭიქა ჩამოართვა.

— ღმერთმა გაანათლოს ალისტრახოს სული. მის დანატოვარს დიდი დღე მისცეს.

— ამინ! — ერთხმად შეაშველა ორთავემ.

წვერმოშვებულმა დაცლილი ჭიქა დოქთან ერთად ძირს დადგა და სანაცვლოდ თეფში აიღო.

— ყველი და პური დააყოლე, ჩემო ბატონო.

— გმადლობთ. — ლუარსაბს არაფრის დაყოლება არ უნდოდა, მაგრამ, ცუდად რომ არ ჩამორთმეოდა, მაინც მოციცქნა ყველი და გაღეჭა. მერე შეეშინდა, დაყოვნებას ახალი ჭიქა არ მოჰყვესო, და საჩქაროდ დაუმატა: — წავალ ახლა, ისედაც ბევრი მოგაცდინეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ბრძანებ! — სწრაფადვე გამოეპასუხა წვერმოშვებული.

— აბა, კარგად იყავით. ღმერთმა ყველას დიდხანს გვაშოროს ეს დღე.

— ამინ!

ლუარსაბი წამოვიდა. უკან სიჩუმე იყო. სასაფლაოს რომ გამოსცდა, მხოლოდ მაშინ მოესმა განახლებული მუშაობის ხმა.

ნელა მიაბიჯებდა ტანმაღალი ხეებით გადმობურულ ბილიკზე და სხეული სიმშვიდით ევსებოდა. ღვინო ეამა და გუნება გამოუკეთდა.

„საიდანა აქვთ ამხელა შინაგანი სინატიფე ამ კაცებს, რომელთაც მთელი სიცოცხლე მიწიდან თავი არ აუღიათ?“

არადა, ვინმეს რომ უთხრა, შეხედე, რა ნატიფი და დახვეწილი კაცები არიანო, ხუმრობა ეგონება. შენი თანამოსაუბრისათვის ნატიფი და დახვეწილი ხალხი პეტრეებია. განსაკუთრებით პეტრე დიდი. პეტრე დიდი მართლა განსაკუთრებით დახვეწილია თავისი გამოზომილი მიმოხრით, რომელიც, ერთი მხრივ, დარდიმანდულობის ზღვარს უახლოვდება და, მეორე მხრივ, თავაზიანობის ჩარჩოს იოტისოდენადაც არ სცილდება, თავისი ჟესტიკულაციით, რომელშიაც ჰარმონიულადაა შეხამებული სიმკაცრე და სილაღე, ღიმილით, რომელიც ერთდროულად გულითადიცაა და მიუკარებელიც. დანა-ჩანგლის ხმარებაში ხომ ტოლი არა ჰყავს. ზუსტი, გამოზომილი მოძრაობები, თავის დახრის კუთხე, პირის ჭრილის სიდიდე ლუკმის ჩადების დროს. ჩანგალი ისე სათუთად ერჭობა ხორცს, თითქოს ფრთხილობს, არაფერი ვატკინოო. დანაც ისე ფაქიზად ჭრის, გეგონება, საუკეთესო დასტაქარი ოპერაციას აკეთებდეს. სხვამ რომ ისე ჩაარჭოს ჩანგალი, როგორც პეტრე დიდი არჭობს, ხორცი თეფშზე დარჩებოდა, მაგრამ პეტრე დიდმა იცის, სად არის ის ზღვარი, როცა ჩანგალს არც სიხარბე დაეტყობა და თან საკმაო სიღრმეზეც შევა საიმისოდ, რომ ხორცის თეფშიდან აღება შეძლოს... ხოლო თუ გინდა ჭეშმარიტ სინატიფეზე წარმოდგენა იქონიო, იმ დროს უნდა იხილო პეტრე დიდი, როცა მანდილოსანს ხელზე კოცნის. მკრეხელობაც კია ამის სიტყვებით გადმოცემა. პეტრე დიდი ახლო მიდის მანდილოსანთან (სიახლოვე, რომელიც თავაზიანობისა და სითამამის მიჯნაზე გადის), ჯერ ოდნავ, მხოლოდ მისალმების ნიშნად იხრება, მარჯვენა ხელს მსუბუქი და ლაღი მოძრაობით წაიღებს და თავის სამ თითში ნაზად მოიმწყვდევს მანდილოსნის სამ თითს. სანამ ხელი ამას აკეთებს, თვალები თვალებში უყურებს მანდილოსანს, ხოლო სახეზე გადაფენილ გულითადსა და მიუკარებელ ღიმილს აშიკის მცირეოდენი მარილი აქვს მოფრქვეული. ამის შემდეგ მანდილოსნის ხელს ოდნავ, სულ ოდნავ მოიზიდავს, თავად კი ღრმად იხრება მთელი თავისი დიდი და სქელი სხეულით, ტუჩებს ოდნავ შეახებს მანდილოსნის ხელს (ძირითადად შუათითს) მეორე და მესამე სახსარს შუა და უხმოდ, მხოლოდ სიმბოლურად, კოცნის. ერთადერთი სუსტი ადგილი მთელ ამ უმშვენიერეს რიტუალში ისაა, რომ ამ დროს უკნიდან მთლად ისეთი შესახედავი არ არის, როგორც მის თანამდებობასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას შეეფერება. მაგრამ ამ მცირე ნაკლს პეტრე დიდი ვერ ამჩნევს, რაკიღა შეუძლებელია უკნიდან შეამოწმოს საკუთარი თავი. სხვა კი ვინ ეტყვის, ან რატომ ეტყვის?

პეტრე დიდს რომ ის ჭროღათვალებიანი კაცი დაუყენო გვერდით, რომელსაც ან სარდიონი ჰქვია, ან ვასილი, ანდა მეორე — წვერმოშვებული, რომელსაც აგრეთვე ან სარდიონი ჰქვია, ან ვასილი, ვერც ერთი ვერ გაუძლებს ასეთ გამოცდას, უფრო მეტიც, სასარგებლო ფონს შეუქმნიან სუფთად გაპარსულ, მდიდრული უბრალოებით შემოსილ, ამაყად და ღრმა თავდაჯერებით გამომზირალ უპირატესობას. ვისაც არ უნდა

ჯემალ ქარჩხაძე
ლე ერთი

აჩვენოთ ეს სურათი, ყველა პეტრე დიდს აირჩევს ფალავნად, რადგან თვალი შურიანია და არასოდეს იმაზე არ ფიქრობს, რომ ყოველგვარ დოქს ერთი და იგივე დანიშნულება აქვს და მთავარი მათი მოყვანილობა და სილამაზე კი არ არის, არამედ ის, თუ რომელში როგორი ღვინო ასხია.

„კი უნდა მივსულიყავი სამძიმარზე“. — გაიფიქრა ლუარსაბმა.

თავად ალისტრახოსაც იცნობდა და მის ოჯახსაც. მაგრამ იცოდა, არ მივიდოდა. დღევანდელ დღეს პანაშვიდით არ დაამძიმებდა. არც ოჯახს ექნებოდა მაინცდამაინც პრეტენზია. ლუარსაბი მთელ სოფელს იცნობდა, განსაკუთრებით უფროს თაობას, მაგრამ შინაგანი დისტანცია, რომელსაც ორივე მხარე კარგად გრძნობდა, მაინც ათავისუფლებდა ფორმალობებისა და ცხოვრებისმიერი პირობითობებისაგან.

ბილიკი აათავა და კვლავ იმ შარაგზაზე გავიდა, ორივე მხარეს რომ გვირილები მისდევდა.

მზეს მცხუნვარება მომატებოდა. წინ ცხელი დღე იდო.

გზაზე საბარგო მანქანამ ჩამოიქროლა და მტვერი დააყენა. ლუარსაბი ღობისკენ მიიწია, მტვერს დაჯდომა აცალა.

ჭიშკარს რომ მიადგა, წერილი გაახსენდა. ჯიბე ხელით მოისინჯა და ეზოში შევიდა.

დანარჩენი ფოსტა მერხზე დახვდა, მაგნოლიის ძირში, იქ, სადაც დატოვა.

სამზადის კარში ელენე გამოჩნდა.

— ლუარსაბ! — და წამოვიდა. როგორც ჩანს, რაღაც ჰქონდა სათქმელი.

— ალისტრახო მომკვდარა. — დაასწრო ლუარსაბმა.

ელენემ შუბლი ოდნავ შეიჭმუხნა.

— რომელი ალისტრახო?

— ალისტრახო. ჭინკების ალისტრახო.

ელენე დაფიქრებით მიაჩერდა ქმარს. მერე უცებ გაახსენდა.

— რას მეუბნები! საწყალი, რა ტკბილი მოხუცი იყო, ალალი და გულკეთილი! — აქ მცირე პაუზა გააკეთა, ბათ, იმის ნიშნად, რომ ახალ აბზაცს იწყებდა, და დაუმატა: — ვიღაც კაცია შენთან.

— ვინ კაცია?

— არ ვიცი. თვითონ არ უთქვამს და მეც ვეღარ ვკითხე, არ იუხერხულოს-მეთქი.

— იქნება ა. ბუაძეა?

ელენემ მსუბუქი საყვედურით შეხედა.

— რას აიკვიატე ეს ა. ბუაძე!

— რა ვიცი, თავისით ამეკვიატა. — თავი მოისაწყლა ლუარსაბმა. — სად არის?

— ზემოთ ზის, კაკლის ძირში. შინ არ შემოვიდა.

— კარგი. მაშ, ავალ, შევჭამ და ხელადვე დავბრუნდები. — ცოლს გაუღიმა და ბილიკს შეუყვა. მერე, თუმცა ელენე უკვე შორს იყო და ვეღარ გაიგონებდა, იმავე ტონით განაგრძო: — ძვლებს მეზობლის ეზოში გადავყრი, მე რომ არ დამბრალდეს.

შუახნის კაცი იყო. მაგიდასთან იჯდა, ხელები და ნიკაპი ჯოხზე ჩამოეყრდნო და დაფიქრებული გასცქეროდა სივრცეს. რუხი ფერის გაცრეცილი შლაპა მაგიდაზე იდო. თხელი, შევერცხლილი წვერი ჰქონდა და მოგრძო, კიდევ უფრო შევერცხლილი თმა. თეთრი ტილოს კიტელი ეცვა. წვერი ეჩოთირებოდა თვალს, თორემ სხვაფრივ პროვინციელ ინტელიგენტს ჰგავდა. ეტყობა, ღრმად იყო ჩაფლული ფიქრებში, იმიტომ რომ ლუარსაბის მისვლა არ გაუგია.

ლუარსაბმა უცნობი მაინც სოფლის მასწავლებლად მიიჩნია, ისტორიის მასწავლებლად, რომელმაც გაზეთიდან შეიტყო, რომ ლუარსაბ რაზმაძეს სამოცი წელი შეუსრულდა და თავის მოვალეობად ჩათვალა საიუბილეო თარიღი მიელოცა „სახელოვანი მეცნიერისათვის“.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გალოდინეთ.

კაცმა აუჩქარებლად მოაბრუნა თავი და ასევე აუჩქარებლად წამოდგა.

შარვალი და ფეხსაცმელებიც თეთრი ეცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაპატიეთ, ფიქრებში ვიყავი გართული.

— იფიქრეთ, იფიქრეთ. — დამამშვიდებელი კილოთი ჩაურთო ლუარსაბმა.

კაცს ყურადღება არ მიუქცევია მისი კეთილმოსურნე ირონიისათვის. ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მოგილოცავთ სამოცი წლის შესრულებას.

ლუარსაბმა ხელი ჩამოართვა.

— გმადლობთ. მართლა მოსალოცია. სამოცი წელი სიცოცხლეში, დიდი-დიდი, ერთხელ შეგისრულდეს კაცს.

— მეც დღეს შემისრულდა სამოცი წელი.

— რას ამბობთ! რა სასიამოვნო დამთხვევაა! მაშ, შევაერთოთ მაგიდები.

— რა მაგიდები?.. აა! იხუმრეთ?

კაცის ხმაში რაღაც უცნაური კილო გაისმა. ლუარსაბმა დაკვირვებით შეხედა უცნობს.

— მგონი ხუმრობას მაინცდამაინც არ უნდა სწყალობდეთ.

— ხუმრობა ტკივილის დამაყუჩებელი წამალია. — თქვა უცნობმა.

„ვითომ ისტორიის მასწავლებელია?“ — გაიფიქრა ლუარსაბმა და უთხრა:

— ისტორიის მასწავლებელი არ უნდა იყოთ.

— ვგავარ? — უცნობმა ტანსაცმელზე დაიხედა. — არა, ისტორიის მასწავლებელი არა ვარ.

— ვინა ხართ? — ლუარსაბს საკუთარი ხმა ცოტა დაძაბული მოეჩვენა.

კაცი ლუარსაბის მიღმა გასცქეროდა სივრცეს.

— ლუარსაბ რაზმაძე გახლავართ.

ლუარსაბს ტანში დენმა დაუარა და წამით შეტოკდა. ამდილანდელმა სიზმარმა ოდნავ გადასწია ფარდა, გამოიჭყიტა და მყისვე ისევ მიიმალა. გონებაში საიდანღაც შემოძვრა სიტყვა „პლაგიატი“, რომელიც უშნოდ და სულელურად დაკუნტრუშობდა და ადგილს ვერ პოულობდა, რადგან მისი ფერი არ შეესაბამებოდა იმ გარემოს, სადაც დაბუდებას აპირებდა.

სანამ ლუარსაბი გამოერკვეოდა და რამეს იტყოდა, უცნობმა დაასწრო, ოდნავშესამჩნევად გაიღიმა და თქვა:

— მაპატიეთ. შემეშალა.

— რა? საკუთარი სახელი?!

ამ სიტყვებმა ისე ამოხეთქეს, ლუარსაბმა გაკვირვების განცდაც კი ვერ მოასწრო.

— ნუ გაგიკვირდებათ, — მშვიდად უთხრა უცნობმა. — გაკვირვებას ყოველთვის ახლავს ახირებული ქადილი, თითქოს სამყაროს ყველა საიდუმლო ამოხსნილი გაქვს. — აქ ცოტა შეიცადა და დაუმატა: — მე ანაპოდისტე ბუაძე ვარ.

ლუარსაბმა მარჯვენა ხელი უნებლიეთ მარცხენა ჯიბეზე იტაცა, სადაც წერილი ედო, და ამით ისეთ კაცს დაემსგავსა, რომელმაც მოულოდნელად გულში მწვავე ტკივილი იგრძნო.

მერე ქვის მერხზე ნელა დაეშვა, სტუმარს ყურადღებით დააცქერდა და უცებ გაბმით დაუსტვინა.

— ამ სახელის გამოცნობას ლარისათა მთელი ბატალიონი არ ეყოფოდა. მით უმეტეს, რომ სახელი შეცდომით დაგიწერიათ. „ანაპოდისტე“ შემოკლებით უნდა დაიწეროს არა „ა“, არამედ „ან“.

— არ ვიცოდი. — მშვიდი ინტერესით მიუგო სტუმარმა და დაუმატა: — ჩანს, ჩემი წერილი მიგიღიათ.

— მივიღე.

— გაუგებრობა მოხდა.

— რა გაუგებრობა?

— ის წერილი თქვენთვის არ მომიწერია.

სიბნელეში თითქოს შუქი შემოიპარა და შორიახლო შეჩერდა.

— მაშ, ვის მისწერეთ? — მკვახედ ჰკითხა ლუარსაბმა, მაგრამ შეცბა და სწრაფად გამოასწორა: — ვის მისწერეთ, რა ჩემი საქმეა... მაშ, მე რაღად გამომიგზავნეთ?

— გაუგებრობის გამო. სწორედ მაგი-

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ტომ მოვედი. ბოდიში მინდა მოგიხადოთ და, თუ ის წერილი არ დაგიხევიათ და არ გადაგიგდიათ, უკანვე წავიღო.

— არ დამიხევია, — მიუგო ლუარსაბმა. — და არ გადამიგდია. — წერილი ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დადო. — ინებეთ.

— გმადლობთ. — სტუმარმა წერილი აიღო და დახედა. — კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ და ამდენი დრო დაგაკარგვინეთ.

— მაინც ასეთი რა გაუგებრობა მოხდა, რომ კონვერტს ჩემი მისამართი დაეწერეთ და შიგ სხვისი წერილი ჩადეთ?

სტუმარი ერთხანს დუმდა. მერე თქვა:

— როცა ის წერილი დავწერე და იმისთვის უნდა გამეგზავნა, ვისთვისაც უნდა გამეგზავნა, შემთხვევით ხელში გაზეთი ჩამივარდა, რომელშიაც ვრცელი სტატია იყო თქვენზე. — ანაპოდისტე ბუაძემ ხელები და ნიკაპი ჯოხს ჩამოაყრდნო, შორეულ სივრცეს მიაჩერდა და იმ პოზაში გაირინდა, რა პოზაშიაც დახვდა აქ ლუარსაბს. — მატერიაში არ არსებობს განუყოფელი სიმშვიდე, განუყოფელი სიმშვიდის გარეშე კი მატერიის დაძლევა შეუძლებელია... იმ სტატიამ გამაღიზიანა. მომეჩვენა, რომ მეტისმეტად დაუნდობლად გაქებდათ ავტორი... როცა მივხვდი, სისულელე ჩამიდენია, წერილი უკვე გამოგზავნილი მქონდა. — ჯიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო და თავისი წერილი შიგ ჩადო. — ამის ბრალია ყველაფერი! — წკიპურტი დაჰკრა გაზეთს.

— ეს ის გაზეთია?

— დიახ. ის არის.

— შეიძლება? — ლუარსაბმა ხელი გაიწოდა.

— ინებეთ.

ლუარსაბმა გამოართვა, წერილი ამოიღო, ისევ მაგიდაზე დადო და გაზეთს გაშლა დაუწყო.

ცხადია, გაუშლელადაც იცნო. ორი თუ სამი ეგზემპლარი თვითონაც ჰქონდა სახლში. სტატიის ავტორი შესახედავად საამო ქალი იყო, ახალგაზრდა, მოხდენილი, ჯიშიანი, მაგრამ უგემურად აფახულებდა გრძელ წამწამებს და გულისგამაწვრილებლად კეკლუცობდა. და ეს არაბუნებრივი კეკლუცობა ხაზს უსვამდა იმ ღრმა და თვითმყოფად პროვინციალიზმს, რომელიც პროვინციიდან არ შემოდის, დედაქალაქშია დაბადებული და გაზრდილი, და რომელსაც პერიფერიის გარეგნული, მტვერივით იოლად ჩამოსაბერტყი პროვინციალიზმისაგან განსხვავებით, არაფერი არ შველის; არც აღზრდა, არც განათლება, არც გარემო, რადგან იგი სისხლშია გახსნილი და ვერა ძალა იქიდან ვერ გამოდევნის... ქებით, რა თქმა უნდა, მართლა დაუნდობლად აქო, მაგრამ რა ნახა ამაში საკვირველი ამ ანაპოდისტე ბუაძემ? ციდან ხომ არ ჩამოფრენილა? განა არ იცის, რომ გაზვიადებული ქება და გაზვიადებული ძაგება ჩვენი ეროვნული თვისებაა, რომელიც თანამედროვე პრესაში, უბრალოდ, უკიდურესი სახით გამოვლინდა? არა, სტატია, უდავოა, დიდი ვერაფერი შვილი იყო, ვერც ლუარსაბს შემატებდა რამეს და ვერც ავტორის ჟურნალისტურ სახელს. სამაგიეროდ, პორტრეტი მართლა კარგი გამოვიდა, — ლუარსაბის შეფარული, ოდნავ ირონიული ღიმილი, ფიქრიანი და შორს მაცქერალი თვალები, მხნე, ახალგაზრდული გამომეტყველება. პორტრეტი კარგი გამოვიდა. სწორედ პორტრეტისთვის შეინახა გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარი და არა სტატიის გამო.

ლუარსაბმა გაზეთი გაშალა, დახედა და შეცბა.

იისფერი, მდარე ხარისხის მელნით იყო ნამუშევარი.

გრძელი, წვეტიანი წვერი გაეკეთებინათ, თვალების ჭრილი დაევიწროებინათ, თავზე მაღალი ფაფახი დაეხურათ, ულვაშები ზემოთ აეპრიხათ, შუბლი ნაოჭებით დაეღარათ, ყურები დაეგრძელებინათ (მარცხენა უფრო მეტად, ვიდრე მარჯვენა), ლოყებზე პატარ-პატარა, ხშირი ხაზები მიმოებნიათ, რათა სახე გაუპარსავი გამხდარიყო.

— ეს თქვენი ნახელავია?

— რა? — ანაპოდისტე ბუაძემ თავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავთან მიუტანა ლუარსაბს და გაზეთს დახედა. — აა! დიახ, ჩემია.

— და ეს მე ვარ, არა?

— რა თქმა უნდა. თქვენა ხართ. ზურგიდან.

— ზურგიდან? — ლუარსაბმა გაზეთს თვალი მოაშორა და სტუმარს შეხედა.

— ზურგიდან. — მშვიდად დაუდასტურა სტუმარმა. — მე კარგად ვერ გამომივიდა. ალბათ, შეატყობდით, განსაკუთრებით ყურების მოხაზულობაზე, რომ ჩემს დღეში არაფერი დამიხატავს. ზოგი ჩინებულად აკეთებს.

— ჰმ... — ლუარსაბმა გაზეთი დაკეცა, წერილი ისევ შიგ ჩადო და პატრონს დაუბრუნა.

ანაპოდისტე ბუაძემ გაზეთი კიტელის ჯიბეში ჩაიდო.

ბილიკს რომ დაუყვნენ, ლუარსაბმა ჰკითხა:

— აქ როგორღა მომაგენით?

— შინ დაგირეკეთ, თბილისში. ტელეფონის ნომერი წიგნში მოვძებნე. შვებულებაშიაო, მითხრეს და აქ მომასწავლეს.

„რა გაურკვეველი ტიპია!“ — გაიფიქრა ლუარსაბმა. მერე უთხრა:

— თუ გინდათ, დარჩით. ამაღამ დიდი ლხინი მაქვს. ქუდი ჭერს უნდა ვკრათ. — და სტუმრის გაცრეცილი შლაპა შეათვალიერა.

ანაპოდისტე ბუაძემ შლაპა მოიხადა, დახედა და ისევ დაიხურა.

— არა, გმადლობთ. — და უცებ დაუმატა: — აგერ, იქ ვცხოვრობ, ტყის გადაღმა.

ლუარსაბმა ცერად მოხედა და გაიცინა.

— რას მიხსნით! კარეტას თქვენ არ გამომიგზავნით და უკარეტოდ მე არ გესტუმრებით... როგორ მითხარით, სად ვცხოვრობთ?

— იმ მთაზე. აი, ასე გახედეთ. — ხელი გაიშვირა სტუმარმა. — ხედავთ, მთის წვერზე პატარა შიშველ მდელოს?

ლუარსაბი დააკვირდა და დაინახა.

— კი, ვხედავ.

— მანდ არის ჩემი სახლი. მთის წვერს გადაივლით თუ არა, მიადგებით კიდეც.

და ლუარსაბმა უცებ იცნო.

მკვეთრად, მოწყვეტით შედგა.

სტუმარიც შეჩერდა და მოხედა.

— არა, არა! ნუ მობრუნდებით. პროფილით დამენახვეთ. — და სტუმარმა რომ თავი ისევ მიატრიალა, დაასკვნა: — კი. წუხელ სიზმარში გნახეთ.

ანაპოდისტე ბუაძეს ეს ამბავი მაინცადამაინც არ გაჰკვირვებია.

— წერილი უკვე მიღებული გქონდათ?

— არა. წერილი დილით მივიღე.

— ძლიერი მუხტი გაქვთ. თქვენისთანა კაცი წვრილმანებზე არ უნდა ცდებოდეს.

ლუარსაბს გაუკვირდა, რომ სტუმარმა სიზმრის ამბავი არაფრად ჩააგდო და ერთხანს უხმოდ უყურა. მერე, გზა რომ განაგრძეს, ჰკითხა:

— წვრილმანები რა არის?

— რაც ყოველდღიურია. რაც წარმავალია.

— ყველაფერი წარმავალია.

— სულიც? — სტუმარმა ცალი თვალით გამოხედა.

ლუარსაბი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა. არ უყვარდა, როცა ასეთ რამეზე სერიოზული კილოთი ელაპარაკებოდნენ.

— მე სიზუსტე მიყვარს. რაც არსებობს, ყველაფერი წარმავალია.

— მართალი ხართ. ჩვენი ხნის კაცებს უსარგებლო კამათი აღარ შეეფერებათ. თუმცა, ჩემი აზრით, „ჰამლეტი“ თავისუფლად შეიძლებოდა რომელიმე ჩვენგანს დაეწერა და არა მაინცადამაინც შექსპირს.

ლუარსაბი ვერ მიხვდა, რა წანამძღვრებიდან გამოიყვანა სტუმარმა ეს ბოლო წინადადება, მაგრამ კითხვის დროც აღარ იყო, რადგან უკვე კოინდარს მიაღწიეს და იქ ელენე დახვდათ.

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ანაპოდისტე ბუაძემ შლაპა წამოიწია და ელენეს თავი დაუკრა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ეს დაუკითხავი სტუმრობა. კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

ლუარსაბი ჭიშკრამდე გაჰყვა. ხმა აღარცერთს აღარ ამოუღია.

ჭიშკართან სტუმარი გამოეთხოვა:

— მშვიდობით.

—მშვიდობით. თქვენ კი არ აღნიშნავთ დაბადების დღეს?

— არა. — უკვე ჭიშკარს გადაღმიდან უპასუხა ანაპოდისტე ბუაძემ. — ჩემი დაბადების დღეებს არ ვითვლი. დღეს თქვენმა დაბადების დღემ გამახსენა. მშვიდობით.

ლუარსაბი ერთხანს იდგა და უყურებდა. სტუმარს ჯოხი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და მკვირცხლი, ახალგაზრდული ნაბიჯით მიდიოდა თავდაღმართში.

ანაპოდისტე ბუაძე თვალს მიეფარა და პირველი აზრი, რომელმაც ამ უცნაური სტუმრობის შემდეგ თავში გაუელვა ლუარსაბს, იყო: „ამ კაცს არანაირი ხასიათი არა აქვს“.

ამ აზრმა შეაკრთო, რადგან ბუნდოვნად იგრძნო, რომ მის უკან რაღაც ისეთი იგულისხმებოდა, რაც ლუარსაბის ღრმა პროტესტს იწვევდა.

არა. ხასიათი არ ჰქონდეს კაცს, შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი რამის არსებობა უნდა დაუშვა, რაც არ არსებობს. მაგრამ ხასიათი ცვლილებაში უნდა მჟღავნდებოდეს. ადამიანი განუწყვეტლივ გასცემს თავისი არსებობის რაღაც ნაწილს და ასევე განუწყვეტლივ იძენს სხვისი არსებობის რაღაც ნაწილს.

ეს ანაპოდისტე ბუაძე კი არც არაფერს გასცემდა და არც არაფერს იძენდა. თითქოს რაღაც უძრავი წერტილი ეპოვა და იქიდან მშვიდად გაჰყურებდა სამყაროს ბრუნვას. ერთი გამომეტყველება არ შეცვლია, ერთი ძარღვი არ შეტოკებია, ერთი კილო არ შეშლია. როგორი ტონითაც ელენეს ებოდიშებოდა დაუკითხავი სტუმრობის გამო, ისეთივე ტონით უყვებოდა ლუარსაბს პორტრეტის გადამუშავების ამბავს.

იქნებ ყველაფერსაც ამჟღავნებდა და, უბრალოდ, ლუარსაბის თვალს აკლდა სიზუსტე და სიმახვილე?

ამ ფიქრმა წამით გაიელვა და მყისვე უკუგდებულ იქნა.

ლუარსაბი იმით იყო ცნობილი, რომ სხვებზე სწრაფად და სხვებზე უკეთ შეეძლო კაცის ბუნების ამოცნობა.

არა, აქ სხვა მიზეზი უნდა ყოფილიყო... გარეგნობაც კი თითქოს რაღაცნაირი, არაკონკრეტული ჰქონდა.

„ვიგონებ რაღაცას!“ — გაიფიქრა ლუარსაბმა და ამ ფიქრით თავის თავს შემოსწყრა იმის გამო, რომ ამდენ დროს ანდომებდა ვიღაც შემთხვევით შემოხეტებულ კაცს.

ელენე ისევ სახლის წინ იდგა.

— ყვავილივითა ხარ ამოსული კოინდარში. — შორიდანვე შეეხმიანა ლუარსაბი.

ელენემ ქათინაური თბილი ღიმილით შეიფერა. მერე ჰკითხა:

— ვინ იყო?

— ა. ბუაძე.

— ოჰ, კარგი ერთი! — ელენემ არ დაიჯერა და ისეთი სახე მიიღო, კაცს რომ ერთი და იმავე ხუმრობით თავს მოგაბეზრებენ.

— მართლა გეუბნები. — და ლუარსაბმა სამზადისკენ გასძახა: — ეი, ანაქსაგორა!

ზღურბლზე ლარისა გამოჩნდა.

— მე მეძახით? — ისე მშვიდად და ღირსეულად იკითხა და ისეთი საქმიანი მოძრაობით შეისწორა სათვალე, თითქოს ანაქსაგორა მისი ნათლობის სახელი ყოფილიყოს.

„იუმორის დარგში ესეც ანაპოდისტე ბუაძეა“. — გაიფიქრა ლუარსაბმა.

— მოდი აქ. — დაუძახა მერე და, როცა ლარისა წამოვიდა, უთხრა: — როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ახლო შენ აღმოჩნდი ჭეშმარიტებასთან. ანაპოდისტე რქმევია.

— ვის? — იკითხა ლარისამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანაპოდისტე ბუაძეს.

— მართლა ეგ იყო? — მაინც ვერ დაიჯერა ელენემ.

— შენც ყველაზე ახლო აღმოჩნდი ჭეშმარიტებასთან. — ახლა მეუღლეს მიუბრუნდა ლუარსაბი. — მთელი ეს განცდები და კბილთა ღრჭენა, რაც იმ ყბადაღებულმა წერილმა გამოიწვია, გაუგებრობის შედეგი გამოდგა.

ელენე გამომცდელად უყურებდა.

— რაო, რა გითხრა?

— არაფერი. ბოდიში მოიხადა და წერილი უკანვე გამოითხოვა. ასე ერთბაშად გავთავისუფლდი ურიცხვი ბრალდებისაგან. ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნერვიულობა საჭმლის მონელებას აფერხებს.

ელენე თვალს არ აშორებდა, ლარისამ კი დიდის ღირსებით მიაბრუნა თავისი პატარა, მრგვალი თავი და მაგნოლიის ყვავილებს დაუწყო ცქერა.

ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

— ვნახავ, ვინ არის. — ყველას დაასწრო ლარისამ, პასუხს არ დალოდებია და ზედა სართულზე აჭენდა.

— რა ხდება? — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის იკითხა ელენემ.

— არ ვიცი. — ასევე ხმადაბლა, წყნარად მიუგო ლუარსაბმა და ახლა მის ხმაში ირონიის ნასახი არ ჩანდა. — შეიძლება ბადეში მოვყევით. ყოველ შემთხვევაში, წყალი რაღაც საეჭვოდ ტორტმანებს და ქვემოთ მიიწევს.

— მგონი ვბერდები. — ღიმილით გადაიქნია თავი ელენემ.

აივანზე ლარისა გადმოდგა.

— ბატონო ლუარსაბ, თქვენ გთხოვენ.

— მე სასეირნოდა ვარ წასული, ლარისა, ჩიტების ჟღურტულს ვუსმენ ჭალაში და ნახევარ საათში დავბრუნდები.

— კი ბატონო. — ლარისა შეტრიალდა.

— დაიცა! — მიაძახა ლუარსაბმა. — ვინ მკითხულობს?

— ბატონი პეტრეა.

— რომელი ბატონი პეტრე? დიდი ბატონი პეტრე თუ მცირე ბატონი პეტრე?

— დიდი.

— ჭალაში ვარ. ჩიტების ჟღურტულს ვუსმენ. — მაგრამ, ლარისა რომ შეტრიალდა, ისევ მიაძახა: — მოიცა, მოიცა! ამოვალ ახლავე. დაამთავრეს ჩიტებმა ჟღურტული.

ზურგში ელენეს დაფიქრებულ მზერას გრძნობდა. კიბეზე ლარისამ მოაჯირისაკენ მიიწია და გზა დაუთმო.

არეული, ჩამოუყალიბებელი გრძნობა, რომელიც გულში კი არა, სადღაც სხეულს გარეთ დაიბადა, გაჩქარებული ნაბიჯით მისდევდა გვერდით და რაღაცას საყვედურობდა.

— გისმენთ!

— სიცოცხლე და გამარჯვება ბატონ ლუარსაბს!

— გამარჯობათ, ბატონო პეტრე. როგორ გიკით...

— მოგილოცავ სიჭარმაგის დღესასწაულს.

— გმადლობთ, ბატონო...

— ასი წლისთავსაც ასე მხნედ და ყოჩაღად შეხვედროდე, ჩემო ლუარსაბ!

— დიდი მადლობა, ბატონო პეტრე! — ოთახში უთავბოლოდ, როგორც გზააბნეული ღამურა, დაფრინავდა ფიქრი: „რა იცი, რომ სამოცი წლისთავს მხნედ და ყოჩაღად შევხვდი?“

— გეტყობა, მაგარ პურ-მარილს ამზადებ. აქაც კი აგვაწრიალა სუნმა.

— სუნი ჩვენ რას გვარგია, ბატონო პეტრე! სუნით ღმერთები იკვებებიან. ჩვენ გემო უნდა ვიგემოთ.

— ხა-ხა-ხა! ეგეც მართალია.

— ჭორები დადის თქვენზე, ქალაქში აპირებს წასვლას და ამაღამდელ ლხინს აცდენსო. ეს სერიოზული ღალატი იქნება, ბატონო პეტრე. ამდენი ხალხის დაობლება და უთამადოდ დატოვება არ გეპატიებათ.

— მე მიპირებ თამადად დაყენებას?

— მომეცით უკეთესი კანდიდატურა და გაგათავისუფლებთ.

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

— ცოდვა ვარ, ბიჭო! ყველაფერმა ჩემს ზურგზე როგორ უნდა გადაიაროს. ვერ გავუძლებ ამდენს.

— სხვამ იკითხოს, თორემ თქვენ კი გაუძლებთ. იმედი მაქვს, ჭორები ჭორებად დარჩება.

— ქალაქში მართლა ვარ ჩასასვლელი, მაგრამ ისევ ამოვბრუნდები. ერთი ნახევარი საათი შემაგვიანდება. მოდი, იცი, რა ქენი? სხვა დანიშნე თამადად, მე ნუ დამელოდები. მერე, თუ გინდა, ჯარიმა დამალევინე.

— არა, არა! გამორიცხულია. დაგელოდებით, სად გვეჩქარება!

— უხერხულია, ბიჭო, ამდენი ხალხი ჩემი გულისთვის რატომ უნდა ალოდინო!

— არაფერია. რამეთი შევიქცევთ თავს.

— მერე დაიწყება ჩურჩული და მიეთმოეთი.

— არაფერი არ დაიწყება.

— კარგი, რა გიყო! მასპინძელი შენა ხარ და, როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი. აბა, საღამომდე, ჩემო ლუარსაბ. კიდევ ერთხელ მოგილოცავ და გკოცნი.

— გმადლობთ, გმადლობთ. დიდი მადლობა.

ლუარსაბმა ყურმილი დადო.

დამთავრდა სპექტაკლი.

არა, სპექტაკლი კი არა, ერთი ეპიზოდი დამთავრდა, ერთი სცენა, იგინივე და პეტრე დიდი, თორემ სპექტაკლი მარადიულია და უსასრულოდ გრძელდება.

პეტრე დიდმა იცოდა, რომ შეუხსენებლადაც დაელოდებოდნენ, ნახევარ საათსაც და კაი საათ-ნახევარსაც. თამადადაც აირჩევდნენ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც თადარიგის დაჭერა ამჯობინა.

ლუარსაბი ფანჯარას მიადგა. მწიფე ბალი ხალისიანი ფერებით იცინოდა.

პეტრე დიდი ესტრადის კომიკოსია. მკაცრი ოფიციალობის აბჯარს აისხამს, თავაზიანობის ხმალ-ხანჯალს შემოირტყამს, ბატონობითა და მუხლ-კალთის კოცნით დაგიწყებს საუბარს და შენც ამასვე გაიძულებს. მერე, დინტანცრის გრძნობით კარგად რომ გაგულენთს, მთელ ამ შეუვალ ოფიციალობას შენ შემოგაჩეჩებს, თვითონ კი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს მაღლა, ნაწილ-ნაწილ იყრის აბჯარსა და იარაღს, ბოლოს „შენობით“ მოგმართავს და „ბიჭოს“ დაგიძახებს. ასე ამკვიდრებს თავის მიუვალ სიმაღლეს პეტრე დიდი. თუ გაკადნიერდი და მაღლა-მაღლა მიმავალს თან გაჰყევი, მაშინვე საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება და თავიდან (ოღონდ ცოტა უფრო ხაზგასმით და ცოტა უფრო მკაცრად) დაიწყებს ყველაფერს.

ვინც არ იცის პეტრე დიდის თამაშის წესი, იგი მოხიბლულია თავდაპირველი თავაზიანობით და, თანაბარუფლებიანობის ილუზიით გაბრუებული, ისე მაღლდება საკუთარ თვალში, ხმასაც კი იბოხებს. და ბოლოსაც, როცა მახეში გაებმება და მიხვდება, რომ ცალმხრივი დისტანცია შეაჩეჩეს ხელში, ამ დისტანციის ცალმხრივობას იღებს როგორც კანონს, როგორც გარდაუვალსა და ბუნებრივ მოვლენას, და მაინც, ის საწყისი მდგომარეობა, ის პირველი, მოჩვენებითი წონასწორობა ესალბუნება მის უბადრუკ პატივმოყვარეობას.

ლუარსაბი მაგიდასთან მივიდა, ტელეფონის ყურმილი აიღო და უკანვე დადო. მერე ისევ ფანჯარას მიადგა და ხელები ჯვარედინად დაიკრიფა მკერდზე. დიდხანს იყო ასე და ბალს გასცქეროდა.

იქნებ ჩვენ იმიტომ კი არ ვთამაშობთ, რომ პეტრე დიდი გვეთამაშება, არამედ პეტრე დიდი თამაშობს იმიტომ, რომ ჩვენ ვეთამაშებით? იქნებ ჩვენ შეგნებულად შევიკუმშეთ, შეგნებულად დავპატარავდით, რათა იძულებული გაგვეხადა დიდი ყოფილიყო?

„ალო! რაში გჭირდება, ჩემო პეტრე, ეს კომედია? მე ხომ ვიცი, არაფერი ისეთი საქმე არა გაქვს დღეს ქალაქში, რომ სუფრაზე დაიგვიანო. ვის ატყუებ? ვის ეთამაშები ამ კუკუდამალობანას? მოდი ადამიანურად, დაჯექი და იყავი სუფრის რიგითი წევრი. თამადად სხვა

ამოვირჩიოთ. თუნდაც პეტრე მცირე“.

ტელეფონი კუპრისფერი იყო.

სიმამრ კალისტრატეს ნიჭი აკლდა და ამიტომ იძულებული იყო, სინდისის ხარჯზე ეცხოვრა. ალბათ, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა იმ ცნობილ ფრაზას ამბობდა.

სიზმარი ერთბაშად გამოვიდა სიბნელიდან და სინათლეზე დადგა.

ქვეყანაზე ჩამოწოლილ ბინდს უცნაური მეწამული შუქი შერეოდა, რის გამოც გარემოს სამარისებური სიჩუმის ფერი ედო. დაქცეული შენობა ქაოსურად მიმობნეულ ვეებერთელა ლოდებად ეყარა ძირს. ლოდები გაუგებარ გაკვირვებას იწვევდა. და ამ გაკვირვებაში შეზავებულიყო მცირე, მაგრამ საბედისწერო სიამოვნება, რომელიც არც ერთ სიამოვნებაში არ გაიცვლებოდა. ლოდებს ძირში ხავსი მოსდებოდათ. მიწა ბალახით იყო დაფარული. ლუარსაბ რაზმაძე ფრთხილად გადადიოდა ლოდიდან ლოდზე, ზოგჯერ ფეხი უსხლტებოდა და ორივე ხელით ქვებს ეჭიდებოდა. გვერდით აკადემიის პრეზიდენტი მიჰყვებოდა. იგი პრეზიდენტი იყო რაღაც უტყუარი ნიშნის მიხედვით, რომლის გაცნობიერება არაფრით არ ხერხდებოდა, მაგრამ პრეზიდენტის პრეზიდენტობის ურყევ რწმენას კი ბადებდა. პრეზიდენტს თეთრი თმა და თეთრი წვერი ჰქონდა და ლუარსაბ რაზმაძე ერთხანს იმაზე ფიქრობდა, ნეტა ეს წვერი ნამდვილია თუ ხელოვნურია. ყველაზე დიდი ლოდის გადაღმა რომ აგურის კედელი გაჩნდა, ლუარსაბმა იმედიანად თქვა; „შარშან გამაშავეს, მაგრამ წელს ხომ მაინც ამირჩევენ აკადემიკოსად!“ „წელსაც გაგაშავებენ, — დაამშვიდა პრეზიდენტმა და ხელი კედლისკენ გაიშვირა. — ხედავ? კარის ჭრილები სხვადასხვა ზომისაა. რა მეცნიერებაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ ვითარებაში?“ კარის ჭრილები მართლა სხვადასხვა ზომისა იყო და ლუარსაბმა უპასუხა; „კარის ჭრილს რა მნიშვნელობა აქვს! მთავარი ისაა, რომ სახურავი აღარ არის“. პრეზიდენტმა მოხედა და წარბი ასწია. „სახურავი აღარ არის? მაშ, ეს რა არის?“ — და ხელი ცისკენ გაიშვირა. ლუარსაბს გაუკვირდა და ცოტა შერცხვა კიდეც, რომ ასეთი უბრალო რამ ვერ შეამჩნია. ახლა მიწა უფსკრულივით იწვა შორს, ქვემოთ, და ლოდები პაწაწკინტელა კენჭებად მოჩანდა. ლუარსაბს ფეხის გულებში სიმაღლის შიშმა შეუღიტინა და ამ შიშშიც შეზავებული იყო მცირე, მაგრამ განწირული სიამოვნება, რომელიც არც ერთ სიამოვნებაში არ გაიცვლებოდა. მარჯვნივ, ხავსმოდებული კედლის მიღმა მუქი სიცარიელე იწვა. პრეზიდენტი სარკმელთან შეჩერდა. სარკმელი მრგვალი იყო. პრეზიდენტი სარკმლიდან იყურებოდა, თვალები გაფართოებოდა და სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო, რომელიც არც ერთი ეპითეტით არ გამოიხატებოდა. ლუარსაბი დაინტერესდა, ახლო მივიდა და, სარკმლიდან რომ გაიხედა და შორს, გორაკზე თეთრი ეკლესია დაინახა, შეშფოთდა, რადგან ამ სარკმლიდან ეკლესია არასოდეს შეუნიშნავს. პრეზიდენტმა უყურა ეკლესიას, უყურა, მერე ნაღვლიანად გადაიქნია თავი და თქვა: „აფსუს, რა რეზონანსი იკარგება!“ ლუარსაბს კი ეკლესიის დანახვაზე სიმარტოვისა და სიცარიელის განცდა დაეუფლა და ცუდ გუნებაზე დადგა. დარბაზიც რაღაც გაუგებარი, მაგრამ უტყუარი ნიშნის მიხედვით იყო აკადემიის დარბაზი, თორემ გარეგნულად სასამართლოს დარბაზს უფრო ჰგავდა თავისი მაგიდით, მაღალზურგიანი სკამებითა და დამთრგუნველი ატმოსფეროთი. პრეზიდენტი მოსამართლის სკამზე დაჯდა და თქვა: „წელსაც გაგაშავებენ“. „რატომ?“ — ჰკითხა ლუარსაბმა. „არ გათეთრდების ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა“. — მიუგო პრეზიდენტმა და ჩაიხითხითა. ლუარსაბს აღიზიანებდა პრეზიდენტის უადგილო ოხუნჯობა. პრეზიდენტი კი, სიცილი რომ ხველებაში გადაუვიდა, წამოდ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა და ლუარსაბს ხელი გაუწოდა. „მშვიდობით!“ ლუარსაბმა ხელი ჩამოართვა და . ჰკითხა: „უკვე დამთავრდა?“ „არა, — მიუგო პრეზიდენტმა. — მაგრამ ბავშვები კარნავალს მართავენ და მთხოვეს, მონაწილეობა მიიღეო. ეს წვერიც საკარნავალოდ მივიწებე“.

გარეგნულად ყველაფერი ზუსტად, აღდგა, ყველა წვრილმანით, ყველა დეტალით. მაგრამ ეს არ გამოდგა საკმარისი, რადგან ცხადად აღდგენილს რაღაც არსებითი აკლდა, უმთავრესი ძარღვი, სიცოცხლის მიმნიჭებელი ნაპერწკალი, ისეთი რამ, რაც უზუსტეს ასლს აკლია დედანთან შედარებით. სიზმარი დამოუკიდებელი სამყაროა, სადაც ქაოტურად მიმობნეული ლოდები და ხავსმოდებული აგურის კედელი ღრმა შინაგანი კავშირითაა დაკავშირებული მრგვალი სარკმლიდან დანახულ თეთრ ეკლესიასთან და პრეზიდენტის საკარნავალო წვერთან. მღვიძარე გონებისთვის კი ის შიში, გაღიზიანება და მცირე, მაგრამ ყოვლისმომცველი სიამოვნება, რომელიც სიზმარში ბედისწერის მთავარ ნერვს აშიშვლებს და მტკივნეული ნეტარებით არხევს, მკვდარი სურათია.

ეს, ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო. ლუარსაბმა დიდი სურვილის გამო სინამდვილეს ანგარიში ვერ გაუწია, თორემ მშვენივრად იცოდა, რომ სიზმრის ჩხრეკა და კირკიტი ამაო გარჯაა. სამაგიეროდ, ახლა სხვა საფიქრალი გაუჩნდა: ყველაფერი რომ კარგად გაიხსენა და აღადგინა, გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ სიზმარში ნანახი პრეზიდენტი სულაც არ ყოფილა ანაპოდისტე ბუაძე. ის, რაც ცოტა ხნის წინ იგივეობა ეგონა, მხოლოდ ზოგადი მსგავსება გამოდგა. არადა, ანაპოდისტე ბუაძეს რომ უთხრა სიზმარში გნახეო, ეჭვი არ ეპარებოდა, სრულ სიმართლეს ეუბნებოდა. ახლა ეს სიმართლე სხვა სიმართლემ შეცვალა და, რაც მთავარია, ვერასოდეს ვერ გაირკვეოდა, რომელი მათგანი იყო ნამდვილი, რადგან ერთადერთი მოწმე, საკუთარი თავი, ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას იძლეოდა.

ლუარსაბმა მძიმედ გაიარ-გამოიარა სიარული უჭირდა. თითქოს ძარღვებში სისხლის მაგივრად ტყვია ესხა.

მერე შუა ოთახში ჭაღის ქვეშ შეჩერდა და გაიფიქრა:

„არ უნდა ამოვსულიყავი. შინ არ არისო, ლარისას უნდა ეთქვა, ნახევარ საათში დაბრუნდებაო. ნეტა კიდევ დარეკავდა ნახევარი საათის შემდეგ? მიხვდებოდა, რომ მოატყუეს. ჯერ ერთი, ლარისა ტყუილს ისე ვერ იტყოდა, ორჯერ მაინც არ წაბორძიკებულიყო, და, ესეც არ იყოს, ამგვარი რამ პეტრე დიდს არ გამოეპარება. ასეთი ილეთები თვითონ უკეთა აქვს დამუშავებული. მიხვდებოდა და მიხვდებოდა! მერე რა? წვეულებაზე არ მოვიდოდა? დიდი ამბავი! თუმცა მოსვლით მაინც მოვიდოდა. მარტო იმიტომ მოვიდოდა, რომ წყენა არ შეემჩნია... ჰმ! არც პეტრე დიდის ცხოვრებაა ია და ვარდით მოფენილი!“

„ალექსი-ალეს კი ამ დროს მშვიდად და უდრტვინველად სძინავს“. — გაჩნდა საიდანღაც უადგილო ფიქრი.

უცებ სხეულში.რაღაც ამოძრავდა. და ის, რაც სხეულში ამოძრავდა, სხეულს მიარღვევდა და, საცა გაივლიდა, ყველგან ტკივილს ტოვებდა. ტკივილი ყრუ და ბლაგვი იყო, ოთხივე მხარეს იშლებოდა და ძალუმად აწვებოდა სხეულის კედლებს.

და ლუარსაბი მიხვდა; ანაპოდისტე ბუაძემ იცრუა!

ანაპოდისტე ბუაძემ იცრუა. ის წერილი გაუგებრობის შედეგი არ ყოფილა. ის წერილი ზუსტი მისამართით გამოგზავნა, რადგან ასეთი წერილის ადრესატი სხვა ვერავინ იქნებოდა, თუ არა ლუარსაბ რაზმაძე, ჭია, რომელსაც არათუ საკუთარი ნება, საკუთარი რეაქციაც კი არა აქვს გაღიზიანების პასუხად, ფეხს რომ დაადგამენ, მისი კლაკვნა და სხმარტალი ზუსტად შეესაბამება ფეხის დამდგმელის ვარაუდს.

სკამზე ჩამოჯდა, იდაყვები მაგიდაზე დააყრდნო, თავი ხელებში ჩარგო და თვალები დახუჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახი უცნაური ხმებით აივსო. ხმები ყოველი მხრიდან მოდიოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ და დროდადრო სიტყვებადაც ლაგდებოდნენ, მაგრამ აზრი ხერხემალგადამსხვრეული იწვა და წამოწევის თავი არ ჰქონდა, რომ სიტყვების მნიშვნელობას მისწვდომოდა. „ახლა ცნობა წამერთმევა". — გაიფიქრა ლუარსაბმა და მაშინვე ცნობის წართმევის ბუნდოვან მიჯნაზე ფერადი ფორმები გამოჩნდა. ფერად ფორმებს თითქოს მკაფიო მოხაზულობა ჰქონდათ და ისეთ საგნებს ჰგავდნენ, რომლებიც არაერთხელ ენახა, მაგრამ ოთახიდან მომავალი ხმები უშლიდა მათ გამოცნობას. ფერადი ფორმები ერთმანეთში გადადიოდნენ, ერთმანეთს აბათილებდნენ და სუფთა ფერებად იშლებოდნენ, მერე ეს ფერები კვლავ ერთდებოდნენ და უსხეულო ფიგურებს ქმნიდნენ. სამკუთხედები, კვადრატები, მრავალკუთხედები ნარნარად დაცურავდნენ და ამ ფერად გეომეტრიაში ჩადებული იყო მარადიული სიმშვიდის ნეტარება. არაფერი არ არსებობდა, გარდა ამ აღქმის უმწვერვალესი ნეტარებისა. და არც შეიძლებოდა არსებულიყო, რადგან ყველაფერი სხვა, რაც აქამდე იყო, იყო არა არსებობა, არამედ მაჯლაჯუნას ავადმყოფური ხილვა.

უცებ შორეული, მივიწყებული ოთახიდან კვლავ წამოვიდა უცნაური ხმები და რაღაცის ბუნდოვანი, მაგრამ გონჯი და უხეში მოგონება მოიტანა. ფერადი ფორმები ჩიტებივით დაფრთხნენ და გაუჩინარდნენ. ლუარსაბ რაზმაძემ წამით მკაფიოდ იგრძნო, რომ აზრი ბნელი ხვრელიდან ამოძვრა და მის ქვეშ უფსკრულმა ჭაობივით შეიკრა პირი.

ოთახში სიჩუმე იდგა. მხოლოდ ბაღიდან შემოდიოდა ჩიტების კანტიკუნტი ხმა. სისუსტემ თითქოს გაუარა, მაგრამ ადგომა ეზარებოდა. იჯდა გაუნძრევლად და ყურს უგდებდა საკუთარ ფიქრებს, რომლებიც სურათოვან აზრებად იბადებოდნენ და ჯიუტი გულმოდგინებით აცოცხლებდნენ რაღაცას, გარდასულსა და მივიწყებულს.

მთელი წარსული, ახლო და შორეული, უცნაურ პოზაში აღიმართა და ისეთი კუთხით ეჩვენა გონების მზერას, რომლითაც აქამდე არასოდეს ჩვენებია. წარსულის ეს ხატი უჩინარი, მაგრამ მტკიცე კავშირით იყო დაკავშირებული ფერადი ფორმების წელანდელ ხილვასთან და წითელ ზოლად თავიდან ბოლომდე გასდევდა ისეთი წითელი ზოლი, რომელიც სიმამრ კალისტრატეს მკაფიო მოგონებას იწვევდა. ხოლო ის ამბავი, რომ ანაპოდისტე ბუაძემ ეპისტოლური ჯავრი ლუარსაბ რაზმაძეზე იყარა, თავის მხრივ სიმამრი კალისტრატეს ხელით გავლებულ წითელ ზოლს უკავშირდებოდა. ყოველივე ამის უკან, გაურკვეველი ფერის ფონზე, უცხო მოძრაობით დაცურავდა ელენეს სახე, რომელიც არც ერთ გამზადებულ კალაპოტში არ თავსდებოდა და ყოველგვარ განსაზღვრებას, ავსაც და კარგსაც, მშვიდად ისხლეტდა.

სადღაც, სხეულის მიუვალ სიღრმეში, შფოთავდა და წრიალებდა სირცხვილის გრძნობა.

ტვინში უცხო ჩვენება აღმოცენდა. ცამ პირი მოიხსნა და ქვეყანაზე ღვართქაფი მიუშვა. ყოველი სულიერი სოროში შემალულიყო, მარტო ლუარსაბ რაზმაძე იდგა ტრიალ მინდორზე მიუსაფარი და თავით ფეხამდე გალუმპული. სადღაც ქუხდა, სადღაც ელავდა. კოკისპირული წვიმა დაუნდობლად სცემდა სახეში და განცვიფრებული და საგონებელში ჩავარდნილი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ იყო ეს თავსხმა მისი წელანდელი საუბარი პეტრე დიდთან. სხეული ამ უცნაური საუბრით ივსებოდა, კოკისპირული წვიმით იქლინთებოდა, ლამის სულ ერთიანად წყლად ქცეულიყო. და ირგვლივ ერთი ხეც არსად ჩანდა, რომ თავი შეეფარებია და გადაეწვიმა...

ლუარსაბმა შუბლი მოისრისა, თვა-

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ლები მტკივნეული ძალდატანებით რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა.

პეტრე დიდთან საუბარი მათხოვრის საუბარი იყო მეფესთან და მისი ყოველი ეპიზოდი, ყოველი ფრაზა და სიტყვა ხანჯალივით უსერავდა გულს. მაგრამ ეს შედეგი იყო, რომელსაც შორს, წარსულში ჰქონდა გადგმული ფესვები და იქიდან იღებდა საზრდოსა და სასიცოცხლო ღონეს.

„აზროვნების უკომპრომისო თავისუფლებამ“ პური და წყალი უნდა იმყოფინოს, თორემ ყოველ ნაბიჯზე ცთუნებაა ჩასაფრებული, როგორც აგარაკი, რომელიც ისე შეგიყვარდება, რომ დაგავიწყდება კიდეც, თუ რა დიდი თავგანწირვის ჯილდოდ მიიღე...

ხანდახან, როცა საქმეები მიჯრით მიეწყობოდნენ და ჩამოსვლას ვერ მოახერხებდა, უნაზესი ნატვრით მოენატრებოდა ხოლმე აქაურობა. თვალდახუჭული წარმოიდგენდა მთელ ბაღს, ოცნებით დაივლიდა, ბუჩქებსა და ხეებს ეფერებოდა. ერთი სიტყვით, უყვარდა...

რატომ ისხლეტდა წელან ელენე ყველა ეპითეტს; ავსაც და კარგსაც? სად იყო ელენე მთელი ამ ხნის განმავლობაში?

ელენეს სახე გაბუნდოვანდა, გაიშალა და გაქრა. ლუარსაბს გულში შიშმა გაუარა და თავს ძალა დაატანა, რომ ეს გაფანტული სახე ისევ აეკრიფა და ნათლად წარმოედგინა, მაგრამ რამდენი არ ეცადა, არაფერი გამოუვიდა. იცოდა, როგორი ცხვირი ჰქონდა, როგორი ტუჩები, როგორი თვალები, ოღონდ ეს გონებისმიერი ცოდნა იყო, ცოდნა, რომელიც აზრის შუამავლობით მოიპოვებოდა, ხატი კი, ნამდვილი და უშუალო ცოდნა, უგზოუკვლოდ დაკარგულიყო და მეხსიერებამ ვერასგზით ვერ აღიდგინა.

უეცრად მკერდში მწვავე ტკივილი დაეძგერა. ტკივილი გაალმასებული დაერია იქაურობას, დაუნდობლად ღრღნიდა და ხრავდა ყველაფერს და ბოლოს, მკერდის ღრუში რომ სიცარიელის მეტი აღარაფერი დატოვა, მძიმედ მიწვა იქვე და, გამაძღარი და თვალუბრალისხმელი ანებული, უცებ ღრძო ეჭვად იქცა.

ეჭვს კონკრეტული სახე არ ჰქონდა, არაფერი არ ერქვა. ამან ლუარსაბი კიდევ უფრო შეაშფოთა, სწრაფად წამოდგა, ოთახიდან გავიდა, კიბეს დაუყვა. ეზოში წამით შეჩერდა, გაყუჩდა, საკუთარ არსებას მიაყურადა და თავისი დაუზუსტებელი და უმისამართო ეჭვი კიდევ ერთხელ შეათვალიერა. მერე შეძლებისდაგვარად ნელი ნაბიჯით, მოგონილი უდარდელობით შევიდა სამზადში.

ლარისა გაზქურასთან ტრიალებდა. ელენე მაგიდას უჯდა და ნიგოზს არჩევდა. ლუარსაბმა შეხედა და გულში სითბო ჩაეღვარა. წამით თვალები დახუჭა. მერე ისევ შეხედა და გაიფიქრა;

„ჰო, ასეთია; მოქნილი, მკაფიო და ნატიფი ხაზები... რაღაცით კი ჰგავს მამამისს... ალბათ, იერით.“

ქალებს მისი შემოსვლა არ გაუგიათ.

ამასობაში ნაირნაირი კერძების თავდაპირველად გაუცნობიერებელმა სუნმა რომ ყურადღება მიიქცია და, ბოლოსდაბოლოს, ფიქრებიდან გამოეთიშა, თქვა;

— ჭამა ჩვენი თვისებაა.

ელენემ მოხედა და გაუღიმა.

— რაო, პეტრემ?

— თამადად თუ არ დამნიშნავ, არ მოვალო.

ელენემ ისევ გაიღიმა.

— დანიშნე, რა გენაღვლება!

— რომ არ მოვიდეს, რა მენაღვლება?

— არ ივარგებს.

ელენე თავისი საოცარი ალღოთი მუდამ პოულობდა იმ ერთადერთ გამოთქმას, რომელიც ვითარებას ზუსტად შეესაბამებოდა. არ ივარგებსო. არც ერთი სხვა გამოთქმა არ ივარგებდა. ვერც ერთი სხვა გამოთქმა ვერ გამოხატავდა სრულად და ამავე დროს საჭირო ნეიტრალობით იმას, რის გამოც პეტრე დიდის მოუსვლელობას პეტრე დიდის მოსვლა სჯობდა. ლუარსაბი ლოგიკური შერჩევისა და ანგარიშის გზით თუ მივიდოდა ამ გამოთქმამდე, ელენე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი-უყოყმანოდ და უფიქრელად პირდაპირ მას მიადგა.

ლუარსაბი სამზადიდან გამოვიღა. ის მთავარი გადაწყვეტილება ჯერ ჩანასახადაც კი არ არსებობდა. მანქანის კარი რომ გამოაღო, არც მაშინ ჰქონდა რაიმე გადაწყვეტილი. ხმაურზე ელენემ გამოიხედა და, რაკი ქმარი მანქანაში დაინახა (გარინდებული იჯდა, ხელები საჭეზე დაეყრდნო), გამოვიდა.

— სადმე მიდიხარ, ლუარსაბ?

აი, ამ დროს დაიბადა გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში, ლუარსაბი ამ დროს მიხვდა, რომ გადაწყვეტილება დაიბადა.

— ჩავალ, ალისტრახოს ჭირისუფლებს სამძიმარს ვეტყვი.

ელენე ერთხანს ჩუმად იყო.

— ალექსი-ალეს გავაღვიძებ. — შესთავაზა მერე და მის ხმაში ლუარსაბს უცხო, აქამდე შეუმჩნეველი კილო მოესმა.

— იძინოს, ცოდია. მე თვითონ წავალ.

სანამ მანქანას აამუშავებდა და დაძრავდა, გრძნობდა, რომ ელენე თვალმოუშორებლივ უყურებდა.

ეზოს გამოცდა, მტვრიანი დაღმართი ჩაათავა და მოასფალტებულ გზაზე გაუხვია. მხარმარჯვნივ, ფერდობზე, სიმინდის ყანები იყო შეფენილი. მხარმარცხნივ გზას ხევი მისდევდა. მანქანა რბილად მისრიალებდა. გზაგასაყართან ქვემოთ ჩაუხვია და შარას დაუყვა. მზე აცხუნებდა. კარგა ხანს იარა თავდაღმართში, თითქმის მდინარემდე ჩავიდა, მერე ვიწრო შუკაში შეუხვია და ხის ჭიშკართან გააჩერა მანქანა.

ეზოში ბლომად ხალხი იყო. სამძიმარზე ნაადრევად მოსულები სახლის წინ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მხიარულად მასლაათობდნენ. ეზოს ერთ შორეულ კუთხეში ცეცხლი ენთო და ზედადგარზე ვეებერთელა ქვაბი იდგა. ირგვლივ რამდენიმე კაცი საქმიანად ფუსფუსებდა. მეორე შორეულ კუთხეში სეფას შლიდნენ. იქ შეთანხმებული მოქმედება იყო საჭირო და ამას ერთმანეთისაგან ხმამაღალი შეძახილებით მოითხოვდნენ.

ლუარსაბის გამოჩენაზე ხალხმა მოიხედა, მერე ჭიშკრის წინ შეჯგუფულები მიიწ-მოიწევნენ, თუმცა ამის საჭიროება არ ყოფილა, და გზა დაუთმეს. მოაჯირზე გადმომდგარი შავებიანი ქალი სწრაფად შეტრიალდა და ოთახში შევიდა. იმავ წამს იქიდან ტირილი მოისმა. ლუარსაბი მიხვდა, რომ სადარაჯოზე მყოფმა ქალმა მორიგი მოსამძიმრის მოსვლა ამცნო ჭირისუფლებს.

ალისტრახოს ორივე ვაჟიშვილი და სიძე კიბის თავში იდგნენ. ლუარსაბმა მათ ხელი ჩამოართვა და ოთახში შევიდა.

ალისტრახო ოთახის შუაგულში იწვა, კედლების გასწვრივ ახლობლები და ნათესავები, სულ ქალები ისხდნენ და ლუარსაბის გამოჩენაზე მოწიწებული გამომეტყველება მიიღეს.

ალისტრახოს ცოლმა ლუარსაბს შეხედა და მერე ქმარს მიუბრუნდა:

— გეყოფა, კაცო, წოლა. გაახილე თვალი და შეხედე, ვინ მოვიდა შენს სატირალში!

ეს ისეთი დამაჯერებელი უბრალოებით და ბუნებრივად თქვა, მართლა რომ წამოეწია თავი ალისტრახოს და მოეხედა, ლუარსაბს მაინცდამაინც არ გაუკვირდებოდა.

როცა განსვენებულის ცოლს ჩამოართვა ხელი, თანაგრძნობის ნიშნად ამ ნაოჭებად ქცეულ ხელს ზემოდან მეორე ხელიც დაადო.

— მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო, — უთხრა ქალმა. — შენთან მუსაიფი უყვარდა უბედურს.

ლუარსაბმა წრე შემოიარა და გამოვიდა. ოთახში ტირილის ხმა მიწყდა. ეზოში მცირე ხანს შეჩერდა. მის ახლო მდგომ ჯგუფებში მკვეთრად დაუწიეს ხმას.

მერე, ჭიშკარში რომ ორი მოხუცი ქალი შემოვიდა კივილით და ზემოდა-

---

ნაც ზარით უპასუხეს, ლუარსაბმა დრო იხელთა, ეზოდან გავიდა, მანქანაში ჩაჯდა და ვიწრო შუკა უკუსვლით გაიარა.

კუთხეში ვიღაც კაცი შეაჩერა, რომელსაც ბრეზენტი მიჰქონდა, და ჰკითხა:

— უკაცრავად, ამ გზით ხიდზე გავალ? — და ხელი ქვემოთ მდინარისაკენ გაიშვირა.

— ვერა, ბატონო. ზემოთ უნდა წაბრძანდეთ; დიდ გზას გაჰყვებით და, პირველ არა და, მეორე მოსახვევში მოუხვევთ.

— გმადლობთ.

— არაფერს, ბატონო.

ლუარსაბი აღმართს შეუყვა. ასფალტზე რომ გავიდა, მარცხნივ გაუხვია. მეორე მოსახვევი დამრეცად ეშვებოდა ქვემოთ.

მალე ხიდიც გამოჩნდა.

ხიდს გაღმა გზა მარცხნივ უხვევდა და თანდათან მაღლდებოდა.

სოფელში სვლა შეანელა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება, მაგრამ მთელი დასახლება ისე გაიარა, ძეხორციელი არ შეხვედრია. ბოლოს, სოფელს რომ გასცდა და იმედი გადაეწურა, გზაზე ერთი კაცი დაინახა. ზურგზე გოდორი ეკიდა და ნელი ნაბიჯით მოდიოდა თავდაღმართში.

ლუარსაბი კაცს გაუსწორდა, მანქანა გააჩერა, სარკმელში გაჰყო თავი და მიესალმა:

— გამარჯობათ.

კაცი შეჩერდა და გოდორი მოიხსნა. ჯერ მარცხენა მკლავი გამოაძრო სახელურიდან, მერე ჩაცუცქდა და, გოდრის ძირი რომ მიწას შეახო, მარჯვენა მკლავიც გაითავისუფლა. ნელა წამოდგა და, როცა მთლად გაიმართა, მაშინღა უპასუხა სალამზე:

— იცოცხლე, ჩემო ბატონო.

რაკი კაცმა გოდორი მოიხსნა, ლუარსაბმა თავი მოვალედ ჩათვალა მანქანიდან გადმოსულიყო.

— უკაცრავად კი ვარ, რომ გაწუხებთ, აქ სადღაც ანაპოდისტე ბუაძე უნდა ცხოვრობდეს.

კაცმა აუჩქარებლად და დაკვირვებით ჯერ ლუარსაბი შეათვალიერა, მერე მისი მანქანა. ბოლოს უთხრა:

— კი, ბატონო. ზემოთ დგას, კორტოხზე.

ამ სიტყვებით დაიხარა, ხელი გოდორში ჩაჰყო და ორი ცალი დიდი, ყვითელი გულაბი ამოიღო.

— იქნებ მსხალი გესიამოვნოს.

ლუარსაბს სხეულში რაღაც თბილი ნაკადი ჩაეღვარა.

— გმადლობთ. — უპასუხა ღიმილით და ერთი მსხალი აიღო.

— ინებე, ინებე; პირს გაისველებ გზაში. ხეზე დაკრეფილია, ძირნაყარი არ გეგონოს. — ეს ბოლო ფრაზა, ეტყობა, ლუარსაბის გარეგნობამ, ჩაცმულობამ და მანქანამ ათქმევინა.

— გმადლობთ. დიდი მადლობა. — ლუარსაბმა მეორე მსხალიც აიღო. — ეს გზა ამიყვანს ანაპოდისტე ბუაძის სახლთან?

— კი. — ერთგვარი ყოყმანით მიუგო კაცმა და იქვე ახსნა. თავისი ყოყმანი: — ბოლომდე ვერ ახვალ მანქანით. აღმართს რომ აათავებ, გზა ხელმარჯვნივ უხვევს, სატყეოში მიდის. იმ მოსახვევიდან ფეხით უნდა აუყვე ზემოთ. ასე ორასი-სამასი მეტრი გექნება გასავლელი.

— დიდი მადლობა.

— არაფრის, რა ბრძანებაა! — კაცი ჩაცუცქდა, მკლავები გოდრის სახელურებში გაჰყო, ოდნავ წინ გადაიხარა და, გოდორი რომ მიწას ასცდა, ნელ-ნელა გაიმართა, — კეთილად იმგზავრე!

ლუარსაბი მანქანაში ჩაჯდა, მსხლები გვერდით მოიწყო და აღმართს შეუდგა.

რაც უფრო ზემოთ მიიწევდა, ადამიანის კვალი თანდათან ქრებოდა. გზა დაბურული, ლამაზი ტყის შუაში გადიოდა. ჩრდილი იყო, გრილოდა და ოდნავ ნესტის სუნი იდგა.

სადღაც, შორეულ სივრცეში უცხო აზრი დაიბადა, შრიალით წამოვიდა და ლუარსაბის გონებაში შემოძვრა.

„ანაპოდისტე ბუაძეს არ შეშლია, ლუარსაბ რაზმაძე ვარო, რომ მითხრა“.

მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა.

სავარძელზე გადაწვა, თავი უკან გადაიგდო და სივრცეს თვალი გაუშტერა. ძარღვებმოდუნებული ხელები უსიცოცხლოდ ეწყო საჭეზე. იყო ასე და არაფერზე არ ფიქრობდა.

ცოტა რომ დამშვიდდა, გზის გაგრძელება დააპირა და გასაღები გადაატრიალა.

მანქანამ ერთი საწყალობლად ამოითუხთუხა და გაჩუმდა.

„რა დაემართა?“ — გაიფიქრა და ხელახლა სცადა დაქოქვა, მაგრამ შედეგი იგივე იყო.

შუბლი შეიჭმუხნა და ხელსაწყოები და მაჩვენებლები მოათვალიერა.

კიდევ ერთხელ გადაატრიალა გასაღები. რაკი არც ამჯერად გაუღიმა ბედმა, მანქანიდან გადმოვიდა, კაპოტი ახადა, ურიცხვ ნაწილებს საქმიანი სახით ჩახედა და, როგორც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ უცოდინარობას ჩვევია, ზოგიერთი მათგანი ალალბედზე ხელითაც მოსინჯა. მერე კაპოტი დახურა, მანქანაში ჩაჯდა და ისევ იმ ერთადერთ ნაცნობ იარაღს, გასაღებს დაუწყო ჩხიკინი.

მანქანა ისეთი უიმედო ხმით თუხთუხებდა, თითქოს იხვეწებოდა: თავი დამანებე, ხომ ხედავ, შენს ხასიათზე არა ვარო.

ლუარსაბს მობეზრდა და მალე მართლაც დაანება თავი.

„ალექსი-ალეს ამოვგზავნი საღამოს და ის იქნება“. — გაიფიქრა და მანქანიდან გადმოვიდა. მერე ისევ შეჰყო თავი და მსხლები აიღო.

სარკმლის მინა ასწია, კარი გასაღებით ჩაკეტა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა მანქანა, როგორც ამას გამოცდილი მძღოლები სჩადიან, და ფეხით გაუდგა გზას.

მოულოდნელმა ფათერაკმა ცოტა გაღიზიანა, მაგრამ მოსახვევი რომ გამოჩნდა, გაღიზიანებამ გაუარა და მხნეობა დაუბრუნდა. აქედან სამანქანო გზა მარჯვნივ მიდიოდა, ქამარივით ერტყა ფერდობს და თანდათან დაბლა ეშვებოდა.

გზის ზემოთ ტყე იყო და ამიტომ მთის წვერი, სადაც ანაპოდისტე ბუაძის სახლი უნდა მდგარიყო, არ ჩანდა.

გოდრიანმა კაცმა უთხრა, მოსახვევს რომ მიაღწევ, გზიდან უნდა გადაუხვიო და აღმა იაროო.

„ბილიკი იქნება სადმე“. — გაიფიქრა ლუარსაბმა და ტყის პირი დაკვირვებით მოათვალიერა. მალე მართლაც წააწყდა ბილიკს, რომელიც აღმართში გველივით მიიკლაკნებოდა.

ბილიკი დაბურული და ბნელი იყო. ლუარსაბი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას. ალაგ-ალაგ ხის ტოტები ისე დაბლა დაშვებულიყვნენ და ისე გადახლართულიყვნენ ერთმანეთში, რომ ამ უცნაურ თაღებქვეშ გასაძრომად იძულებული ხდებოდა ჩაცუცქულიყო და თავი ლამის მიწამდე დაეხარა.

კარგა ხანს იარა ასე. მერე ტყე ერთბაშად გამეჩხერდა და ბილიკს სინათლე მოემატა.

მალე სახლიც გამოჩნდა. დაბეჯითებით ვერ იტყოდი, რა სახელი უფრო შეეფერებოდა: სახლი, ქოხი, ბუნაგი, ფარდული... უხეში, გაურანდავი ფიცრებით შეკრული პატარა, სახელდახელო გალია დაბალ ბოძებზე იდგა და ძველი, ეტყობა, გამონაცვალი ყავრით იყო გადახურული. ქვედა მხარეს ვიწრო სარკმელი გამოდიოდა. მარჯვნივ მოჩანდა აივნის ერთი კუთხე. აივანს მოაჯირი არ ჰქონდა. სახლს ირგვლივ პატარა მდელო ერტყა. მობიბინე მწვანე ბალახში ისე ციმციმებდნენ მინდვრის ყვავილები, თითქოს მდელო უამრავი ფერადი თვალით შემოგყურებსო.

ლუარსაბი ბილიკს გაჰყვა და მარცხნიდან შემოუარა სახლს. ზედა მხარესაც ერთი ვიწრო სარკმელი ჰქონდა. კარი არ ჩანდა.

„ალბათ, აივნიდანაა შესასვლელი“.

— გაიფიქრა ლუარსაბმა და მართალიც გამოდგა.

აივანზე ცალფა კარი გამოდიოდა.

მასპინძელი აივანზე დახვდა. პატარა სამფეხა სკამზე იჯდა, გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე დაეკრიფა და გარინდებული გადაჰყურებდა ქვეყანას.

ხოლო ქვეყანა აქედან მართლაც რომ ჩინებული სანახავი იყო.

მდელო ციცაბო დაღმართს ებჯინებოდა, რომელსაც, სანამ თვალი წვდებოდა, ტანმაღალი წიფლები, თელები და წაბლები ჩასდევდა. ძლიერი, ისარივით ატყორცნილი ტყე ლაშქარივით იდგა. მიწა სიყვითლეშეპარული ფოთლების სქელი ხალიჩით იყო დაფარული. შორს, ტყის გადაღმა, ორ მთას შუა მოქცეული მდინარე მზის შუქზე ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. მდინარის გაღმა ნაძვისა და ფიჭვის ტევრი მოჩანდა, რომელიც ზემოთ და ზემოთ ისევ ფოთლოვანი, მძლავრი ტყით იცვლებოდა.

ჰაერი ყინულივით სუფთა და გამჭვირვალე იყო.

ანაპოდისტე ბუაძეს ლუარსაბის მოსვლა არ გაუგია. გაუნძრევლად იჯდა და ისე დანთქმულიყო თვალწინ გადაშლილ სილამაზეში, თითქოს ხვალ ვეღარ იხილავდა აქაურობას და ეშურებოდა, რაც შეიძლება, მეტი მოესწრო.

რაკი მასპინძელი ფიქრებიდან გამორკვევას არ აპირებდა, ლუარსაბი ისევ თვითონ უნდა შეხმიანებოდა. ასეც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ბოლო წამს მოულოდნელად გადაიფიქრა, თანაც ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს თვითონ კი არ გადაიფიქრა, არამედ რაღაც უცხო ძალამ ჩამოიქროლა, მისი განზრახვა მაგნიტივით მიიკრო და გაუჩინარდა.

აივნის კუთხეში კიდევ ერთი სამფეხა სკამი იდგა, ზუსტად ისეთი, რომელზეც ანაპოდისტე ბუაძე იჯდა. ლუარსაბმა იმ სკამზე მსხლები დააწყო, თვითონ კი იქვე იატაკზე დაჯდა, ფეხები გაშალა, გამართული ზურგით ოთახის კედელს მიეყრდნო და ისეთ AOB მართ კუთხეს დაემსგავსა, რომლის წინაც [illegible] ლამაზეა გადაშლილი.

ახლა რომ ზემოდან ჩამოგეხედათ, დაინახავდით ორ მთას შორის აღმართულ, ხშირი, ღონიერი ტყით შემოსილ მესამე მთას, რომელსაც შიშველი წვერი ჰქონდა. ამ შიშველ წვერთან ფერადი ყვავილებით აჭრელებულ დამრეც მდელოზე იდგა ოთხ ბოძზე შესკუპებული პატარა ფიცრული სახლი. აღმოსავლეთით აივანი ეკრა, უმოაჯირო, გაურანდავი ფიცრებით დაგებული ვიწრო აივანი. აივანზე, როგორც გაბუტული ბავშვები, ჩუმად, თავთავისთვის იჯდა ორი კაცი, რომელთაც დღეს სამოც-სამოცი წელი შეუსრულდათ. ერთი კაცი დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა აივნის პირას, ხელები მკერდზე დაეკრიფა და გარინდებული გასცქეროდა ქვეყნიერების მრავალსახეობას. მეორე კაცი დაბალი, სამფეხა სკამის გვერდით იჯდა აივნის კუთხეში, გაშლილი ფეხები იატაკზე ეწყო და გამართული ზურგით კედელს მიყრდნობოდა.

სამყაროს განაგებდა სილამაზე, ხოლო მდუმარება მისი დარაჯი იყო და რაღაც უხილავი ხიფათისაგან იცავდა.

თავიდან ლუარსაბს, ცოტა არ იყოს, აფიქრებდა ეს ორჭოფული მდგომარეობა, როცა სტუმრობა საკუთარი ცნების ფარგლებში ვერ თავსდება, მაგრამ მალე ყოველივე დავიწყებას მიეცა, რადგან დაღმართზე შემოფენილი გაუვალი ტყე თავისი იდუმალი, ამოუცნობი სილამაზით რაღაც შორეულისა და ბუნდოვანის მიძინებულ მოგონებას მაცოცხლებელ სუნთქვად მოეფინა. ვეება ხეებს შუბლი ხელით მოეჩრდილათ და ინტერესით შემოსცქეროდნენ ლუარსაბ რაზმაძეს. ბოლოს იცნეს და გაუღიმეს. ტყე დაიძრა და წამოვიდა. ტყემ წიფლებისა და თელების ფართო ნაბიჯით ამოათავა აღმართი, დაუბრკოლებლად გაიარა ლუარსაბის ღია არსებაში და იქ სიცოცხლის უცხო სუნი დატოვა. ტყეს ფეხდაფეხ მოჰყვებოდა მდინარე, ალაგ ჩქარი და ქაფმოდებული, ალაგ — მშვიდი და კამკამა. და მუდამ და

ყველგან საამოდ გრილი და მოალერსე. წვრილი კენჭებით მოფენილ ფსკერზე თევზები ნელა, თითქმის შეუმჩნევლად დაცურავდნენ გაშეშებული სხეულით, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდათო, ერთბაშად დაიქნევდნენ კუდს და ისე სწრაფად გასრიალდებოდნენ, რომ მათ გზაზე ვერცხლისფერი ელვარების მეტი აღარაფერი ჩანდა. ნაძვებისა და ფიჭვების ტევრი, რომელიც მდინარეს მოსდევდა, დინჯად შემოვიდა და ნატიფი სურნელი შემოიტანა. ბოლოს ხევგაღმა აღმართული მთაც დაიძრა. წინ თხილის ჭალა მოუძღოდა ბალახში გადაბარდნილი მაყვლებისა და ყელყელა გვიმრების თანხლებით. მერე ფერდობი წამოვიდა, ფოთლოვანი, ამაყი ტყე, — რცხილა, ნეკერჩხალი, თელა, წიფელი. და აი მწვერვალიც მოახლოვდა. მწვერვალზე განმარტოებით იდგა ვეება მუხა, ღონიერი, ჯმუხი, ჯიუტი; განიერი ტოტებით, სქელი ფოთლებით, ძლიერი ტანით. მიწა ბალახით იყო დაფარული. ნიავის დაბერვაზე ბალახი ჯეჯილივით ღელავდა და მისი ერთიანი მწვანე ფერი რამდენიმე მწვანე ფერად იშლებოდა. რკო ჩამოცვენილიყო და ძირს, ბალახში მიმობნეულიყო. ლუარსაბი გულაღმა იწვა მუხის ძირას. ფართო, ხშირფოთლიანი ტოტების ტევრში აქაიქ ლურჯი თვალებით იჭვრიტებოდა ღრმა, კამკამა ზეცა. ირგვლივ გამეფებული სიჩუმე სიმშვიდის განუყოფელი ნაწილი იყო და სიმშვიდემ საკუთარი თავის სრულქმნას მიაღწია. აქ, ალბათ, სიცოცხლის ზღვარი გადიოდა.

და ანაპოდისტე ბუაძემ დუმილი დაარღვია.

— შემდეგი ნაბიჯი ზნეობრივი ქაოსის მოწესრიგება იქნება. სიკეთე ბოროტებას გაემიჯნება და დამოუკიდებელ არსად ჩამოყალიბდება.

— მოგილოცავთ დაბადების დღეს. — უთხრა ლუარსაბმა, სამფეხა სკამიდან ერთი ცალი მსხალი აიღო და წამოდგა. — მსხალი გასინჯეთ.

ანაპოდისტე ბუაძეც წამოდგა და მსხალი გამოართვა.

— გმადლობთ.

— ეს მეორე. — მე. ჩემი დაბადების დღეცაა.

— გემრიელი მსხალია. — თქვა ანაპოდისტე ბუაძემ.

— სოფელში მომიკითხა ერთმა გლეხმა.

— მანქანა სად გაგიფუჭდათ?

— აქვე, ახლო.

და შეკრთა.

ნელა, გაუცნობიერებელი ხიფათის უსიამო მოლოდინით მიაბრუნა თავი. მასპინძელი მსხლის ჭამით იყო გართული.

სიცივის წვრილმა, შემაშფოთებელმა ჭავლმა დენივით გაუარა სხეულში.

ანაპოდისტე ბუაძემ, მსხლის ჭამა რომ მოათავა, ნარჩენი ქვასავით მოიქნია, ქვემოთ, ტყეში გადასტყორცნა და თქვა:

— მესმოდა, როგორ გაჩერდა მანქანა და მერე ვეღარ ამუშავდა. რას ვიფიქრებდი თქვენ თუ იყავით!

ლუარსაბმაც მოათავა მსხლის ჭამა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, მიებაძა თუ არა მასპინძლისათვის. ერთხანს უხერხულად ატრიალა ხელში ნარჩენი, ბოლოს, რაკი უფრო შესაფერისი ადგილი ვერ იპოვა, თვითონაც ტყეში მოისროლა. ოღონდ, ანაპოდისტე ბუაძისაგან განსხვავებით, ხელი ქვემოდან ზემოთ აიქნია. მსხლის ნარჩენმა ჰაერში მაღალი რკალი მოხაზა და ბექობზე დაეცა, იქ, სადაც მდელო თავდებოდა და თავდაღმართი იწყებოდა.

— თქვენი ეზოდანაც მშვენიერი გადასახედია, — თქვა მასპინძელმა. — მაგრამ იქ ხალხი ცხოვრობს ახლომახლო და ჰაერში გამუდმებით ტრიალებს ადამიანის სუნთქვა. ამიტომ განმარტოება ჭირს.

— განმარტოებაში რა ყრია? — ლუარსაბმა იგრძნო, რომ რაღაცა აღიზიანებდა და ბრმა წინააღმდეგობის სურვილს უჩენდა.

— არარაობის განცდას ადამიანი, ჩვეულებრივ, ვერაფერს ვერ უპირისპირებს, — მიუგო ანაპოდისტე ბუაძემ. — იმიტომ რომ არაფერი არ უპირისპირდება ზნეობის გარდა.

ის რაღაცა, რაც ლუარსაბს აღიზიანებდა, ბრჭყალებით ჩააფრინდა შორს, ცისკიდურთან გაჩენილ პატარა, ტყვიისფერ ღრუბელს, რომელიც თვალდათვალ იზრდებოდა და მედუზას ემსგავსებოდა. ტყვიისფერი ღრუბელი მედუზას ემსგავსებოდა არა ფორმით, არამედ ლუარსაბთან დამოკიდებულებით. ეს კი უცნაური და რატომღაც ძალიან მოსაწყენი ჩანდა და ლუარსაბს გულზე უეცრად შემოწოლილი გაუგებარი სევდა წნეხივით დააწვა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მე არარაობის განცდა დამეუფლა და მას ვერაფერს ვერ ვუპირისპირებ, რადგან საკმაო ზნეობა არ გამაჩნია?

— მე ვფიქრობ? — ოდნავ, ძლივშესამჩნევად გაიკვირვა ანაპოდისტე ბუაძემ. — განა, თქვენი აზრით, ადამიანი იმიტომ არ იბადება, რომ ზნეობა აკლია?

ლუარსაბს მოეჩვენა, თითქოს შეკრთა და მკვეთრად შეტრიალდა მასპინძლისაკენ, თუმცა სინამდვილეში არც კი შერხეულა.

— არარაობის განცდა ნიღაბია, რომელსაც შეუცნობლად ვიფარებთ, რათა ქვეყანას ჩვენი უმწეობა დავუმალოთ. — ანაპოდისტე ბუაძე ისე ელაპარაკებოდა, როგორც მექოთნე ელაპარაკება მექოთნეს თიხაზე, ან მხატვარი მხატვარს — ფერზე, მაგრამ ლუარსაბს მისი აზრთადენის უხილავი ძაფი ერთთავად ხელიდან უსხლტებოდა და ამიტომ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კუნაპეტ ღამეში ხრამის პირას დადიოდა. — არის წუთები, როცა კაცს ყველა საზომი გეკარგება, ყველა საყრდენი გეცლება. ასეთ დროს შენდაუნებურად ცდილობ საკუთარი უილაჯობა მთელ ქვეყანას მოახვიო და სამყაროს წარმოსახვით არარაობას შეაფარო თავი. — მასპინძელმა ლუარსაბს ხელი მკლავში გამოსდო. — შენ რომ შეგიპატიჟოთ, გამასპინძლებით მაინც ვერაფერით, გამასპინძლდებით. ისევ ისა სჯობს, ტყეში გავიაროთ. მშვენიერ ცივ წყაროს გაჩვენებთ. — მერე, ეზოში რომ ჩავიდნენ და აყვავებულ მდელოს ირიბად აუყვნენ, განაგრძო: — კაცმა რომ თქვას, ჩემი უილაჯობისათვის ვერაფერი მალამო უნდა იყოს თქვენი უილაჯობა, მაგრამ ეგოიზმს სხვა გზა არა აქვს. — აქ, ზემოთ, ბექობი არ იყო. მდელო ვიწრო ბილიკით უკავშირდებოდა ტყეს. — მალე დიდი არჩევანის ჟამი დადგება, მაგრამ არჩევანი რომ გააკეთო, მარტოობა უნდა მოიპოვო. — ტყე დამრეცად ეშვებოდა მარჯვნივ. ბილიკი ბზარივით გასდევდა ტყეს. — ადამიანს ჰგონია, მარტოობა ტანჯავს, სინამდვილეში მარტოობის შეუძლებლობა ტანჯავს. ის ტანჯავს, რომ, ვინც უცხო ჰგონია, ვერ გაუუცხოებია, ვისაც უფსკრული აშორებს, ვერ დაშორებია, ვისაც გაექცა, ვერ გაქცევია. უამრავი უხილავი ძაფი, რომლებიც მოყვასთან გაკავშირებს, წამდაუწუმ ირხევა და ვერ ივიწყებ იმას, ვინც მეორე ბოლოშია. თორემ ისეთი მაკრატელი რომ გაშოვნინა, რომლითაც ამ ძაფებს გადაჭრიდი, მაშინ მართლა მარტო დარჩები, მთელი სამყარო შენში იქნება, მთელ სამყაროში შენ იქნები, შენ იქნები მთელი სამყარო, და მიხვდები, რომ ეგოიზმი უაზრობაა, პატივმოყვარეობა უაზრობაა, შური უაზრობაა. აი, ჩვენი წყაროც!

ბილიკი, რომელიც აქამდე თავქვე მიდიოდა, აქ ვიწრო ხევს ჰკვეთდა და აღმა მიუყვებოდა ფერდობს. გადაკვეთის ადგილას, ხელმარცხნივ, ზედ ბილიკთან, კლდის ნაპრალიდან წყალი გადმოდიოდა და პაწაწკინტელა ჩანჩქერს ჰქმნიდა. იმ ადგილას, საცა ნაპრალი შედარებით განიერი იყო, ხის ღარი ჰქონდა დატანებული. წყლის დიდი ნაწილი ამ ღარში იკრიბებოდა, ნეკა თითის სიმსხო ნაკადად გადმოჩუხჩუხებდა და ქვებით შემოზღუდულ პატარა წყაროში ჩადიოდა. სავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროდან გადმონადენი წყალი ნაკადულად მიუყვებოდა ვიწრო, დაბურულ ხევს, რომელიც მუქ, სწორხაზოვან ზოლად გავლებულიყო ფერდობსა და ფერდობს შუა, და ქვემოთ, ძალიან შორს, სადაც მთები ჭიშკარივით იხსნებოდნენ, სინათლეს უერთდებოდა.

ანაპოდისტე ბუაძე წყაროს პირას ჩამოჯდა და ლუარსაბიც მიიპატიჟა:

— დაბრძანდით.

ისე ისხდნენ, რომ ნაკადულის ვიწრო ხეობა მათი მზერის გაგრძელებას წარმოადგენდა. შორს, ბოლოში, ზღვასავით გადაშლილიყო ვრცელი, დიდი სინათლე, რომელიც მცირე მანძილზე შიგ ხეობაშიც შემოდიოდა, როგორც ზღვა შემოდის შესართავთან მდინარეში.

ნესტიანი სიგრილე სიამოვნებდა სხეულს.

— ამ წყაროსთან ყოველთვის სიტყვა „განგება“ მაგონდება. — დაარღვია გვარიანად გრძელი სიჩუმე ანაპოდისტე ბუაძემ.

— წუხელ სიზმარში, — ლუარსაბმა შეამჩნია, რომ ჩვეულებრივზე უფრო ხმადაბლა და ნელა ლაპარაკობდა. — როცა თქვენ აკადემიის პრეზიდენტს თამაშობდით და ხელოვნური წვერი გქონდათ, მრგვალი სარკმლიდან თეთრი ეკლესია მოჩანდა, რომელიც სიცარიელის დაუძლეველ სევდას მგვრიდა.

— საოცარია. „განგება“ არავის არ ესმის სწორად. მის გაგონებაზე რატომღაც ყველას ღმერთი ახსენდება. განგება ხომ ის არ არის, ვინც განაგებს. ოღონდ არც ის არის, ვინც განიგება. განგება ერთგვარი შუამავალია განმგებელსა და განგებულს შორის, განმგებელის მიერ განგებულის განსაგებად დაწესებული უზოგადესი კანონი, სასაზღვრო ზოლი, სადაც ერთდებიან და იმიჯნებიან მატერიალიზმი და იდეალიზმი. მერე ეს კანონთა კანონი წვრილ-წვრილ წესებად ქუცმაცდება და თანდათან ქვემოთ ეშვება, რათა ნიუტონებისა და კეპლერებისათვის ხელმისაწვდომი შეიქნას.

რცხილას ფოთოლი მოწყდა და ფარფატით ჩაეშვა ნაკადულში. ნაკადულმა ფოთოლი დაატრიალა და წაიღო. ქვას გადაატარა და, ცოტა რომ გაივაკა, ციცქნა უბეში შეაგდო, ნაპირისაკენ მიაწვა და ბოლოს გარიყა კიდეც იმ ადგილას, საცა მანამდე კიდევ რამდენიმე ფოთოლი ჰქონდა მოგროვებული. რცხილის ფოთოლმა ნაპირს რომ მიაღწია და გაჩერდა, ლუარსაბმა იკითხა:

— რატომ მაინცადამაინც მე გამომიგზავნეთ ის წერილი?

ანაპოდისტე ბუაძემ მცირე პაუზა გააკეთა.

— სხვისთვის რომ გამეგზავნა, ხომ მაინც ვერ ავიცდენდი ამ შეკითხვას?

— შემთხვევით გამომიგზავნეთ?

— მე შემთხვევით გამოგიგზავნეთ, მაგრამ თქვენ, ალბათ, შემთხვევით არ მიგიღიათ.

— და, ცხადია, მოელით, რომ მე ახლა მაგ თქვენი ნათქვამის ლოგიკურ შეუსაბამობაზე მიგითითებთ.

ანაპოდისტე ბუაძემ ნელა მოატრიალა თავი და ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. მერე მარცხენა ხელი წყაროში დაისველა და შუბლზე მოისვა.

— ღმერთი გაღიზიანებთ და გონებას კი აღმერთებთ. ეს გავრცელებული სენია.

— მე ღმერთი კი არ მაღიზიანებს, ადამიანები მაღიზიანებენ, რომლებიც ღმერთის იმედად არიან. ჩემთვის გონებაა ერთადერთი ძალა.

— მაგ ძალას უსასრულობა ეღობება გადაულახავ დაბრკოლებად. წარმოიდგინეთ, რომ სხვა სამყაროს მკვიდრი გონიერი არსება დედამიწაზე მოხვდა და უკუნ ღამეში პატარა, მბჟუტავი შუქი შენიშნა, რომლის ირგვლივ მკრთალად განათებული ფანჯრის სილუეტი მოჩანს. ეს გონიერი არსება არა-

---

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

ერთ ლოგიკურად გამართულ თეორიას შექმნის, მაგრამ ვერასოდეს ვერ მიხვდება, რომ იქ სახლი დგას, რადგან სახლის ცნება მას არ გააჩნია. მე მზადა ვარ თქვენთან ერთად დითირამბები ვუმღერო გონებას და ძეგლი დავუდგა. ოღონდ, სანამ ძეგლს დავუდგამდეთ, კვარცხლბეკი უნდა ავუგოთ, რომ ჰაერში გამოკიდებული არ დაგვრჩეს. გონების კვარცხლბეკი ზნეობაა. ზნეობაა ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზეზი. თქვენ გირჩევნიათ, გონებაზე ისაუბროთ, რადგან შეუცნობლად ცდილობთ, ზნეობაზე საუბარი რაც შეიძლება შორს გადასწიოთ. ეს მიამიტობაა. სადამდე გადასწევთ? სად დაიმალებით? მე იქნება დამემალოთ, თქვენს ძმასაც, თქვენს მეზობელსაც. მაგრამ იმ თვალს როგორ დაემალებით, რომელიც ყველაფერს ხედავს? არის ასეთი თვალი. მერწმუნეთ, არის. მოულოდნელად, უდროო დროს და უალაგო ალაგას იგრძნობ, რომ ვიღაცა გიყურებს. თვალს არ გაშორებს ვიღაცა. დაიხუჭები — გიყურებს, ბუჩქებში დაიმალები — გიყურებს, საბანს გადაიფარებ — გიყურებს, ქვესკნელში ჩაძვრები — მაინც გიყურებს. ვიღაცა მუდამ გიყურებს, ვიღაცას მუდამ საუბარაოზე ჰყევხარ. თუ არ გამოგიცდიათ, ერთხელაც იქნება გამოცდით, საკუთარი ცხოვრება სურათებიანი წიგნივით გადაგეშლებათ თვალწინ და შეძრწუნდებით. თურმე საქმიანი სახით უზიხარ ამაოების სუფრას და მთელი ცხოვრება ნერვიულად იკმაყოფილებ პატივმოყვარეობის შიმშილს. მთავარი აზრი კი გავიწყდება, მთავარი ნერვი გეკარგება. სულიერი ენერგია ფუჭად იხარჯება. კაცი შეიძლება ან მეფე იყოს, ან ლაქია, მაგრამ არ შეიძლება ერთდროულად მეფეც იყოს და ლაქიაც. ჩვენ ეს ვერ გაგვიგია. ჩვენ ლაქიობას ვერ გავცდით და მეფედ კი გვინდა ვიწოდებოდეთ. თათქარიძეობას ვერ შევლევივართ და დანიის პრინცობას კი ვეპოტინებით. ჩვენი სახელი ჰამლეტია, ჩვენი გვარი — თათქარიძე. ჩვენ პირის გემო და გონების ნაკლი ... და რა ხანია ერთმანეთში ... და სიმართლეს რომ არ გადავეყაროთ, თავის მოტყუებაში დავოსტატდით. „ნიჭიერები ვართ“, ვამბობთ და თუ ეს ნათქვამი როგორმე დავიჯერეთ კიდეც, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს: ნიჭიერება რომ არსებობა კი არაა, არამედ გამოვლენაა, ეს ამბავი სულაც არ გვადარდებს. ჩვენ პატრიოტები ვართ. საშინელი პატრიოტები ვართ. რომელიმე ორატორი ჩინებულ სიტყვას იტყვის, სულ გადარჩეულ-გადარჩეული სიტყვებით ასხამს ხოტბას სამშობლოს, მსმენელს თვალზე პატრიოტული ცრემლი მოადგება. მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა. ორატორი კმაყოფილია, რადგან ისეთი სიტყვა წარმოთქვა, მსმენელს თვალზე ცრემლი მოჰგვარა. მსმენელი კმაყოფილია, რადგან პატრიოტული სიტყვა ტირილამდე განიცადა. მეტი რაღა გვინდა? მიზანი მიღწეულია, ჩვენ ჩვენი პატრიოტობა დავამტკიცეთ და სამშობლოს, თუ გინდა, კისერი უტეხია! ჩვენ ძალიან გვიყვარს წაკეკლუცება ჩვენი გამორჩეული მდგომარეობით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მაგრამ, როცა ევროპის ინტელექტუალურ სიღრმეში გადავიხედავთ და სიმაღლის შიში დაგვზაფრავს, კუდამოძუებული გამოვრბივართ უკან და აღმოსავლეთს ვაფარებთ თავს, ხოლო როცა აღმოსავლეთის ღვთიური ნაპერწკლით განათებულ სიბრძნეს თვალს ვერ გავუსწორებთ, სასწრაფოდ დასავლეთისკენ ვიბრუნებთ პირს. და ასე ხიდად გაჩენილები უფსკრულად ვცხოვრობთ. ხიდი მაშინ ხარ, თუ ორივე ნაპირს მყარად ებჯინები. თუ ორივე ნაპირს მოწყდი, მაშინ უფსკრული ხარ. ყველაფერი კი პატივმოყვარეობიდან მოდის. პატივმოყვარეობა ხარბად შთანთქავს ყოველივეს, რასაც სიკეთე ბადებს. პატივმოყვარეობაა ყოველგვარი ბიწიერების დაბადების ადგილი. შური, მტრობა, სიძულვილი, ყველაფერი მისი შვილია. კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სავსებით დაძლევს პატივმოყვარეობას, საკუთარ თავში იპოვის ღმერთს. მართალია, წვრილმანების მიზიდულობის ძალა მეტისმეტად დიდია და პატივმოყვარეობის დათმობისათვის მძიმე ბრძოლაა საჭირო საკუთარი თავის წინააღმდეგ, მაგრამ, მერწმუნეთ, ღირს ამ ბრძოლის გადახდა. იმიტომ რომ ჯილდო განუზომლად უფრო დიდია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ადამიანი პატივმოყვარეობის მხარესაა და თავისუფლებას ებრძვის. ურიცხვი მაგალითიდან ავიღოთ მხოლოდ ერთი, რომელიც თქვენთვის ყველაზე უფრო ნაცნობია. ეს არის ლუარსაბ რაზმაძის ცხოვრება. აქ, ამ უღრანსა და მდუმარე ტყეში თქვენ მარტო ხართ საკუთარ თავთან. ამიტომ საშიში არაფერია. იყო დრო, როცა ლუარსაბ რაზმაძე სიღრმეებში იყურებოდა და საგნების უკან არსის დანახვას ცდილობდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, გულში თუ პატივმოყვარეობა ეჯდა, რომელიც თავის გზაფხულს ელოდა, რათა სარეველა ბალახივით ამოტეხილიყო და ყველაფერს მოსდებოდა. და ახალგაზრდა, იმედებითა და მიზნებით სავსე ლუარსაბი შეხვდა ელენეს. ქალვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ. მაგრამ არც ელენეს შეყვარებია ლუარსაბის გარეგნობა და არც ლუარსაბს შეყვარებია ელენეს გარეგნობა. იმიტომ რომ გარეგნობის შეყვარება არ შეიძლება. ელენე სათბურში ამოსული მინდვრის ყვავილი იყო და თავისუფლება ენატრებოდა, მთელი არსებით გრძნობდა, როგორ უხმობდა მზე და სივრცე. სწორედ ეს თავისუფლება იპოვა ლუარსაბში და ამიტომ შეუყვარდა ლუარსაბი. თავის მხრივ, ლუარსაბსაც იმიტომ შეუყვარდა ელენე, რომ მისი გაუცნობიერებელი სწრაფვა იყო, სათბურში გამოკეტილი მინდვრის ყვავილისთვის თავისუფლება მიენიჭებინა. ეს ყველაფერი პოეტურად ჟღერს. ხოლო პროზაული ამ ამბავში ისაა, რომ შეერთების შედეგად სწორედ ის დაიკარგა, რისთვისაც ეს შეერთება მოხდა. თავისუფლება დაიკარგა. იმის ნაცვლად, რომ მინდვრის ყვავილი სათბურიდან გადასახლებულიყო, თავისუფლება თვითონ ჩასახლდა სათბურში. პატივმოყვარეობამ შექმნა პეტრე დიდი, როგორც სამეზნე, და სიმამრი კალისტრატე, როგორც იარაღი. წვრილმანებმა აავსო ყველა კუთხე-კუნჭული. და სიყვარულიც, თავისუფლების ყლორტი, თავისუფლებასთან ერთად დაიღუპა. ლუარსაბ რაზმაძეს ჰგონია, ეს არ იცის. სინამდვილეში იცის, მაგრამ საკუთარ თავს არ უმხელს, რადგან ამის აღიარება იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც აგებულა, ერთი დაკვრით დაინგრეს და სამოცი წლის ადგილას ვეება სიცარიელე გაჩნდეს. თავის მოტყუება საკუთარი სიცრუით საზრდოობს. მაღალი სიყვარულიდან კი მხოლოდ ჩრდილი დარჩა, მხოლოდ მოგონება დარჩა, მხოლოდ შეთქმულება დარჩა, ლუარსაბისა და ელენეს უსიტყვო, თავისთავად ნაგულისხმევი შეთქმულება, რომლის მიზანია, არავის, არც საკუთარ თავს, არც შვილებს, არც მეზობლებს, სრულიად არავის არ გაუმხილონ, რომ სიყვარული თავისუფლებასთან ერთად ჩაქრა, როგორც ლამპა, რომელშიაც ნავთი ამოშრა. ასეთია ლუარსაბ რაზმაძის ცხოვრების მოკლე ანალიზი. და ეს მხოლოდ ერთი მაგალითია, შესაძლებელია, სხვებზე მეტად გულდასაწყვეტი, მაგრამ მაინც ერთი მაგალითი.

ანაპოდისტე ბუაძე გაჩუმდა. და ლუარსაბმა ახლაღა იგრძნო, თუ რა უსიამო, ‘ყრონტისმიერი ხმა ჰქონია. თანაც ეს ხმა საოცარი მონოტონურობით, გულისგამაწვრილებლად ისმოდა, როგორც შემოდგომის წვიმის წკაპუნი ფანჯრის მინაზე. და ამ ყრონტისმიერმა მონოტონურობამ რომ გადაიღო, სხეული სასიამოვნოდ მოდუნდა და შიგ შვება ჩასახლდა.

მერე ეს შვება სიმამრმა კალისტრატემ გამოაძევა.

ჯემალ ქარჩხაძე
ღლე ერთი

სიმამრი კალისტრატე თავის საქმეს აკეთებდა და არავითარი ავი განზრახვა არა ჰქონია. ისე ცხოვრობდა, როგორც ეცხოვრებოდა. ლუარსაბი, უბრალოდ, ადვილი წასაძღვანიებელი გამოდგა და ამიტომ წაიძღვანია. შემთხვევით წამოედო და აიკრო, როგორც სველ ფოთოლს აიკრობს ტალახიანი ლანჩა... ნამცეცი უნდა იყო, ასეთმა ზვავმა რომ დაგიტანოს.

ლუარსაბს უცებ საოცარი ძალით, უდიდესი ნატვრით მოენატრა ელენე. ნატვრა ელვასავით შემოიჭრა სხეულში, ელვის სისწრაფით მოედო ყველაფერს, შეკრა და შეკუმშა ყველაფერი. ლუარსაბი უყურებდა ამ ერთ ნატვრად შენივთებულ არსებობას და უნეტარესი ტკივილით ენატრებოდა ელენე, რადგან მხოლოდ ელენეს გვერდით იყო ხსნა გაუგებარი, უცნაურად მომნუსხველი ხიფათისაგან, რომელიც ცის ჩამოქცევასავით შეუკავებელი, აურიდებელი იყო.

— პეტრე დიდიც თავის საქმეს აკეთებს. — თქვა ანაპოდისტე ბუაძემ. — თავის პატივმოყვარეობას კვებავს და ბრალი არაფერში მიუძღვის. სხვას არასოდეს მიუძღვის ბრალი, რადგან დანაშაული, სასჯელი და ჯალათი ერთი და იმავე არსის სამი სხვადასხვა სახეა.

ლუარსაბმა ანაპოდისტე ბუაძეს შეხედა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ ამ კაცის გარეგნობა აქამდე არ შეუმჩნევია, ისევე როგორც წეღანდლამდე მისი ხმა არ გაუგონია. შეხედა და დააცქერდა. დაბალი, ხმელი კაცი იყო. მოგრძო, ძვლიანი სახე ჰქონდა, რელიეფური ყვრიმალები, ღრმად ჩამსხდარი თაფლისფერი თვალები და ენერგიული, ოდნავ წინ წამოვარდნილი ნიკაპი, შეჭაღარავებული წვერი თითქოს ერთიან კალაპოტში აქცევდა სახის ნაკვთებს და გამომეტყველებას რაღაც მშვიდსა და რბილ იერს ანიჭებდა. ხამი ტილოს ნაცრისფერ, გვარიანად დაჭმუჭნილ შარვალზე ზემოდან თეთრი ნაჭრის ქამრით შეკრული ჯვალოს ხიფთანი გადმოფენოდა. ფეხზე უქუსლო, სპორტული ფეხსაცმელი ეცვა.

ლუარსაბმა მუხლები შემოიკეცა, ზედ მკლავები შემოაჭდო და ხევს ჩაცქერა-და, რომლის ბოლოში თეთრი სინათლე ციმციმებდა.

არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდა დუმილი.

— დღეს პეტრე დიდს ველაპარაკე ტელეფონით. — დაიწყო ბოლოს ლუარსაბმა. ნელა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა და საკუთარი ხმა გამაღიზიანებელი მკაფიოებით ესმოდა. — პეტრე დიდი ლომივით ბუხუნებდა, მე კი ცინდალივით ვკნაოდი. პეტრე დიდს წვრილი, ქალური ხმა აქვს. და თავისი წვრილი ხმით იგი ლომივით ბუხუნებდა, მე კი ჩემი ბანით ცინდალივით ვკნაოდი... მე საკუთარ თავს ზურგი შევაქციე და ჩინებული მეცნიერის სახელს წარჩინებული მეცნიერის სახელი ვარჩიე. მე ნებიერად ჩავწექი ილუზიაში და მთელი ცხოვრება ვცდილობდი დამეჯერებინა, რომ ეს ილუზია მარადიულია. მაგრამ... ნუთუ ელენეც?.. — ლუარსაბმა ნელა, მძიმედ ასწია თავი და ანაპოდისტე ბუაძეს თვალი გაუსწორა. — ნუთუ ელენეც?

— ელენეც. — წყნარად თქვა ანაპოდისტე ბუაძემ და ამ დროს მისი ხმა ნაკლებ ყრონტისმიერი იყო. — თქვენ აქ მარტო ხართ საკუთარი თავის წინაშე.

ირგვლივ დიდხანს დუმილის მეტი არაფერი იყო. დუმილს მხოლოდ წყლის მონოტონური ჩუხჩუხი არღვევდა. ბოლოს, წყლის ჩუხჩუხიც რომ მიილია და დუმილში შთაინთქა, ლუარსაბმა დაფიქრებით, თითქოს თავის თავს ეკითხებაო, თქვა:

— მაშ, ადამიანი სადღაა?

ანაპოდისტე ბუაძეს ხელები მკერდზე დაეკრიფა და ხეობას გასცქეროდა.

— ადამიანი ღმერთია, მაგრამ ტალახიანი ფეხები აქვს. როცა ღამით მარტო ხარ სადმე მთაში და შენს თავზე ვარსკვლავიანი ცაა, მოულოდნელად გაგახსენდება ასტრონომიის რომელიღაც სახელმძღვანელოში ამოკითხული ცნობა იმის შესახებ, რომ ვარსკვლავი, რომე-

ლსაც შენ ახლა უყურებ, დიდი ხანია აღარ არსებობს. ეს მშრალი ცნობა წამით თავის სწორკუთხა მეცნიერულ საფუძველს ასცდება და ნამდვილ შინაარსს შეიძენს. შენ ერთბაშად მიხვდები, რომ ის, რაც ანათებს, ანათებს არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. და უეცრად ელვაზე ათასჯერ უფრო დიდი სისწრაფით რაღაც უცნაური და ყოვლისმომცველი განცდა აენთება და ჩაქრება. აღქმას ვერ მოასწრებ, ვერავითარ სახელს ვერ დაარქმევ, ვერავითარ განსაზღვრებას ვერ მოუძებნი. მხოლოდ ერთ რამეს მიხვდები: შენს არსებობაში მოუხელთებლად დაკვესა და იელვა რაღაც სხვა არსებობამ.

— მერე? ეს არის ადამიანი?

— ეს არის. ადამიანი წყლით სავსე ორმოა. ქარი უბერავს, გუბეს აღელვებს და მღვრიე წყალს კიდევ უფრო ამღვრევს. და ორმო წყლის გაუმჭვირვალე, ჭუჭყიანი ფარდის მიღმა ვერაფერს ხედავს. მაგრამ ზოგჯერ, ათასში ერთხელ, ქარის მაგივრად გრიგალი დაჰბერავს, ამღვრეულ გუბეს შუაზე გაპობს და, სანამ კედლებზე მიჭყლეტილი წყალი უკანვე დაბრუნდება და პირს შეიკრავს, ორმო თვალს შეავლებს ცას და წამით იმად იქცევა, რაც იყო მანამ, სანამ - წვიმა მოვიდოდა.

მერე კვლავ დიდხანს იყო დუმილი. ლუარსაბი ბალახში იჯდა, ფეხები შემოეკეცა და ზედ მკლავები შემოეჭდო. ანაპოდისტე ბუაძე იდგა, ხელები მკერდზე დაეკრიფა. ორივენი დუმდნენ და დაფიქრებული გასცქეროდნენ ხეობას, რომლის ბოლოში ვიწრო ზოლად შემოჭრილიყო დიდი სინათლის მცირე ნაწილი, როგორც ზღვა შეიჭრება მდინარეში შესართავთან. ტყეც დუმდა. ჩიტებიც დუმდნენ. და მხოლოდ წყალი, გამსკდარი კლდიდან გადმონადენი, მხიარული ჩუხჩუხით ეშვებოდა ქვებით შემოზღუდულ პატარა წყაროში.

ბოლოს, როცა დუმილი დამთავრდა, ლუარსაბი წამოდგა.

— ახლა კი დროა, შინ დავბრუნდე. ეს რომ თქვა, ერთბაშად ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს სხეულში რაღაც აუხსნელი და გაუგებარი შვება შემოვარდა და მკვრივი სიმძიმე შემხმარი ტალახივით ჩამორეცხა ძარღვებიდან.

— ჯერ წყალი გასინჯეთ. ასეთ წყაროს სხვაგან ვერსად ნახავთ.

ანაპოდისტე ბუაძემ ხელები გადაიბანა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, ღარისწყალს პეშვი შეუშვირა და დაეწაფა. მერე წამოდგა, წვერზე შერჩენილი წყლის წვეთები ხელით ჩამოიწურა და ლუარსაბს მიუბრუნდა:

— თქვენი ჯერია.

ლუარსაბმა მისი ყველა მოძრაობა გაიმეორა: ხელები გადაიბანა, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, ღარისწყალს პეშვი შეუშვირა და დაეწაფა. წყალი მართლა საუცხოო იყო, ცივი და გემრიელი. გული რომ იჯერა, წამოდგა და ნიკაპზე შემორჩენილი წვეთები ხელით ჩამოიწურა.

ტყე უხმოდ გამოიარეს და მდელოზე გამოვიდნენ.

— მანქანისათვის ალექსი-ალეს ამოვგზავნი. — თქვა ლუარსაბმა. — ტყეზე უნდა გადიოდეს, მგონი, მოკლე გზა, არა?

— კი. მშვენიერი ბილიკია. ოც წუთში სოფელში იქნებით. წავიდეთ, გაჩვენებთ.

მდელოს მაღლა აუყვნენ და მთის წვერზე მოექცნენ. აქედან ანაპოდისტე ბუაძის პატარა სახლიც კი დაბლა იყო. ორივე სოფელი, გაღმაცა და გამოღმაც, ხელისგულივით ჩანდა. ქვემოთ, ვაკეში, კიდევ რამდენიმე სოფელი ჩანდა. გაშლილ სივრცეში სახლები ერთად მიყუჟულიყვნენ და შემციენულებივით მიკვროდნენ ერთმანეთს.

— აი, ამ ბილიკს დაადგებით, — აუხსნა ანაპოდისტე ბუაძემ. — და პირდაპირ წისქვილის თავზე ჩახვალთ, ბეწვის ხიდთან.

— გმადლობთ. — უთხრა ლუარსაბმა. — მშვიდობით.

ჯემალ ქარჩხაძე
დღე ერთი

— მშვიდობით. — ანაპოდისტე ბუაძე მიტრიალდა და ქვემოთ, თავის სახლისაკენ დაეშვა.

ლუარსაბი უცებ თითქოს რაღაცამ შეაკრთო. და სანამ ამ შეკრთომის მიზეზს გაიაზრებდა, ანგარიშმიუცემლად მიაძახა:

— და რომ არაფერი მოგვეკითხოს?

ანაპოდისტე ბუაძე შედგა და შემობრუნდა. ერთხანს უხმოდ უყურა. ბოლოს თქვა:

— მაშინ დავიღუპებით.

და წავიდა.

წამით, ეტყობა, ჩვევის გამო, ლუარსაბს გულში განშორების ტკივილმა გაჰკრა. მერე ბილიკს დაუყვა, რომელიც არც ისე ძნელი სავალი გამოდგა, როგორც ზემოდან ჩანდა, და მალე დაბურულ ტყეში შევიდა.

ბილიკი ვიწრო იყო, ტყე — ზვიადი და იდუმალი.

ტყეს საშიში სახელი ერქვა: „დათვის ტყე“.

„დათვი გაწყვიტეს. დათვისაგან, ალბათ, მარტო სახელიღა დარჩა“.

ბილიკის თავზე რაღაცამ გაიშრიალა. ლუარსაბი შედგა და ყური მიუგდო.

„კურდღელი იქნებოდა, ან მელა. დათვი სხვანაირად დაშლიგინობს“.

მიხვდა, რომ გულში შიში შემოპარვოდა, ცოტა სამარცხვინო, ცოტა სასაცილო, მაგრამ სავსებით ბუნებრივი და გარდაუვალი.

დამშვიდდა და გზა განაგრძო.

შუა ტყეს რომ მიაღწია, უცებ ბინდი ჩამოწვა.

შედგა და ცას ახედა. ტანმაღალი ხეების ხშირი ტოტებიდან ცა ნაფლეთებად ჩანდა.

„ჯერ ადრეა დაღამება“. — გაიფიქრა და მარჯვენა ხელი ინსტინქტურად წაივლო საათზე, მაგრამ იქვე გაახსენდა, რომ საათს დროის ანგარიში დაკარგული ჰქონდა.

ბინდი მუქდებოდა.

იქნებ წვიმას აპირებს? ცა თითქმის არა ჩანს... ნუთუ მართლა დაღამდა?..

სტუმრები თანდათან იკრიბებიან. სუფრა სავსეა ხორაგით. სასმისები ივსება. არა, ამბობს პეტრე დიდი, ყანწი მომაწოდეთ. ლუარსაბს გაუმარჯოს, ბატონებო! იცოცხლე ჩემო... სად არის ლუარსაბი?

ლუარსაბი ტყეშია. ტყეში ბნელა. სიბნელეში ვიწრო ბილიკია.

ლუარსაბი გაჭირვებით მიიკვლევს გზას.

უცებ შეჩერდა. ცივი სუნთქვა კედელივით გადაეღობა წინ.

ირგვლივ ყველაფერი შეჩერდა. სამყაროში ხმაური ჩაქრა, მოძრაობა შეწყდა. წამით ყველა სულიერი თავის მარადიულ პოზაში გაშეშდა.

ანაპოდისტე ბუაძე გულხელდაკრეფილი ზის სამფეხა სკამზე. გოდორაკიდებული გლეხკაცი სოფლის შარაგზაზე მიდის. მოხუცი ალისტრახო ოთახის შუაგულში წევს. სარდიონი და ვასილი სამარეს ჭრიან. იაკინთე და პატარა კოსტა ხარებს მოუძღვებიან. პეტრე დიდი ვრცელ კაბინეტში ზის. დანარჩენი პეტრეები კუთხეში ჩაცუცქულან. ალექსიალეს სძინავს. ლარისა ზღვრამდე გამართულია და სათვალის შუშები ულაპლაპებს. ელენე სამზადის ზღურბლზე დგას და მოლოდინის თვალით გასცქერის რაღაცას.

ის კი ცივი სუნთქვის კედელში დგას, თვალები ცნობისმოყვარედ დაუჭყეტია, ხელები და ფეხები ისე გაუფარჩხავს, თითქოს რაღაც ველურ ცეკვას ცეკვავსო.

ლუარსაბს აქამდე ეგონა, რომ მის გარეგნობაზე არასოდეს უფიქრია. თურმე კი უფიქრია. უფიქრია და საკუთარ წარმოსახვაში მისი ხატიც შეუქმნია. და ახლა გაკვირვებული უყურებს, რადგან ის, რაც სინამდვილეშია, მის წარმოსახვაში შექმნილს არა ჰგავს.

როცა შეირხა, მასთან ერთად ცივი სუნთქვის კედელიც შეირხა.

ჯერ ერთ მხარეს გადაიხარა გაფარჩხული ხელ-ფეხით, მერე მეორე მხარეს. კედელიც გადაიწია და გადმოიწია.

მერე ისევ შეჩერდა, თვალები კიდევ უფრო დააჭყიტა და წვრილი ხმით დაიწივლა:

— ან ამიკიდე, ან ამეკიდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშა ციციაშვილი

თანდათან ვხვდები...

ეხლა,
როდესაც
ხანში შევდივარ,
თანდათან ვხვდები, —
რად მირჩევნია
ნარიყალის
თიხა და ღორღი
ათენის მარმარილოს
ვენეციურ ბროლს.

ეხლა,
როდესაც
ხანში შევდივარ...

საქართველო

შენა ხარ მწიფე ყურძნის მტევანი,
შენა ხარ ალვა და სატევარი.
შენა ხარ მწიფე ყურძნის მტევანი
ერთ ხელისგულზე დასატევარი,
ჩემი სურვილი და სატკივარი.

მენატრება შენი ხელის მტევანი

ისევ ის ხარ, არ შეცვლილხარ სრულებით,
ვრჩები მონად შენთა თვალთა შუქის,
გამახსენე მწვანე გაზაფხულები,
აპრილები შორი სიჭაბუკის.

ვნებათა რომ ისევ ქუხს შადრევანი,
არ მაქვს ნება — მის წინაშე შევდრკე.
მენატრება შენი ხელის მტევანი
საამბოროდ გამოწვდილი ჩემსკენ.

შენ კი მაინც არ შეცვლილხარ სრულებით
და მეც ვრჩები მონად შენთა
მაღალ თვალთა შუქის,
კვლავ მაწვიე მწვანე გაზაფხულები,
აპრილები ძნელი სიჭაბუკის.

ახლოვდება უკვე ბედი მდევარი,
ბედია და, აბა, როგორ შევდრკე,
მენატრება შენი ხელის მტევანი
სატევარით გამოწვდილი ჩემსკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდგორის ომიდან კრწანისის ბრძოლამდე
(სახელებს ვინახავთ ძვირფასი განძივით),
შოთა რუსთველიდან გალაკტიონამდე
რა დიდი დროა და რა მცირე მანძილი.

ფიქრად ადვილია: წვალობდე, ითმენდე,
პარიზში ჩახვიდე პატარა ტანძიით.
ჩარგლით თუ სხვიტორით მამადავითამდე—
რა მცირე დროა და რა დიდი მანძილი.

თორმეტ საუკუნეს თორმეტ დღით კვებავდე,
წამიერ ნაგრძნობით, წამიერ განცდილით,
შოთა რუსთველიდან გალაკტიონამდე
რა დიდი დროა და რა მცირე მანძილი.

ბოლნისის ტაძართან

ო, ძვირფას ქვათაც,
ო, ძვირფას ქვათაც,
ვით ოკეანეთ და ვითა ზღვათა
აქვთ თავის სიღრმე
და თავის ფსკერი.

და ჩემი სულის მძლავრი ვერფიდან
ჩემს ფიქრებს, როგორც მოლურჯო გემებს
და თეთრ ხომალდებს,
ჩავუშვებ მე მათს უქაფო წყლებში.

ო, ძვირფას ქვათაც,
თურმე ამ ქვათაც
აქვთ თავის სიღრმე და თავის ფსკერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭან ბარდაველიძე

ჩემი მდინარეები

წყალწითელას ლოდები
მიდევს თავსასთუმალად;
ამ წყალს ჰქვია ყვირილა,
იმ წყალს ჰქვია დუმალა.

და როდესაც საღამო
დაღლილ თვალებს მილულავს,
სულში ადუდუნდება
ძირულა თუ... ძილურა.

რა კარგია! მიქია
გარდასული დღეები...
სულ დაღმართში მიჰქრიან
ჩემი მდინარეები.

ნუღარ დაელოდები
არცთუ ისე შორ აპრილს.
აი, უკვე გამოჩნდა
ძველი ციხე შორაპნის.

ამ აღმართზეც კი ვივლით,
სასიკეთოდ თუ ვივლით.
ზოგი მიჰქუხს ყვირილით,
ზოგი კიდევ — დუმილით.

ზოგი — ქედწადრეკილი,
ზოგი — თავგანწირულად.
ყვირილა თუ... დუმალა.
ძირულა თუ... ძილურა.

ამ ათიოდე წლის წინათ

იმერული სიმღერა

ყველა ფიქრებს და იმედებს
ნაქერალას ქედზე სძინავთ.
ყველაფერი გავიმეტე
ამ ათიოდე წლის წინათ.

სიხარული? ხელში მქონდა,
დამეფანტა ათას მძივად.
გავიხედე, ქარს მიჰქონდა
ამ ათიოდე წლის წინათ.

სიყვარული? გამიფრინდა,
როგორც ჩიტი პაწაწინა.
დანგრეულა ჩვენი ბინა
ამ ათიოდე წლის წინათ.

მე სიკეთე მქონდა გულში,
მან ბოროტად გამიცინა.
დავიღალე, გავპირქუშდი,
ამ ათიოდე წლის წინათ.

თქმა შემეძლო. უთქმელობამ
გული უფრო დამიმძიმა.
გამიჭირდა უთქვენობა
ამ ათიოდე წლის წინათ.

მორცხვად შემომხედა ვარდმა,
თვალში ცრემლმა გაიბრწყინა.
ეს ისაა, ვინც მიყვარდა
ამ ათიოდე წლის წინათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთო, რა ცოტა ჰყოფნით პოეტებს...

„მეტ პატივში ვარ ჩემს ქვეყანაში!“ —
წამოიძახა მგოსანმა დიდმა,
და როცა იყო ყელამდე ვალში,
როსტომ წერეთლის მამულებს ჰყიდდა.

„ქებათა ქება! ამივსეთ თასი!“ —
დაიგალობა აგრეთვე დიდმა...
არ უთხოვია ლექსისთვის ფასი
და არც ღვთაებრივ სტრიქონებს თვლიდა.

ვინ გაიმეტებს ოქროს მონეტებს,
ან ვინ იქნება ჩვენთვის გულუხვი...
ღმერთო, რა ცოტა ჰყოფნით პოეტებს:
ცა-ფირუზი და ხნელეთ-ზურმუხტი!

ხელის კანკალით თუ ანთებს სანთელს
იქ, სადაც არის მისი სახატე, —
ბედნიერია უკუნისამდე
და მადლიერი ცას შეჰღაღადებს.

ჯ ა მ ბ ა ზ ი

გაჭიმულია თოკი.
ღია უფსკრულის პირას
ხელში მაშველი ჭოკით
მივემართები ფრთხილად.

ერთი უსწორო ბიჯი.
და ელდა უვლის დარბაზს...
მაგრამ ოდნავი შიში
ეპატიება ჯამბაზს?

აი, ცახცახებს თოკი...
არის თუ არა სანდო,
მაინც სამმაგი ხტომით
უნდა აჩვენო სალტო, —
რაც შეიძლება ხშირად
უნდა გასჭიმო ყირა.

განსაკუთრებით მაღალს,
განსაკუთრებით ამაყს, —
როცა სადარდელს ვწალავ,
მაშინ ვაკეთებ მალაყს.

თუ ხარ ნამდვილი მიმი
და უფრთხილდები სახელს,
ამასთანავე ღიმი
უნდა ეფინოს სახეს.

გამოკიდებულს ცაში,
აყირავებულს ცერად,
შორიდან მესმის ტაში
და შიგადაშიგ სტვენა.

როცა ბენგალურ ცეცხლის
გადმოიფრქვევა ჭავლი,
ტაკიმასხარა შემცვლის, —
ბედნიერსა და დაღლილს.

ორი ძუძუ მიწოვია...

ორი ძუძუ მიწოვია,
ორივ ერთში ამერია.
ერთი ძუძუ იმერია,
მეორე კი — აწერია.

მთას გადაღმა რიონია,
მთას გადმოღმა — იორია.
ეს ქვეყანა გქონდეს ქართველს —
არცთუ ისე იოლია.

სულერთია, როგორ იტყვი,
კახეთად თუ იმერეთად, —
ბევრი შვილის მარჩენალი
ერთი არის ტკბილი დედა.

გევედრები, მოუსმინე
ამ ჩემს ლოცვას, ამ ჩემს ჩურჩულს:
ნუ მოგვაკლებ ნურასოდეს
საქართველოს დამრჩენ ძუძუს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიჰქრის მატარებელი

ჩვენი მატარებელი,
გულის გამხარებელი...

უკან დარჩა დიდუბე, ავჭალა და მცხეთა,
წუთისოფლის სტუმრები ყველანი შიგ ვსხედვართ.

ზოგი ღვინოს შევყევით, ზოგი კიდევ მუსაიფს,
მიჰქრის მატარებელი, — საით, ნეტა საით?

გავიარეთ ქსანი, მალე კასპსაც გავცდებით,
მივქრით — მივექანებით ქალები და კაცები.

არც არავინ გვაცილებს, ხელს არავინ გვიქნევს,
თვითეული ცალ-ცალკე მისცემია ფიქრებს.

თვითეული განიცდის, თვითეული თავისთვის,
ქალი — არა კაცისთვის, კაცი — არა ქალისთვის.

ზოგი — შუბლმხიარული, ზოგი — შეკრულ მუშტებით,
ქალიშვილი ჯინსებში, ბავშვი — წითელ ბუშტებით.

სიგარეტის ბოლით და ჭიქა-ჭიქის ჭახუნით
გავიარეთ გორი, აგარა და ხაშური.

არეული აზრებით, განცდებით და გაძლებით
მივქრით-მივექანებით წუთისოფლის მგზავრები.

უეჭველად მალე ყველანი იქ ვიქნებით:
ჰიპები და ღიპები, ღიპები და ჰიპები.

იქ ბოლო სადგურია და არაა სხვა გზები:
აზრები და განცდები, განცდები და აზრები.

მიჰქრის მატარებელი,
გულის გამხარებელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ უბილავა

გაბრძოლის გუშაგი

ციხიდან ახალგანთავისუფლებულ ბოლშევიკებს დიდი საზრუნავი ჰქონდათ. მენშევიკები საზღვარგარეთ გაიქცნენ, წითელი არმია ჯერ არ შემოსულიყო; ამ დროს ქალაქში უნდა აღედგინათ ელემენტარული წესრიგი, განედევნათ იქიდან თურქი ასკერები, დაემყარებინათ თბილისთან კავშირი.

ბოლშევიკებმა დაიკავეს მენშევიკების გენერალ-გუბერნატორის გრიგოლ გიორგაძის სახლი, სადაც მოთავსდა ბათუმისა და ბათუმის ოლქის ახალჩამოყალიბებული რევკომი სერგო ქავთარაძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა მალაქია ტოროშელიძე. რევკომის შემადგენლობაში მოგვიანებით შეყვანილ იქნა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი მემედ აბაშიძე და რეჯებ ნიჟარაძე.

ქალაქში ისმოდა სროლა. ფორტებში გაფანტულ მენშევიკთა ჯარში დაიწყო დეზერტირობა.

მენშევიკური გვარდიის ნაწილებში გაიგზავნა ბოლშევიკი აგიტატორები, რომლებმაც დაარწმუნეს ისინი, რომ საჭირო იყო ერთობლივი მოქმედება თურქების განსადევნად. თურქები კი იმდენად გათავხედდნენ, რომ ბათუმის, ახალქალაქისა და ახალციხის ოკუპაციაზე ბრძანება გამოაკრეს ქალაქის ცენტრში გენერალ ქიამიზ-ბეის ხელმოწერით.

როგორც კი ქავთარაძისათვის ცნობილი გახდა ქიაზიმ-ბეის ბრძანება, ის ნაშინვე მიხვდა, რა დიდი ბრძოლები ელოდა წინ რევკომის ჯარებს. ჯარისკაცთა უმრავლესობა იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან იყო. ბევრი მათგანი ფიცხლად ჩაება ბრძოლაში. მათ უნდა დაეცვათ ათას ხუთასი ვაგონი და პლატფორმა, რომლებიც ხალხის ნაძარცვი ქონებით იყო დატვირთული და მენშევიკებმა იძულებით მიატოვეს.

საჭირო იყო სარდალი, დემორალიზებულ ჯარში სიმხნევეს რომ შეიტანდა, წითელი არმიის მოსვლამდე ქიაზიმ-ბეის კარგად შეიარაღებულ არმიას გაუმკლავდებოდა და ბათუმში საბჭოთა ხელისუფლებას შეინარჩუნებდა.

ოფიცრებმა ქავთარაძეს მოახსენეს, სარდლობას ყველაზე უკეთ გენერალი მაზნიაშვილი შეძლებსო. ის უკვე ფელუგაზე იყო გასული და, ოჯახთან ერთად, თურქეთისაკენ აეღო გეზი.

ქავთარაძემ გასცა ბრძანება, დაეკავებინათ გენერალი და დაუყოვნებლივ მოეყვანათ რევკომში. ნახევარ საათში მოიყვანეს გენერალი — დაბალდაბალი, მკვრივი აგებულების ხანდაზმული კაცი.

მაზნიაშვილმა პირველად უარი თქვა ბათუმში დარჩენაზე და, მით უფრო, სარდლობაზე, მაგრამ დახვრეტის მუქარით დაითანხმეს და ისიც ფიცხლად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. სარდლის კომისრად დაინიშნა თენგიზ ჟღენტი.

მაზნიაშვილმა პირველად გაფანტული ნაწილები შეაერთა, მერე შეუტია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქებს. რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლები.

გვიან ღამით რევკომის თავმჯდომარეს აცნობეს, ქალაქში შემოვიდა სამოქალაქო ომის გმირის ქლობას ცხენოსანთა ჯარის შტაბი. ეს იყო მეთერთმეტე არმიის ის ნაწილები, რომელიც ბათუმის გასათავისუფლებლად გოდერძის უღელტეხილით მოისწრაფოდნენ. მათ უმძიმეს პირობებში მოუხდათ ლაშქრობა — თოვლში, სიცივეში, ტალახში. ქავთარაძემ მიიღო ქლობა — მაღალ-მაღალი, ხმელი, წელში ოდნავ მოხრილი კაზაკი, რომელსაც მზით შერუჯულ სახეზე აშკარად დატყობოდა უძილობა და დაღლილობა. მან ძლივს მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა.

რევკომის თავმჯდომარეს გამოეჭიმა ახალგაზრდა შტაბისტი და უპატაკა: ცხენოსანი დივიზია ქალაქის მისადგომებთან იმყოფება და დილით ქალაქში შემოვალ.

ვერ მოასწრო პატაკის მიცემა, მოთიბულივით დაეცა პირქვე. თურმე სამი დღე-ღამე არ უძინია. ის სკამზე დაწვინეს. ღრმა ძილს მიცემული.

მეორე დილით ქალაქში გაიარა ქლობას კავალერიამ ქობულეთის მიმართულებით. მხედრებს სახეზე დაღლილობა ეტყობოდათ, ცხენები ფეხებს ძლივს ითრევდნენ.

სასტუმრო „საფრანგეთში“ შერჩენილი იყო თურქების შტაბი გენერალ-ქიაზიმ-ბეის მეთაურობით. ფანჯრიდან ქუჩაში ტყვიამფრქვევი იყო გამოშვერილი. ტელეგრაფშიც ჩასაფრებულიყო თურქთა ყარაული ხუთი ასკერით. მათ წინააღმდეგ იარაღის ხმარება აპარატურას მწყობრიდან გამოიყვანდა, ამიტომ კიბე მიადგეს და მშიერ ასკერებს რამდენიმე გოგორა პური შეუგდეს. როცა დანაყრდნენ და ფანჯრიდან გამოიხედეს, მათ აუხსნეს: თურქების უმრავლესობა გაიქცა, ხოლო აქ დარჩენილებმა იარაღი დაჰყარეს, ამიტომ წინააღმდეგობის გაწევა უაზროა და პურით „დაბომბილი“ ასკერებიც დანებდნენ.

გენერალ ქიაზიმ-ბეის წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ქალაქი და სამხედრო სასულე ორკესტრიც ესთავაზეს საპატიო გაცილებისათვის. ქიაზიმ-ბეიმ ასეთ „პატივისცემაზე“ უარი თქვა და რევკომს სთხოვა, კატარღაზე დამსვითო.

საჯავახოსთან, რიონის ხიდზე მოძრაობის აღდგენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბათუმში შემოვიდნენ საბჭოთა არმიის რეგულარული ნაწილები.

●

იტალიის გემი „ფერენც-ჟოზეფ-მარელი“, რომლითაც ნოე ჟორდანია თავისი ამალით პარიზში მიემგზავრებოდა, სტამბოლში დროებით შეჩერდა. გემზე ამოვიდა პოლონეთის ელჩი თურქეთში. ის გულთბილად მიესალმა საქართველოს ლტოლვილ მთავრობას და შემდეგი სიტყვით მიმართა:

— მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მისი ამალა სასიამოვნო სტუმარია პოლონეთისა. თუ შევთანხმდებით, ტელეფონით გადავცემ მის უდიდებულესობას მარშალ იოზიფ პილსუდსკის თქვენს გადაწყვეტილებას და გზა გაგეხსნებათ პირდაპირ ვარშავისაკენ.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ ყველა სამხედრო პირს შეუნარჩუნდება თავისი სამხედრო წოდება და ღირსება. ერთხელ კიდევ გთხოვთ წამობრძანდეთ ჩვენთან, პოლონეთში!

ჟორდანიას მეტისმეტად ესიამოვნა ასეთი თავაზიანი მიწვევა, მაგრამ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ბრიანისათვის მიცემული პირობაც ბოჭავდა. თან მისი მომავალი პოლიტიკური მოღვაწეობის არენად პარიზს ხელსაყრელ სტრატეგიულ პუნქტად მიიჩნევდა და გულიც იქითკენ მიუწევდა. ამიტომ ელჩს თავაზიანი უარი უთხრა.

ელიზბარ უგილავა
განძეულის გუშაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ელჩმა ერთხელ კიდევ ურჩია ჟორდანიას და მის თანმხლებ პირებს პოლონეთში გამგზავრება. მან ამჯერად დაწვრილებით განმარტა პოლონეთში ცხოვრების ხელსაყრელობა. კარგა ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სამხედრო პირთა ერთი ნაწილი — საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი სანდრო ზაქარიაძე, გენერლები: ჩხეიძე, ბაქრაძე, ყაზბეგი და იუნკერთა სასწავლებლის მთელი შემადგენლობა პოლონეთში გაემგზავრა. ოფიცერთა მეორე ჯგუფი პარიზში გაჰყვა ჟორდანიას და მის ყოფილ მთავრობას.

●

ჟორდანიას გემის სტამბოლიდან გასვლის მეორე დღეს, საქართველოს განძეულობის მდევრებმა ექვთიმემ და მისმა ამალამ თურქეთის ტერიტორიაზე შეაღწიეს. მათ ბევრი რამ გადახდათ გზაზე. პატარა იუგოსლავური გემი, რომელზეც იმყოფებოდნენ ექვთიმე თავისი მეუღლით და იოსებ ელიგულაშვილი, ბათუმიდან გასვლისთანავე ძლიერ ღელვაში მოჰყვა. ბათუმისათვის ჩვეული წვიმიანი ამინდი იდგა. ზღვის ღელვა ხუთ ბალს აღწევდა. ნავსადგურიდან გასვლისთანავე ღელვამ მაგრად შეაჭანჭყარა გემი, ხოლო ერთი საათის მოგზაურობის შემდეგ, გადარჩენის იმედდაკარგულმა კაპიტანმა მეგზურებს გამოუცხადა, მაშველი ფრთები წამოესხათ. გემის მთელი ეკიპაჟი პანიკამ მოიცვა, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე გამოიდარა და, როგორც იქნა, თოთხმეტ მარტს მშვიდობით ჩააღწიეს სტამბოლში, სადაც წინა დღით ჩასულიყო კრეისერი „ერნესტ რენანი", ამჯერად რეიდზე რომ იდგა.

სტამბოლში ექვთიმე და მისი თანმხლები პირები დიდი ამბით მიიღო საქართველოს ყოფილი „დემოკრატიული რესპუბლიკის" კონსულმა იოსებ გოგოლაშვილმა.

ასეთი მიღება იმანაც განაპირობა, რომ, როგორც იოსები, ისე მისი მეუღლე, ექვთიმეს ნამოწაფრები იყვნენ. ანგორიდან ჩამოვიდა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" დესპანი თურქეთში სისიკო მდივანი. იოსებ გოგოლაშვილმა ბანკეტი გამართა.

ექვთიმეს იმედი ჰქონდა, სტამბოლში მაინც გადასვამდნენ კრეისერზე, სადაც მისი სანუკვარი განძეული იყო მოთავსებული, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა. ექვთიმეს და მის თანმხლებ პირებს გამოუცხადეს საზღვაო ხელისუფლების გადაწყვეტილება განძეულის სამხედრო-სატრანსპორტო ხომალდ „ბიენ-ჰოაზე" გადატვირთვის შესახებ. გემი საკმაოდ დატვირთული იყო. მას დავალებული ჰქონდა მოევლო მცირე აზიის, ეგვიპტის და ჩრდილო აფრიკის ყველა ნავსადგური, რათა აქედან საფრანგეთში წაეყვანა დაჭრილები და ავადმყოფები, ექვთიმეს და მის თანამგზავრებს სხვა გზა არ ჰქონდათ, ამ არასასიამოვნო ცნობას უნდა შერიგებოდნენ.

ექვთიმე თავისი მეუღლით და თანმხლები პირებით გულთბილად მიიღო გემის კაპიტანმა პიერ ვანდიერმა. ამდენი წვალების შემდეგ ასეთი თავაზიანი მოპყრობა მათთვის მოულოდნელიც იყო. ყველა ნავსადგურში, სადაც ექვთიმე და მისი თანმხლებნი ისურვებდნენ, კატერი მათ გადასვამდა ხოლმე ქალაქის დასათვალიერებლად. ამინდიც ჩინებული იყო. სტამბოლში ყოფნის დროს ექვთიმეს ჩაუსწრო ბორჯომიდან, დიდი მთავრების სასახლიდან წამოღებულმა ნივთებმა, ფერწერულმა სურათებმა და ირმის რქებმა. ირმის რქები დატოვეს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, ხოლო სურათები წაიღეს. სტამბოლიდან ოც მარტს გახუელმა გემმა მეშვიდე დღეს ბეირუთში ჩააღწია. აქ ოთხი დღე დაჰყვეს.

ოცდათერთმეტ მარტს კურსი აიღეს დასავლეთით და ხუთ აპრილს ჩავიდნენ ტუნისში. აქ გემის კაპიტანს ტელეფონით გადასცეს ბრძანება, დაუყოვნებლივ წასულიყო კორსიკის კუნძულზე ერთ-ერთი გემის გადასარჩენად. ამ ამბავმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი ვანდიერი ძლიერ შეაწუხა, რადგან კორსიკასთან ბევრი წყალქვეშა კლდე ეგულებოდა. მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდნენ ჩვენი მგზავრები, როცა ეს არასასიამოვნო ამბავი შეატყობინეს. სამშობლოდან გადახვეწილებს, ისედაც გზაკვალაბნეულებს, შორეულ კუნძულზე დასალუპავად განწირული გემი უნდა გადაერჩინათ. აი, ბედის დაცინვა! ერთი პატარა ხიფათის შემთხვევაში მათთან ერთად ილუპებოდა საქართველოს მთელი განძეულობა. რას იტყოდა მერე მათზე ისტორია! ვინ ირწმუნებდა იმას, რომ მათ რაიმე ბოროტი განზრახვით არ აეღოთ გეზი შორეული კუნძულისაკენ! — ამ მძიმე გრძნობით გაუდგნენ გზას... საბედნიეროდ, ნახევარ საათში კაპიტანს აცნობეს, კორსიკის გემი უკვე გადარჩაო და „ბიენ-ჰოაც“ თავისი ეკიპაჟით ტუნისიდან პირდაპირ მარსელისაკენ გაემართა.

ამრიგად, თერთმეტ მარტს ბათუმიდან გასულებმა ერთი თვის შემდეგ, ათ აპრილს, ჩააღწიეს მარსელში. მგზავრობის ასე გაჭიანურება იმან გამოიწვია, რომ მათი გემი ზოგიერთ ნავსადგურში მთელი ერთი კვირა იდგა ხოლმე რეიდზე. მარტო კონსტანტინეპოლში ექვსი დღეღამე შეჩერდნენ.

ნავსადგურ ბიზერტიდან გამოსვლისთანავე გემის კაპიტანმა ვანდიერმა მარსელის ქალაქის მუნიციპალიტეტს და საფინანსო ორგანოებს დეპეშით აცნობა, ნავსადგურში დაეხვედრებინათ სამხედრო მცველები განძეულობის ხმელეთზე გადასატანად და ბანკში ჩასაბარებლად.

ექვთიმემ კი, თავის მხრივ, ტელეგრაფით თხოვა პარიზში საქართველოს მენშევიკური „მთავრობის“ წარმომადგენელს აკაკი ჩხენკელს, გამოეგზავნა მარსელში კომისია, რომელიც სამუზეუმო ქონებას მთავრობის ქონებისაგან გამოყოფდა.

მარსელში გემს დაუხვდა სენეგალის პოლკი. პოლკში უმთავრესად შავკანიანები იყვნენ და გამოირჩეოდნენ არა მარტო სროლის ტექნიკით, არამედ სიმტკიცით და პატიოსნებით. ექვთიმე და მისი თანმხლები პირები მოთავსდნენ სასტუმრო „რეჟინაში“, სადაც შეხვდნენ მათი მოთხოვნით პარიზიდან გამოგზავნილ მთავრობის კომისიას ზურაბ ავალიშვილისა და ანდრია დეკანოზიშვილის შემადგენლობით. ამრიგად, კომისიაში შევიდა ოთხი კაცი: ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ელიგულაშვილი, ზურაბ ავალიშვილი და ანდრია დეკანოზიშვილი.

მარსელში ჩასვლის მეორე დღეს სენეგალის პოლკმა საქართველოს ნივთები ალყაშემორტყმულად გადაიტანა გემიდან ბანკში და კომისიამ მაშინვე დაიწყო მუშაობა, რამაც ერთი თვე გასტანა. ყველაფერი, რაც საქართველოდან იქნა გატანილი, უდანაკარგოდ ჩაბარდა მარსელის ბანკს ოცდაცხრამეტი ყუთის რაოდენობით. განძეულის შენახვის საფასურად ბანკმა წელიწადში ორი ათას ხუთასი ფრანკი მოითხოვა. ერთი წლის ქირა უკვე წინასწარ გადაიხადეს და პარიზში გაემგზავრნენ. დანარჩენი ყუთები ზურაბ ავალიშვილმა მიაბარა პარიზის „გარდემებელში“.

ექვთიმე თავისი ოჯახით დაბინავდა მისთვის განკუთვნილ ლეგაციის ოტელში, ვიქტორ ჰიუგოს პროსპექტზე, სადაც უკვე ცხოვრობდა საქართველოს ყოფილი მენშევიკური მთავრობის მთელი შემადგენლობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

●

1921 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველოდან ლტოლვილი მენშევიკური „მთავრობა“ პარიზში ჩავიდა, არისტიდ ბრიანი ახალარჩეული იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე. თავისი წინამორბედი პრემიერების — კლემანსოსა და მილერანის მსგავსად, ბრიანს განზრახული ჰქონდა, დაერაზმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტანტის მეომრები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. თუ კლემანსოს დროს ყოველგვარ სამხედრო დახმარებას უწევდნენ კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის, ვრანგელის, პეტლიურას ანტისაბჭოთა შეთქმულებებს, ახლა ბრიანს გადაწყვეტილი ჰქონდა, ყოველმხრივ განემტკიცებინა ევროპის სამხედრო კავშირების სისტემები და ყოფილიყო მათი მესვეური. ევროპაში რევოლუციური მოძრაობით შეშინებულს, განზრახული ჰქონდა, აემხედრებინა რეაქციული ბურჟუაზია და მემარჯვენე სოციალისტები საბჭოთა რუსეთის დასათრგუნავად. საფრანგეთის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სერბია-ხორვატია-სლოვენიის სახელმწიფოთა და სამხედრო კავშირი — ეგრეთ წოდებული „მცირე ანტანტა“ — ევროპაში ჰეგემონიის მოსაპოვებლად. ამავე მიზნით დაიდო სამხედრო ხელშეკრულება ბურჟუაზიულ პოლონეთთან.

საფრანგეთს ძვირად დაუჯდა ცხრაას თოთხმეტ-თვრამეტი წლების იმპერიალისტურ ომში გამარჯვება. მატერიალურმა ზარალმა ორას მილიარდ ფრანკს მიაღწია. ომის წლებში დაინგრა და ნაწილობრივ დაზარალდა ათეულ ათასობით წარმოება. უამრავმა შახტმა შეწყვიტა არსებობა, მილიონამდე საცხოვრებელი სახლი განადგურდა. შემცირდა ფოლადისა და თუჯის წარმოება. ელზას-ლოტარინგიის შემოერთების შედეგად ნაწილობრივ გადიდდა რკინის მადნის, ქვანახშირის, მეტალურგიული მრეწველობის წარმოება, მაგრამ იქ, აღდგენითი მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, კვლავ სიძნელეებმა იჩინა თავი.

მთავრობის ბანაკში წარმოიშვა მწვავე უთანხმოება რადიკალებსა და „ნაციონალური ბლოკის“ სხვა პარტიებს შორის. ეს უთანხმოება გამოწვეული იყო ათას ცხრაას ოცი-ოცდაერთი წლების ეკონომიური კრიზისით. ბევრი წვრილი და საშუალო დაწესებულება დაიხურა. შემცირდა სამრეწველო წარმოება, კრიზისი აშკარად დაეტყო საგარეო ვაჭრობას. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები რამდენადმე გაუარესდა. ცხრაას ოცდაერთი წლის ზაფხულში კვლავ გამოცოცხლდა საგაფიცვო მოძრაობა. პირველად აღმოსავლეთში, შემდეგ ჩრდილოეთში გადაინაცვლა ფეიქართა გაფიცვამ. მუშები თავგამეტებით იბრძოდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

საფრანგეთის ბურჟუაზიას წინსვლის გზაზე მთავარ დაბრკოლებად მიაჩნდა ქვეყნის შიგნით კომპარტიის ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში ედგა მემარცხენე სოციალისტების ლიდერი მარსელ კაშენი. საფრანგეთის მთავრობა შიშობდა, საბჭოთა რუსეთის რევოლუციურ ტალღას და მასებში საფრანგეთის კომპარტიის გავლენის ზრდას პერლაშეზის სასაფლაოდან არ გამოწვია პარიზის კომუნართა აჩრდილები; ამიტომ სიამოვნებით აძლევდა თავშესაფარს რევოლუციის მიერ დევნილ ანტისაბჭოთა ელემენტებს. პარიზში უკვე იყვნენ მოკალათებული თეთრგვარდიელი გენერლები, რუსეთის სამეფო ტახტის ხელმოცარული პრეტენდენტები, შავრაზმელი გენერლები, კადეტები და ესერები, პეტლიურელები, სომეხი დაშნაკები, აზერბაიჯანელი მუსავატელები და აჰა, ამჯერად არენაზე გაჩნდნენ ქართველი მენშევიკებიც.

პარიზში ახალჩასული ჟორდანიაც ჩხენკელისა და შევალიეს თანხლებით ბრიანს ეწვია. ბრიანმა — ამ უაღრესად მოქნილმა და მოხერხებულმა დიპლომატმა თავაზიანად მიიღო საქართველოს მენშევიკური მთავრობის ლიდერი ნოე ჟორდანია. ხოტბა შეასხა მის გამჭრიახობას, პოლიტიკურ ალღოს და დააიმედა, რომ მამაცი ხალხით და პურღვინით განთქმული საქართველო კვლავაც იქნებოდა კავკასიის ფორპოსტი, დამოუკიდებელი და თავისუფალი, ხოლო სანამ ეს არ მომხდარა, აქ, საფრანგეთში ერთად გავიყოთ ჭირი და ლხინი.

ნოე ჟორდანიამ გულითადი მადლო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა მოახსენა პრემიერ-მინისტრს თავაზიანი მიღებისა და კეთილი, იმედიანი სიტყვებისათვის. თავის მხრივ, „დემოკრატიული“ მთავრობის სახელით აღუთქვა სრული ერთგულება და ისეთი კურსის აღება, რომელიც შეესაბამებოდა ქვეყნის ზედაფენების სასიცოცხლო ინტერესებს.

აკაკი ჩხენკელმა, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა საფრანგეთში, რომელიც კარგად იცნობდა ბრიანს, საუბარი ჩამოუგდო საქართველოს განძეულზე, ამ განძეულის უდიდეს მნიშვნელობაზე წმინდა ხელოვნების თვალსაზრისით. ბრიანმა კმაყოფილებით მოისმინა ჩხენკელის ინფორმაცია და სურვილი გამოთქვა, ადრე თუ გვიან, დაეთვალიერებინა სახელოვანი ქართველი ერის ეს ძვირფასი საგანძური.

ბოლოს ბრიანმა წამოჭრა ქართველი ემიგრაციის საარსებო სახსრების საკითხი.

— თან მოგვაქვს მთავრობის ხაზინა, — თქვა ჟორდანიამ, — ცოტა ხანს ამით გავიტანთ თავს. ვაპირებთ არასამუშაუმო ვერცხლეულის გადადნობას და გაყიდვას. ერთ ხანს ესეც შეგვეშველება. მერე, ვფიქრობთ, ჩვენი ქვეყნისკენ გაგვეხსნება გზა, ხოლო თუ საშშობლოში დაბრუნება არ გვიწერია, ღმერთი იქნება ჩვენი მოწყალე!

— მე ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოსკენ გზა ადრე თუ გვიან, უთუოდ გაგეხსნებათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, თავისთავად, თვითდინებით ეს არ მოხდება, მოქმედებაა საჭირო. მაინტერესებს, როგორია თქვენი ურთიერთობა პოლონეთთან?

— პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან ძველი მეგობრობა და ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. — თქვა ჟორდანიამ.

— ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთთან ერთად დღეს პოლონეთი უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა რუსეთზე დარტყმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად. მე მხედველობაში მაქვს პოლონეთის ტერიტორიული მდებარეობა და მისი საომარი აღჭურვილობა. ჩვენ ამ ქვეყნებთან სამხედრო კავშირი და ხელშეკრულებები გვაქვს. თუ თქვენი მთავრობის სახელით ამ ქვეყნებთან, კერძოდ, პოლონეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებთ, შესაძლოა ამით, მორალურ-პოლიტიკური გამხნევების გარდა, ერთდროული დახმარება, ან სესხიც მიიღოთ.

— ვეცდებით! — აღუთქვა ჟორდანიამ, რომელიც იმედოვნებდა, რომ პილსუდსკის მთავრობასთან სულ მალე გამონახავდა საერთო ენას.

შემდეგ ბრიანმა საგარეო საქმეთა მინისტრს და ფინანსთა მინისტრს ჩამოუგდო საუბარი იმის თაობაზე, თუ რა სახსრები შეიძლებოდა გამონახულიყო ლეგაციის კვებით და ბინით უზრუნველსაყოფად. ორივე მინისტრი დაჰპირდა პრემიერს, რომ უახლოეს დღეებში თავიანთ მოსაზრებებს წარმოუდგენდნენ.

ჩხენკელმა სურვილი გამოთქვა, ქართველებს ეყიდათ პარიზიდან ოცდაოთხ კილომეტრით დაშორებული საზაფხულო რეზიდენცია — ლევილის მამული.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ნახეთ ეს მამული ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, მოილაპარაკეთ და თუ ხელსაყრელად მიიჩნიეთ, გადაწყვიტეთ!

●

იზრდებოდა, შენდებოდა და მხრებს შლიდა ახალი საქართველო. მოსალოდნელი იყო, დამარცხებული ქართველი მენშევიკები ახლა მაინც დაყრიდნენ ფარ-ხმალს, ბედს შეურიგდებოდნენ და საბჭოთა ხელისუფლებას მხარს აუბამდნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ძველი არ მოშლის მგლობასა...“ საქართველოში დარჩენილი მენშევიკები ჯერ კიდევ არ კარგავდნენ საზღვარგარეთ გაქცეული ყოფილი მთავრობის უკან მობრუნების იმედს და ამ მოლოდინის

ელიზბარ უგილავა
განძეულის გუშაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაჩქარებლად ბოლშევიკების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ. თავის მხრივ, არც ჟორდანიას ყოფილი მთავრობა რჩებოდა ვალში. მათი მთელი გულისყური საქართველოსკენ იყო მოპყრობილი და აქ დარჩენილ თანამზრახველებს ანტისაბჭოთა კამპანიის გასაძლიერებლად შორიდან ეხმარებოდნენ. უგზავნიდნენ საინსტრუქტაჟო წერილებს. პარიზიდან გამოგზავნილი ერთ-ერთი ასეთი წერილი იუწყებოდა:

„მოსაწერი და გადმოსაცემი ბევრი რამ გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არა ვართ აღჭურვილი ამისათვის ყველა საშუალებით. ამის მიზეზი უმთავრესად თქვენ ხართ, ვინაიდან ჩვენ რამდენიმე საშუალებაზე მიგითითეთ... დაბეჯითებით გთხოვთ გვაცნობოთ, გადმოგცეს თუ არა ჩვენი დავალებანი და გაგაგებინეს თუ არა ის საშუალებანი, რომელთა შემწეობით ყველაფრის მიმოწერა შეიძლება... თქვენი ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვივიდა, ძალიან ცალმხრივია და ზოგადი. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ყველაფერს, უმნიშვნელო ფაქტსაც კი. ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო იმის რეზიუმე, რაც მანდ ხდება, არამედ აღწერილობა იმისა, როგორ ხდება, სურათი მთელი ცხოვრებისა... კიდევ გიმეორებთ, რომ საჭიროა და აუცილებელი, რათა ანტიბოლშევიკურ პარტიებსა და ჯგუფებს შორის იყოს კონტაქტი. მიუკარებლობას და გაუტანლობას ახლა ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს... ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა თანდათანობით მეტ ინტერესს იწვევს უცხოეთში... მეორე საყურადღებო ფაქტი ის არის, რომ ამ დღეებში დასრულდა მოლაპარაკება მთიელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და ჩვენს შორის პარიზში... ბრიანმა მიიღო ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენელნი და საფრანგეთის მხრივ დაჰპირდა დახმარებას“.

რაკი საქართველოს რევკომი თავისი პირველი დეკრეტით გამოცხადებულ ამნისტიას კვლავ ავრცელებდა ანტისაბჭოთა „სოციალისტურ“ პარტიებზე და მათ მიმართ რეპრესიებს არ ახორციელებდა, ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, მენშევიკები, თავს გავიდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ კრების თავისუფლება და ბეჭდვითი ორგანოც კი მოითხოვეს. საქართველოში დარჩენილი მენშევიკთა ლიდერები: ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე და ნოე ხომერიკი აშკარად აცხადებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ისინი არ სცნობდნენ და ურიგდებოდნენ მხოლოდ დროებით, ვიდრე ძალას მოიკრებდნენ მის დასამხობად.

საქართველოში დარჩენილი დაშარცხებული მენშევიკები, შესაძლოა, ასე არ გათამამებულიყვნენ, ემიგრაციიდან ჟორდანიას ყოფილი მთავრობის იმედი რომ არ ჰქონოდათ. გაბოროტებული ჟორდანია ყოველგვარ რისკზე მიდიოდა და აკრძალულ ილეთებსაც მიმართავდა დაკარგული ხელისუფლების დასაბრუნებლად. ეს მან აამხედრა მარტოვი და წერეთელი რსფს რესპუბლიკის წინაღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით. მანვე წარმოთქვა ანტიბოლშევიკური სიტყვა პარიზში, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე და ბრიუსელში, ბელგიის სოციალისტური პარტიის მიტინგზე; ასეთივე რეპერტუარით გაგზავნა გერმანიაში კარლო ჩხეიძე და ნოე რამიშვილი, ხოლო იტალიაში — ევგენი გეგეჭკორი. მეორე ინტერნაციონალის ლიდერები ვანდერველდე და მაკდონალდიც ჟორდანიას მიერ იყო მოსყიდული საბჭოთა საქართველოს წინაღმდეგ დემაგოგიური გამოსვლებით რომ წამლავდნენ ატმოსფეროს.

როცა ამ აურზაურიდან და ცილისმწამებლური კამპანიიდან არაფერი გამოვიდა, ჟორდანიამ კიდევ ერთი ხერხი იღონა. ცხრასს ოცდაორი წლის გაზაფხულზე სცადა გენუის კონფერენცია ანტიბოლშევიკური აგიტაციის არენად გადაექცია. კონფერენციისადმი გაგზავნილ დეპეშაში ის „ამტკიცებდა“, თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს საქართველოში ადგილი ჰქონდა სისხლის ღვრას და საჭირო იყო ჩარევა. ჟორდანიას ამ „მტკიცებას“ მეტი დამაჯერებლობა რომ ჰქონოდა, მან ასეთივე შინაარსის დეპეშა გააგზავნინა კონფერენციის სახელზე სრულიად საქართველოს კათალიკოსს ამბროსის. ჟორდანიასა და მისი მფარველების ნაყალბევი უტყუარი დოკუმენტებით ამხილა გენუის კონფერენციის სახელზე გაგზავნილ წერილში საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა.

როცა ჩაიფუშა ჟორდანიას ყველა ცდა დაკარგული ხელისუფლების აღსადგენად და სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა, ყველა მოლაყბემ შინ და გარეთ, ხმა ჩაიგდო. გვიან მიხვდნენ მენშევიკები, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა სამუდამოდ წააგეს.

●

პოლიტიკურად და ეკონომიურად გაკოტრებულმა ჟორდანიამ, რაკი გარეშე ძალებით ვერაფერი დააკლო საბჭოთა საქართველოს, შეეცადა შიგნიდან აეფეთქებინა იგი — ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აემხედრებინა ქვეყნის ნაძირალები. ამ ვერაგული მიზნის მისაღწევად მან პოლონეთსა და ევროპის სხვა გულშემატკივრებს შორის ჩამოითხოვა ნასუფრალი და დაიწყო მზადება საქართველოში ანტიბოლშევიკური ამბოხების მოსაწყობად. ეს ის დროა, როცა ქართველ ემიგრანტებს პარიზში უჭირთ არსებობა, არა აქვთ მოხერხებული თავშესაფარი, განძეულის შენახვის ხარჯები. არადა, ხაზინაში განძეულის შესანახი ფულის სისტემატიურად შეუტანლობის გამო, შესაძლოა მფლობელის უფლებები დაკარგონ. ეს ყველაზე მეტად აღელვებს და აფიქრებს ექვთიმეს, მაგრამ, რა ჰქნას, სად არის გამოსავალი?

ჟორდანიას დავალებით ავალიშვილმა და ელიგულაშვილმა პარიზის „გარდე მებლიდან“ გამოიტანეს არასამუზეუმო განძეული, გადაადნეს მთავრობის ვერცხლეული და გაყიდეს მილიონ ორას ათას მანეთად. ამ თანხით კიდევ ერთხელ შეიტანეს ხაზინაში განძეულის შენახვის ყოველწლიური გამოსაღები ორი ათას ხუთასი ფრანკი და იყიდეს ლევილის მამული — მათი მომავალი რეზიდენცია.

ლევილში გადასვლამდე თითქმის ერთი წელი ექვთიმე და მისი მეუღლე, ისე როგორც ლეგაციის სხვა წარმომადგენლები, სასტუმროში ცხოვრობდნენ. ექვთიმეს თითქმის ყოველდღე ნახულობდა მისი ცოლის ძმა, პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია პოლტორაცკი.

ოჯახურ გარემოში ყოფნამ ექვთიმეს ერთგვარად შეუმსუბუქა დარდები, მაგრამ მაინც დარია ხელი ნოსტალგიამ, კინაღამ მწყობრიდან რომ გამოიყვანა ხანდაზმული მეცნიერი. დადიოდა პარიზის ულამაზეს ქუჩებში, ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ათვალიერებდა უმდიდრეს მუზეუმებს, კითხულობდა ლექციებს ემიგრანტთა შორის საქართველოს ისტორიიდან, დადიოდა ანტიკვარებთან საქართველოდან გასული ნივთების შესაკრებად, სეირნობდა სენას სანაპიროებზე, შეჰყურებდა ეიფელის სახელგანთქმულ კოშკს, მაგრამ ყველაფერ ამას ერთი წუთითაც არ შეეძლო მისი გამოთიშვა სამშობლოზე ფიქრისაგან. ის ცხოვრობდა პარიზში თბილისზე ფიქრით, ქართული ეკლესია-ონასტრების, სიგელ-გუჯრების, კედლის წარწერების, არქეოლოგიური მოგზაურობის წარუშლელი შთაბეჭდილებით. ენატრებოდა მშობლიური მიწა-წყალი, თავისი ხალხი, ნაცნობ-მეგობრები.

ცხრაას ოცდაორი წლის დამდეგს ექვთიმე თაყაიშვილი ზედიზედ აირჩიეს ჯერ ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო მოგვიანებით, სააზიო საზოგადოების წევრად. ასეთმა დაფასებამ და

ელიზბარ უგილავა
განძეულის გუშაგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელის გაწოდებამ გამოაცოცხლა ექვთიმე.

ექვთიმეს მეუღლე ნინო პოლტორაცკაია, რომელიც მშვენივრად ფლობდა ფრანგულს და ზედმიწევნით განათლებული ქალი იყო, ყოველმხრივ უწყობდა ხელს თავის სახელოვან მეუღლეს სამეცნიერო მუშაობაში. საოჯახო საქმეებსაც ჩინებულად ართმევდა თავს. წიგნებით და ფერწერული სურათებით გაჭედილ ოროთახიან ბინაში ჩუმად და უხმაუროდ ფუსფუსებდა მოყვარული ცოლ-ქმარი.

პირველ ოთახში იდგა საწერი მაგიდა, ხის საწოლები, რბილი სავარძლები და ტანსაცმლის კარადა. კუთხეში მიდგმულ დაბალ მაგიდაზე ელაგა დოქები და ჭურჭელი. საწოლის თავთან იდო ყუთი, სადაც ეწყო ხატები, საეკლესიო ნივთები და ქისაში გამოკრული საქართველოს მიწა. მეორე ოთახი მთლიანად წიგნების თაროებს ეკავა. იდგა მოძველებული მაგიდა და ხის ტახტი. კედლებზე ეკიდა ოთხმოცდათერთმეტი ფერწერული სურათი, ჩასმული ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში. ეს სურათები წამოღებული იყო ბორჯომიდან, დიდი მთავრების სასახლიდან და ამჟამად ექვთიმეს ებარა შესანახად.

ლევილში ექვთიმემ გაცილებით თავისუფლად იგრძნო თავი, ვინემ პარიზში. აქ მობინადრე ქართველებს ვრცელ ეზოში ცალ-ცალკე მიუჩინეს საკარმიდამო ნაკვეთები. ექვთიმემ და მისმა მეუღლემ ხელი გამოიღეს, მშვენიერი ბაღ-ბოსტანი გააშენეს. მწვანილის საყიდლად ბაზარში არ დადიოდნენ.

მთელი პარიზელი ქართველობა ლევილში იყრიდა თავს, იმართებოდა სჯა-ბაასი, სეირნობა, საქართველოდან მიღებული წერილების კოლექტიურად კითხვა. ლევილში ცალკე გამოიყო ქართველთა სასაფლაო. მალე მუშაობა დაიწყო ქართველების ეკლესიამ, რომლის პირველი მოძღვარი იყო ქართველი კათოლიკე გრიგოლ ფერაძე.

შაბათ-კვირას ლევილის ეკლესიაში უამრავი ქართველი მლოცველი გროვდებოდა. ლევილის სული და გული იყო ექვთიმე. აქ იგი მოუსვენარ ცხოვრებას ეწეოდა — კითხულობდა ლექციებს, ატარებდა საუბრებს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ თანამემამულეებს ამარაგებდა ქართული წიგნით და გაზეთით, რომელთაც თბილისიდან უგზავნიდა მისი ყოფილი მოწაფე იროდიონ სონღულაშვილი, ხოლო ლენინგრადიდან — ნიკო მარი, იოსებ მეგრელიძე და სხვა გულშემატკივრები. მათი მეშვეობით იგებდა ექვთიმე, რომ საბჭოთა საქართველოში აღმავლობით ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, იხსნებოდა ახალი სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფრთებს შლიდა ახალი ცხოვრება. მენშევიკების ყოფილი მთავრობის წევრები, რომლებიც ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს ამბებს, თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ მათ სამუდამოდ დაკარგეს სამშობლო; თბილისური გაზეთები უკანასკნელი სიტყვებით აგინებდნენ მენშევიკებს, პარიზში რომ გაზიდეს საქართველოს განძეული. ექვთიმეს სინდისი ქენჯნიდა განძის ირგვლივ ატეხილი აურზაურის გამო, მაგრამ არ კარგავდა იმედს, რომ ადრე თუ გვიან, ქართველთა წინაშე პირნათლად წარსდგებოდა.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ექვთიმემ მიაგნო არა ერთ ძველ ქართულ ხელნაწერს, გაშიფრა ისინი, აღწერა და დაინტერესებულ პირებს გააცნო. მოგვიანებით გამოქვეყნდა შრომები: „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“, „ქართული სიძველენი ევროპულ ანტიკვარებთან“.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ცნობილი ქართველი პოეტი **ლადო სულაბერიძე** სამოცი წლისაა.

ჩვენი ჟურნალი, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად, გულთბილად ულოცავს მას ამ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლესა და შემდგომ შემოქმედებით სიხარულს.

ზამთრისკენ

მჭკნარი ფოთლების მოსასხამით
მე მივდივარ ჩემი ზამთრისკენ.
წუთისოფელო, მომერიე,
ქრობის ქარით წელში გამდრიკე.

შორს, შორს შოშმინობ, შროშნისფერო,
და ჩემ ჯვარზე მეც მაშოშმინებ.
ყორნები კლანჭით ჩააფრინდა
ჩემს ფანდურებს, ლარებ მოშლილებს.

შენი სანთლისა თრთიან გალობა,
ღვენთი მათბობს შენივ სანთლისვე...
მჭკნარი ფოთლების მოსასხამით
მე მივდივარ ჩემი ზამთრისკენ.

ე ე დ უ ზ ა

დამცხრალ ზღვის გულზე ყვავილივით
აცახცახდა სლიპა მედუზა.
ჩამავალი მზის შუქის ზოლი
ცხოველ სვეტად წამომეტუზა.

შემოდგომის ზღვა დამიმშვიდდა,
მედუზასთან ვარ გაწოლილი.
ვტივტივებთ ნელა ჩამავალ მზის
შუქის სვეტზე ორი ლტოლვილი.

არც ქარი გვინდა, არც აფრა,
არასა ვთხოვთ მამულ-დედულსაც...
უხმოდ ვჩურჩულებთ და ჩემს გვერდით
ყვავილივით სუნთქავს მედუზა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ც რ ე მ ლ ი

შენთვის დავწანი, ღვთაებრივო,
შემოდგომის ყველა კალათი.
თუკი ვიჭერდი, — ოდენ შენს ჩიტს,
ღვთის ბოძებულს ღვთის კაკანათით.

ჩამავალ მზეში თივას ვიფენ,
შენთან მრჩება ცისკრის ხოხბები.
შენ მარადიულ ხის ტოტებზე
ხარ დამყნილი, არ ჩამოხმები.

ჩამავალ მზეში თივას ვიფენ,
მე ჩავქრები მზე ჩამავალში.
ცრემლი ვიყავი და შენს ცისკარს
შემოდგომის ნამად დავაშრი.

მთა მოწამეთა

ეგაც გშურს, კაცო, ჩამავალ მზეს
შევადნები მალე რაკიღა?!
მე რა!.. შენ ფორთხავ და ძლოკვივით
ამ ცხელ მიწას პირქვე გაკვრიხარ.

ფრთა?.. შემოდგომის მზემდე უნდა
შეახალო ფრთები მირაჟებს.
შენ გახვეულხარ მიწის ჩრდილში,
კარვის კარი გადაირაზე.

მიწამ კიარა, რაც რამ მქონდა
მე მამულის სულმა წამართვა...
მოწამეთა მთას შენ არ აჰყევ...
მზის გულზეა მთა მოწამეთა.

ერთი აფრაც

ჩამავალ მზემდე ჩემმა ქარმა
ერთი აფრაც უნდა გაცრიცოს.
რომელ ტალღასთან აყვავდები
ერთხელ კიდევ, ხილვის ნარცისო?!

რომელ ტალღასთან შემოჯდება
ჩემს აფრაზე ჯადო ფრთოსანი?!
ო, ღვთაებრივო, ჩემი ანძა
ამოიყრის შენს შუქს რტოსავით.

მხმობს ვიღაც: — მიწა აქა რჩება,
აქა რჩება ამ ზღვის განძიცო...
.....
ჩამავალ მზემდე ჩემმა ქარმა
ერთი აფრაც უნდა გაცრიცოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტკივილი

ყველა სიხარულს ჩამავალ მზის
    გულზე დავფენ, შევადნობ ზედვე,
მაგრამ ტკივილებს ამქვეყნიურს
    ვით ავზიდავ ჩამავალ მზემდე?!

აქვე დამრჩება, ღვთაებრივო,
    ამ მუხებთან, ამა მინდვრებთან.
იგი აქ გაჩნდა ადრეც, სანამ
    აქ უფალი დამამკვიდრებდა.

გაჩხერილი ვარ ტკივილების
    ორწოხებში, ვარ დატეტკვილი.
შენთან ვტოვებ და შეაზავე
    შენი სიჭაბუკის ტკივილით.

ოხვრა

რის ნაპირია ეს ნაპირი, —
    მამულის თუ მიწის საერთოდ?
აქ ვინ იძახის: კმარა! მორჩა!
    აწ სხვა მხარეს იმწუხარეთო!

საწუთროც მცირე მქონია და
    საკარგკაცო მამულიც მცირე, —
რა უცბად მოველ ამ ნაპირთან,
    მენაკლისა, რაც რამე ვწირე.

შენ მერე მოხვალ ამ მშფოთვარე
    ნაპირებთან, შენ მერე მოხვალ...
მიუგდე ყური ზღვის ტალღებში
    ამოკეცილ ჩემ კაცურ ოხვრას.

მარადიულ სალოცავიდან

ჩემს სულს შევადნობ ჩამავალ მზეს,
    შემოდგომის ზღვის მზეს ჩამავალს.
ალარ შევრჩები მერე მიწას
    შენი ყანის გასაჩალავად.

ჩემი საწუთროს მიღმა ბნელეთს
    შევერევი მარად წკვარამად.
დრომ იმა ქვეყნის ჭაობები
    მომილაქაშ-მომიწალამა.

შენს რიჟრაჟებთან კვლავ მოდგება
    მზე ჩემეულ სულის ლავითაც...
შენს ზარებს დავრეკ, ღვთაებრივო,
    მარადიულ სალოცავიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კობა იმედაშვილი

კიდევ ერთი დამაჯება

არის მწერალი, სიკვდილამდე რომ ვერ დაშორდება ვერც ერთ თავის ქმნილებას: უსრულობის, უკმარისობის მტანჯველი გრძნობა არ ეყრება მის სულს და უჭირს წიგნთან გამოთხოვება.

შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ სათქმელი ბოლომდე არ ითქვა თავის დროზე. ან იმიტომ, რომ დამცხრალი გული უკეთესად ხედავს, სად რა ნახტომი შეეშალა სიტყვას, სად რა საღებავი დააკლდა სურათს; გესმის მათი ძახილი და რა გული გაგიძლებს, დამშეულ სიტყვას შემწეობა არ აღმოუჩინო...

მთელი ჩემი ცხოვრება მე ასეთი მწერლების კვალზე ვდგავარ და, როგორც მკითხველებმა იციან, ამ კვალმა არაერთხელ დამაბრუნა ჩემი ძველი ნაწერების გმირებთან.

(ც. ლორთქიფანიძე, „ძველი ნაცნობები", 1976).

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, როგორც მწერალს, მართლაც ერთი თვისება ახასიათებს განსაკუთრებით — ნათქვამთან მიბრუნება, უკან მიხედვა, ერთხელ დანახულის ახალი დროიდან და ახალი ადგილიდან გახედვა.

ეს სულაც არ მეტყველებს მის მერყეობაზე, მისი პოზიციების სისუსტეზე. გულწრფელად რომ ვთქვათ, ამ უკან მიბრუნების მიზეზი უფრო სხვა და მნიშვნელოვანი რამ უნდა იყოს, ვიდრე მხოლოდ „ნახტომის შეშლა" და „საღებავის დაკლება..." უბრალოდ, დრო მარტო ადამიანს არ ცვლის. მზე, როცა გადაიხრება, ჩრდილებს სხვაგვარად აფენს მიწაზე.

კაი დრო გავიდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზაზე ჩემი წიგნის („ადამიანი და დრო") გამოცემიდან — ჩვენს ცხოვრებასა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც ბევრი რამ შეიცვალა, თვით ჩემთვისაც ბევრი რამ სხვა კუთხით წარმოჩნდა, სხვაგვარად განათდა.

გულწრფელად რომ ვთქვა, ჩემთვის კონსტანტინე ლორთქიფანიძე ფაქტიურად პროზაიკოსი გახლდათ, მისი ლექსები ერთგვარ მომზადებად მიმაჩნდა, რომლებშიც ისმოდა დროის ხმაური, მჭახე ხმებით რომ ფარავს ყველაფერს.

1970 წელს კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გამოსცა კრებული — „ერთი კარგი წელიწადი", ხოლო 1976 წელს — „უშენოდ". ამ კრებულებში თითქოს მწერლის სხვა უცნობი სახე გამოჩნდა, მაგრამ უცნობი კი? განა, თუნდაც იმავე „კოლხეთის ციხკარში" არ იჩინა თავი პოეტურობამ, ხოლო „ცაბუნიაში" პოეტური ხიბლი არ იქცა ტონის განმსაზღვრელად?

ამ ორივე კრებულში მოთხრობების, წერილებისა და ისიკავა ტაკუბოკუს ასი ტანკას თარგმანის გვერდით სულ რვა ლექსია დასტამბული, მაგრამ ზოგჯერ რვა სიტყვაც სავსებით საკმარისია ადამიანის სულის მოძრაობის საგრძნობლად... რვა ლექსი, რვა ტკივილიანი ამოთქმა სულისა: „ერთი მათგანი", „მერის", „გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვება", „ზამთრის პირს", „დედას", „მაინც წამართვა...", „სახაფლაოზე", „გული არ დაგწყდეს..."

გულწრფელად რომ ვთქვათ, ქართულ პოეზიაში ბევრი არაა ლექსი, რომელიც მეუღლისადმი ისეთი სიყვარულით იყოს გამთბარი, ისეთი ტკივილით ნაკარნახევი, როგორიც ბატონ კონსტანტინეს ეს ლექსებია. საერთოდ, ეტყობა, ის პოეტური აფეთქება, რომელმაც მათთან ერთად, ისიკავა ტაკუბოკუს ასი ტანკას თარგმანიც დაბადა, იმ სულიერი ტრავმის შედეგი იყო, მეუღლის დაკარგვამ რომ მიაყენა მწერალს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საყვარელი ადამიანი ხელოვანს არამარტო სიცოცხლეში შთააგონებს ხოლმე, არამედ ხიკვდილის მერეც, როდესაც კვლავ გადაუშლის ახალ სამყაროს — ადამიანური სასოწარკვეთის სიღრმესა და მწარე მშვენიერებას.

სწორედ ასეთ მწარე მშვენიერებასაა ნაზიარები ამ სიტყვების ავტორი:

გული არ დაგწყდეს,
ო, არ გეგონოს,
რომ შენზე მეტხანს ვიცოცხლე თითქოს...
მე მხოლოდ შენზე მეტხანს ვიტანჯე.

ან კიდევ, არანაკლებ ტკივილიანი ლექსი — „სასაფლაოზე":

ჩუმად მივყვები ნაწვიმარ ბილიკს
და თეთრი ვარდი მიჭირავს ხელში...

და ქვეყანაზე კაცმა არ იცის,
რომელი უფრო საცოდავია:
შენ, ვისაც გულზე ცივი ქვა გადევს,
თუ ვისაც შენთან მოაქვს ეს ვარდი.

მაგრამ ეს რვა ლექსი, სხვა, არანაკლებ საინტერესო მოვლენაზეც მიგვანიშნებს. ისინი თითქოს იმ კავშირების აღდგენის ცდაა, რომელსაც დრო უმოწყალოდ არღვევს და რასაც ჩვენი მახსოვრობა ვერასგზით შერიგებია.

გარკვეულად, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მწერლის მიბრუნება თავისსავე ახალგაზრდობასთან („ერთი მათგანი", „დედას"). პირველი ლექსი ავტოპორტრეტია, ავტოპორტრეტი ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც ოსტატმა ხანდაზმულობისას თვალები ხელახლა დაუხატა. ეს თვალები ხანდაზმული ადამიანის დაღლილი გამომეტყველებით იცქირებიან, მაშინ, როდესაც მთელი პორტრეტი ახალგაზრდული შემართებით სუნთქავს.

სევდის მომგვრელია ეს კონტრასტი.

სევდის მომგვრელია შესანიშნავი ლექსიც — „დედას", რომელიც თავისი სევდით გიორგი ლეონიძის „ფორთოხალას" მაგონებს.

საკუთარი თავი წარსულში, დედა — უკვე წარსულად ქცეული, მეუღლე — და შიში მისიც წარსულად ქცევისა, ხოლო შემდეგ ტკივილი, განცდა იმისა, რომ „მაინც წამართვა", რომ ისიც წარსულად იქცა — ის მინორული ბგერებია პოეტის სულში დარხეული, რომელნიც მრავალგზის ექოდ მეორდება არამარტო შემდეგ ლექსებში, არამედ სათარგმნელი ტანკების შერჩევაშიცა და პროზის — მოთხრობების ხასიათშიც.

მწერალი უფრო მგრძნობიარე, უფრო დაუცველი და წარსულზე ჩაფიქრებული ხდება. ეს ყოველივე კი სხვაგვარად წარმოაჩენს ამ წარსულს; სხვა იერით, სხვა ღირებულებით. იქნებ ამიტომაცაა, რომ მწერალთა უმეტესობას არ უყვარს თავისი ძველი ნაწარმოებებისკენ მიბრუნება: სათქმელი უკვე ითქვა, კალმით დაწერილს საჭრეთლითაც ველარ ამოშლი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე არ ეკუთვნის ასეთ მწერლებს.

„ყოველი მართალი მწერალი უმეტესად თავისი თავისა და თავისი თაობის ბიოგრაფიას მოგვითხრობს. ყველაზე ღრმად და სრულად სწორედ აქ ამოიკითხება მწერლის სულიერი ცხოვრების ამბავი" („ჩემი პირველი კომკავშირელი").

„უმეტესად", თუმცაღა, მწერლობამ სხვა მაგალითებიც იცის, როდესაც მწერალი გასცდენია „თავისი და თავისი ბიოგრაფიის" საზღვრებს და დიდი ლიტერატურა შეუქმნია. მაგრამ კონსტანტინე ლორთქიფანიძე იმ მწერალთაგანია, ვინც სწორედ „თავისი და თავისი თაობის ბიოგრაფიას მოგვითხრობს".

ადამიანი, განსაკუთრებით შემოქმედებითად მოაზროვნე, „თავის ბიოგრაფიასა და თავისი თაობის ბიოგრაფიას" სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აფასებს ხოლმე. გადის წლები, იცვლება ემოციური დამოკიდებულება, იცვლება შეფასება, ზოგი რამ, ნაკლებმნიშვნელოვანი, ძველი ფოტოსურათის კანონით იცრიცება, ზოგი რამ კი, იქნებ ადრე შეუმჩნეველიც, მოულოდნელად (თუმცა, მოულოდნელად კი!) წარმოაჩენს თავს. რაინიხის თქმისა არ იყოს — „რჩება მხოლოდ ის, რაც იცვლება".

წარსულისაკენ მიხედვა, მასზე დაფიქრება, ყოველივე გარდასულის სიყვარულით, ნაღვლითა და კეთილი ირონიით გახსენება დიდი ადამიანური ნიჭია. ყოველივე ამაში ჩანს დროთა ის მონაცვლეობა, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და რომელიც თავის კანონებს შეხაშური მუდმივობით ავლენს ყოველთვის, ყველგან და ყველასთან.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ჭაბუკობა ძველის ნგრევისა და ახლის შენების უმწვავეს დროს დაემთხვა. მისი შემოქმედება სწორედ ამ პერიოდიდანაა ამოზრდილი. აღნიშნული

კოტა იმედაშვილი
კიდევ ერთი დამატება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემა ახლის შენებისა დღეხაც იჩენს თავს მის პროზაში, იქნება ეს „ჩემი პირველი კომკავშირელი", „ორთაჭალელი მეთევზეები", „ძველი ნაცნობები" თუ სხვანი. ასევე მუდამ აქტუალურია კონსტანტინე ლორთქიფანიძისთვის სამამულო ომის თემა. „ცაბუნია", „მამია ჯაიანი", „როდესაც კაცი მარტოა", „მოვედ სინათლე" — ომის გახსენებაა.

ისიც სათქმელია, რომ 1973 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ცაბუნია", რომლის გამოც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს რუსთაველის პრემია მიანიჭეს, ათი მოთხრობიდან მხოლოდ ერთია თანამედროვე თემაზე დაწერილი, მაგრამ ისიც ხაზგასასმელია, რომ ეს მოთხრობები უაღრესად თანამედროვეა, რადგან მათში ჩვენი წარსულისათვის (წარსულისთვის, რომელიც დღესაც მოქმედებს ჩვენზე) დამახასიათებელი ბევრი მოვლენა თანამედროვეობის თვალსაწიერიდან არის დანახული და შეფასებული. „ცნობილ მოვლენათა" ასეთი შეფასების გამო „დროის სრბოლა" მეტად მკვეთრად და თვალნათლივ იგრძნობა.

სწორედ ეს — დღევანდელი შეფასება შეაქვს მწერალს უკვე დროის მატიანედ ქცეულ თავის ნაწარმოებებში. ამიტომაცაა, არცთუ იშვიათად ორი თარიღი რომ უზის ბოლო წლების წიგნებში დასტამბულ მოთხრობებს „მამია ჯაიანი" — 1944-1965; „მაისის დილა" — 1944-1950; „ციხფერი დუნაი" — 1963-1968; ლექსი — „ერთი მათგანი" — 1928-1969. ისიც სათქმელია, რომ მექიზე, ბაჭუა ვარდოსანიძეზე, თალიკოზე თუ დოფინაზე დღეს ნათქვამი სიტყვები მწერლისა, ასევე გაიგება; წარსული დღევანდელობის პრიზმიდან სხვაგვარად ჩანს, დღევანდელი ნორმებით დროზე „რაღაც" ვერ ითქვა კარგად.

მაგრამ მარტო წარსულის გადაფასება არ იჩენს თავს ამ ყოველივეში. საქმე ის გახლავთ, რომ წარსულთან ყოველი მიბრუნება ფაქტიურად აწმყოს შეფასებაცაა და მომავლის განმვრეტაც. და ეს მეორე ფაქტორი პირადად ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. მეტიც, იგი ჩემის აზრით, მთავარია, რადგან წარსულთან მიბრუნება მხოლოდ იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც მასში მომავალს ამოვიკითხავთ.

რამდენიმე მაგალითი.

ოცი-ოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობაში სამმა ურთიერთდაკავშირებულმა მწვავე პრობლემამ იჩინა თავი — კლასთა ანტაგონიზმმა, თაოგათა გრძოლამ და სქესთა დაპირისპირებამ. სამივე პრობლემა ახალი სინამდვილის მიერ იყო დასმული და მათში აისახა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წარმოდგენები, იდეალები, შეცდომანი.

თაობათა უთანხმოება ჯერ კიდევ მითოლოგიასა და ფოლკლორში იჩენს თავს მამისა და შვილის ხელჩართული ბრძოლითა თუ უმცროსი ძმის მოტივით. ქართულ მწერლობაში ყოველივე ეს მის პირველ საფეხურზევე გამოვლინდა, როდესაც სასულიერო ძეგლში („კოლაელთა მარტვილობა") აისახა რელიგიური ფანატიზმით მოწამლული მშობლების მიერ შვილთა ჩაქოლვა. მაგრამ ამ ერთეულ შემთხვევას არ შეუქმნია ლიტერატურული ტრადიცია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში" შვილი მამას უნებურად ხელს შეუბრუნებს, სტეფანე კასრაძის „მეჯინიბეში" რევოლვერის ლულას მიუშვერს, ხოლო „მთვარის მოტაცებაში" უკვე გავარდება ეს რევოლვერი და კაც ზვამბაია შვილის ანაწერა ხდება. თითქოს შეიქმნა მოქმედების სტერეოტიპი — შვილი კლავს მამას.

ამ ტრაგიკულ კოლიზიაში საზოგადოების გარკვეული წრეების განწყობა გამოვლინდა.

მე მგონი, თაობათა დაპირისპირების ასეთი ლიტერატურული გადაწყვეტა მაინც იმპორტირებული იყო ქართულ ცხოვრებაში სხვა სინამდვილიდან. ეტყობა, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ქართული საბჭოთა კლასიკური რომანის „მთვარის მოტაცების" შემდგომ გამოცემაში ავტორმა თვით შეიტანა კორექტივი, კაც ზვამბაია არზაყანს კი არა, ტარბებს მოაკვლევინა. სხვათაშორის, ამით არზაყანისა და მამამისის დამოკიდებულებას სულაც არ მოჰკლებია არც სიმწვავე და არც სოციალური სიმახვილე.

ქართულმა ლიტერატურამ თავის განვითარებაში უარჰყო აღნიშნული მწვავე პრობლემის გადაწყვეტის უცხო გზა, მაგრამ ისტორია ისტორიაა. „სიმღერიდან სიტყვებს მართლაც ვერ ამოაგდებ" და „კალმით დაწერილს საჭრელითაც ვერ ამოჭრი".

იმდროინდელი ქართული საზოგადოების ტკივილიანი დაფიქრება ამ საკითხზე „კოლხეთის ცისკარში" მხოლოდ ექოდ გაისმა. წლების მერე, როდესაც დრომ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, მწერალმა ეს მიჩუმებული ექო გააძლიერა და გუშინდელის გახსენებით დღევანდელი და ხვალინდელი დღის კითხვებზე გაგვცა მკაფიო პასუხი.

მოთხრობაში „ძველი ნაცნობები" (1976) თალიკო საგანელიძე, ბარნაბა საგანელიძის თავმოყვარე ქალიშვილი, ბაჭუა ვარდოსანიძეს, პასუხს სთხოვს თუ რატომ არ მიიღეს იგი კომკავშირში. ბაჭუა არაა წინააღმდეგი თალიკოს კომკავშირში მიღებისა, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი „პირსისხლიან კაპიტალიზმს" ჩამოშორდება.

„— თუ საჭიროა, ჩამოვშორდები, აპა რას ვიზამ! — მაშინვე დაეთანხმა თალიკო".

მერე ირკვევა, რომ „ჩაგრულთა კლასის მყვლეფელი და სისხლის მწოველი ბობოლა", რომელსაც უნდა ჩამოშორდეს თალიკო, მამამისი ყოფილა — ბარნაბა საგანელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალიკო გაშრა. „ნუთუ შეიძლება ასეთი რამ გააგონო ადამიანის ყურს! — ენა რაფერ მოგიბრუნდა ბაჭუა, ამის სათქმელად! შენ რომ იცოდე, მამაჩემს როგორ ვუყვარვარ, გავეყრები კი არა, ქალამნის ძირად დავეგები! არა, ბაჭუა, ასო-ასოდ რომ ამკუწონ. მე მაგას ვერ ვიზამ! ესეც არ იყოს ისეთი ადამიანი რად გინდათ, გიჟო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ!“ (ხაზი ჩემია — კ. ი.).

(„კოლხეთის ცისკარში“ ასე კატეგორიულად საკითხი არ დასმულა).

თალიკოსა და ბაჭუას ლაპარაკს მექიც ესწრებოდა.

„— მამის ღალატი არ შეიძლება, ქედზე უღელიც რომ დაგადგას!“ — უთხრა მექიმ ბაჭუას, როდესაც თალიკო წავიდა.

ყოველივე ზემოთქმული დღევანდელი, დროით შეფასებული და ნაკარნახევი პოზიციაა, მაგრამ იმ დროსაც ჰქონდა თავისი პოზიცია, ბაჭუას პასუხში რომ იჩენს თავს:

„— ე, ჩემო ძმაო, რევოლუცია მამა-შვილს კი არა, ერთი კაცის გულს ორად გაჰყოფს და ერთმანეთს დაატაკებს, ან შენ, ან მეო. ეს ჩემი სიტყვები არ გეგონოს. შარშან ერთი ძველი ბოლშევიკის მოგონება წავიკითხე. ახლა ქვეყანაზე ორი დროშა ფრიალებს, ჩემო მექი: წითელი და თეთრი. ან ერთი, ან მეორე! თალიკოს კი ორივე დროშა ერთად უნდა. ეს არის პირწავარდნილი ოპორტუნიზმი, ძირს რომ უთხრის მსოფლიო რევოლუციას!“.

დაკვირდით, როგორი მაქსიმალიზმი და გულუბრყვილობა ახასიათებს ამ პასუხს, დაკვირდით, მექისა და თალიკოს სიტყვებმა როგორ გაბათილეს ჩვენს თვალში ბაჭუას „ან-ან“, მაგრამ ბაჭუას წმინდად სჯერა თავისი ნათქვამისა და საქციელისაც და ალბათ ამიტომაა, რომ მე მის მიმართ მწერლის კეთილ ირონიასა და ყოვლისშემცველ სიყვარულს ვგრძნობ.

სხვათაშორის, ასეთი დამოკიდებულება ჩვენი რევოლუციური წარსულის შეფასების დროს, ჩემის აზრით, სამოცდაათიანი წლების ხელოვნების დამახასიათებელი გახდა, როდესაც დღევანდელობა ამ წარსულში ეძებს სიწრფელეს, იდეის ერთგულებას, თავგანწირვას, მაგრამ ამჩნევს გულუბრყვილობასაც, მაქსიმალიზმსაცა და შეცდომებსაც.

ოცი-ოცდაათიანი წლების მწერლობაში „მამა-შვილის“ კონფლიქტის გარდა უკუფენა ჰპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების კიდევ ერთმა მტკივნეულმა პრობლემამ: „სქესთა დამოკიდებულებამ“. ზღაპრის საუკუნოვან ოცნებას — პრინცესასა და გლეხის ბიჭის თუ უფლისწულისა და გლეხის გოგოს ბედნიერ სიყვარულს — თითქოს ახლა დაუდგა აღსრულების ჟამი. მაგრამ „დაღლილი სისხლისა“ და „ახალი სისხლის“ აღრევა უმეტესწილად ტრაგიკული ჩანდა თავისი შესაძლო შედეგითა თუ წინასწარგანპირობებული შეუთავსებლობით. როგორც არზაყანისათვის, ისე მექისთვის მიუწვდომელი იყვნენ ულამაზესი თამარი და თალიკო. უბედო იყო ორივე გლეხკაცისათვის, ახალი ადამიანისთვის, ლტოლვა ლამაზი ქალისაკენ. მათი ხვედრი ძაბული და დოფინა გახლდათ. ტოლს ტოლი უნდა მოენახა.

ბაჭუა ვარდოსანიძეს, ქვემო ქედის კომკავშირის უჯრედის მდივანს, ყველაფერ ამაზე თავისი შეხედულება აქვს:

„— მე თუ მკითხავ, ლამაზი ქალები არასდროს არ მიემხრობიან რევოლუციას. ლამაზ ქალს, ბიჭო, დიდი მოვლა უნდა, დიდი ფერება და ფეთება! კაი ჩაცმა-დახურვა, კაი, საჭმელ-სასმელი. წვიმაში — კალოშები, სიცხეში — რა ჰქვია იმას, რაღაცას რომ იფრიალებენ ცხვირწინ? ჩვენ კი სადა გვცალია ამისათვის, ხვალ-ზეგ მსოფლიო რევოლუციის ხანძარი უნდა დავანთოთ!“

აქ ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, ისეა ნათქვამი, როგორც ბაჭუა ვარდოსანიძე მაშინ იტყოდა, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ეს ყოველივე დღესაა, სამოცდაათიან წლებშია დაწერილი. ასეთი ორმაგობა, რა თქმა უნდა, განგებისია და მწერლის პოზიციიდან მომდინარეობს. მაგრამ იგი საცალფეხო ხიდიცაა. ხომ შეიძლება, რომ ეს სიყვარულიანი ირონია დაცინვაში გადავიდეს? ან ხომ შეიძლება, სერიოზულად მიიღოს ყოველივე ნათქვამი მკითხველმა და არ დაიჯეროს? შეიძლება. მაგრამ საცალფეხო ხიდი გავლილია და ეს ალბათობანიც ხაფათის მერე განცდილ შიშს გავს და არა იმწამიერს.

გარდა ზემოთქმულისა, ისიც აღსანიშნავია, რომ თალიკოსთან, მექისთან, ბაჭუა ვარდოსანიძესთან, გაიანესთან („ორთაჭალელი მეთევზეები“ — 1969) მიბრუნებამ გაამდიდრა მათი ხასიათი. ამ ათი წლის წინათ, ჩემს წიგნში ვწერდი: „შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგი ხასიათის არამთლიანობაზე (თალიკო), ზოგის სქემატურობაზე (კომკავშირის მდივანი ბაჭუა ვარდოსანიძე).“ დღეს შეიძლება ითქვას, რომ „ძველი ნაცნობები“, თუ „ორთაჭალელი მეთევზეები“, რაოდენ მნიშვნელოვანსა და აქამდე უცნობს გვეუბნება, როგორც თალიკოზე, ისე დოფინაზე, გაიანეზე, მექიზე თუ ბაჭუაზე.

„მე მთელი ჩემი წუთისოფელი სანგარში ჩასული ჯარისკაცი ვიყავ. დრო არ მქონდა, უკან მომეხედა და გამოვლილ გზას ჩაფიქრებული თვალით ხელახლა გამოვყოლოდი. ამას კი, როგორც სჩანს, ბევრ სიკეთესთან ერთად, ცუდი მხარეც ჰქონია: სანგრიდან შეიძლება ბევ-

---

კობა იმედაშვილი

რი რამ ვერ დაინახო ან კარგად ვერ დაინახო და შეცდე, მოტყუვდე;

იქნებ ამან შეუშალა ხელი ჩემი თაობის მწერლებს — ხანდახან წალკოტშიც გადასულიყვნენ და ლამაზი ყვავილის დანახვაზე წუთიერად მაინც დავიწყებოდათ ამქვეყნური ოროტრიალი და ჭაპანწყვეტა. განა მისკენ გული არ მიგვიწევდა, მაგრამ არ გვეცალა, — სახვალიოდ გვქონდა გადადებული ყველაფერი, რაც ჯარისკაცს სანგარში არა სჭირდებოდა.

ყველაფერი ეს რომ გაარკვიო და ყველას თავისი მიუზღო, ამას ხანი უნდა, ხანი და აფთიაქის სასწორი. და კიდევ სანგრიდან ამოსვლა". („ჩემი პირველი კომკავშირელი". 1969).

სამოც-სამოცდაათიანი წლების ქართული მწერლობისათვის, როდესაც ადამიანი და ყოველივე ადამიანური ახლებურად იქნა გაგებული, სწორედ ეს „სანგრიდან ამოსვლა" გახდა ნიშანდობლივი. ამბობენ და სავსებით სამართლიანად (მეც მაქვს ეს არაერთგზის შენიშნული), რომ ეს თვისობრივი განახლება ქართულ მწერლობაში ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მოსულ ახალგაზრდობასა და ჟურნალ „ცისკარს" დაუკავშირდა. მაგრამ ამ განახლებაში სხვებსაც მიუძღვით წვლილი, ისევე როგორც ეს განახლება სხვებსაც შეეხო. ისიც გასახსენებელია, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძე თვით გახლდათ კარგა ხანს „ცისკრის" რედაქტორი და არ შეიძლება შემოქმედის შეუმცდარი ალღოთი არ ეგრძნო იმ ახალგაზრდობის პოზიციის თანადროულობა, რომელიც „ცისკრის" გარშემო ტრიალებდა.

ამ თანადროულობამ, ხედვის ახალმა კუთხემ განსაკუთრებით თავი იჩინა უბრალო, რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანისადმი დამოკიდებულებაში, რომლის ხასიათშიც კონსტანტინე ლორთქიფანიძე ისევ ჰეროიკულს, ძლიერს, განსხვავებულს ეძებს, მაგრამ რომლის ყოველდღიურ ცხოვრებასა და ჩვეულებრივ ყოფაში ადამიანურ სისუსტეებსაც ხედავს **ბასაგებს და ამდენად მისატევებელს.**

სამოციან წლებში მოსული თაობისთვის ომის ხმაური შორეულ ექოდ ისმოდა, ადამიანური ტკივილები კი მთელის ხმით ღაღადებდნენ. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ომის მონაწილემ, ვერ დაივიწყა ომის ხმაური, მაგრამ ადამიანურმა ტკივილებმა მისთვისაც დაფარეს ყველა სხვა ხმები. და აი, აქ სულის სიღრმიდან წამოსულმა უხმო ტკივილმა იჩინა თავი. ეს ტკივილიცა და მისი მიზეზიც მნიშვნელოვანი პრობლემა გახლდათ სამოციანი წლების ჩვენი მწერლებისა. „მამია ჯაიანზე" მოგახსენებთ, მოთხრობაზე, რომელიც 1944-1965 წლებში იწერებოდა. სხვა არ ვიცი და მეექვსე ნაწილი ამ მოთხრობისა კი უდაოდ სამოციან წლებშია დაწერილი. სამშობლოს ღალატი (თუნდაც გარემოებათა ტრაგიკული თანხვდომით ნაკარნახევი) და მიგება სასჯელისა, ოცდაჩვიდმეტა წლის პრობლემა, უდანაშაულო დამნაშავეთა მწარე ბედი და ტენდენცია მწერლისა, ბოლომდე გაერკვეს ყოველი ქმედების მიზეზში, ყველაზე ამაზრზენ საქციელსაც მოუნახოს თავისი საწყისი და ადამიანს, მოღალატესაც კი, შეხედოს სხვადასხვა კუთხით, „როგორც ძეგლს ისე შემოუაროს გარშემო", ნოდარ დუმბაძის თქმისა არ იყოს... ყველა ამ თემამ, პრობლემამ თუ ტენდენციამ მთელის სიმწვავით სწორედ რომ სამოციან წლებში იჩინა თავი ჩვენს მწერლობაში.

●

ერთხელ ბაქსანის ხეობაში გამოცდილ მზვერავს, მამია ჯაიანს გზა დაებნა, „კინაღამ ჭირს არ გადავეკიდეო!" — მერე თვითონ თქვა, მაგრამ რაც მას დაემართა, ჭირზე უარესი იყო.

ორ მძინარე გერმანელს გადააწყდა. ერთი მაშინვე მოიცილა თავიდან, მეორე კი გაკოჭილი ზურგზე მოიგდო და ტყეს მისცა თავი.

ეს მეორე ქართველი აღმოჩნდა. ოცმეთაური, რომელიც თბილისიდან მოჰყვებოდა ჯაიანის დივიზიას.

ღალატი ყოველთვის ბანალურია და ერთფეროვანი. მაგრამ მიზეზი ღალატისა, მოღალატის დამოკიდებულება ღალატთან, და ამდენად, ჩვენი დამოკიდებულებაც მასთან — აღარაა ერთფეროვანი, გააჩნია მწერალი რა სიღრმეებს გაგვინათებს, რას დაგვანახებს...

ამ ქართველის ღალატი მარტო მისი კი არა, დროის ტრაგედიაც იყო. მოკლე დიალოგი მამია ჯაიანისა და მისი ძალზე ბევრს ამბობს.

„— ასე როგორ გაგიწყრა ღმერთი, იმათთან რამ მიგიყვანა!

— ჯანდაბამ. გულს ვეღარ მოვერიე... ოცდაჩვიდმეტში მშობლები ციმბირში დამიკარგეს... მე უნივერსიტეტიდან გამომრიცხეს! იქიდან დაიწყო ყველაფერი...

— შენ დღეში სხვაც ყოფილა, მაგრამ ეგრე ყველაფერზე როდი გადაუფურთხებია!

— სხვამ გაუძლო, მე ვერ გავუძელი და ხედავ, — ბოლმამ სად გადამაგდო!"

და შემდეგ, ცოტა ქვევით:

„— მეგონა, შურს ვიძიებ და დავწყნარდები მეთქი... არ გამოვიდა. უფრო გავწვალდი. კი უნდა მცოდნოდა, რომ ღალატი შურისსაძიებლად არ გამოდგებოდა!"

ღალატი შურისსაძიებლად არ გამოდგება.

მართლაც უსამართლოდ იყო დარბეული ეს უბედური კაცი, მაგრამ სამშობლო ის არაა, ვიზეც შეგიძლია ნაწყენი იყო, სამშობლო ის არაა, ვინც მხოლოდ გეფერება, სამშობლო ის არაა, ვისიც უკეთესში გაცვლა შეიძლება, რადგან სამშობლოზე უკეთესი არაფერი არსებობს.

კაცის უსამართლოდ დარბევა არასოდეს არ ყოფილა სამშობლოს ბრალი. მეტიც: თუნდ

ერთი კაცის უსამართლოდ დარბევა სამშობლოს დარბევაა და ამ დროს სამშობლოს ტკივილის გაზიარებაა საჭირო, მისი შველა.

სამშობლო ბევრად დიდი ცნებაა, ვიდრე კონკრეტული დრო, კონკრეტული სიტუაცია, კონკრეტული პიროვნებანი. სამშობლოს ისევე არა აქვს დასასრული, როგორც დასაწყისი. იგი წარსულშიც არის, აწმყოშიც და მომავალშიც, იგი ყოველ ჩვენგანშია. მოღალატეშიც კი. ამიტომ სამშობლოს ღალატი საკუთარი თავის ღალატიცაა, საკუთარი წარსულის, აწმყოსი, მომავლის.

ზურისძიება სამშობლოზე არ შეიძლება, შეუძლებელია...

ყოველივე ამას გვიან მიხვდა მამია ჯაიანის უსახელო ქართველი.

კარგია, მას სახელი რომ არა აქვს. მე არ მიწდა, რომ გამოგონილ მოღალატესაც კი ქართველის სახელი ერქვას.

ჩემი ბავშვობიდან ორი შთამბეჭდავი მოგონება შემომრჩა, რომელიც ლიტერატურულ გმირს დაუკავშირდა. ორივე ვაუას გმირია. ერთი — ბათური, თავისი მებრძოლი ხმლით, მეორე მოღალატე წიწოლა, „ბახტრიონიდან".

„ბათურის ხმალი" პაპამ წამიკითხა, იოსებ იმედაშვილმა, „ბახტრიონი" კი მერე, მე თვითონ წავიკითხე, მარტომ. მარტოვე შევეჯახე წიწოლას ღალატს და გამიჭირდა... ორმაგი იყო ჩემი გრძნობა: ღალატმა ელდა დამცა, მაგრამ როცა წიწოლა სოფელში მობრუნდა და დედამაც არ მიიღო, შემეცოდა. თავი რომ ჩამოიხრჩო, მაშინ არ შემცოდებია. თავის ჩამოხრჩობა თითქოს აღარაფერი იყო... ბავშვობაში რეალურად მჯეროდა ბათურის ჯადოსნური ხმლის არსებობა და რეალურად მესმოდა მისი ელარუნი, ვხედავდი წიწოლასაც, რუხსა და აწოწილს... მაგრამ... სასჯელი წიწოლასი მაინც არ იყო მისი ღალატის ტოლფარდი.

რადგან სამშობლოს ღალატის ტოლფარდი სასჯელი არ არსებობს.

წლების მერე ეს პრობლემა — ღალატის საწყაულისა, ისევ დადგა ჩვენი ლიტერატურის წინ. ორ ნაწარმოებს გავიხსენებ. ნოდარ დუმბაძის რომანს „მე ვხედავ მზეს" და ვალენტინ რასპუტინის «Живи и помни».

გულახდილად რომ ვთქვა, ღალატი ყოველთვის ამაზრზენია, მაგრამ არც რასპუტინისა და არც დუმბაძის გმირმა ელდა არ დამცა, არც შემცოდებია ისინი თავის დაცემაში, იმდენად არარანი არიან ისინი, მხოლოდ გულზიდვას გრძნობ მათ გამო და გინდა რომ არ არსებობდნენ...

ჯაიანის ტყვის ტრაგედიამ გული მატკინა.

ეს შეცდომით მოკლული ცოცხალი ადამიანია...

ამიტომ მისთვის ერთი ტყვიის დატოვება მისი შეცოდება კი არაა, არამედ ყველაფრის თავის ადგილზე დაყენება. არის საბედისწერო შეცდომები, რომელთაც წერტილს მხოლოდ ტყვია უსვამს. თუმცა ასეთი ტყვიის ღირსიც ყველა არაა.

„და მე დღესაც არ ვიცი, როგორ დამთავრდა ის დრამა ბაქსანის ხეობაში... რა ჰქნა ჯაიანმა! წამოიყვანა ის ცოდვის შვილი, თუ მარტო დასტოვა იმ ერთ სანატრელ ტყვიასთან..."

მე ახლაც ხშირად მესმის ბათურის ხმლის ელარუნი. ერთი გავარდნილი ტყვიის ხმა კი არ ისმის. ხმლის ელარუნი ფარავს ცალფად გასროლილი ტყვიის ექოს.

●

კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზისათვის ძირითადად სამი თემაა დამახასიათებელი — სამოქალაქო ომი, კოლექტივიზაცია და სამამულო ომი. მწერალი სწორედ ამ თემების გაშუქებისას ავლენს თავისი შემოქმედების ძირითად და ძლიერ მხარეებს. ეტყობა, მისი, როგორც ხელოვანის, ინდივიდუალური ხედვის თავისებურება ისაა, რომ არაჩვეულებრივ სიტუაციაში წარმოაჩინოს ჩვეულებრივი ადამიანის არაჩვეულებრივობა. მშვიდი სიტუაციები, ხასიათის დინჯი ასახვა მისი სტიქია არაა. ხომ თითქოს საზოგადოებრივად მწვავე პრობლემაა მოთხრობაში — „გაუმარჯოს დონ კიხოტს!" — წამოჭრილი, მოქალაქეობრივი პოზიცია ხომ აშკარადაა გამოვლენილი, ლიტერატურულადაც ხომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მწერალი მასში თითქოს აკავებს თავის ტემპერამენტს, სათქმელს ბოლომდე არ მიჰყვება, გამწვავებას ერიდება და ამიტომაც მისგან დატოვებული შთაბეჭდილება ვერაა „ისეთი". მწერლისავე გამოთქმას თუ ვიხმარ, მას „რადაც" აკლია. მე მგონი, ის „რადაც", რაც ზემოთმოხსენებული მოთხრობების ღირსების საფუძველია: არაჩვეულებრივობა გმირისა, არაჩვეულებრივობის დანახვა თუნდაც ყოველდღიურობის ბანალობაში. ისიც სათქმელია, რომ ეს არაჩვეულებრივობა პედესტალზე შემდგარი გმირების განსხვავებულობის ნიშანი კი არაა, არამედ ჩვეულებრივ ადამიანთა მდიდარი სულის გამოვლენის ის იშვიათი გამონათება, რომლის სხივსაც იქნებ ხშირად ვხედავთ და ვერ ვამჩნევთ. მწერალმა კი დაინახა და შეამჩნია. მეტიც: ჩვენც გვიწილადა ამ სხივის მადლი.

ამიტომ, სწორედ ეს — უბრალო მოკვდავში ჰეროიკულის გამოვლენა არის, ჩემის აზრით, არამარტო მთავარი დამახასიათებელი კონსტა-

---

კოგა იმედაშვილი
კიდევ ერთი დამატება

ნანინე ლორთქიფანიძის მხატვრული პროზისა, არამედ ამ პროზის სილამაზის მთავარი მიზეზი.

●

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე ბევრია დაწერილი — ქართულად, რუსულად, უცხო ენებზე. ეს აადვილებს მასზე წერას, მაგრამ აძნელებს კიდეც. გამოთქმულ აზრთა ურთიერთშეჯერება, მათი შეფასება და ასეთ მთლიანობაში გაანალიზება მწერლის მთელი შემოქმედებისა — პოეზიისა, პროზის, ნარკვევების, წერილების — გადაუდებლად საჭირო და ძნელი საქმეა.

ამ წერილს არ ჰქონდა ასეთი სისრულის პრეტენზია.

ჩემთვის მთავარი იყო, ჩემი თვალით წამეკითხა ის მხატვრული ტექსტი, რომელიც ახლა უკვე დროის მატიანედ იქცა.

ყოველი მკითხველი ნაწარმოებში იმას ხედავს, რაც მის გულთან და სულთან ახლოა. ეს წაკითხვა ყოველთვის ცალმხრივია და ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები, მე მგონი, სწორედ ისაა, რომელიც იძლევა ასეთი ნარკითხვაობის საშუალებას. ასეთი ნაწარმოებები დიდხანს ცოცხლობენ, რადგან მკითხველთა სხვადასხვა თაობისათვის თავისი ამოუცნობლობით კვლავ საინტერესონი რჩებიან. როცა ეს ინტერესი დაიკარგება ნაწარმოების მიმართ, იგი ცოცხალი ლიტერატურიდან მაშინვე გადაინაცვლებს არქივის თაროზე.

ისიც საკითხავია, რამდენად საინტერესოდ და ჭეშმარიტად წავიკითხე მე ის მხატვრული ტექსტი, რომელსაც კონსტანტინე ლორთქიფანიძის პროზა ჰქვია. რამდენად საინტერესო იქნება ჩემეული ინტერპრეტაცია ჩემი წერილის მკითხველისათვის. ან იქნებ, ყოველივე საინტერესოცაა, მაგრამ ტექსტის სიმართლე ჩემი სიმართლით შევცვალე? არ ვიცი, ეს ის კითხვებია, რომელიც ყველა კრიტიკოსს აწუხებს ხოლმე. უნდა აწუხებდეს.

ყოველშემთხვევაში, მე ჩემს სურვილში წმინდა ვიყავი და საქმისათვის ფიქრი არ დამიკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ სარჯველაძე

მნიშვნელოვანი გამოკვლევა მსგავსებითი შედარების შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ერთი მცირე მოცულობის, მაგრამ მეტად საყურადღებო წიგნი. მისი ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. დოცენტი თამაზ კვაჭანტირაძე. ნაშრომს ეწოდება „მსგავსებითი შედარება ქართულში". ერთი შეხედვით, წიგნის სათაური უჩვეულოა. ამ რიგის გამოკვლევებით ჩვენი მკითხველი არაა განებივრებული. მეტიც, შეიძლება ითქვას, თამაზ კვაჭანტირაძე თავისი ნაშრომით ქართული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობისათვის სრულიად ახალი პრობლემატიკის პიონერად გვევლინება. სწორედ ამით არის შეპირობებული თ. კვაჭანტირაძის გამოკვლევის აქტუალობა, მისი მნიშვნელობა.

თამაზ კვაჭანტირაძის ნაშრომი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მასში პირველადაა მოცემული საფუძვლიანი, თანმიმდევრული ლინგვისტური ანალიზი უმნიშვნელოვანესი პოეტური ფიგურის — შედარებისა. თავისი წიგნის მიზანს ავტორი ასე განსაზღვრავს: „ნაშრომის მიზანდასახულება ამგვარია: დადგენა იმ უნივერსალური მექანიზმისა, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველ პოეტურ შედარებას, შემდგომ — ანალიზი ამ მექანიზმის გამომვლენი ენობრივი მოდელებისა და ამ მოდელების მარეალიზებელ სემანტიკურ ერთეულთა კორელაცია" (გვ. 3-4). მკვლევარს, როგორც ვთქვით, წინამორბედი არ ჰყოლია, თუმცა, როგორც თვითონვე შენიშნავს „შედარებისათვის გამოყენებული გრამატიკული ინვენტარი ჩვენამდე იყო გამოყოფილი და გაანალიზებული".

ავტორი თანმიმდევრულად, ნათლად მსჯელობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: შედარება, იგივეობა, მსგავსება; განიხილავს იგივეობისა და მსგავსების ურთიერთმიმართების პრობლემას საზოგადოდ (გვ. 6-10), და შემდგომ იძლევა მსგავსებითი შედარების კატეგორიის განსაზღვრას (როგორც თ. კვაჭანტირაძე მიუთითებს, ტერმინს იყენებს შ. ძიძიგური: კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969). იგი წერს „ამ კატეგორიის ანალიზი შესაძლოა სხვადასხვა ენობრივ იარუსზე. თვით კვლევის საგანი საშუალებას იძლევა მსგავსებითი შედარება განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ლოგიკური (resp. ლოგიკურ-ფსიქოლოგიური) მოდელი, შემდგომ კი — -ამ ლმ-ის ენობრივი რეალიზაციის სქემები". და იქვე მიუთითებს: „ამ სქემათა ანალიზი ორი გზით უნდა წარიმართოს: ა) სქემათა გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) თვალსაზრისით აღწერა და ბ) სქემის წევრთა მარეალიზებელ სემანტიკურ ერთეულთა (ლექსემათა) აღწერა-განაწილება. ვინაიდან მსგავსებითი შედარება ძირითადად მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, მისი ანალიზის დროს ესთეტიკური ფაქტორებიც იჩენს თავს, რის შეფასებასაც სტილისტიკისა და პოეტიკის სფეროში გადავყავართ" (გვ. 10-11).

ავტორის აზრით, მსგავსებითი შედარების მოდელში მონაწილეობენ: A სიმბოლოთი გამოხატული დამსგავსებული, B სიმბოლოთი აღნიშნული დასამსგავსებელი და ნიშანთა კლასი N, რაც საერთო მახასიათებელია A-სა და B-სი (გვ. 12).

თ. კვაჭანტირაძე წერს: „მსგავსებითი შედარების ლოგიკური მოდელით იგულისხმება, რომ N დამსგავსებულისათვის (A) რაოდენობრივად უფრო ნაკლებად არის დამახასიათებელი, ვიდრე დასამსგავსებელისათვის (B). ეს მოდელი „მუშაობს" განსაზღვრული ობიექტთა კლასების საერთო ნიშნის რაოდენობრივი-ინტენსიური თვალსაზრისით გასათანაბრებლად" (გვ. 13).

შემდგომ ავტორი დაწვრილებით განიხილავს ლმ-ს ხარეალიზაცო სქემებს, რასაც ქართულში წარმოადგენს წინადადებები ან წინადადების ბლოკები. მსგავსებითი შედარების კატეგორიის გამოსახატავად „ქართულ ენას მდიდარი გრამატიკული ინვენტარი მო-

ეპოვება: ესენია მსგავსებითი შედარების ფუნქციით აღჭურვილი თანდებულები, გათანდებულებული ლექსემები, კავშირები, სადერივაციო აფიქსები, ფლექსია, პაუზა" (გვ 14). ავტორს შემოაქვს ცნებები: მსგავსების ელემენტი (ℓ), სქემის ნაწილები (a, b, n), სქემის ძირითადი წევრი, ძირითადი წევრის განმსაზღვრელი a და b მეტყველებაში მოცემულია არსებითი სახელით ან გაარსებითებული მეტყველების ნაწილებით, n გადმოიცემა ზედსართავი სახელით, მიმღეობით ან ვითარების გარემოებით. განმსაზღვრელი წევრი, ჩვეულებრივ, განსაზღვრებაა, მაგრამ ძირითად წევრთან დაკავშირებულ განსაზღვრებათაგან ყველა ვერ იქნება სქემის წევრი. ავტორი ამ თვალსაზრისით აანალიზებს ორ წინადადებას: 1. ვაუკაცმა დაჭრილი ლომივით დაიღრიალა, სადაც განსაზღვრება სქემის წევრი არაა, მისი ამოღება ლმ-ს არ არღვევს: ვაუკაცმა ლომივით დაიღრიალა. 2. ვაუკაცი დაჭრილი ლომივით საცოდავი სანახავი იყო, აქაც დაჭრილი განსაზღვრებაა, მაგრამ იგი სქემის განმსაზღვრელი წევრია, მისი ამოღება გამოიწვევს მოდელის სემანტიკის დარღვევას: ვაუკაცი ლომივით საცოდავი სანახავი იყო".

ნაშრომის მე-16-23-ე გვერდებზე გაანალიზებულია ე. წ. ატრიბუტული ჯგუფები, სადაც „მსგავსებითი ფუნქციის გამოხატვა ეკისრება ელემენტებს, რომლებიც ℓ-საგან განსაზღვრულ ფორმას მოითხოვენ" (გვ. 21-22), ესენია: -ვით, -ებრ, -მებრ, -ებრ, -ებური, -თანა, -ნაირი, -ხელა, -ტოლა, -ოდენი, -ოდენა, -გვარი, -მაგვარი,, -ხნის, -მსგავსი, დარი. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხმობილია მდიდარი, გემოვნებით შერჩეული მასალა ილიას, ვაჟას, გალაკტიონის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის და უახლესი ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნაწარმოებებიდან.

აქ ჩვენ ორიოდე ნიმუშს მოვიხმობთ:

ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად (ვაჟა). აქ გამოიყოფა ატრიბუტული ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს წინადადების ნაწილს, ბლოკს. ქორაფები სქემის ძირითადი წევრია (a), ხოლო დევებივით არის მისი აანმვრცობი, დეტერმინანტი სქემის წევრი (b), ხოლო მსგავსებით- ფუნქციის გამოხატვა ეკისრება ვით ელემენტს (ℓ), რომელიც განმვრცობისაგან მოითხოვს გარკვეულ ფორმას, ამ შემთხვევაში — სახელობით ბრუნვას.

ხოლო ისეთ ნიმუშში, როგორიცაა: შენისთანა კაბარა ნუკრებს ემტერება (ვაჟა). ნუკრებს არის სქემის ძირითადი წევრი (a), შენ აგრეთვე ძირითადი წევრია სქემის (b), ოღონდ განმსაზღვრელი, დეტერმინანტი, ხოლო 'მსგავსების ელემენტია (ℓ) თანა, რომელმაც მოითხოვა განმსაზღვრელი ნათესაობითი რუნვაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თ. კვაჭანტირაძის ნაშრომში პირველადაა ასე ფართოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით გაანალიზებული ჩვენი თანამედროვე საუკეთესო პოეტების ლექსები, რაც უთუოდ მისასალმებელია.

ავტორმა დაადგინა ატრიბუტული სქემების ელემენტთა განაწილება, მათი გრამატიკული და სტილისტური ფუნქციები. თუ რამდენად ფაქიზია ავტორის მიერ ჩატარებული ანალიზი, ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ერთი პატარა მაგალითიც კმარა: თ. კვაჭანტირაძე წერს: „-ებრ ელემენტის შემცველი სქემა უნდა განვასხვაოთ ებრი ელემენტისაგან: 1. შენებრ გულადი მეომარი და 2. მას ხომ კაცებრი გული არ ჰქონდა. პირველ მაგალითში -ებრ თანდებულია და ანალოგიურია -ვითიანი სქემისა (განსხვავება სტილისტურია — -ებრ-ს ამაღლებულ-სტილიზებული იერი დაჰკრავს), მეორეგან კი იგი წარმოქმნისკენ იხრება დე ℓ2 სქემას ეკედლება" (გვ. 22).

ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პრედიკატული ჯგუფის ანალიზი (გვ. 23 და შემდეგ.), რომელშიაც განხილულია ზმნასთან დაკავშირებული მსგავსების ელემენტები. ეს ელემენტები სამ ჯგუფს შეადგენენ: ა) ატრიბუტულ ჯგუფთან საერთო -ვით და ებრ; ბ) ატრიბუტული ჯგუფის ელემენტები, მორფოლოგიურად სახეცვლილი: ებურად, ნაირად, გვარად, დარად, მსგავსად (აქ არ შეიძლება გვქონდეს ტოლა, ხელა, ოდენი, ხნის, თანა, რაც განპირობებულია ამ ელემენტთა სემანტიკით); გ) კავშირები: როგორც, ვითა, ვითარცა, რომლებიც არ გვხვდება ატრიბუტულ ჯგუფებში.

აქვე, მასალის ანალიზის შემდეგ, თ. კვაჭანტირაძე ერთმანეთს უდარებს ატრიბუტულ და პრედიკატულ ჯგუფებს და გვთავაზობს საინტერესო დასკვნებს.

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული „კომპლექსური" შედარება და მასთან დაკავშირებული საკითხები (გვ. 27-30).

თ. კვაჭანტირაძის წიგნის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია მე-8 პარაგრაფი: „-ვით თანდებულის განაწილების შესახებ მიცემითსა და სახელობით ბრუნვებში" (გვ. 30-40). ამ პარაგრაფში დაწვრილებითაა განხილული ვითა ლექსემის გათანდებულების საკითხი, ვით თანდებულის ფენქციები თანამედროვე ქართულში, ამ საკითხთან დაკავშირებული დიდძალი ლიტერატურა. თ. კვაჭანტირაძე ცდილობს დაადგინოს მიცემითსა და სახელობით ბრუნვებში ვით თანდებულის განაწილების სტილისტური ნიუანსები. ამისთვის მას მოხმობილი აქვს რელატიურ ზმნებთან დაკავშირებული კონსტრუქციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი აანალიზებს ოთხ წინადადებას:

1. მზია ცოლივით დასტირის ვახტანგს;
2. მზია ცოლსავით დასტირის ვახტანგს;
3. ვახტანგი ცოლივით დასტირის მზიას;
4. ვახტანგი ცოლსავით დასტირის მზიას.

თ. კვაჭანტირაძე, ჩვენი აზრით, აკეთებს სავსებით სწორ დასკვნას: „ამ კონტექსტებში აშკარა უპირატესობა ეძლევა „მზია ცოლივით დასტირის ვახტანგს“ და „ვახტანგი ცოლსავით დასტირის მზიას“. დასამსგავსებლის ბრუნვა რომ გარკვეულ კორელაციაშია ბირთვული წინადადების შესაბამისი წევრის ბრუნვასთან, ამას ადასტურებს უარყოფილი კონტექსტები: „მზია ცოლსავით დასტირის ვახტანგს“ და „ვახტანგი ცოლივით დასტირის მზიას“. ეს კონტექსტები იმის გამო „ჭრიან ყურს“, რომ „გაწონასწორებული სქემის გრამატიკული გაფორმება შეუთავსებელი აღმოჩნდა მის სემანტიკურ რეალიზაციასთან: ვახტანგი არ შეიძლება ცოლს შეედაროს, გრამატიკულად კი საქმე სწორედ ამგვარად არის წარმოდგენილი“ (გვ. 36).

რა თქმა უნდა, ამგვარი კონტექსტების დაძებნას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ნიუანსი ვით თანდებულის განწილებისა მხოლოდ გარკვეულ, ძალზე შეზღუდულ კონსტრუქციებში ვლინდება, რის გამოც ავტორი ფრთხილად შენიშნავს, რომ დებულების „განზოგადოება არამცთუ კონვერსიულ, არამედ ძირითად ფორმებშიც ჰიპოთეტურია“ (გვ. 37).

ავტორი დიდძალი საილუსტრაციო მასალის მოხმობით განიხილავს მსგავსებითი შედარების კატეგორიას და რიცხვში შეთანხმების საკითხს (გვ. 40-48). დადგენილია როგორც რიცხვში შეთანხმების, ისე შეუთანხმებლობის შემთხვევები და მოცემულია დასკვნა: „ამ თვალსაზრისით ქართულში არა გვაქვს სტაბილური ვითარება. როდის ვერ მოხდება შეთანხმება, ამის წესები თითქოს დაჩნდა, მაგრამ როდის გვექნება შეთანხმება უცილობლად, ამის კანონი არ ჩანს. არის ისეთი სახის შედარებები, სადაც თანაბრად არის შესაძლებელი როგორც შეთანხმება, ასევე შეუთანხმებლობა. ეს მომენტი ვერც ცალკეული ავტორის სტილურ მახასიათებლად ჩაითვლება, ვინაიდან თანმიმდევრულ წესს გაანალიზებული მასალის მიხედვით არავინ იცავს“ (გვ. 44), ვინაიდან შედარების სქემებში რიცხვის კატეგორიის მიხედვით კორელაცია სინტაქსური ფაქტორების გვერდით სემანტიკური მომენტებითაც არის განპირობებული, ავტორს მიაჩნია, რომ მსგავსებითი შედარების კატეგორიასთან დაკავშირებით რიცხვში შეთანხმება კი არ უნდა ვიხმაროთ, არამედ რიცხვში შეხამება.

ნაშრომის საინტერესო თავია ელიფსი მსგავსებითი შედარების სქემებში (გვ. 48 და შმდგ.). განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ანალიზი სქემებისა, სადაც ელიფსირებულია მსგავსების ელემენტი: შენი ტანი—ტყის ლატანი და მისთ. აქ, როგორც ავტორი მიუთითებს, მეტაფორისკენ გადახრა უნდა გვქონდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ რიგის მონაცემთა ერთი დიდი ნაწილის ტრანსფორმირება ε_1, ან ε_5 ელემენტებიან სქემებად ხერხდება (გვ. 56). შეიძლებოდა აქვე აღგვედგინა ზმნა არის, რაც უკვე აღარ დატოვებდა საფუძველს ამ რიგის შემთხვევათა შედარებად მიჩნევისათვის. ასევე გვგონია, რომ ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: სამშობლოს დროშა მეჭირა, მტერს ვეცემოდი მეხადა და მისთ. სწორედ მეტაფორასთან გვაქვს საქმე და არა მეტაფორისკენ გადახრასთან (გვ. 56).

მაღალ დონეზეა დამუშავებული ნაშრომის მე-11 პარაგრაფი: „მსგავსებითი შედარების სქემათა სემანტიკური აქტუალიზაცია“ (გვ. 57-65). აქ გამოვლენილია ის შესაძლებლობები, რაც მოეპოვებათ ლმ-ის სქემებში მონაწილე ერთეულებს და დადგენილია შეზღუდვები, რაც მათ ედებათ მათივე გადმომცემი ლექსემების სემანტიკის გამო. სავსებით გასაზიარებელია დასკვნა: „მსგავსებითი შედარების სქემებში b-ს სემანტიკური აქტუალიზაციის შეზღუდვები განპირობებულია a-ს მახასიათებელთა სპეციფიკით“ (გვ. 65).

შეიძლება დავასკვნათ, რომ თ. კვაჭანტირაძის ნაშრომი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს არ არის მარტო ნიჭიერი ავტორის ნიჭიერად დაწერილი წიგნი. ნაშრომის კითხვისას იგრძნობა უდიდესი სიყვარული ორი, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან დაშორებული დარგის: ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს დარგები უკვე მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. სტრუქტურული ენათმეცნიერების უდიდესმა წარმომადგენელმა რ. იაკობსონმა და მისმა მიმდევრებმა უდიდესი როლი შეასრულეს თანამედროვე ლექსის კვლევის საქმეში.

თ. კვაჭანტირაძე, ბუნებრივია, დიდ მოკრძალებას გამოავლენს ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა მიმართ. იგი დახვეწილი, ფაქიზი გემოვნების ლიტერატორია. ყოველივე ეს განაპირობებს მისი ნაშრომის წარმატებას. მის მიმართ შეიძლება გავიმეოროთ ჩვენი წინაპრების ბრძნული გამონათქვამი: ყოველი საქმე, სიყუარულითა ქმნული, სათნო არს.

თამაზ კვაჭანტირაძემ თავალნათლივ დაგვანახა, რომ ქართული პოეტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხთა წარმატებითი კვლევა შეუძლებელია თანამედროვე ლინგვისტიკის საკითხთა ღრმად ცოდნის გარეშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ფიფია

მედეას ამბავი

მზე რომ ამოვიდა, ხუდონში ვიყავით. ზუგდიდიდან ხუდონამდე 40-მდე კილომეტრია და კაცმა რომ თქვას, ენგურის ნამდვილი ხეობა აქედან იწყება. ომუნეს მთას აუყვება აქამდე ბარი-ბარს მიმდევარი გზა და წულიშის მთის უკანაა ხუდონის ნასოფლარი. ახლა აქ ენგურჰესი შენდება. მარცხნივ ენგურის ხეობაა, მარჯვნივ მდინარე მაგანასი, დღეს წყაბაშის ნაკრძალად რომ იწოდება.

წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის „სტუდერის" ძარაზე ორნი ვიდექით. ჩემი თანამგზავრი ასე, 70-80 წლის ჭუბერელი სვანი აღმოჩნდა. მისი პირთამდე სავსე ზურგჩანთა ძარის კუთხესთან იყო მიდებული და ჩემი ხელჩანთის სახელურზე მისი აბზინდი იყო გაყრილი. მანქანაზე ამოსვლისთანავე შემომთავაზა თანამგზავრმა ეს.

— ხელში ხომ არ დაიჭერ, არადა ამ გზაზე იატაკზეც ვერ დადებ, თუ რამე გაქვს გასატეხი, გამოემშვიდობე, ზურგჩანთა კი მძიმეა, თანაც ა, აგერ მივამაგრებ და ორივე ერთმანეთს დაიცავს...

ჩანთაში ფოტო და კინოაპარატები მელაგა, და დავუჯერე.

მერე ის იყო, ხუდონამდე ამოვედით და ამ ხნის მანძილზე ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. ხეობათა და მწვერვალთა სილამაზემ ჩაგვაჩუმა. უფრო სწორედ მე, ის კი იდგა და ოდნავ ღიმმორეული მზერით მაკვირდებოდა. ამას უფრო ვგრძნობდი, ვინემ ვხედავდი.

— აქ ოქროს მომპოვებლები იდგნენ ოცდაათიან წლებში... — ვთქვი მე, როცა ხუდონამდე ამოვედით.

— გახსოვს შენ?

— არა, კინოფირებში მინახავს...

მან ოდნავ ჩემსკენ მოიწია და გულისჯიბიდან „პრიმა" ამოიღო. მერე ქარს ზურგი შეუშვირა, ასანთს გაჰკრა და მოუკიდა.

— მოწევ?

— თუ კიდევ გაქვთ...

— კაცო, წინათ უკეთესი იყო ეს მამაძაღლი, ეხლა კი რა ეს მოგიწევია და რა ფუჩეჩი...

„პრიმამ" დაგვაახლოვა უფრო.

— აგერ, ე, ბილიკი, რომ ჩადის ენგურისკენ, აი, იქ იდგნენ ოქროს მომპოვებლები მაშინ... — მიმითითა მან.

— იღებდნენ ენგურის სილას და რეცხდნენ...

— ახლა კი მეტი არ არის ოქრო ენგურში და ამიტომ მიატოვეს, ალბათ, ეს საქმე...

— ჰმ...! — ნიშნისმოგებით გადმომხედა მან, — ენგურში არასოდეს გამოილევა ოქრო..

რატომ-მეთქი, ვკითხე.

აქ მანქანა გაჩერდა, მძღოლმა შევისვენოთო, ამოგვძახა და იქვე კლდეს გადმოკიდებულ ჩანჩქერს მიაშურა. ჩვენც ჩამოვედით მანქანიდან და მას მივბაძეთ. მერე ჩემი თანამგზავრი ისევ ავიდა ძარაზე და ცოტა ხანში გაზეთში შეხვეული „კუბდარები" (სვანური ხორციანი ხაჭაპური) და ერთი ბოთლი „რახიც" ჩამოიტანა.

— აბა, წავიხემსოთ..

ავდექით და წავიხემსეთ. „რახი" მთლად სახუმრო არ გამოდგა და, როცა ძარღვებში გაეონა, ძველ კითხვას დაუბრუნდა ჩემი თანამგზავრი.

— შენ, რატომო, მკითხე ხომ? თუ არ მოგწყინდება მოგიყვები და ნახავ, თუ უწერია ენგურის ოქროს გამოლევა...

ასე მოვისმინე ეს ლეგენდა, რომელსაც უცვლელად გადმოგცემთ ახლა:

— „მაგი არავინ არ იცის, როდის იყო ეს, მაგრამ ის კი იციან სვანეთში, რომ მაშინ ორ მეტროზე ნაკლები სიმაღლის არც ერთი სვანი არ იყო. ენგურზე და ნესკრაზე ხიდებს არ დებდნენ, აქ რომ დაჰკრავდნენ ფეხს, მეორე ნაპირზე ხტებოდნენ, აი, ისე არჩვმა და ჯიხვმა რომ იცის ხოლმე... გინადირია როდისმე მთის ნადირზე?"

კი მეთქი, ვუთხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა, ვეცოდინებაო, მითხრა და გააგრძელა:

„მაშინ ტაია იყო მთელი ამ ქვეყნის უფროსი, მეფე. იმასაც ამბობენ, მზის შვილი იყოო ის! არ ვიცი, მარა ისეთი მდიდარი ყოფილა ის დალოცვილი, კაცო, რომ ოქროს ლურგიმზე იძინებდა თურმე, რძეში ბანაობდა და ცხრა ოჩოკოჩს ერეოდა ცალი ხელით. ეს ამბავი გაუგიათ სხვა ქვეყნებში და ერთ დაქცეულ დღეს წამოსულან, რა და, ტაიას ოქროსიმდიდრე წავართვათო. ძალით რას გახდებოდნენ, მარა ეშმაკობით მოუნდომებიათ ტაიას დამარცხება. ჰო, მართლა, ამ ტაიას თურმე ერთი ერჯი ყოლია, ვერძი! სულ ოქროს ტყავი ჰქონია ამ ერჯს, ოქროს რქები ედგა და ძვლებიც კი ოქროსი ჰქონია... მოვიდნენ და მივიდნენ, თურმე ტაიასთან. გამარჯობაო, უთხრეს, გაგიმარჯოთო, უთხრა ტაიამ. რაზე მოსულხართო? რაზეო და ზღვაში ვიყავით გასულები და „კენხრონმა“ დაჰბერა და თქვენს ქვეყანასთან გაგვრიყაო, უთქვამთ მოსულებს. ო, გაჭირვებაში ყოფილხართ და სტუმრებს მახპინძლურად დაგხვდებითო, უთქვამს ტაიას, მათაც რა უნდოდათ მეტი, მადლობაო უთხრეს. იმ საღამოს 12 ხარი დაკლა თურმე ტაიამ სტუმრების საპატივცემლოდ, 12 ქვევრი მოხადა და მთელი 12 დღე ქეიფობდნენ“.

„კენხრონი“ რაა მეთქი, ვკითხე.

სადაური კაცი ხარ შენო, მკითხა.

ვუთხარი, ფიფია ვარ-მეთქი.

მერე, მეგრელი ყოფილხარ და ნუთუ „კენხრონი“ რას ჰქვია არ იცი, მისაყვედურა.

— „კენოხონი, ელახონი ბორია“, ახლაც ასე არ ეძახით მეგრელები ზღვიდან ამოსულ ქარს?

სწორია მეთქი, ვუთხარი და გამეღიმა.

— ეს ქარი ცხელი და ძლიერია, ყველაფერს წვავს და ზღვაზე თუ მოგისწრო შენს მტერს მერე...

— „ჰოდა, 12 დღის მერე ამ ჩამოსულებმა უთხრეს ტაიას, აწი კი არისო ჩვენი წასვლის დრო, მაგრამ ამ საცარ ქვეყანაში რომ ვიყავით, არავინ არ დაგვიჯერებს თუ კიდევ ორ რამეს არ გვაჩვენებო. რასო, კითხა ტაიამ, თურმე. ჩვენო, ბოდიშიო, მაგრამ, თქვენი ერჯისა და ასულის ამბავი ყველა ქვეყანაშია ცნობილი და ისინი რომ არ ვნახოთ, რავა წავიდეთო აქედან. ტაიას ეწყინა, კაცო, აბა! მარა რას იზამდა და კაიო, უთხრა, გაჩვენებთო. ასეა კაცის ხაქმე, რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს, ერთხელ მაინც ჩადგამს ფეხს ტლაპოში. ტაიას ასულს მედეა ერქვა, მარა რას ნახავდა კაცი მაგისთანას, ის რომ აივანზე გადმოდგებოდა, ხალხი გაოცებული იძახდა, რომელიაო მზე, ეს თუ ცაზე რომაა, ისო! გადმოდგა მედეა კოშკზე და რა ნახეს სტუმრებმა ის, მიწაზე დაცვივდნენ შიშისგან, ეს რა ღმერთი გადმოდგაო, კოშკზე. მერე ვერძი გადმოდგა კოშკზე და კიდევ წაუვიდათ გული მოსულებს. ერთი კვირა ასულიერებდნენ, თურმე, აბა! გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ამ მოსულებიდან ერთმა, თურმე, მედეას სარკმელში მშვილდისრით რაღაც ჯადო შეაგდო, რომელიც კაცს აძინებდა. აძინებდა, მარა ისე კი არა, რომ სიარული არ შეძლებოდა, პირიქით, იმ ჯადოს გამკეთებელი რასაც ეტყოდა, იმას ასრულებდა ყველაფერს. ჰოდა, ამანაც ადგა და უთხრა: მედეა, შენ ახლა ადგები, ჩუმად გამოხვალ შენი კოშკიდან, შენს ოქროს ერჯზე შედგამ შენს ოქროს საწოლს და წამოხვალ აქა და აქაო. მართლაც ასე გააკეთა მედეამ, აბა რას იზამდა გათვალული იყო და... მთელი ღამე მიდიოდნენ გამოპარულები. ოქროს ერჯს ზურგზე ესვენა ოქროს ტახტზე მძინარე მედეა და მიჰყვებოდა იმ ხალხს. მერე ყულესთან რომ მივიდნენ (იქ იდგა მათი გემი) თქვეს, მოდი, ეს ერჯი დავკლათ, რაც ოქროსია თან წავიღოთ, დანარჩენი რაზე ვათრიოთ ტყეილადო. თან იმისიც ეშინოდათ, ვაი თუ ჯადოს ძალა გაუვიდეს და რამე ხიფათს გადაგვყაროსო. რქებით ანგრევდა კლდეებს, თურმე, ის ერჯი! ასეც გააკეთეს, მაგრამ სანამ ტყავს გახდიდნენ, სანამ რამე, გათენდა და ის იყო მზეც ამოვიდა. მაშინ ჩვენს ქვეყანაში ასეთი ამბავი ხდებოდა, რაც არ უნდა დიდი და ძლიერი ყოფილიყო ჯადო, მზის ამოსვლისთანავე ეკარგებოდა ძალა. კიდევ კარგი, დროზე ამოვიდა მზე, ვენაცვალე მის სახელს! ერჯს აწი არაფერი შველოდა, მარა მედეას გამოელვიძა. გამოიღვიძა და ორი მზის დანახვაზე ისევ პირქვე დაემხნენ ის მამაძაღლები. მედეამ სასწრაფოდ დაავლო ხელი ერჯის ოქროს ტყავს, მკერდზე მიიკრა მაგრად და გაიქცა, გაიქცა, მარა ამ უღრან ტყეში ეზა დაებნა. 9 დღე და ღამე დადიოდა ასე. რაც იქ იმან ჭირი ნახა, ნუ ეტყვით. ბოლოს ენგურს მიადგა და ცოტა მოითქვა სული. დაჯდა და სულ ოქროს ცრემლები დაღვარა. ამ დროს ერთი სვანი ვაჟკაცი ნადირობდა, თურმე, ამ მხარეს. მუშვანი ერქვა იმ ვაჟკაცს, ვიბლიანი — გვარად. ქალი რომ ნახა მტირალი, გაოცდა, მარა კიდევ უფრო იმან გააოცა, ოქროს ცრემლებს რომ ყრიდა. იფიქრა ეს ვინმე უბრალო არ იქნებაო და ფრთხილად კითხა, ვინა ხარო. მედეამ უთხრა ვინც იყო და უნდა გენახა, რა გაიხარეს ორივემ ერთმანეთის ნახვით. მედეას დედა სვანის ქალი იყო და ახლა ეს მუშვანი მას ბიძაშვილად ერგებოდა.

მერე, კიდევ ცხრა დღე და ღამე მიუყვებოდნენ მუშვანი და მედეა ენგურის ხეობას. მედეას მკერდიდან არ მოუცილებია ის ოქროს

ზაურ ფიფია

მედეას ამბავი

ტყავი ამ გზის მანძილზე, აბა! მოვიდნენ სვანეთში. მედეამ მუშვანს უთხრა: ახლა ეს კარგ ადგილას შევინახოთ სადმე, (ტყავზე უთხრა), და მხოლოდ შენ და მე გვეცოდინება მისი ადგილსამყოფელიო, მერე ავდგეთ და მამაჩემთან წავიდეთ, თორემ ვინ იცის რა დღეშია საცოდავიო. ასეც გააკეთეს. მერე ადგნენ და მამასთან წავიდნენ, მარა, რა გინდა რა, გზაში შეიტყვეს, რომ ტაიას გული გასკდომოდა და მომკვდარიყო. მედეამაც ვერ აიტანა ეს, ამ ქვეყნად არ მედგომებაო, თქვა და თეთნულდზე ავიდა. მას მერე იქაა, მწვერვალზე. კი გითხარი, როდის იყო ეს, კაციშვილმა არ იცის, მარა ის კი იციან, რა მოუვიდა ოქროს ტყავს. მუშვანმა თავის შვილიშვილს უთხრა საიდუმლო, თუ სად იყო დამალული ტყავი, იმან კიდევ თავის შვილიშვილს, იმან კიდევ თავის შვილიშვილს და ასე მოდიოდა ეს საიდუმლო აქამდე. ბოლოს... ყველგან გამოერევა ცუდი და ბოროტი, მუშვანის ერთმა შთამომავალმა იფიქრა, მოდი, გავყიდი ამ ტყავს და გავმდიდრდებიო, გამოიტანა სამალავიდან და წავიდა, მაგრამ მედეა ყველაფერს ხედავდა თეთნულდიდან და ენგურში გადაჩეხა ის მამაძაღლი. ოქროს ტყავი კი ენგურს მიაბარა — ადამიანებმა ვერ მოუარეს და შენს ფსკერზე შეინახეო. მას მერე მარტო მედეამ იცის საიდუმლო და ენგურმა. ამიტომაა, რომ ენგურს დღესაც კი ჩამოაქვს ოქროს ნამცეცები ბარში".

... ჩვენი მანქანა უკვე ხაიშს გაცდა და ენგურისა და ნესკრის შესართავთან გაჩერდა. ჩემი თანამგზავრი იქ ჩამოვიდა, ჭუბერისკენ მიდიოდა, ჩვენ მესტიის გზას გავუყევით. გამომშვიდობებისას სახელი ვკითხე მას, — მუშნი, მქვია ბატონოო, მითხრა და წავიდა. ახლა კი სანანებლად მაქვს დარჩენილი, გვარიც რომ არ ჩავიწერე. ამიტომაც მედო ეს ლეგენდა ჩემს უბის წიგნაკში გამოუქვეყნებლად. საიდან მოიტანეო, ხომ მკითხავდა მკითხველი, მუშნის გვარი არ ვიცოდი, ეს სახელი კი სვანეთში, ვინ იცის, რამდენს ჰქვია. მერე გამოხდა ხანი და სწორედ ასეთივე ლეგენდა მომიყვა ზუგდიდელმა ჯოტო კვირკველიამ და გადავწყვიტე, თქვენთვისაც მომეთხრო იგი. ლეგენდას უკვე აქვს არსებობის უფლება, მას ხელს აწერენ ჭუბერელი მუშნი და ზუგდიდელი ჯოტო კვირკველია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციალა ქაროსანიძე

მცირე გახსენება

გამოვცემლობა „მერანს“ მაშინ „საბჭოთა მწერალი“ ერქვა და პლეხანოვის გამზირზე მდებარეობდა. ეზოს სიღრმეში, იქვე, დაბალი ერთსართულიანი სახლი იდგა, რომლის წინ გაშენებულ საუცხოო ბაღს თევზებიანი აუზიც ამშვენებდა.

მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა. გამოდიოდა იოსებ გრიშაშვილის ერთტომეული და მქონდა ბედნიერება პოეტთან ხშირი შეხვედრისა.

●

ერთ დილით, ჩვეულებრივად, სამსახურში ადრე მივედი. მაგიდის უჯრა გამოვაღე, შიგ დამხვდა ნუში, ფშატი, ხურმა, ჩურჩხელა და სხვა. გამიკვირდა, ნეტავი ვინ მომართვა ეს ამოდენა ხილი მეთქი.

დავჯექი და მუშაობას შევუდექი. ამ დროს კარი გაიღო და ბატონი სოსო შემოვიდა. ჩემთვის უკვე უველაფერი ნათელი გახდა.

მადლობა გადავუხადე.

ღიმილით მომიგო.

— მე, გეთაყვა, ძუნწ კაცს მეძახიან და რატომ, ამასაც გიამბობ: როცა ქეთო (ჯაფარიძე) ჩემი საცოლე იყო, მასთან სახლში, ხშირად დავდიოდი ხოლმე: საჩუქარი არასოდეს მიმირთმევია. ქეთოს დაბადების დღე იყო, მისმა „პადრუგებმა“ დამირეკეს, საღამოთი ქეთოსთან მობრძანდითო. ამჯერადაც „ხელცარიელი“ მივედი. ქეთოს „პადრუგებმა“ შექმნეს ჩურჩული, რა თქმა უნდა ჩემი სიძუნწის გამო.

— აი ხომ ვამბობდით ხელცარიელი მოვაო, და ასეც მოხდა.

ცოტა ხნის შემდეგ გავედი ქეთოს საძილე ოთახში. ბალიშის ქვეშ ოცდაორი ათასი ამოვდე და ჩუმათ სუფრასთან დავრბუნდი, ისე რომ ეს არავის შეუმჩნევია. მართალი გითხრათ, ნიშნის მოგებით კი გავხედე ქეთოს „პადრუგებს“ და ჩემთვის გავიფიქრე: ესეც თქვენა მეთქი.

გახარებულმა ქეთომ შუალამით დამირეკა.

გეთაყვა, ერთი მითხარი, მე ძუნწი კაცი შეიძლება მერქვას?

ბოლოს დააყოლა:

— დავბერდი, დავბერდი! ამბა რა ჯანდაბაა, მშვენიერი გოგო ხარ და ლექსს ველარ გიწერ.

●

მე და ბატონ სოსოს სამსახურიდან ხშირად გვიხდებოდა ერთად წასვლა შინ. ტრამვაიში რომ ავდიოდით ხოლმე ხუმრობით მეტყოდა:

— მოდი, აქეთ დავდგეთ, კონდუქტორის მხარეს დგომა არ ვარგა, წინიდან იმდენი უბალეთო მგზავრი ამოვა, სულ „გადააწოდე-გადააწოდეს“ ძახილი იქნება... ამას ვინ ჩივის, ვაითუ კონდუქტორიც გაგვხადონო.

იმ პერიოდში თითქმის მთელ დღეებს ჩვენთან ატარებდა. გამომცემლობას მაშინ, იქვე, ეზოში თავისი სტამბაც ჰქონდა! ერთ დღეს ბატონმა სოსომ დარეკა და მთხოვა წიგნის ანაბეჭდები მიმეტანა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ანაბეჭდები წავუღე.

კარი ქეთომ გამიღო.

— კიდევ კარგი მოხვედით, თორემ დაგვხოცა სოსომ, სად არის ეს გოგო, რატომ იგვიანებსო!

სადილად სოსოსთან გახლდით, სადილის შემდეგ მთხოვა, გავსულიყავი იმ ოთახში, სადაც მისი დიდებული წიგნსაცავი იყო. წიგნებს ვათვალიერებდი. იოსებმა ერთ თაროსთან შემაჩერა და მითხრა:

— აი აქედან აქამდე ქეთოს „შუბაა“!

მე გაკვირვებულმა შევხედე თაროს და გავიფიქრე, ეს როგორი ქეთოს „შუბაა“, როცა წიგნებია მეთქი.

— ქეთო როცა შევირთე, სამოგზაუროდ წავედით ლენინგრადში. დიდი სურვილი მქონდა მისთვის „შუბა“ მეყიდნა, მაგრამ ვერ ვიშოვეთ. მე კი ვისარგებლე შემთხვევით, დავძვრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდი ბუკინისტებთან და ეს უნიკალური წიგნებიც მაშინ შევიძინე.

ახლა კი მივხვდი თუ რატომ ეძახდა მგოსანი იმ თაროს ქეთოს „შუბას“.

ცოტა ხნის შემდეგ მეუღლეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ქეთო, კი არ გეწყინოს და მე როცა სიკვდილის პირას ვიქნები, ჩემს წიგნებს სახელმწიფოს ჩავაბარებ. ქვრივები წიგნებს ემტერებიან და ყიდიან. არც შენ იქნები გამონაკლისი.

მართლაც, თავისი განზრახვა სიცოცხლეშივე შეასრულა, წიგნსაცავი სახელმწიფოს გადასცა.

●

ერთხელ სამსახურში რამდენიმე წიგნი მივიტანე, რათა სტამბაში ამეკინძა და ყდა გამომეცვალა. მათ შორის იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. ვიღაც მკითხულობდა და მეორე ოთახში გავედი. ოთახში რომ დავბრუნდი, „ძველი თბილისის ბოჰემა“ აღარ დამხვდა. ბატონ სოსოს ეზოში სირბილით დავეწიე, გაეცინა და მითხრა:

— ხო, კაცო, იშვიათობაა უკვე ეს წიგნი და იქნებ მაჩუქო.

მამის ნაქონი წიგნი იყო. მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა.

— დიდი სიამოვნებით, მამის დანატოვარი წიგნი რომ არ იყოს!

— სწორედ იმიტომაც წამოვიღე, ვიცი, ნებით არ მაჩუქებდი.

წიგნი მაინც დამიბრუნა.

●

მუშაობით რომ დავიღლებოდით და ცოტას შევისვენებდით, საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა მგოსანმა:

— ქუთაისის საზოგადოებამ გადაწყვიტა შეხვედროდა ჩვენს დიდ სახიქადულო პოეტს ვაჟა-ფშაველას. მაშინ მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მკითხველისათვის უკვე ცნობილი გახლდით. მქონდა დიდი ბედნიერება ქუთაისში გავყოლოდი დიდ პოეტს.

ქუთაისის საზოგადოება ზუიმით შეხვდა ვაჟა-ფშაველას და საოცარი სითბო, სიყვარული აგრძნობინა ჩვენს სახელოვან პოეტს. მაშინ ვიწამე ქუთაისი და ვთქვი — ეს ქალაქი რაინდების ქალაქია-მეთქი.

მგოსანს საღამოზე ლექსი წავუკითხე. დიდი ოვაცია მხვდა წილად. პირველად მაშინ ვნახე გალაკტიონ ტაბიძე. მისი დიდებული ლექსებით ვიცნობდი მხოლოდ. კარგად მაგონდება იმდროინდელი ქუთაისი. ქუთაისლებმა ვაჟას ჩოხა-ახალუხი მიართვეს. პოეტის თვალზე ცრემლი შევნიშნე და გავიფიქრე, ეს ყველაზე დიდი მადლობაა ქუთაისლებისათვის მეთქი.

●

ერთ დილით სამსახურის ეზოში სტამბიდან გამოსული აღელვებული და აღშფოთებული სოსო შემომხვდა.

— კიდევ კარგი, რომ დროზე მოვედი. ვიცოდი, სტამბაში ჩემი ფორმები იყო გაშვებული, ბეჭდვა შევაჩერებინე. ლექსში ვიღაცას კაჭაჭის ნაცვლად კაჭკაჭი ჩაუსწორებია, იმ დალოცვილმა, ვინც ეს გაკეთა, არ იცოდა, რომ კაჭაჭი ჩალის ღეროა და კაჭკაჭი კი ფრინველია. მე ჩალის ღეროს ვგულისხმობ ლექსში და არა ჩიტსო.

გიჟი რომ ვიყო, დავირბენდი უძილოდ
ქუჩებს,
შევკრეფდი წარაფს, შამბს, გუდურას,
კაჭაჭთა კონას.

შემდეგ უკვე დამშვიდებით დაუმატა:

— კიდევ კარგი მთლიანი ტირაჟი ასე შეცდომით არ დაიბეჭდა, მივუსწარი და მანქანაზე გავასწორებინე, თორემ ჩვენს პოეტებს მეტი ხომ არ უნდათ, სოსომ კაჭაჭი კაჭკაჭად აქციაო.

●

დაიბეჭდა ერთტომეული, მშვენიერი წიგნი გამოვიდა. თვითონაც ძალიან ნასიამოვნები იყო. მოწონდა წიგნი. მადლობელი იყო როგორც გამომცემლობის თანამშრომლების, ასევე სტამბის მუშებისა. წიგნი ყველას წარწერით მოგვიძღვნა. მე შეცდომიანი წიგნი მხვდა წილად და სადაც კაჭკაჭი იყო დაბეჭდილი თავისი ხელით კაჭაჭად ჩაასწორა.

ვისაც რაიმე წვლილი მიუძღოდა მის წიგნზე მუშაობის დროს, სოსომ ოჯახში დაგვპატიჟა. როცა მასთან მივედით, ყველა განაცვიფრა მისმა დიდებულმა კოლექციამ — განსაკუთრებით აღმოსავლურმა ხალიჩებმა და საკრავებმა.

სოსო წუთით არ გვშორდებოდა, სულ ჩვენთან ტრიალებდა. გულუხვად გვმასპინძლობდა. ჩვენი გამომცემლობის დირექტორის მოადგილეს შალვა დემეტრაძეს დიასახლისმა სთხოვა:

— შალვა, შენი ჭირიმე, ძალიანა გთხოვ, სოსო როგორმე დააბი მაგიდასთან, სამზარეულოში არ გამოუშვა, თორემ მთელი დღეა დაგვხოცა, სულ ჩვენთან ტრიალებს, გვეჩხუბება არ დამღუპოთ, რამე ისეთი არ გაკეთოთ ხალხი არ დამიწამლოთო. გაოცებული ვარ, არ ვიცი, საიდან აეკვიატა ეს ფიქრი.

მაგიდაზე ჩვენთან „დაბმულმა“ სოსომ მისი ცხოვრების ერთი სასაცილო ეპიზოდი გაიხსენა:

— ფული რომ გამოიცვალა (ფულის კურსი ახალი შეცვლილი იყო) ანგარიში ამერია. ბაზარში ქალმა მითხრა, ქათამი სამოცი მანეთი ღირსო, ავიღე და სამოცი მანეთი მივუთვალე, ქალი ძველი ფულით ანგარიშობდა თურმე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე პირდაპირ გავიგე მისი ნათქვამი. ასე რომ, ჩემო კარგებო, შეიძლება, ახლა რომელიღაც თქვენთაგანი სამოცმანეთიან ქათამს მიირთმევთო.

მეუღლეს სთხოვა იმღერეო და დასძინა:

— ძალიან მიყვარს ქეთოს სიმღერა, კაცმა რომ თქვას სიმღერის ეშხით შევირთე. სანამ ჩემი ცოლი გახდებოდა, რადიოში ხშირად ვუკვეთავდი მის სიმღერებს და სიამოვნებითაც ვისმენდი. ახლა სახლში მყავს და არ მღერის. რადიოში კი ველარ დამიკვეთია, რას იტყვიან, მრცხვენია, სასაცილოდ ამიგდებენ.

თანამესუფრეთა სახელით შალვა დემეტრაძე სუფრიდან წამოდგა და ქეთოს მიმართა:

— ქალბატონო ქეთო, ძალიანა გთხოვთ, გვიმღეროთ რამე, თქვენ ხომ საქართველოს ბულბული ხართ!

ქალბატონმა ქეთომ ჩვენი თხოვნა შეასრულა, თავისი მომხიბლავი ხმით გვიმღერა რამდენიმე სიმღერა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა «Утро туманное».

ქალბატონი ქეთო სიმღერას რომ მორჩა, თვალებგაბრწყინებული სოსო წამოდგა და თქვა:

— ქეთოს სიმღერამ ლექსის თქმის გუნებაზე დამაყენაო და წარმოთქვა:

რად ავიხირე არქივი
სულის და გულის მდადველი,
ან რადა ვშრომობ ამდენსა,
განა ცოტა მაქვს ნაღველი?

მინდა ავცელქდე, ვით უწინ,
მაგრამ რომ არა მცალია?
სოსო, რა კარგი დღე არის!
სოსო, რამდენი ქალია!

●

იოსებ გრიშაშვილს 70 წელი შეუსრულდა და მისმა ჩანგის თავყანისმცემლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს მისი იუბილე. მახსენდება რამდენიმე ეპიზოდი. შალვა დემეტრაძის კაბინეტში ვიმყოფებოდი. ოთახში მხნედ, ხალისით სოსო შემოვიდა და შალვას მიმართა:

— მოსაწვევი ბარათი მოგიტანე, ბანკეტზეც გეპატიუები, მოდი, არ დამალალატო!

შემომხედა და თქვა:

— სიკვდილსაც დავიწყებიხარ, შენც უნდა მოხვიდე, — და ორი მოსაწვევი გადმომცა.

საღამოზე წავედი და მართალი გითხრათ, ბანკეტზე წასვლას არ ვაპირებდი. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ვიცოდი იქ ჩვენი გამოჩენილი მწერლები იქნებოდნენ და მერიდებოდა, საღამოდან შინ ვბრუნდებოდი, მაშინ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ოპერასთან ახლო.

ლაღიძის წყლებთან ბატონი სოსო შემომხვდა. როგორც ჩანდა, მის მიერ დაპატიუებულ სტუმრებს ათვალიერებდა. დამინახა თუ არა, მითხრა:

— ხომ დამპირდი, მოვალო? გულით დაგპატიჟე და უნდა წამოხვიდე.

— ბატონო სოსო, ბევრი სტუმარი გეყოლებათ, რა აუცილებელია...

სიტყვა არ დამამთავრებინა:

— რას ამბობ, კაცო, ჩემი საყვარელი სტუმარი სტუმარს არ ცვლის, ყველას თავისი ადგილი აქვსო.

ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის. უარის თქმა ველარ გავბედე და წავედი.

რესტორანი „თბილისი“ მთლიანად იუბილარს ემსახურებოდა. იყო დიდებული ქეიფი. ნამდვილი ძველთბილისური მოლხენით. უკრავდნენ დუდუკები. მათი თანხლებით სოსო ლექსებს კითხულობდა თავისი კოლორიტული ხმით. ჩვენს მაგიდასაც ლექსით მიმართა:

აი ისიც:

„გამოსათხოვარი ძველ თბილისთან
ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“

. . .

თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირებიხარ ამ ქუჩებს კარგად —
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

. . .

სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს,
მიხვდები ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.

. . .

აი, სეირი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ ჩანს ურემი მოჩარდახული,
ღამის მთევლებით ბოლნისის გზაზე.
ღვინოს საფლავზე არვინ მოგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, —
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით?

სუფრა რომ აიშალა, შალვა დემეტრაძე მოვიდა ჩემთან და თავის მაგიდასთან მიმიწვია. სუფრაზე ახალგაზრდობა იყო თავმოყრილი და გიორგი შატბერაშვილი თამადობდა.

გიორგი კარგ გუნებაზე იყო. დამამახსოვრდა ერთ-ერთი კალამბური, რომელიც ბატონმა გიორგიმ იმ საღამოს შალვა დემეტრაძეს უძღვნა:

ჩვენი შალვას „ხარაკტერი“
შეიცვალა მკვეთრად,
კახურის სმა მიატოვა,
ეტანება თეთრას,
ამანაც რომ არ უშველა
ბოლოს მაინც შეთვრა.
ვახ, რა ბიჭი დაგვიბერდა,
ვახ, რა დედის ერთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის ნაკვალევზე

რამაზ პატარიძე

ავთანდილის „ყოვლი საჭაბუკო“

რუსთველოლოგიის ერთ-ერთი საზრუნავია, ვეფხისტყაოსნის ტექსტი ჩანართი და დანართი სტროფებისაგან გაიცხრილოს. ჩანართი ანუ ნაყალბევი სტროფი პოემის, ამა თუ ამ ტექსტის შინაარსეულმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს. თუ სტროფი კონტექსტთან შინაარსეულ შეუსაბამობაშია, იგი უთუოდ ჩანართია.

თავის მხრივ, ჩანართი სტროფის გამოვლენა და მისი გაძევება ვეფხისტყაოსნის ტექსტიდან, არათუ რაიმეს აკლებს და ვნებს პოემას, არამედ უფრო მეტად ხვეწს და გვაახლოვებს რუსთველის ქმნილების დედანს.

ჩანართი სტროფების გამოვლენას მიეძღვნება ჩემი რამდენიმე წერილი. პირველ წერილში, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა, ვცადე დამეწაბუთებინა, რომ ვეფხისტყაოსნის 1113-ე სტროფი ჩანართი სტროფთაგანია:

1113. ბაღსა შიგან თამაშობდა საღამოსა გავე ქამსა,
გავიტანე ხათუნები, მათი ჴმევა ჩემგან ხამსა,
მომყვებოდე მომღერალნი, იტყოდიან ტკბილსა ხმასა,
ვიმღერდი და ვყმაწვილობდი, ვიცვალებდი რიდე-თმასა.

ამგზის, მეორე წერილში, საუბარი მექნება ვეფხისტყაოსნის კიდევ ორი ჩანართი სტროფის შესახებ. რაკი ჩანართ სტროფებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტექსტის შინაარსეული ანალიზის მეშვეობით შეიძლება მივაგნოთ, ამიტომ პოემის სათანადო ტექსტს საჭიროდ ვთვლი ჯერ წინასწარი ახსნა-განმარტება წავუმძღვარო:

ზღვათა სამეფოს ქალაქ გულანშაროში მიმავალ მექარავნე ვაჭრებს ავთანდილი შეუთანხმდა მისი ჭაბუკობა არ გაემხილათ, ქარავნის პატრონად და ვაჭართა თავადად ეცნოთ. ავთანდილი ვაჭრებს ეუბნება:

1045. „ერთსა ვიაჯი, მააჯეთ სააჯო არ-საკრძალავი:
საქმე რამე მიც თქვენშიგან თავისა დასამალავი.
1046. ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვით, არ. თქვენსა პატრონობასა,
თვით თავადია ჩვენი-თქვა, ნუ მიხმობთ ჭაბუკობასა,
მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა...“

გულანშაროში ჩასვლისას:

1050. ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვნა, დაჯდა სკამითა;
იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა.

ფატმანს, ვაჭართა-უხუცესის უსენის ცოლს აცნობეს:

1061. ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარავნისა დიდისა,
შვენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა რიდისა.

რაკი გულანშაროში ავთანდილი თავს მალავს, ამიტომ საჭაბუკო თავის სამოსს არ იცვამს და სავაჭრო სამოსი აცვია:

1068. ყმა ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას მისსა.

როგორც ქარავნის პატრონსა და ვაჭართა თავადს, ავთანდილს ვაჭართა უხუცესის ცოლი ფატმანი მასპინძლობს (რაკი უსენი ამდროს გულანშაროში არ იმყოფება).

ფატმანი ავთანდილს გაუმჯნურდა. ავთან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილს შეუთვალა: „რა შეღამდეს, მოდი ღამე“-ო. იმ ღამეს ფატმანმა ავთანდილს ჭაშნაგირი მოაკვლევინა. ავთანდილმა კი ფატმანს ნესტანდარეჯანის ამბავი აამბობინა და მით გადაკარგული ნესტანდარეჯანის გზაკვალს მიაგნო. გათენებისას კი... ახლა პოემის განსახილველი ტექსტი მოვიტანოთ:

1243. გათენდა. ბანად წავიდა მზე, სოფელს
შუქ-ნაკიდები,
დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა,
რიდები,
მრავალი ფერი სურნელი, ტურფა
პერანგი, წმიდები;
„რაცა გწადდესო ჩაიცვი, მე ნურას ნუ
მერიდები“.

1244. ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო
ამა დღესა!“
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის
დაეწესა;
მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა
ტანსა მხნესა,
მოიმატა დამშვენება, დაემსგავსა ლომი
მზესა.

1245. ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის
საწვეველად;
ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ
პირ-ბნელად;
ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა
უმოსელად,
შემოსცინნა: „აგრე სჯობსო შენთვის
ხელთა სასურველად“.

1246. ფატმან მისსა შვენებასა მეტის-მეტად
ჰკვირდებოდა.
მან პასუხი არა გასცა, თავის წინა
ღიმდებოდა:
„შეეტყვების, არ მიცნობსო, ეგრე ვითა
ყოვნდებოდა!“
თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა
გაჰვიდოდა.

1247. პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა მივიდა მისსა
შინა,
ღვინო სმული, მხიარული დაწვა, ამოდ
დაიძინა;
საღამო-ყამ გაიღვიძა, შუქი ველთა
მოაფინა,
ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო
თავის წინა“.

1248. ფატმან მივიდა, ავთანდილს ხმა ესმა
მისგან ოხისა;
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ ტანი
ალვისა, მო —, ხისა!“
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა
ნოხისა,
ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი
წამწამთა ქოხისა,

1249. ავთანდილ ბრძანა: „ჰე, ფატმან, ვიცი ეს
საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა
გველ-ნაკბენია,
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა
გსმენია,
ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნი
გიშრისა ხენია.

1250. გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი
ქარავანისა,
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა
როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა,
მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-
ზარადხანისა.

ახლა ეს სტროფები უნდა გნვიხილოთ. 1243 სტროფში ფატმანთან სტუმრად მყოფი ავთანდილი დილით „ბანად“ ¡მიდის. დილით „აბანოს ბანნა“ ჩვეულებრივი და აუცილებელი რიტუალია ვეფხისტყაოსანში. სტუმრად ყოფნისას ეს რიტუალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: სტუმარს საკადრის შესამოსელს სძღვნიან. როცა ავთანდილს ფრიდონი მასპინძლობს:

1001. მას დღე სვეს, ჭამეს, გარდახდა ნადიმი
მსმელთა დასისა.
გათენდა, ბანეს ავთანდილ, რიცხვი ძეს
მუნ ატლასისა,
შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევრ-
ათასისა,
შეარტყეს წელთა სარტყელი, დაუდებელი
ფასისა.

როცა ფრიდონი ტარიელს და ავთანდილს მასპინძლობს:

1371. გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის
მასპინძლობითა;
აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა
ძღვნობითა,
დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა
მჯობითა.

„აბანოს ბანად“ მიმავალ სტუმრებს ერთ ხელ შესამოსელს კი არ სძღვნიან, არამედ მრავალს, რათა სტუმარმა აირჩიოს რაც სურს. 1001-ე სტროფში: „გათენდა, ბანეს ავთანდილ, რ ი ც ხ ვ ი ძ ე ს მ უ ნ ა ტ ლ ა ს ი ს ა,“ იმას ნიშნავს, რომ შესამოსელი მეტად ბევრია. ხოლო ¡1371-ე სტროფში სტუმრები „აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა“.

იგივე ვითარებაა განსახილველ 1243-ე სტროფშიც: ფატმანმა ავთანდილს უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები, მრავალი ფერი სურნელი და ¡საცვლები. ავთანდილს რისი სურვილიც აქვს, მით შეიმოსება, მაგრამ შეიძლება კი ფატმანს ავთანდილისთვის „ყოვლი საჭაბუკო“

შესამოსელი ეძღვნა? რა თქმა უნდა, არა. უთუოდ შესამოსელი ვაჭართა თავადის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. მომდევნო 1244-ე სტროფში კი ვკითხულობთ:

1244. ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო
ამა დღესა!“
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის
დაეწესა;
მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა
ტანსა მხნესა,
მოიმატა დამშვენება, დაემსგავსა ლომი
მზესა.

მომდევნო სტროფში „ბანად“ ნამყოფი ავთანდილი ფატმანს საჭაბუკო ტანსაცმელში ეახლა:

1245. ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის
საწვეველად;
ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ
პირ-ბნელად;
ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა
უმოსელად,
შემოსცინნა: „აგრე სჯობსო შენთვის
ხელთა სასურველად“.

ცხადია, ფატმანს საჭაბუკო შესამოსელი რომ ეძღვნა „ვაჭრულისა უმოსელი“ ავთანდილის გამოჩენა არ უნდა გაკვირვებოდა. საკითხავია, საიდან გაჩნდა „ყოვლი საჭაბუკო“ შესამოსელი ფატმანის ბანოში?

მაგრამ, რაკი ავთანდილმა „ყოვლი საჭაბუკო“ მაინც შეიმოსა, ცხადია იმ მიზნით, რომ ფატმანისათვის თავისი ნამდვილი ვინაობა გაემხილა. თუ ამ ჟამამდე ავთანდილი ვაჭრულ სამოსში თავს მალავდა და ვაჭართა თავადად და ქარავნის მეპატრონედ მოჰქონდა თავი, ცხადია „ყოვლი საჭაბუკოს“ შემოსვისთანავე ფატმანისათვის ამის მიზეზიც უნდა გაეცხადებინა. ავთანდილმა გადაწყვიტა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა“, საჭაბუკო სამოსელშიც ამ მიზნით გამოეწყო.

ამგვარად „ყოვლი საჭაბუკოს“ შემოსვა 1244 სტროფში მთავრდება. 1245 სტროფში ფატმანი გაოცებულია ავთანდილის ჩაცმულობით. ცხადია, თხრობის ლოგიკურობა !მოითხოვს, ავთანდილმა თავისი ნამდვილი ვინაობა მომდევნო 1246 სტროფში გააცხადოს. მაგრამ აი, საოცრება: მომდევნო 1246 სტროფში ავთანდილი რატომღაც დუმს. აი, ეს !სტროფიც:

1246. ფატმან მისსა შვენებასა მეტის-მეტად
ჰკვირდებოდა.
მან პასუხი არა გასცა თავის წინა
ღიმდებოდა:
„შეეტყვების, არ მიცნობსო, ეგრე ვითა
ყოვნდებოდა!“
თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა
გაჰვიდოდა.

მე ვფიქრობ, პოეტურად სტროფი !ბოლო, ხოლო შინაარსობლივად გაუმართლებელია, რადგან ფატმანის რეაქცია ავთანდილის ჩაცმულობისა და გარეგნობის გამო წინა სტროფში მოკლედ და კონკრეტულად მთავრდება:

ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა
უმოსელად,
შემოსცინნა: „აგრე სჯობსო შენთვის
ხელთა სასურველად“.

ძირითადად ხელნაწერებში 1246-ე სტროფის მესამე ტაეპი სხვაგვარად იკითხება:

„შეეტყვების, არ მიცნობსო, რა რეგვნადა
რა გვარ ხმობდა!“

ეს წაკითხვა პირველადი უნდა იყოს და როგორც ჩანს მხოლოდ შემდეგ უცდიათ მისი გაკეთილშობილება. საერთოდ სტროფის ბოლო ორი ტაეპის შინაარსი საკმაოდ ბუნდოვანია. აკაკი შანიძე, რომელიც ბოლო ორ ტაეპს ასე კითხულობს:

„შეეტყვების, არ მიცნობსო. ეგრე ვითა
ყოვნდებოდა!“
თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა
გაჰვიდოდა.

ცდილობს მეოთხე ტაეპის შინაარსი განმარტოს, იგი წერს: „თუმცა ავთანდილი ცოტა რასმე !იფერებდა ე. ი. ისე იქცეოდა, ვითომც თავისთვის შესაფერისად მიაჩნდა ურთიერთობა ფატმანთან, მაგრამ ამაზე მეტი არა ედარდებოდა რა (იგულისხმება: „მას სხვა მიზანი ჰქონდა დასახული“-ო)*.

თუ აკაკი შანიძის განმარტება მისაღებია, ავთანდილის უახლოესი მიზანი მკითხველისათვის უკვე ცნობილია: ფატმანს თავისი ვინაობა უნდა გაუმჟღავნოს. !სტროფში ეს არ ხდება. მაგრამ რაკი მხატვრული თვალსაზრისით სტროფი მეტად მდარეა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ჩანართია და ამიტომ ავთანდილმა თავისი თავი თითქოს მომდევნო 1247-ე სტროფში !უნდა გაამჟღავნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტროფი 1246 ჩანართად, ე. ი. ნაყალბევად მიიჩნიეს იუსტინე !აბულაძემ და მიხეილ წერეთელმა. მეცნიერთა ამ თვალსაზრისს მე სავსებით ვიზიარებ.

1247. პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა მივიდა მისსა
შინა,
ღვინო სმული, მხიარული დაწვა, ამოდ
დაიძინა,
საღამო-ჟამ გაიღვიძა, შუქი ველთა
მოაფინა,
ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო
ვარო, თავის წინა“.

---

* აკაკი შანიძე. თხზულებანი, II, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბილისი, 1966 წ., გვ. 83.

ამგვარად, ფატმანი, და ავთანდილი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, ავთანდილს იმ დღეს თავი არ გაუცხადებია და ამდენად ავთანდილის გადაწყვეტილება: „საქმე ჩემი 'გავაცხადო ამა დღესა“ შეუსრულებელი დარჩა. როგორ ავხსნათ ეს შეუსაბამობა?

საერთოდ, აუხსნელი რჩება ფატმანთან სტუმრად მყოფმა ავთანდილმა „ყოვლი 'საჭაბუკო“ სამოსელით შემოსვა როგორ მოახერხა ან იმ დღეს ფატმანს თავისი ვინაობა რატომ არ გაუმხილა.

მაგრამ გაუგებრობა ამით არ მთავრდება.

1247-ე სტროფში, საღამო ჟამს ფატმანმა კვლავ უხმო ავთანდილს. რაკი ფატმანი საერთოდ მასპინძელია, 'ამიტომ მან უნდა მოიწვიოს ავთანდილი და არა პირიქით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მომდევნო სტროფში ავთანდილი უნდა ეახლოს ფატმანს, როგორც სტუმარი მასპინძელს; ხდება კი 'პირიქით:

1248. ფ ა ტ მ ა ნ მ ი ვ ი დ ა, ავთანდილს ხმა
ესმა მისგან ოხისა,
ძ ტ ყ ო დ ა: „მომკლავს უცილოდ ტანი
ალვისა, მო —, ხისა!“
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა
ნოხისა,
ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი
წამწამთა ქოხისა.

როგორც ვხედავთ, 1247 სტროფში ფატმანმა უხმო ავთანდილს, ე. ი. ავთანდილს შეუთვალა მარტო ვარ და მნახეო; მომდევნო სტროფში კი ფატმანი მივიდა ავთანდილთან, ხოლო ავთანდილმა ფატმანი გვერდით დაისვა. ცხადია, 1247 და 1248 სტროფებს შორის შინაარსეული წინააღმდეგობაა. აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის ზოგ ხელნაწერში 1247 სტროფის — ფ ა ტ მ ა ნ უ ხ მ ო (ავთანდილს) ნაცვლად იკითხება: ფ ა ტ მ ა ნ ს უ ხ მ ო (ავთანდილმა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისე გამოდის, რომ ავთანდილმა უხმო ფატმანს თავისთან. ასეთი წაკითხვის წყალობით წინააღმდეგობა 1247 და 1248 სტროფებს შორის ქრება. ასე იკითხება და ასეა გაგებული ეს ადგილი ვახტანგისეულ, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, კარიჭაშვილის, იუსტინე აბულაძის და კ. ჭიჭინაძის ბეჭდურ გამოცემებში. მაგრამ ტექსტის ასეთი ინტერპრეტაცია მიუღებელია ეთიკური თვალსაზრისით: ვაჭარი ვინმე—ავთანდილი გულანშაროში ვაჭართა უხუცესის მეუღლის — ფატმანის სტუმარია. მამაკაცმა სტუმარმა შეუძლებელია დიაცი მასპინძელი თავისთან იხმოს. ამის თაობაზე რუსთაველი ზოგადად ამბობს:

ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ
იტყვის ფატმანისსა.

ე. ი. ზოგჯერ ავთანდილს ფატმანი იხმობდა, ზოგჯერ ავთანდილი ფატმანს ეახლებოდაო.

ამიტომ 1247-ე სტროფის მეოთხე ტაეპი ისე უნდა იკითხებოდეს, როგორც დღეს მიღებულია:

1247.4 ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო
ვარო, თავის წინა“.

რაღა ვუყოთ 1248 სტროფს, შინაარსობლივ შეუსაბამობას ამ სტროფებს შორის? მე ვფიქრობ, ეს უკანასკნელი სტროფი ჩანართია. ამ სტროფის ჩანართობას ლექსიკური ერთეულები ცხადყოფენ (ოხ-ი; ქოხი). „ოხ“ — შორისდებული ვეფხისტყაოსანში არ იხმარება; მეტაფორული აზროვნება სტროფში მდარეა: „ჩრდილი წამწამთა ქოხისა“ და სავსებით უადგილოცაა. რაც მთავარია, 1248-ე სტროფი ჩართულია ტექსტში იმის გამო, რომ მცდარად არის გაგებული 1247-ე სტროფის უკანასკნელი ტაეპი, თითქოს ავთანდილს ეხმოს ფატმანი თავის სასტუმრო სადგომში. ამიტომ უნდა ხლებოდა ფატმანი ავთანდილს და ეახლა კიდეც უკვე ნაყალბევ 1248-ე სტროფში, ხოლო მომდევნო 1249-ე და 1250-ე სტროფებში აქ თავის სადგომში გაუმხილა ავთანდილმა ფატმანს თავისი ნამდვილი ვინაობა.

ამგვარად ირკვევა, რომ ვეფხისტყაოსნის 1243-1250 სტროფებში ყველაფერი რიგზე არ არის. ამ სტროფებიდან ორი სტროფი 1246-ე და 1248-ე ნაყალბევია და გვიან არის ჩართული ტექსტში, როგორც ჩანს უკვე იმ მიზნით, რომ ტექსტი გასაგები ყოფილიყო.

მე ვფიქრობ, გაურკვეველი მიზეზების გამო პოემის ამ ნაწყვეტში აღრეულია სტროფების თანამიმდევრობა. საკმარისია აღვადგინოთ იგი, რომ ყოველგვარ შინარსობლივ აღრევას ბოლო მოეღება.

ვეფხისტყაოსნის ეს მონაკვეთი ამიერიდან ასე უნდა იკითხებოდეს:

1243. გათენდა, ბანად წავიდა მზე, სოფელს
შუქ-ნაკიდები;
დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა,
რიდები,
მრავალი ფერი სურნელი, ტურფა
პერანგი, წმიდები:
„რაცა გწადდესო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ
მერიდები“.
1247. პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა მივიდა მისსა
შინა,
ღვინო-სმული, მხიარული დაწვა, ამოდ
დაიძინა;
საღამო-ჟამ გაიღვიძა, შუქი ველთა
მოაფინა,
ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო,
თავის წინა“.

რამაზ პატარიძე

ავთანდილის „ყოვლი საჭაბუკო“

1244. ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო
ამა დღესა!“
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის
დაეწესა;
მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა
მხნესა,
მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი
მზესა.

1245. ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის
საწვეველად;
ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ
პირ-ბნელად;
ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა
უმოსელად,
შემოსცინნა: „აგრე სჯობსო შენთვის
ხელთა სასურველად“.

1249. ავთანდილ ბრძანა: „ჰე, ფატმან, ვიცი ეს
საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა
გველ-ნაკბენია,
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა
გსმენია,
ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნი
გიშრისა ხენია.

1250. გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი
ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა
როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა
შესაგვანისა,
მაქვს პატრონობა მრავლისა
საშურჭლე-ზარადხანისა“.

ამგვარად, „ყოვლი საჭაბუკო“ ნაცვამოსელი ფატმანმა კი არ უძღვნა ავთანდილს, არამედ საკუთრივ ავთანდილის სამოსია. როცა ავთანდილმა საჭიროდ სცნო თავისი ნამდვილი ვინაობა ფატმანისათვის გაემხილა, თავის „ყოვლი საჭაბუკო“ სამოსში გამოეწყო და ისე ეახლა ფატმანს.

სტროფების ახალი თანმიმდევრობა, ვფიქრობ, არც მეტ განმარტებას თხოულობს და ყოველგან შინაარსეულ გაუგებრობასაც სპობს. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ 1246-ე და 1248-ე სტროფები ნაყალბევი ჩანართი სტროფებია ვეფხისტყაოსანში.

აი ეს ჩანართი სტროფებიც:

1246. ფატმან მისსა შვენებასა მეტის-მეტად
ჰკვირდებოდა,
მან პასუხი არა გასცა, თავის წინა
ღიმდებოდა,
„შეეტყვების, არ მიცნობსო რა რეგვნადა
რა გვარ ხმობდა!“
თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა
გაჰვიდოდა.

1248. ფატმან მივიდა, ავთანდილს ხმა ესმა
მისგან ოხისა;
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ ტანი
ალვისა მო — ხისა!“
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა
მისხსა ნოხისა,
ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი
წამწამთა ქოხისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარმენ მარგველაშვილი

„რაღაა იგი სინათლე...“

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემაში უცვლელად შესული შემდეგი ფრაზის აზრი: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.

ფრაზაში განმსაზღვრელია სიტყვა „რაღაა“ და იმის მიხედვით თუ რა დატვირთვის მატარებელია ეს სიტყვა ფრაზა შეიძლება ორგვარად გავიგოთ:

1) რა არის (არის კი? აბა რომელია? არსებობს განა?) ისეთი სინათლე, რომელსაც ბნელი ახლავს;

2) დასაწუნია ისეთი სინათლე (ის სიკეთლე, რა სინათლეა) რომელსაც ბნელი ახლავს.

ფრაზის ორივე გაგება შეიცავს არალოგიკურ აზრს.

საქმე ისაა, რომ როგორც წესი დღეს ღამე ცვლის, განათებული საგნის მეორე მხარე აუცილებლად ბნელია და მას განუყოფლად თან ახლავს ჩრდილი, კატეგორიულად შეიძლება თქმა, რომ არ არსებობს სინათლე, ბნელი რომ არ ახლდეს.

ჩვენთვის საინტერესო ფრაზის გაგების პირველი ვარიანტი (ანუ მტკიცება იმისა, რომ არ არსებობს სინათლე, რასაც ახლავს ბნელი) არალოგიკური და უსაგნოა სწორედ იმიტომ, რომ სინათლეს ყოველთვის ახლავს ბნელი.

მეორე ვარიანტი კი არალოგიკურია იმდენად, რამდენადაც იწუნებს არა სინათლეს საერთოდ, არამედ ისეთ სინათლეს, რომელსაც ბნელი ახლავს; თითქოს სხვაგვარი სინათლე არსებობდეს. შეიძლება დაიწუნოთ ის სინათლე, რომელიც თვალისმომჭრელია, ან რომელიც არასაკმაოდ ნათელია, ბოლოს დაიწუნოთ სინათლე, იმიტომ, რომ მას ბნელი ახლავს, მაგრამ არაა ლოგიკური დაიწუნო ის სინათლე, რომელსაც ბნელი ახლავს, რამდენადაც სხვაგვარი სინათლე უბრალოდ არ არსებობს.

არალოგიკური ფრაზის „ვეფხისტყაოსანში“ არსებობა რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელია.

პოემის ნებისმიერი ფრაზა, ნებისმიერი გმირის მსჯელობა, რა განწყობაზეც არ უნდა იყოს იგი, შექმნილი ვითარების მიხედვით მკაცრად ლოგიკურია.

გმირის განწყობა პოემაში, როგორც წესი, საგანგებოდაა მითითებული. როსტევანი, რომელსაც ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ფრაზა, ულოგიკობას არ იჩენს როცა

„თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა“, არც როცა

„ბრძანა ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“, და არც მაშინ, როცა

„დაიზახნა მეტის მეტნი პირსა ხოკით
წვერსა გლეჯით გააკვირნა მისნი მჭვრეტნი“

და ცხადია დაუჯერებელია ულოგიკობას იჩენდეს, როცა

„იხმნა ვაზირნი თვით ზის ლაღი და
წყნარია
გვერდსა დაისხნა დაუწყო მათ ამო
საუბნარია“.

ფრაზის არალოგიკურობა უფრო მკაფიოდ ჩანს კონტექსტში, თუ კი სიტყვებს „სინათლე“ და „ბნელი“ შევცვლით გადატანითი მნიშვნელობებით „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“:

„დღეს არა ხვალე მოვკვდები სოფელი ასრე მქმნელია“ — აღიარებს როსტევანი სოფლის წესს და უმატებს: აბა რომელია (არსებობს განა) ისეთი სიცოცხლე, რასაც ახლავს სიკვდილი. (ან—ის სიცოცხლე, რა სიცოცხლეა, რასაც მოხდევს სიკვდილი).

მტკიცება, რომ არ არსებობს სიცოცხლე, რომელსაც სიკვდილი ახლავს, ან ისეთი სიცოცხლის დაწუნება, რომელსაც სიკვდილი მოხდევს, სოფელთან შერიგებულ, კარგ განწყობაზე მყოფ ბრძენ კაცს არ შეფერის და არალოგიკურია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვაზირები, რომლებსაც როსტევანი მიმართავს, შეამჩნევდნენ ამ უზუსტობას და როგორმე, დელიკატური ფორმით მაინც, აუცილებლად გამოეხმაურებოდ-

ნენ. ვაზირთა პასუხში კი გაშუქებულია მხოლოდ მეფის სიბერე და თინათინის გამეფების საკითხი, ანუ მეფის მხოლოდ ასეთი სიტყვები: „მე გარდავსრულვარ სიბერე მჭირს“ და „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ ვისგან მზე საწუნელია“.

ვაზირთა პასუხი ღრმა და ჭკვიანურია, რის დასტურად მათი სიტყვის პირველი ნაწილიც კმარა: „მეფეო, რად ბრძანე თქვენი ბერობა“, და თუ დაუშვებთ ერთი წუთით თქვენს სიბერეს, ის მხოლოდ ვარდის გახმობას შეიძლება შევადაროთ, ხოლო „ვარდი თუ გახმეს ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა“, რადგან მისი სული და ტურფა ფერი მეტობს სხვა ყვავილთა სულსა და ფერს და საერთოდ მცხრალ მთვარეს როგორ შეჰკადრებს მტერობას ვარსკვლავი. ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში თუ მეფე დაბერდა, მაგრამ ცხადია „მეფეო ჯერ ვარდი არ დაგჭნობია, თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია“ და ამიტომ „ხამს განაღამცა საქმნელად რაცა თქვენს გულსა გლმობია“.

ამ მწყობრ აზრში სრულქბით არ არის მეფისადმი პირფერობა, რადგან მეფე ჯერ მართლაც მხნეა (გავიხსენოთ „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მეფის სიტყვის დანარჩენი ნაწილი უყოყმანოდაა მიღებული ვაზირთა მიერ, როგორც უცილო. ეს კი აძლიერებს რწმენას, რომ როსტევანის მიერ ნათქვამი, ჩვენთვის საინტერესო ფრაზა მკაცრად ლოგიკური უნდა იყოს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენთვის საინტერესო ფრაზა ყველა გამოცემაში (გარდა ერთისა — ი. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი. 1914 წ „რაღაა იგი სიცოცხლე, რასაცა ახლავს ბნელია“) ერთნაირადაა შესული. ასევეა ხელნაწერთა უმრავლესობაში. მაგრამ არსებობს ხელნაწერები განსხვავებული ვარიანტებით, მაგალითად:

P-10 ხელნაწერში ასე იკითხება შესაბამისი ადგილი:

„რაღაა იგი სინ[ა]თლე, რასაც[ა]ნ ახლავ
ბნელია“

S — 5006 ხელნაწერი გვთავაზობს ასეთ ვარიანტს:

„რაღაა მისი სინათლე, რასაცა ახლავს
ბნელია“.

H—2074 ხელნაწერში კი ძირითადმა გადამწერმა სრულიად გამოტოვა ფრაზის მეორე ნაწილი და სტრიქონში დატოვა სიტყვები „რაღაა იგი სინათლე“. სულ სხვა მელნითა და სხვა კალიგრაფიით გამოტოვებულ ადგილზე ჩაწერილია „ჩემთვის ეგრეცა ბნელია“. ამრიგად ამ ხელნაწერის მიხედვით ასეთი ვარიანტი გვაქვს:

„რაღაა იგი სინათლე ჩემთვის ეგრეცა
ბნელია“.

H—2610 და S—4988 და კიდევ ხუთ ხელნაწერში გადასმულია სტრიქონები სტროფში და ჩვენთვის საინტერესო ფრაზა პირველ სტრიქონს მისდევს:

„მე გარდავსრულვარ სიბერე მჭირს
ჭირთა უფრო ძნელია
რაღაა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია
ღღეს არა ხვალე მოვკვდები სოფელი
ასრე მქმნელია“.

ჩვენი აზრით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს H—2074 ხელნაწერი. იგი გადაწერილია საუცხოო კალიგრაფიით, აბრეშუმის ქაღალდზე არშიები მაღალი ოსტატობით შესრულებული მრავალფეროვანი დეკორატიული მოტივებით და მინიატურებითაა მოხატული. ეს ხელნაწერი აღწერილია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გაუთვალისწინებელი და აქამდე შეუნიშნავი ფაქტები. ძირითადი გადამწერის კალიგრაფიასთან ერთად გვხვდება 15 ჩამატებული ფურცელი შედარებით მდარე დეკორითა და კალიგრაფიით. რამოდენიმე გვერდის არშიაზე ძირითადი გადამწერის ხელით მოყვანილია ტექსტში შემავალი ამა თუ იმ ადგილის ვარიანტი. კერძოდ არშიაზე გატანილია ასეთი სიტყვები: 89v-ზე „მისცეს“, 112v-ზე „გარდუხ“; 125r-ზე „დავხედით“, 182r-ზე „მოიცადენ“, „არსთა“; 182v-ზე „მტკებნ“, „მცნებნელი“; 185v-ზე „მადვე“; ხელნაწერში არის რამოდენიმე ადგილი, სადაც ძირითადი გადამწერის მიერ გამოტოვებული ადგილი შევსებულია სხვა ხელით. მაგალითად გვერდზე 114v ჩამატებულია „დავკარგე დავაშა“ და ჩვენთვის საინტერესო ფრაზაში „ჩემთვის ეგრეცა ბნელ“.

205r გვერდზე ტექსტში ჩამატებულია სხვა ხელით — „ვიქნებით“, მაშინ როდესაც ძირითად გადამწერს ეს ადგილი თავისუფალი დაუტოვებია, ხოლო ვარიანტი „დავხედით“ არშიაზე გაუტანია.

112v გვერდზე კი საერთოდ დატოვებულია თავისუფალი ადგილი, ხოლო არშიაზე ძირითადი გადამწერის ხელით გატანილია „გარდუხ“, მისი დაბოლოება მოსდევს ტექსტში თავისუფალ ადგილს — „დიან“.

არშიაზე გატანილ ყველა სიტყვასთან და ტექსტის სათანადო ადგილზე ძირითად გადამწერს განსაკუთრებული ნიშნები აქვს დასმული.

რამოდენიმე სტროფის წინ არშიაზე გატანილია ასო „თ“, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელნაწერის გადამწერი რამოდენიმე ნუსხით

სარგებლობდა და მათი შეჯერების დროს რედაქტორულ მუშაობასაც ეწეოდა.

ყურადსაღებია, რომ ასეთმა დაკვირვებულმა გადამწერმა არც ერთი ვარიანტი არ შემოგვინახა ჩვენთვის საინტერესო ფრაზის მეორე ნაწილისა.

აღვნიშნოთ, რომ H—2074-ის ჩამმატებელი უდაოდ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ადგილით ხელმძღვანელობდა:

„ჰხედავცა ჩემო სოფელი რათა საქმეთა
მქმნელია
რაზომცა ნათობს სინათლე ჩემთვის
ეგრეცა ბნელია
ბრძენნი იცნობენ სწუნობენ მით მათგან
საწუნელია“.

აქ თითქმის იგივე მსჯელობაა სოფლის წესზე, როგორც როსტევანის სიტყვაში, მაგრამ მკაცრად ლოგიკური: ბრძენნი იცნობენ სოფელს, თუ რათა საქმეთა მქმნელია ის, (რომ სოფელში ნათელს აუცილებლად ახლავს ბნელი), და ამიტომ სწუნობენ მას.

ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ ფრაზის საუკეთესო ვარიანტის ხელნაწერი გამოვლინდება, ისე როგორც H—2074, კარგად შესწავლილ, ხელნაწერში აღმოჩნდა არშიაზე გატანილი ვარიანტი „მადვე“, რომელიც შეტანილია მეგობლითად 1957 წელს ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით გამოცემულ ტექსტში (სტროფი 1305) და აქამდე არ მოეპოვებოდა დასაბუთება ხელნაწერის სახით.

P-10 ხელნაწერის გადამწერი არაა ისეთი დაკვირვებული, როგორიც H—2074-ისა, ბევრი თვალშისაცემი შეცდომა აქვს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მექანიკურმა გადამწერმა ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელიც ჩვენს ვარაუდს უჭერს მხარს.

ჩვენი ვარაუდით კი ფრაზა ასე უნდა იკითხებოდეს:

„რაღაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს
ბნელია“.

პოემიდან გამომდინარე „ღა“ ნაწილაკის დატვირთვის გათვალისწინებით აქ გვაქვს მტკიცება იმისა, რომ არ არსებობს სინათლე, ბნელი რომ არ ახლდეს.

ასეთი შეცვლით ლოგიკური, თანმიმდევრული და ფსიქოლოგიურად გამართლებული ხდება როსტევანის მთელი სიტყვა, რომელიც სოფლის ბრუნვის შესახებ კარგად მოფიქრებულ განსჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გვინჩიძე

დიდგორის ჭრიოლის მიმდინარეობის საკითხისათვის

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში საქართველოს ლაშქრის 55.600-მა მებრძოლმა დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით ხასტიკი დამარცხება აგემა თურქ-სელჩუკთა უზარმაზარ კოალიციურ არმიას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, ზოგი ცნობებით, 560-600 ათასი მეომრის რაოდენობით შემოიჭრა[1]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ვაების ღირსადაც კი მიიჩნევს აქილევსის, ალექსანდრე მაკედონელის და ტიტოსის საგმირო საქმეთა აღმწერ სახელოვან მწერალთ — ჰომეროსს, არისტოვულეს და იოსებ ფლავიოსს, რადგან მათ, მემატიანის აზრით, არ გააჩნდათ თხრობის საგანი, მსგავსი ქართველთა მეფის მიერ დიდგორთან გაწეული ბრწყინვალე მხედართმთავრობისა. ჩვენი ისტორიკოსი შეუძლებლადაც თვლის დავითის მოქმედებათა ზედმიწევნით გადმოცემას: „...მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებლად, — ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედამიწევნით ყოველსავე“-ო[2], — აცხადებს იგი, და მართლაც, არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ რა გზით შესძლო 40.000 ქართველის, 15.000 ყივჩაყის, 500 ალანისა და 100 ფრანგისაგან შემდგარმა საქართველოს 55.600-იანმა ლაშქარმა[3] თურქ-სელჩუკთა ბევრად ჭარბი ძალების დათრგუნვა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ მეტად საინტერესო საკითხს გვერდს არ უვლის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი, რომელიც შემდეგს გვაუწყებს:

„შეხვდნენ რა ერთმანეთს, ორივე არმია მოეწყო საბრძოლველად. დაწინაურდა 200 ყივჩაყი. მუსულმანებმა ისინი დანებების მოსურნეებად მიიჩნიეს და ამიტომაც არ მიიღეს უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ზომები; მიუახლოვდნენ მათ და შეხვედრილ იქნენ ისრებით. მუსულმანთა რიგები აირია, რის გამოც მოშორებით მდგომებმა წარმოიდგინეს, რომ დაიწყო ლტოლვა და გაიქცნენ. მირბოდნენ ჯარები ერთმეორის მიყოლებით, ძლიერად ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და თელავდნენ, რის შედეგადაც ბევრი დაიღუპა. ურწმუნონი მისდევდნენ 10 ფარსახის[4] მანძილზე, ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მათ. უმრავლესობა (მუსულმანთა ჯარებისა) განადგურებულ იქნა...“[5].

იბნ ალ-ასირის გადმოცემა დანებების იმიტირების მეშვეობით საქართველოს არმიის 200 ყივჩაყის მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმის შესახებ, სულ ბოლო დრომდე წარმოადგენდა ქართველ მკვლევართათვის ერთადერთ ცნობილ მოწმობას, რომელიც აღასტურებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგორის ბრძოლისას დავით აღმაშენებლის მიერ ტაქტიკური ხერხის განხორციელებას. დიდგორის ომზე ალეპოელი ისტორიკოსის ქემალ ად-დინის გადმოცემის გამოქვეყნებამ კი ნათელყო, რომ ქართველთა ტაქტიკურ ხერხზე, თუმცა არა იმაზე, რომელსაც იბნ ალ-ასირი აღწერს, ზემოხსენებულ ავტორსაც მოეპოვება ცნობა. ქემალ ად-დინი წერს:

„მაჰმადიანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი (ქართველები — გ. გ.), მისდიეს მტერს ბილიკით და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე. შემდეგ ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ მათ და დამარცხდნენ მუსულმანები. მისდევდნენ რა, ქართველები ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მათ"6.

ქემალ ად-დინის ცნობის მომძიებლის გ. კუტალიას სავსებით მართებული შენიშვნით, „...თავდაპირველი დამარცხება" და „დევნა" ქართველებისა, რომელზედაც ქემალ ად-დინი მიუთითებს, დავითის გეგმაში შედიოდა და ითვალისწინებდა მტრის რაზმების შეტყუებას ქართველთა განლაგების სიღრმეში, სადაც მოულოდნელი დარტყმის მიყენებას როგორც „გაქცეულთა" მხრიდან, ისე ფლანგებიდან მეტი ეფექტი ექნებოდა — მას შეეძლო მტრის რაზმების დაბნევა და მოსალოდნელი კატასტროფისაგან თავის დაღწევის მიზნით უკუქცევის დაჩქარებაც.

„ქემალ ად-დინის მიერ მოთხრობილი ეს საინტერესო დეტალი", განაგრძობს გ. კუტალია, „არ აქვთ აღნიშნული არც დავითის ისტორიკოსს, არც მათე ურჰაელს, არც გოტიეს და არც ალ-ფარიკს, თუმცა არცერთი მათგანის ცნობა არ გამორიცხავს ქართველთა ზემოაღნიშნული „დამარცხებისა" და „დევნის" შესაძლებლობას"7.

მკვლევრის მტკიცება — ქემალ ად-დინის მოწმობაში დადასტურებულ ქართველთა ცრუ დამარცხებას და ლტოლვას არ გამორიცხავს დავითის მემატიანის, მათე ურჰაელის, გოტიეს და ალ-ფარიკის ცნობებით, — უთუოდ შეესაბამება სინამდვილეს. მაგრამ აქ, ვფიქრობთ, უფრო მეტის თქმაც შეიძლება. კერძოდ კი იმისა, რომ ქემალ ად-დინის მიერ აღწერილი შეტყუებითი მანევრის მხედველობაში მიღების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ლოგიკური პასუხი გაეცეს არა ერთს იმ კითხვათაგან, რომელთაც ბადებენ სწორედ ზემოჩამოთვლილ ცნობათა მონაცემები. ასე მაგალითად:

I. მათე ურჰაელისა და გოტიეს მიხედვით ქართველები და თურქ-სელჩუკები ერთმანეთს ორ მთას შორის, ხეობაში შეებნენ8. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანაბამად, კოალიციური არმია, შევიდა რა მთებით შემოზღუდულ მიდამოში, მოკლებული აღმოჩნდა შესაძლებლობას გამოეყენებინა თავისი რიცხობრივი უპირატესობა9. მაჰმადიანთა არასწორი მოქმედების მიზეზის მითითება მეტად ჭირდა, რადგან მტკიცება იმისა, რომ თურქ-სელჩუკები შეცდნენ, არ იქნებოდა დამაჯერებელი: კოალიციური არმიის წინამძღოლი ილ-ღაზი მეტად გამოცდილი მხედართმთავარი იყო. ქემალ ად-დინის ცნობაზე დაყრდნობით კი ჩვენ შეგვიძლია მაჰმადიანთა ხეობაში შესვლას მივცეთ ლოგიკური ახსნა: თურქ-სელჩუკები ორ მთას შორის ქართველებმა შეიტყუეს.

II. ალ-ფარიკის სიტყვებით „მეფე დავითი გამოვიდა დასავლეთის მხრიდან, ხოლო მისი ძე დემეტრე დაატყდა მათ (მაჰმადიანებს — გ. გ.) მთიდან, როდესაც ისინი მის (მთის — გ. გ.) ძირთან იმყოფებოდნენ"10. ამ ცნობის ინტერპრეტაციის თანახმად საქართველოს ლაშქარს მტრის ფლანგებისათვის ორი მხრიდან შეუტევია11. მაგრამ რა გზით მოხერხდა ამის განხორციელება? ქემალ ად-დინის გადმოცემის მოშველიების შემთხვევაში ამ კითხვასაც ასევე ლოგიკური პასუხი ეძლევა: ქართველებმა შეიტყუეს მოწინააღმდეგე ორმხრივი ფლანგური დარტყმის ქვეშ.

III. გოტიეს გადმოცემის თანახმად, ბრძოლის წინ დავით აღმაშენებელმა თავის ლაშქარს მიმართა სიტყვით, რომლის დასასრულსაც წარმოთქვა :„...რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შემოვსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შეკრათ...".

„ამასთან", დასძენს გოტიე, „მეფის, ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა"12.

დავით აღმაშენებლის მიერ ხეობის შესასვლელის ჩახერგვასთან დაკავშირებით შ. მესხია წერდა:

„ამით მეფეს თავისი ლაშქრისათვის უკანდახევის ...ერთადერთი შესაძლებლობაც მოუსპია. ეტყობა დავითს თავის ლაშქარში ჯერ კიდევ ეგულებოდა ისეთები, რომელთათვის მარტოოდენ „ღვთის სიყვარული" თავდადებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდებოდა. უცხო ტომის (ყივჩაყების) მოლაშქრეებს კი არც ქვეყნის, საქართველოს, სიყვარული აღაფრთოვანებდათ მაინცდამაინც თავდადებისათვის. ამიტომაც სჭირდებოდა დავით აღმაშენებელს თავისი ლაშქრისათვის უკანდასახევი გზის წინასწარ მოკრა. მართლაც, ამგვარი ღონისძიების შემდეგ მებრძოლებს ან უნდა გაემარჯვათ, ანდა მტრისადმი ზურგშეუქცეველი სიკვდილით დაემტკიცებინათ თავიანთი თავდადება ღვთისა და მეფისათვის.

„ამავე დროს", განაგრძობს მკვლევარი, „ეს ღონისძიება მეფის ლაშქრის ზურგსაც უვნებელ-

---

გიორგი გვინჩიძე
დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობის
საკითხისათვის

ყოფდა. ჯებირები მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ამ მხრიდან მტრის მხედრობის მოსალოდნელ იერიშებს"13.

აღნიშნულ საკითხს ეხება ივ. შაიშმელაშვილიც. მისი აზრით „დავით მეფეს შეეძლო ეთქვა, რომ ეს საინჟინრო დაბრკოლებანი (ჯებირები — გ. გ.) ქართველთა უკანდახევის აღსაკვეთად მოეწყო, მაგრამ ამ ღონისძიებაში აისახა აგრეთვე ქართული არმიის უშუალო ზურგის დაცვისა და შიდა ქართლში მტრის შეღწევის აღკვეთის იდეები"14.

მოყვანილი მოსაზრებანი ქართველთა მიერ ხეობის შესასვლელის ჩახერგვის თაობაზე უთუოდ არ არის საფუძველს მოკლებული, მაგრამ, გავითვალისწინებთ რა ქემალ ად-დინის გადმოცემას, ჯებირების შექმნის უფრო რეალური მიზეზი შეიძლება იქნეს დასახელებული.

თანახმად გ. კუტალიას სწორი შენიშვნისა, ქემალ ად-დინის ცნობაში დადასტურებული ქართველთა შეტყუებითი მანევრი უნდა დამთავრებულიყო „როგორც „გაქცეულთა" მხრიდან, ისე ფლანგებიდან" მაჰმადიანთათვის ეფექტური დარტყმების მიყენებით. ამასთანავე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ დარტყმებს ადგილი უნდა ჰქონოდათ ორ მთას შორის, ხეობაში. შექმნილ სიტუაციაში. თურქ-სელჩუკები, ცხადია, შეეცდებოდნენ განსაცდელისაგან თავის დაღწევას — ხეობიდან გასვლას. მოწინააღმდეგის მიერ ამ სურვილის განხორციელება დავითის გეგმებს, შესაძლოა, არც დაარღვევდა (გავიხსენოთ, რომ თათარ-მონღოლთა მხედართმთავრები, გარს შემოერტყმოდნენ რა მტერს, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდნენ მის დეზორგანიზებას, ხოლო საბოლოო გამარჯვების მიღწევას „ლტოლვილი მოწინააღმდეგის დევნისას გეგმავდნენ. ჩინგის-ხანი ალყაშემორტყმულ მტერს ყოველთვის უტოვებდა „გასაძრომს"15, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თურქ-სელჩუკები ხეობიდან თბილისის მიმართულებით არ გაიჭრებოდნენ: ბრძოლის ადგილიდან ნახევარი დღის სავალზე მდებარე თბილისში შესვლა მაჰმადიანთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა და ამდენად ქართველთათვის სრულიად მიუღებელი იყო მტრის, თუნდაც დამარცხებულის და დეზორგანიზებულის, ხსენებული ქალაქისაკენ გარღვევა. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ხეობის ჩახერგილი შესასვლელი ადვილი დასაშვებია სწორედ თბილისისაკენ ყოფილიყო მიმართული (გოტიე ხომ წერს, ქართველებმა ეს შესასვლელი ჩახერგეს, რომლითაც ხეობაში შევიდნენო), ქართველთა მიერ ჯებირების შექმნა შეგვიძლია ავხსნათ დავთ აღმაშენებლის სურვილით გამოერიცხა ხეობაში დამარცხების შემდეგ მაჰმადიანთა თბილისის მიმართულებით ლტოლვა.

ამრიგად, ქემალ-ად-დინის მოწმობა არა თუ არ ეწინააღმდეგება მთელ რიგ ძირითად ცნობებს ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ბრძოლის შესახებ, არამედ, როგორც უკვე ითქვა, ნათელყოფს კიდეც ამ ცნობებში აღწერილი ზოგიერთი მოვლენის მიზეზსაც. მაგრამ, ქემალ ად-დინის გადმოცემის მოშველიებას დიდგორის ბრძოლის მსვლელობის აღდგენისას, რაც თითქოსდა ახე ბუნებრივი იქნებოდა, აფერხებს ერთი გარემოება. საქმე იმაშია, რომ გ. კუტალიას აზრით ქემალ ად-დინის ცნობას ეწინააღმდეგება იბნ ალ-ასირის ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი გადმოცემა. აღნიშნავს რა 200 ყივჩაყის მანევრის შესახებ, „მაშასადამე იბნ ალ-ასირის მიერ მოთხრობილი ეს ტაქტიკური ხერხი ემყარებოდა მტერზე უეცარი თავდასხმის პრინციპს"-ო16, გ. კუტალია განაგრძობს: „როგორც ვხედავთ, ქემალ ად-დინი და იბნ ალ-ასირი დიდგორის ბრძოლის წინ დავით აღმაშენებლის მიერ გამოყენებულ განსხვავებულ ტაქტიკურ ხერხებზე მიუთითებენ. ამდენად, ძნელია თქმა იმისა, თუ რომელი მათგანის ცნობაა ჭეშმარიტებასთან ახლოს, ეს ალბათ შემდგომი კვლევისა და მასალების მოძიების საშუალებით თუ დადგინდება"17.

ამრიგად, ასკვნის რა იბნ ალ-ასირისა და ქემალ ად-დინის ცნობათა შეუთავსებლობას, მკვლევარი იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ცალ-ცალკე ორივე ისტორიკოსი, — როგორც იბნ ალ-ასირი, ისე ქემალ ად-დინი, — თავის მიერ გადმოცემულ ტაქტიკურ ხერხს თვლის მოწინააღმდეგეთა შორის პირველ კონტაქტად. სინამდვილეში კი ასეთ მომენტს სრულიადაც არ აქვს ადგილი. მართალია, იბნ ალ-ასირის სიტყვებიდან: „შეხვდნენ რა ერთმანეთს, ორივე არმია მოეწყო საბრძოლველად. დაწინაურდა 200 ყივჩაყი" — სავსებით ნათლად ჩანს — მათი ავტორი 200 მებრძოლის ოპერაციას შეტაკების დასაწყისად მიიჩნევს, მაგრამ, ამავე დროს, რაოდენ გულმოდგინედაც არ უნდა ჩავუკვირდეთ ქემალ ად-დინის ცნობას, მასში ბრძოლის დაწყების მომენტს უთუოდ ვერ გამოვავლენთ. გ. კუტალია, ალბათ, იმ გარემოებამ აცთუნა, რომ ქემალ ად-დინი ქართველთა დამარცხებას „თავდაპირველად" განვითარებულს უწოდებს. მაგრამ აღნიშნული განსაზღვრების ქვეშ, ეჭვს გარეშეა, არ იგულისხმება ბრძოლის დასაწყისი, რადგან პირდაპირ დამარცხებით ბრძოლის დაწყება უბრალოდ შეუძლებელია: ცხადია, დამარცხებას წინ უნდა უსწრებდეს ბრძოლაში ჩაბმა. ამიტომაც „თავდაპირველად" უთუოდ ბრძოლის პირველი ნახევრის მნიშვნელობითაა ნახმარი და იმ აზრის გადმოცემას ემსახურება, რომ დიდგორის ბრძოლისას ქართველებმა ჯერ, თავიდან (თავდაპირველად), დამარცხება განიცადეს. ჩვენი მოსაზრების ხისწორეზე უთუოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ თურქ-სელჩუკთა წარმატების მაუწყებელ წინადადებას მოყვება ასეთი ფრაზა: „შ ე მ დ ე გ ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ მათ და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხდნენ მუსულმანები". ამრიგად, ქემალ ად-დინი არ ეხება ბრძოლის დაწყებას და ამდენად არც მისი მოწმობა უპირისპირდება იბნ ალ-ასირის მონათხრობს. ამ უკანასკნელში კი, მართალია 200-კაციანი რაზმის მოწინააღმდეგეზე მოულოდნელ თავდასხმას მაშინათვე მოყვება მაჰმადიანთა საბოლოო დამარცხება, მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ იბნ ალ-ასირი რამოდენიმე ასეულ ათასიან არმიაზე გამარჯვების მომპოვებლად მარტოოდენ 200 მეომარს გვისახავს. ცხადია, უბრალოდ არაბი ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის მხოლოდ ერთი (მისთვის ცნობილი, ანდა, რაც უფრო საფიქრებელია, მისი აზრით ყველაზე მეტად საინტერესო[18]) ეპიზოდის გადმოცემით კმაყოფილდება, უშუალოდ რის შემდეგაც პირდაპირ ბრძოლის შედეგს გვაუწყებს. ასე რომ იბნ ალ-ასირის გადმოცემა მონაკვეთში ყივჩაყთა მოქმედებიდან მაჰმადიანთა დამარცხებამდე, არ გამორიცხავს სხვა მოვლენათა განვითარებას. გავითვალისწინებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, შესაძლებელი ხდება გამოვთქვათ ვარაუდი დიდგორის ბრძოლისას დავით აღმაშენებლის მიერ როგორც ერთი, ისე მეორე ტაქტიკური ხერხის — ჯერ იბნ ალ-ასირისეულის, ხოლო შემდეგ ქემალ ად-დინისეულის ჩატარებისა. მაგრამ რამდენად მისაღებია მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა?

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იბნ ალ-ასირისეულმა ტაქტიკურმა ხერხმა, მოითხოვა რა მის განმახორციელებელ მებრძოლთაგან თავდადება[19], თავგანწირვა[20], ერთხანს დაბნია თურქ-სელჩუკები, რასაც ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ალფარიკის მოწმობაში დადასტურებული დავით აღმაშენებლის დასავლეთიდან, ხოლო მისი ძის, დემეტრეს, მთიდან შეტევა მოჰყვა. თუ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, და ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ დავითის ისტორიკოსის მტკიცებას — მაჰმადიანებმა „...ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად"[21] და „...პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა"-ო[22], ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდება დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობაში ქემალ ად-დინისეული ტაქტიკური ხერხის ჩართვა, რადგან მისთვის უბრალოდ ადგილი ვერ გამოიძებნება. მაგრამ, ამგვარი დასკვნის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი, კერძოდ მტკიცება, რომ 200 მეომრის მოქმედებას ხაქართველოს ლაშქრის მთავარი ძალების შეტევა მოჰყვა, ჩვენი აზრით სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. და აი რატომ:

იბნ ალ-ასირის ცნობაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა დეტალმა. გადმოგვცემს რა ხაქართველოს არმიის მოწინავე რაზმის მტერზე უეცარი თავდასხმის გარემოებებს, იბნ ალ-ასირი აღნიშნავს, რომ მაჰმადიანებს მიახლოებულმა ყივჩაყებმა მოწინააღმდეგეს ისრები სტყორცნესო. აქედან გამომდინარე, კოალიციურ არმიაზე მოულოდნელი იერიში მშვილდოსან ყივჩაყებს[23] მიუტანიათ. ამასთანავე ეს მშვილდოსნები ცხენოსანნი უნდა ყოფილიყვნენ. ამას ცხადყოფს როგორც 200 მებრძოლის მანევრის ხასიათი, ისე ის ცნობილი გარემოება, რომ ყივჩაყთა ჯარი მხოლოდდამხოლოდ მხედართაგან შედგებოდა[24]. ამრიგად, თურქ-სელჩუკებზე უეცარი თავდასხმა 200 ცხენოსან მშვილდოსანს განუხორციელებია. ვიქონიებთ რა მხედველობაში ამ მომენტს, შეეცდებით გავარკვიოთ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ყივჩაყთა თავდასხმის მომდევნო წუთებში.

თითქოსდა შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ მშვილდოსნებმა ისარგებლეს ისრების მოულოდნელი ტყორცნის შედეგად მტრის დაბნევით და ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს მას. მაგრამ ასეთი ვარაუდი სრულიად მიუღებელია, რადგან ხელჩართული ბრძოლისათვის აუცილებელი იყო მძიმე აღჭურვილობა, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ჰ. დელბრუკი აღნიშნავს, ხელს უშლიდა და ამიტომაც ვერ უთავსდებოდა მშვილდ-ისრის ხმარებას[25]. ამასთანავე, სპეციალური შესწავლაც ცხადყოფს ყივჩაყ მებრძოლთა დაყოფას მძიმედშეიარაღებულებად (ხმლით, მუზარადით და ა. შ.) და მსუბუქადშეიარაღებულებად — მშვილდოსნებად[26]. დავით აღმაშენებლის ლაშქრის შემადგენლობაში შემავალი ყივჩაყები რომ ასევე იყოფოდნენ, ამას გვაუწყებს დავითის ისტორიკოსი, რომლის მიხედვითაც მომთაბარენი აღჭურვილნი იყვნენ „რომელნიმე ჯრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა"[27]. ამრიგად, შესაფერისი შეიარაღების უქონლობის გამო მშვილდოსნები ვერ წამოიწყებდნენ ხელჩართულ ბრძოლას. ამავე დროს, სწორედ ამგვარი შეტაკების მეშვეობით მშვილდოსანთა უსწრაფესი განადგურების მიზნით უმალ განავითარებდა იერიშს თურქული მხედრობა, რადგან დაყოვნების ყოველი წუთი მისი რიგების დაახლოებით 2.000 ისრით დაცხრილვის ტოლი აღმოჩნდებოდა[28]. მართალია, მაჰმადიანთა შეტევის წამოწყება რამდენადმე შეფერხდებოდა ყივჩაყთა მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეული არეულობის გამო, მაგრამ ეს შეფერხება უთუოდ ვერ იქნებოდა იმდენად ხანგრძლივი, რომ მის განმავლობაში შესაძლებელი ყოფილიყო ქართველთა მთავარი ძალების მიერ მტრის ორივე ფლანგის შემოვლა და იერიშის განვითარება. ამრიგად, 200-კაციანი რაზმის მოწინააღმდეგეზე მოულოდნელ თავდასხმას უნდა მოჰყოლოდა არა ქართველთა მთავარი ძალების

გიორგი გვინჩიძე

დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობის საკითხისათვის

თურქ-სელჩუკებზე, არამედ ამ უკანასკნელთა 200 მშვილდოსანზე იერიში. მაგრამ შექმნილი ვითარება ხომ საუკეთესო იქნებოდა ქემალ ად-დინის ცნობაში დადასტურებული მაჰმადიანთა ქართველთათვის სასურველ პოზიციებზე შეტყუების დასაწყებად? მართლაც, ჭარბი ძალების შეტევის შედეგად მცირე რაზმის უკუქცევა სრულიად ბუნებრივ მოქმედებად წარმოჩნდებოდა და ამატრმაც ძნელად თუ აღძრავდა რაიმე ეჭვს მშვილდოსნებს დადევნებულ თურქულ მხედრობაში. თუმცა კი, ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ ქემალ ად-დინის მოწმობაში თურქ-სელჩუკთა შეტყუების განმახორციელებელი განაყოფი 200-კაციან რაზმთან შედარებით გაცილებით უფრო მძლავრი ჩანს. ქემალ ად-დინი ხომ წერს, ლტოლვილი ქართველები შემოუბრუნდნენ მაჰმადიანებს და დაამარცხეს ისინიო. მართალია ალეპოელი ისტორიკოსი არაფერს ამბობს შეტყუებულ თურქ-სელჩუკთა მიერ ფლანგებიდან მიღებულ დარტყმებზე, რომელთაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. კუტალია, ასევე ექნებოდათ ადგილი, და ამრიგად ქემალ ად-დინი რამდენადმე უნდა აზვიადებდეს საქართველოს ლაშქრის შემობრუნებული ნაწილის სიმძლავრეს, მაგრამ, ის მაინც უდავოა, რომ შემობრუნებულნი 200 მებრძოლზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანნი უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ზემოაღნიშნული გარემოება სრულიადაც არ გაუწევდა წინააღმდეგობას 200 მშვილდოსნის შეტყუებით მანევრთან დაკავშირებას, თუკი დავუშვებთ, რომ მშვილდოსანთა რაზმმა მოწინააღმდეგის შეტყუება მხოლოდ წამოიწყო, ხოლო გააგრძელა და დაავგირგვინა ოპერაცია მსხვილმა განაყოფმა. გაგვაჩნია კი შესაძლებლობა მივუთითოთ, თუ კონკრეტულად რომელი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი? ვფიქრობთ, გაგვაჩნია. თუ დავით აღმაშენებლის იმ მებრძოლებს, რომელნიც, თანახმად იბნ ალ-ასირისა, შეხვდნენ თურქ-სელჩუკებს და რომელთაც გამოეყვნენ ყივჩაყები, მივიჩნევთ არა მთელს საქართველოს ლაშქრად, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილად, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ნაწილმა, შეიფარა რა კოალიციურ არმიაზე მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ მტრის მიერ დევნილი 200 მშვილდოსანი, გააგრძელა მტრის შეტყუების ოპერაცია.

როგორც, ვფიქრობთ, გაირკვა, იბნ ალ-ასირისა და ქემალ ად-დინის ცნობები არ გამორიცხავენ ურთიერთს და ამდენად დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობის აღდგენისას თავისუფლად შეგვიძლია სხვა მოწმობებთან ერთად ორივე მათგანის მოშველიებაც. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენთვის საინტერესო ბრძოლის შემდეგ სურათს მივიღებთ:

საქართველოს ლაშქრის ერთი ნაწილი თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე მდებარე ხეობაში ჩასაფრდა, ხოლო მეორე ნაწილი თურქ-სელჩუკებს გაეგება. შეხვდნენ რა ერთმანეთს, მოწინააღმდეგენი მოეწყვნენ საბრძოლველად. ამ დროს ქართველებს გამოეყო და მტრისაკენ გაეშურა 200 ყივჩაყი. მაჰმადიანებმა ისინი დანებების მოსურნეებად მიიჩნიეს და ამიტომაც არ მიიღეს უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ზომები. თურქ-სელჩუკებს მიახლოვებულმა ყივჩაყებმა კი მტერს ისრები სტყორცნეს. ამ მოულოდნელი თავდასხმის შედეგად მაჰმადიანები ერთხანს დაიბნენ, მაგრამ შემდეგ გონს მოვიდნენ და დაუყოვნებლივ შეუტიეს ყივჩაყებს. ლტოლვილი მშვილდოსნები თავისიანებს შეეფარნენ[29], რის გამოც თურქ-სელჩუკთა შეტევა 200-კაციან რაზმზე გადაიზარდა იერიშში საქართველოს ლაშქრის დაწინაურებულ ნაწილის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი „დამარცხდა“ და უკუქცეულმა მაჰმადიანები ხეობაში შეიტყუა. აქ კი ილ-დაზის ძალებმა მიიღეს მოულოდნელი დარტყმები როგორც ფრონტიდან, ისე ფლანგებიდან — შემობრუნებულ და საფართოვგან გამოჭრილ ქართველთაგან. დაიწყო მაჰმადიანთა ლტოლვა, რაც, იმის გამო, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყებამდე ხეობიდან ერთ-ერთი გასასვლელი ჩაახერგვინა, ქართველთათვის სასურველი და წინასწარ ცნობილი მიმართულებით წარიმართა. საქართველოს ლაშქარმა მტერს დაახლოებით 70 კმ.-ის მანძილზე სდია და დაავგირგვინა მისი განადგურება.

შენიშვნები

1 ეს ცნობები, რომლებიც ფრანგ გოტიეს (ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 6ტ). და სომეხ მათე ურჰაელს (ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბილისი, 1966, გვ. 245) ეკუთვნის, მართალია, რამდენადმე გაზვიადებული ჩანან, მაგრამ სხვა სანდო ცნობები თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

2 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 341.

3 ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 245-246.

4 ფარსახი, გზის საზომი ერთეული, სპარსულში უდრიდა დაახლოებით ექვსშვიდ კილომეტრს.

5 Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира, Баку, 1940, стр. 123-124.

6 გ. კუტალია, ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 74. № 2, თბილისი, 1974, გვ. 503.

7 იქვე, გვ. 502.

8 ლ. დავლიანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 246; ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

9 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ჯ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1958, გვ. 161.

10 Из «Истории Майафарикина» ибн-Ал-Азрака Ал-Фарики, Труды Института Истории, т. XII, Баку, 1957, стр. 223.

11 შ. მესხია, ძლევა საკვირველი, თბილისი, 1972, გვ. 114.

12 ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.

13 შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

14 ივ. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალთახედვით, წიგნში: დიდგორის ბრძოლა, თბილისი, 1973, გვ. 84-85.

15 А. А. Строков, История военного искусства, I, Москва, 1955, стр. 235.

16 გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., გვ. 502.

17 იქვე, გვ. 502-503.

18 იბნ ალ-ასირი დიდგორის ბრძოლიდან თითქმის 40 წლის შემდეგ დაიბადა. ამდენად, ცხადია, დიდგორის ბრძოლაზე საუბრისას არაბი ისტორიკოსი ეყრდნობა რომელიღაც წყაროს. ხოლო იმ წყაროებს, რომელთაც იყენებდა ამა თუ იმ მოგლენის გაშუქებისას, იბნ ალ-ასირი ჩვეულებრივ კვეცავდა. შეკვეცა ძირითადად ეხებოდა დაწვრილებით და დეტალურ გადმოცემებს. იხ.

О. Б. Фролова, Источники летописи Ибн-ал-Асира (XIII век) в разделах посвященных истории народов СССР. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Ленинград, 1954, стр. 7.

19 შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

20 იქვე, გვ. 114.

21 ქართლის ცხოვრება, გვ. 342.

22 იქვე, გვ. 341.

23 როგორც ჩანს დანებების იმიტირებაზე დამყარებული მანევრის შემსრულებელი 200 მებრძოლი მართლაც ყივჩაყი იყო, როგორც ამას იბნ ალ-ასირი გვაუწყებს, და არა ქართველი, რის შესახებაც მოსაზრება რამოდენიმეჯერ გამოითქვა. მართლაც, საქართველოს ღალატის იმიტირება ქართველებთან შედარებით გაცილებით უფრო შესაფერისი იქნებოდა ყიჩაყოთვის. დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. გ. გვინჩიძე, დიდგორის ბრძოლის ზოგიერთი საკითხისათვის, ჟურნ. „ცისკარი", 1976 წ. № 3, გვ. 145-148.

24 С. А. Плетнева. Кочевники южно-русских степей IX—XIII вв. Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва, 1952, стр. 13.

25 Г. Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории, т. III, Москва, 1938, стр. 155.

26 С. А. Плетнева, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

27 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 362.

28 დადგენილია, რომ ერთი წუთის განმავლობაში მშვილდოსანს დაახლოვებით 10 ისრის ტყორცნა შეეძლო. იხ.

А. Н. Кирпичников, Военное дело на Руси в XIII—XV вв., Ленинград, 1976, стр. 67.

29 ამრიგად, როგორც ირკვევა, დანებების იმიტირებაზე დამყარებული ოპერაცია მის განმახორციელებელ მებრძოლთაგან სრულიადაც არ ითხოვდა თავგანწირვას. ეს კი ხსენებული ოპერაციის ჩამტარებელი 200 მებრძოლის ყივჩაყებად მიჩნევის საწინააღმდეგო მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემები

ვახტანგ მღებრიანი

ერის სასიცოცხლო ფუნქცია და ბიოსფეროს უბინოების პრობლემები საქართველოში

ბუკუნეების მანძილზე საქართველოს მოსახლეობის რიცხვი, რაც მის ძირითად სასიცოცხლო ფუნქციას შეადგენს, საგრძნობი ცვალებადობით ხასიათდებოდა და ეს გარემოება სავსებით გასაგებიც იყო გამუდმებული ომებისა და აწიოკების პირობებში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ხანას — სოციალისტური მშენებლობისა და კომუნისტური აღმავლობის ხანას. შეიქმნა ყველა პირობა, რომ ჩვენი დიადი გარდაქმნები ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური უზრუნველყოფისათვის წაგვემართა მოსახლეობის უფრო ინტენსიური კვლავწარმოებისათვის, რამაც დღეს თავისი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, ფიქსირებული და დაცული ქვეყნის ახალი კონსტიტუციის დაფუძნებით.

ბუნებრივი პირობები და საზოგადოებრივი ყოფის ფორმაცია საბჭოთა კავშირში ყველა შესაძლებლობას იძლევა მოსახლეობის მაქსიმალური ზრდისათვის.

კომუნისტური საზოგადოების ბაზისი უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერიალურ (ეკონომიკურ) კეთილდღეობას, მისი მაქსიმალური ზრდის შემთხვევაში. კომუნისტურმა ზედნაშენმა შექმნა სოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პოპულაციის (ბუნებრივი ნამატის) ახალი ტიპი — შობადობის მაღალი და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლები, რაც სწორედ საფუძვლად უდევს მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოსახლეობის განუწყვეტელი ზრდის საქმეს.

უდავოდ საინტერესო დემოგრაფიული და სოციალური მოვლენები წარიმართა ომის შემდგომ პერიოდში მთელ რიგ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, როგორიცაა: აშშ, საფრანგეთი, იაპონია და სხვ. მოსახლეობის კვლავწარმოების დინამიკა „მეხამე სამყაროს“ ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, სადღეისოდ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ღრმა შეხწავლის, ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოში.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელმა ზრუნვამ ერების კვლავწარმოების საკითხებისადმი მთლიანად შეცვალა ქალის როლი თანამედროვე ცივილიზირებულ სამყაროში. ჩვენს ქვეყანაში ქალი დიდი პატივისცემით სარგებლობს და მას მამაკაცთან ერთად ეძლევა თანასწორი უფლებები: სახალხო მეურნეობის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე.

კეთილშობილური და უაღრესად ჰუმანური მოვალეობა და პრიორიტეტი მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის ზრდაში, ქალს—დედას ეკუთვნის, რომელიც ჩვენი გრანდიოზული ქვეყნის, სხვადასხვა ეროვნებათა ძმურ ფერხულში ერის სიცოცხლისა და არსებობის წყაროა.

მაგრამ ყველა ზემოაღნიშნული მიღწევები აიხსნება შობადობის მაღალი მაჩვენებლებით მთლიანად საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მის მთლიან ჯამში. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს, ირკვევა, რომ მის ცალკეულ რესპუბლიკებში ამ მიმართულებით აღინიშნება ჩამორჩენა; ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ ჩამორჩენილთა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი რესპუბლიკა — საქართველო, რომელიც მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის მიხედვით 9-ე ადგილზეა კავშირში.

უნდა აღინიშნოს, კიდევ ერთხელ, რომ თვით საქართველოს სხვადასხვა რაიონში აღინიშნება მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის სხვადასხვა და ძალზე ცვალებადი მერყეობა: ასე მაგალითად, შობადობის ძალზე დაბალი მაჩვენებელია (აბაშის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, დუშეთის, ყაზბეგისა და სხვა მთელ რიგ რაიონებში) რომელთა მაჩვენებლებიც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებსაც კი ჩამორჩებიან.

შობადობის ასეთი მერყეობანი და ცვლილებები, რომელსაც შედეგად მოსდევს მოსახლეობის ნამატის საერთო რესპუბლიკური მაჩვენებლების დაქვეითება, მძიმე ტვირთად აწვება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გრანდიოზული გეგმების რეალიზაციისა და შემდგომი ინტენსიფიკაციის პერსპექტივას, მოითხოვს ამ პრობლემისადმი უფრო ღრმა, მეცნიერულ და სახელმწიფოებრივ მობრუნებას, რესპუბლიკისა და კავშირის ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის მხრიდან.

ერის სასიცოცხლო ანუ გენერაციული ფუნქციის შესწავლის ყველა კარდინალური საკითხის სერიოზული დამუშავება მოითხოვს მაღალ პატრიოტულ და მოქალაქეობრივ აკადემიურობას, ვინაიდან მისი ძირითადი შინაარსი ეკუთვნის ჯანმრთელი ხალხის ბედიღბალს, მისი უწყვეტი კვლავწარმოების პერსპექტივას, რომლის ნამუსი და ლაზათი წინაპრებმა ჩვენ დაგვაკისრეს.

ამისთვის არის მოწოდებული დღეს მსოფლიოში ერთადერთი და ორიგინალური დაწესებულება — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციის შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც მეც ავიდგი ფეხი ამ ოცდაოდე წლის წინათ, ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, ღრმად პატივცემული პროფესორის იოსებ ყორდანიას მეღვრეობითა და ზრუნვით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ სახელმწიფოში სულ უფრო მსჯელობენ ადამიანისა და გარემოს შორის მომწიფებულ კონფლიქტზე, საზღვარგარეთის ბევრი მეცნიერი წინასწარმეტყველებს ეკოლოგიურ და გენეტიკურ კატასტროფას, ამტკიცებს, რომ კაცობრიობა გადაგვარების საშიშროების წინაშე დგას. ისმის მეცნიერებისათვის და მთელი კულტურული საზოგადოებისათვის მეტად კანონიერი შეკითხვა — გამართლებულია თუ არა მეტნაკლებად ასეთი პროგნოზი?

როგორც აკად. ნ. დუბინინი აღნიშნავს — „არ არის საჭირო მოვლენების დრამატიზირება, მაგრამ არც გადაჭარბებული ოპტიმიზმია გამართლებული. ადამიანის დაცვის, მისი მემკვიდრეობითობის პრობლემა დღეს ისე მწვავედ დგას, როგორც არასდროს“.

საგულისხმოა, რომ ჩვენი გარე სამყარო და ადამიანიც ბიოლოგიურად შეუგუებელნი აღმოჩნდნენ იმ სწრაფ, გლობალურ განვითარებასთან, რაც გამოიწვია თანამედროვე წარმოების მასშტაბებმა, აქამდე დედამიწაზე არსებულმა, ბიოსფეროში შეჭრილმა უსასრულოდ მრავალმა სინთეზირებულმა ქიმიურმა ნივთიერებებმა ერთის მხრივ, და იმ ინკორპორირებულმა და მიგრირებულმა რადიაქტიურ ნივთიერებათა დიდმა ნაკადმა, რომელიც სპეციფიკური, სფერული სარტყელით აკრავს ჩვენს პლანეტას. არის აგრეთვე მონაცემები იმის შესახებაც, რომ საგრძნობლად საშიშად, თანდათანობით იცვლება ბიოსფეროს საუკუნოვანი თერმული მდგრადობის სურათი.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ე. წ. „უკანა მხარე“ ყველაზე უკეთ გამოკვეთილია დემოგრაფიულ და პოპულაციურ მაჩვენებლებში — მედიცინის სტატისტიკის სარკეში.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბავშვთა ავადმყოფობის 20 და მათი სიკვდილიანობის 15—20% დაკავშირებულია განვითარების თანდაყოლილ ფიზიკურ, ფსიქიკურ და ფუნქციონალურ მანკიერებებთან. დაავადებათა ამ ნომენკლატურას ემატება ისეთი გენეტიკური ანომალიები, რომლებიც რთული ემბრიოპატიებითა და სიმახინჯეებით ხასიათდება. მსოფლიოს პედიატრიული სამხასურის კლინიკების საწოლთა ნახევარი მძიმე მემკვიდრული სნეულებებით შეპყრობილ ბავშვებს უჭირავთ. თვლიან, რომ გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად კიბოთი სიკვდილიანობა ორი პროცენტით იზრდება.

მსოფლიო ბუნებისმეტყველთა წინაშე ამჟამად დგას მეტად მტკივნეული პრობლემა—დარჩება თუ არა ადამიანი როგორც ბიოლოგიური სახეობა?

ამ მშფოთვარე კითხვას სადღეისოდ ანგარიშს უწევენ არა მარტო მეცნიერები, არამედ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებიც. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის ხელმოწერილ დასკვნით აქტში თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ „გარემომცველ სამყაროს დაცვა, თანამედროვე და მომავალი თაობის ინტერესებისათვის, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ხალხის კეთილდღეობისა და ყველა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარები-

ვახტანგ მდივანი

ერის სასიცოცხლო ფუნქცია და ბიოსფეროს უგიწოების პროგლემები საქართველოში

სათვის". ამ ინტერნაციონალური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს სფეროთა შორის დასახელებულია: ...„გარემო პირობების გაჭუჭყიანების შედეგად მცენარეთა და ცხოველთა სამყაროში შესაძლებელი გენეტიკური ცვლილებების პროგნოზი..., აგრეთვე გარემოს გაჭუჭყიანებისა და დეგრადაციის დონის გავლენის შედარება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ანუ პრობლემა უბიწოებისა და პოპულაციებში გენეტიკური ტვირთის შესახებ".

ადამიანის მემკვიდრეობაზე მუტაგენურ ფაქტორთა გავლენის კვლევაში საბჭოთა მეცნიერები წარმატებით თანამშრომლობენ, როგორც ეკონომიკური დახმარების კავშირის (СЭВ-ის), ისე მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მომუშავე მეცნიერულ სკოლებთან.

1974 წელს საბჭოთა კავშირისა და აშშ შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც მოიცავს აღნიშნული პრობლემის თითქმის ყველა ასპექტს, მათ შორის გარემოს გაჭუჭყიანების გენეტიკურ შედეგებსაც. არსებობს გამოკვლევათა ერთობლივი პროგრამა, რომელსაც „მონიტორინგს" ეძახიან (იგი გულისხმობს მრავალკომპონენტიან სისტემებზე მუდმივი დაკვირვების, აღრიცხვისა და ანალიზირების პროცესს). მსოფლიოში სადღეისოდ ფუნქციონერებს გლობალური მონიტორინგის სამი სისტემა, ესაა: ფიზიკური ქიმიური და მედიკობიოლოგიური.

აღნიშნული სისტემების, კერძოდ მედიკობიოლოგიური, ინტეგრალური მონიტორინგის პირველი საპროექტო ვარიანტი, (კონკრეტულად საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რეგიონისათვის) დამუშავებული იქნა ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 1960 წელს, აკადემიკოსების ივანე ბერიტაშვილისა და ნიკოლოზ დუბინინის ხელმძღვანელობით, ხოლო უშუალო კურატორი ამ პროექტისა გახლდათ პროფესორი იოსებ ყორდანია.

სისტემური ვარიანტის პროექტის ძირითადი დებულებანი განხილული და მოწონებული იქნა აკადემიკოსების: პ. ანოხინის, ნ. კუზინის, ს. შვარცის, ვ. ლებედინსკის, ე. დავიდენკოვას, ა. პროკოფიევა-ბელგოვსკაიას, გ. ზედგენიძის რ. დვალის, ნ. ლანდიას, დ. ერისთავის, ი ტატიშვილის, გ. მარუაშვილის, პროფესორების დ. მამამთავრიშვილის, გ. ვაწაძის, მ. ზაალიშვილის, ნ. ლომინაძის, ნ. ლუჩნიკის, ვ. ვერხოვსკაიას, რ. გაბუნიას, ვ. ეფროიმსონის, ლ. კანტაროვიჩის და სხვათა მიერ. დიდი დახმარება და კოლეგიალური თანაგრძნობა ამ სისტემის დამუშავებაში გაგვიწია აკადემიკოსმა ნიკოლოზ ბოჩკოვმა, რომელიც იმ წლებში ჩვენთან ერთად თანამშრომლობდა, ხოლო ანატოლი ბულანოვთან და აგრეთვე სხვა ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებთან ურთიერთ თანამშრომლობით ამ პროექტმა საბოლოო სახე მიიღო. დამუშავებული პროექტის საფუძველზე 1962 წლის 18 თებერვალს საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გამოსცა სპეციალური ბრძანება № 71... და დაამტკიცა შესაბამისი დანართის სახით გამოკვლევათა ფართო, გრძელვადიანი პროგრამა და ნუსხა იმ ორგანიზაციებისა, რომლებსაც ევალებოდათ ამ პროგრამის რეალიზაცია, კავშირის მასშტაბით.

პროგრამის დამუშავებისა და მის წარმატებით რეალიზაციას დიდი ყურადღება დაუთმო თავის დროზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკურმა სამსახურმა. პროგრამის საბოლოო ვარიანტი საქართველოს სსრ სადირექტივო ორგანოებისა და მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, წარდგენილ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალიზირებულ საპრობლემო საბჭოსა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების (მთავარატომის), საგეგმო და სამეცნიერო-ექსპერტიზის კომისიას — 1962 წელს, რომელმაც პრინციპში მოიწონა აღნიშნული პროექტი და სათანადო რეკომენდაცია მისცა რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებს და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს-ან პროექტის რეალიზაციისათვის სათანადო, ბიუჯეტური ფინანსების გამოყოფით.

საქართველოში, იმ წლებში არსებული სუბიექტური და ნეგატიური მოვლენების გამო, ამ პროექტის სრულყოფილად რეალიზაცია ვერ მოხერხდა. თუმცა ცალკეული ფრაგმენტები სრულდებოდა პერმანენტულად, ხოლო მატერიალური კაპდაბანდების თანხები ამ მიმართებით საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ალბათ თავისი, მიზანდასახული, სხვა პროექტების რეალიზაციას მოახმარა.

საბჭოთა კავშირში გარემოს გაჭუჭყიანების გენეტიკური შედეგების შეფასების ყველა თეორიული და პრაქტიკული გამოკვლევის კოორდინირებას ახდენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული „ადამიანი და ბიოსფეროს" — პრობლემების გენეტიკური ასპექტების ქვეკომისია — სპეციალური სექციის სახით. იგი ჩვენი ქვეყნის 20-ზე მეტი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მუშაობას აერთიანებს. ამ ქვეკომისიაში შედის ქართველ გენეტიკოს-მკვლევართა ჯგუფი, რომელმაც თავისი კვლევის შედეგები და მუშაობის პერსპექტიული პროგრამა კიდევ ერთხელ მოახსენა და დაუზუსტა ამიერკავკასიის რეგიონისათვის, სპეციალურად მოწვეულ საკავშირო კონფერენციაზე თელავში, 1976 წლის ოქტომბერში. ამავე დროს ამ პროგრამის ზოგიერთი სპეციალური ნაწილი შეთანხმებული იქნა საქართველოში საგანგებოდ ჩამოსულ ამერიკელ მკვლევართა ჯგუფთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკა-საბჭოთა კავშირის ერთობლივი პროგრამის ერთ-ერთი დირექტორი, აშშ გარემოს დაცვის ნაციონალური ცენტრის პრეზიდენტი, პროფესორი დე სერესი და პროფესორი შანდორ ვოლფი.

აღნიშნული პროექტის ცალკეულ, მძიმე საკვანძო საკითხები ამ ოციოდე წლის მანძილზე, სხვადასხვა დროს, განხილულ იქნა: ვუსტერის გამრავლების ბიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელთან — გრეგორი პინკუსთან და მიჩიგანის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის საკვლევი ცენტრის წამყვან პროფესორებთან: რ. ვაგნერთან, ა. რაპოპორტთან, დ. მილლერთან, შ. სკეინერთან (აშშ), დიდი ბრიტანეთის, შეფილდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერთან პრენატალური მედიცინის დარგში ბენჯამინ ფლემინგთან, ბრაზილიის წამყვან პროფესორთან ანდროლოგიისა და ფერტილობის საკითხებში, — დე კოსტასთან, იტალიელ დოსტაქარ პეტრუჩისთან, იაპონელ მეცნიერებთან ვასიურო კიროდასა და ფუკუროსთან, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე ვიდო გაბორთან და სეგედის საერთაშორისო ბიოლოგიური ცენტრის წამყვან სპეციალისტებთან, საქართველოში საგანგებოდ ჩამოსულ მსოფლიოს „ნაყოფიერებისა და უნაყოფობის“ ასოციაციის თითქმის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლებთან, რომელთა უმრავლესობასთან დღემდე გრძელდება სამეცნიერო და კულტურული კონტაქტები და სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებთან, რომლებიც ამ პრობლემების ირგვლივ თანამშრომლობენ.

რამდენიმე წლის წინათ, ჩვენს პროექტს გაეცნო აკადემიკოსი ბორის ვასილის ძე პეტროვსკი, (სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი), რომელმაც მთელი რიგი საინტერესო რჩევა-დარიგებანი გაგვიზიარა.

რა არის ამ პროგრამის ქვაკუთხედი:

1. გარემოს დაცვისა და ბიოსფეროს ელემენტთა ნორმალური კვლავწარმოების პროგნოზირება.

2. ახალი, უფრო სრულყოფილი ტესტ--სისტემების შემუშავება, ადამიანის სასიცოცხლო ან მისი გენერაციული ფუნქციის დიფერენციალური დიაგნოსტიკისათვის და იმ ნივთიერებათა აღმოსაჩენად, რომელსაც ძალუძთ გენეტიკურ ცვლილებათა გამოწვევა ადამიანში.

3. იმ მუტაგენების რეგისტრის შექმნა, რომლებიც ადამიანის მიერ უკვე შეტანილია გარემომცველ სამყაროში, ამის გარდა პროგრამაში შედის.

4. მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ადამიანთა საზოგადოების მემკვიდრულ სტრუქტურაში შესაძლო ცვლილებების პროგნოზირების მეთოდების დამუშავება. ეს მეთოდები მოიცავენ არა მარტო ე. წ. „მცირე დოზების“ კომპლექსების ხუმარული მოქმედების ეფექტების შეფასებას, არამედ მცენარეთა და ცხოველთა ეკონომიკურად ფასეული სახეობების ინტენსიური, სამრეწველო გამოყენების შედეგებსაც.

პროგრამის ყველაზე რთული და სპეციფიკური საკითხია —

5. პოპულაციებში „გენეტიკური ტვირთის“ სწორი პრინციპების შემუშავება, განსაკუთრებით ადამიანის მიმართ. მუტაციური პროცესის საერთო ზედაწოლის (წნევის) განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

ეს იმდენად არის აუცილებელი, რომ ამ პრინციპთა თეორიული განზოგადოების საშუალებით შესაძლებელი ხდება მივუახლოვდეთ ერის, ქვეყნის მოსახლეობის „გენეტიკური ტვირთის“ შეფასებას, რომელიც არსებითად ეხება მომავალ თაობათა ჯანმრთელობის პროგნოზს.

ამავე დროს, ჩვენის აზრით, ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს გამომუშავდეს ბიოლოგიური რესურსების რაციონალური გამოყენების, სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბების, ხანგრძლივი პროგნოზირების მეცნიერული საფუძვლები, რაც ვფიქრობთ ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადღეისოდ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

განხილული თემის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს პრობლემის ყველა საკითხის გაშუქება. ჩვენ შევეცადეთ მოკლედ მიმოგვეხილა „გენეტიკური ტვირთის“ თეორიულ პრინციპთა ძირითადი საკითხები, შევეხებოდით წინა პირობას, რომელმაც გვიბიძგა გამოგვეთქვა საკუთარი მოსაზრება საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ და ბოლოს წარმოგვედგინა დიდ სამსჯავროზე ახალი, უნიფიცირებული პროექტი, ინტეგრალური მონიტორინგის სისტემისა, რომლის ბაზაზე ვფიქრობთ, უფრო სრულყოფილად შეიძლება იქნას გაშუქებული ეს მეტად მტკივნეული და უსასრულოდ რთული მეცნიერული პრობლემა — ერის სასიცოცხლო ფუნქციის შესახებ, მისი გენერაციული ფუნქციის ეპიდემიოლოგიის სისტემის ჩამოყალიბების და ხანგრძლივი პროგნოზირების თვალსაზრისით, ჯანმრთელობისა და ავადობის ხარისხის ზოგადი და რეგიონალური კრიტერიუმების ჩამოყალიბებისათვის.

ერის სასიცოცხლო ფუქცია, მთლიანად არის დამოკიდებული საარსებო საშუალებათა უზრუნველყოფაზე. თანამედროვე ცივილიზაციის ტემპი, სოციალური და დემოგრაფიული პროცესების დინამიურობა, მეტად მძაფრად აყენებს საკვები რესურსების წარმოებისა და მი-

---

ვახტანგ მდივანი

ერის სასიცოცხლო ფუნქცია და გიოსფეროს უგიფოების პროგლემები საქართველოში

წის, ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენების პრინციპულად გადაუდებელ პრობლემებს. საკვები პროდუქტების წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პოტენციალი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ზრდის ტემპებს, სტიქიურად მიმდინარე ურბანიზაციის ფონზე, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის ხასიათი, აგრარული კურსის ინტენსიფიკაციის პრობლემები, მისი მრავალფეროვნება წარმოუდგენელია დღეს განკერძოებულად იქნას განხილული საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების უგულებელყოფით.

უდავოდ მისასალმებელია და მოსაწონია ის ინიციატივა, ამ მიმართულებით რომელსაც ანხორციელებს უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა შესრულების შუქზე.

სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში აქვს არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც.

საზოგადოებას, მის მომავალ მოდგმას, სიცოცხლე შეუძლია მხოლოდ ბუნებასთან ჰარმონიაში, მაგრამ როგორც ჩანს ასეთი ჰარმონია შეუძლებელი იქნება თუ ჩვენს გარშემო არსებულ ბუნებას რადიაქტიური თუ სხვა ქიმიური მოწამვლა დაემუქრება

განსახილველი პრობლემების ეკოლოგიური ასპექტი, გლობალური მასშტაბით ბუნებაში წამოიჭრა წონასწორობის დარღვევისა და გარემოს დაბინძურების შედეგად. თავისი მნიშვნელობის მიუხედავად ეს საკითხები ნაკლებ სერიოზულია, ვიდრე ნედლეულის რესურსების დაშრეტა, მაგრამ გარემოს დაბინძურების შედეგები უფრო თვალსაჩინოა. ისინი უფრო მკვეთრად შეიგრძნობიან ადამიანების მიერ და ამიტომაც ამჟამად, როგორც ცალკეული რეგიონების, ქვეყნების, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ცალკეული სამსახურების ყურადღების ცენტრში დგანან.

თანამედროვე ცივილიზაციისათვის აუცილებელი ტექნიკური პროგრესის მასშტაბებს აღარ შესწევთ ძალა არ დაარღვიონ დედამიწაზე არსებული ეკოლოგიური პროცესი.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის სპეციფიკა და სამრეწველო ანარჩენები იმდენად ცვლიან ჩვენს გარემო-სამყაროს: ჰაერს, წყალს და ნიადაგებს, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელ ფაუნასა და ფლორას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოიძებნოს ბიოლოგიური წონასწორობის ისეთი პირობები ბუნებაში, სადაც იგი (ბუნება) განვითარდება კულტურულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც მოუწევს ახალ მეცნიერებას — „აგროეკოლოგიას“ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის აქამდე არსებული, ევოლუციურად ჩამოყალიბებული წონასწორობის პროცესებს ბუნებაში. დღეს, აგროეკოლოგია უდაოდ უნდა იქცეს ცენტრალურ ბიოლოგიურ მეცნიერებად.

გამოყენებითი მეცნიერების კვინტესენცია, მოწინავე მიღწევათა უსწრაფესი დანერგვა წარმოებაში, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების რეალიზაციის მასშტაბი, რესპუბლიკის აგრარული პოლიტიკის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ ოპტიმალურ ვარიანტად მიგვაჩნია.

აი, რატომ არის, რომ საქართველოს ბუნების დაცვის პრობლემას, მისი პოტენციალური რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეს და აგროეკოსისტემათა მართვის პოლიტიკას ჩვენ ერთ მთლიანობაში განვიხილავთ, სწორედ მისი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტის გამო.

დღეს სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი პრობლემისა „ადამიანი და ბიოსფერო“ ფართო მსჯელობის საგნად იქცა.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვის გაუმჯობესების განხაკუთრებული ღონისძიებების განხორციელება, რაც ახალი გამორკვევებისა და მეცნიერული დასკვნებისაგანაა განსაზღვრული, ნაკარნახევია უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსახლეობის რიცხვითი ზრდით და საზოგადოების ტექნიკური აღჭურვილობით.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა 24 ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა. რომ „...სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის აუცილებელია მისი შეხამება ბუნებრივი რესურსებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან, მან არ უნდა გამოიწვიოს ჰაერის და წყლის დაბინძურება... არა მარტო ჩვენ, არამედ შემდგომ თაობებსაც საშუალება უნდა ჰქონდეს გამოიყენონ ჩვენი სამშობლოს შესანიშნავი ბუნების ყველა წყარო“, ამასთან ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის 25 ყრილობაზე თქვა „საბჭოთა მეცნიერებას თვალთახედვის არედან არ უნდა გამორჩეთ გარემოსა და მოსახლეობის პრობლემები, რომლებიც ამ ბოლო დროს გამწვავდა, სოციალისტური ბუნების სარგებლობის ეაუმჯობესება, ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა“.

ამით არის განპირობებული, რომ ბუნების დაცვის დადგენილი წესები კანონის ხასიათს ატარებენ და მათი შესრულება სავალდებულოა ყველასათვის. საბჭოთა კავშირის ახალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუციამ ეპოქალურად დააკანონა ბუნების დაცვისა და რესურსების ყაირათიანი გამოყენების პრინციპები.

ცნობილია, რომ ბუნების დაცვის პრობლემა შეიძლება წარმოდგენილი იქნას რამდენიმე ასპექტში, მაგალითად: საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო, სანიტარულ-ჰიგიენური, ზნეობრივ-ესთეტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა. ამ უკანასკნელს მიეძღვნა თბილისში ჩატარებული „იუნესკოს" პირველი სამთავროებათაშორისო კონფერენცია. სიმპტომატურია, რომ თბილისის დეკლარაცია გარემოს დაცვის განათლების საკითხებზე მიღებული იქნა ქვეყანაში, რომელსაც ჯერ კიდევ მრავალი ათეული წლის წინათ ჰქონდა უნიკალური სახელმძღვანელო ამ მიმართებით, როგორიცაა ჩვენი სახიქადულო მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი", გამოცემული 1912 წელს, რომელიც დღესაც დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ხალხების ოჯახურ თუ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. ალბათ არ იქნება უსაფუძვლო. რომ ბუნების დაცვის კომიტეტს, განათლების სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიას, უცხო ენების ინსტიტუტს ეთავათ ამ სახელმძღვანელოს რუსულად ან რომელიმე უცხო ენაზე თარგმნა, როგორც ეროვნული რელიკვია და ისტორიული მნიშვნელობის უძვირფასესი განძი, ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრისა და სიწმინდის, კომპეტენტურობისა და კულტურისა ამ მიმართებით.

ძნელია მოკლე მიმოხილვაში მოიცვა ყველა ის ასპექტი, რომელიც დღეს სამსჯავროზეა გამოტანილი. ჩვენ შევეხებით კიდევ ერთ მტკივნეულ პრობლემას, რაზედაც ვფიქრობთ, გვაწუხებს, აწუხებს ჩვენს ხალხს, ხელმძღვანელობას, პარტიას, აწუხებს ჩვენს სოფლის მშრომელებს.

რამოდენიმე წლის წინათ, კერძოდ 1975 წლის 1 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა პარტიულ სამეცნიერო აქტივის კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანმა ამხ. ედუარდ შევარდნაძემ თავისი მოხსენების ერთ-ერთი ადგილი დაუთმო მიწის პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ — „ჩვენ დიდი და მეტი პასუხისმგებლობით უნდა ვიყოთ განწყობილი ჩვენი ძირითადი სიმდიდრის, იმ სიმდიდრის რაც საჭიროა საწარმოო საშუალების ძირითადი რეზერვის, ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მიწის მიმართ, ჩვენი მშობლიური მიწისადმი. მე ბევრი ქვეყნის მაგალითს ვიცნობ და მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მეგულება იმის მაგალითი. სადაც ასე არარაციონალურად, არასამეურნეობრივად იყენებდნენ მიწას, მის შესაძლებლობას". მეტად შთამბეჭდავად გამოხატა ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მიწის ყადრი თავის თხზულებათა კრებულში — („ლენინური კურსით" — თბ. 1971 წ. გვ. 535)... „მიწა ჩვენი ძალისა და ჩვენი სიმდიდრის წყაროა... მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება, სოფლის მეურნეობაში შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა".

აკად. ვ. ა. კოვდას მონაცემებით, მსოფლიოს მიწის რესურსების შეუქცევადმა დანაკარგმა ისტორიულ დროში მიაღწია 20 მილიონ კმ2, რომელიც აღემატება სახნავი მიწების თანამედროვე ფართობს (15 მლნ კმ2). ყოველწლიურად მოხმარებიდან გამოდის 5—7 მლნ ჰექტარი სასოფლო სამეურნეო სავარგული.

პროფესორ ნ. იაშვილის გაანგარიშებით, მსოფლიოში მიწის არაპირდაპირი დანიშნულებით (ნაგებობების, გზების და ა. შ. ქვეშ) დანაკარგი ამჟამად შეადგენს წლიურად დაახლოებით 7,5-8 მლნ ჰექტარს, საუკუნის ბოლოსათვის იგი 10-12 მლნ ჰექტარს მიაღწევს. იგივე ავტორის მონაცემებით ეროზიის, დეფლაციის, დამლაშებისა და სხვა მიზეზებით ნიადაგების წლიური დანაკარგი შეადგენს მსოფლიოში 5-6 მლნ ჰა-ს; ეს ციფრიც საუკუნის ბოლოსათვის ნავარაუდევია გაიზარდოს 10 მლნ-მდე.

ამრიგად, გამოდის, რომ საუკუნის ბოლოს ადამიანს ყოველწლიურად დასჭირდება ამ ბალანსის შევსება 45-52 მლნ ახლად ათვისებული მიწის სავარგულით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი 25-30 წლის შემდეგ, ე. ი. 21 საუკუნის დასაწყისში თითქმის მთლიანად აითვისებს სამიწათმოქმედო ვარგის მიწის ფონდს. თუ ეს გაანგარიშება სწორია, გამოდის, რომ თანამედროვე თაობის შვილები და შვილიშვილები უნდა დარჩნენ სამიწათმოქმედო ნიადაგის სარეზერვო ფონდის გარეშე. ასეთი რამ, ცხადია კომენტარს არ საჭიროებს.

მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით დგას მსოფლიოს ისეთ უდიდეს ქვეყანაშიაც კი, როგორიცაა საბჭოთა კავშირი. მით უმეტეს, მწვავედ დგას ეს საკითხები მთიან და მცირემიწიან ჩვენს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკაში ერთ მცხოვრებზე მოდის დაახლოებით 1,6 ჰა, რაც 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იგივე მაჩვენებელი სსრ კავშირის ყოველ ერთ მცხოვრებზე საშუალოდ. სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის ოდენო-

---

ვასტანგ მდივანი
ერის სასიცოცხლო ფუნქცია და გიოსფერის უგიწოების პროგლემები საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა სულადობაზე გაანგარიშებით საქართველოში 0,6 ჰა ორჯერ ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში, ამ მხრივ საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის დგას უკანასკნელ მეთხუთმეტე ადგილზე. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა სახნავი და სხვა მიწების ოდენობათა შეფარდების მიხედვითაც. სახნავი ფართობი 1 კაცზე გაანგარიშებით შეადგენს 0,14 ჰა-ს. მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო (რესპუბლიკის ლანდშაფტის ვერტიკალური ზონალობა) 68 კაცი 1 კმ2-ზე განსაზღვრავს, რომ ჰექტარ სავარგულზე სოფლის მოსახლეობა 4-ჯერ მეტია, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში. ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის სავარგულის ყოველმა ჰექტარმა დოვლათით უნდა უზრუნველყოს 4,0-4,6-ჯერ მეტი ადამიანი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, სწერს პროფ. ნ. იაშვილი, რომ „ჩვენს რესპუბლიკაში ჰექტარ სავარგულზე საერთო პროდუქცია მიიღება 2,2-ჯერ უფრო მეტი, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ეს პროდუქცია 1,85-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში". ამავე დროს აღნიშნავს დოც. ქ. ჯაყელი, რომ — „აღსანიშნავია, ისიც, რომ ნიადაგის ზედაპირის ბუნებრივ თუ ხელოვნური დანაწევრება — დანაკვთულობისა და სხვა მიზეზების გამო სახნავი მიწების გამოყენების კოეფიციენტი 0,80—0.85-ს არ აღემატება, ე. ი. ფართობის 15—20% მოსავლის მიღებიდან გამოთიშულია.

წარსულში დაშვებულმა მრავალრიცხოვანმა დარღვევებმა მიწათსარგებლობაში, მიგვიყვანეს იქამდის, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში გამოყოფილ იქნა დაახლოებით 123683 ჰექტარი, რომელთაგან 24429 ჰექტარი სახნავი მიწა იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიწის ფონდის რეზერვების მაქსიმალური გამოვლინება, მტკივნეულად აყენებს რესპუბლიკის წინაშე ისეთი პრობლემების დაჩქარებულ და კომპლექსურ გადაწყვეტას, როგორიცაა კოლხეთის საკითხი, აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული ნიადაგების გაკულტივირება, საქართველოს მთიანეთის მაქსიმალური ათვისება აქტიური საკვებწარმოებისათვის, ნიადაგების რეკულტივაცია და სხვა. აი, ეს მოკლე ნუსხა რომელზედაც ფიქრი და ერთობლივი მოქმედებაა საჭირო.

ვფიქრობ, მიწის დაცვის სახელმწიფო ინტერესები, ნებისმიერი ერის სასიცოცხლო, საარსებო ფუნქციის უცილობელი პრინციპთაგანია.

საქართველოს რესპუბლიკა, თავისი განუმეორებელი ბუნებრივი პირობებით, სიმდიდრითა და ენდემურ პოპულაციათა თანაარსებობით, უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ძლიერ ანტროპოგენეტიკურ ზედაწოლას განიცდის. მომავალი თვითმყოფადი და ჯანმრთელი პოპულაციების ბედიღბალს დღეს სჭირდება მკურნალი და მზრუნველი ხელი.

რესპუბლიკას, სადღეისოდ იმის ყველა პირობა გააჩნია, როგორც მორალურად, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ, რომ წარმატებით გაართვას თავი დინამიურად ცვლადი გარემოს რაციონალურად რეგულირების საკითხებს, მისი შედარებით უბიწოების პირობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა მწერლობა

ლამის ლურჯი ზღაპარი

> მზია ჩხეტიანი „ლეტიბაჩების ქვეყანა“, გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქტორი ჯ. გაჯელიძე, 1978 წელი.

მზია ჩხეტიანის ლექსთა კრებული „ლეტიბაჩების ქვეყანა“ განკუთვნილია იმ ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მათ გარშემო არსებული საგნებისა და მოვლენების გაცნობიერების პროცესში არიან და გამუდმებით რაღაცისკენ მიისწრაფვიან, სურთ ყველაფერი დაინახონ, შეეხონ და ჩაწვდნენ. აი. ამ გასაცნობიერებელი სამყაროდან მომდინარე მიზიდულობის ძალას გადაჰყავს უმაწვილი ფანტასტიკურ და უაღრესად მომხიბლავ რომანტიკაში, რომელიც შემდგომ მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება — როგორც შეურყვნელი სიწმინდის მაგნიტური არე.

ფერდობის თავში მამალი ხოხობის ყივილზე შრიალებს დიდი ლეტიბაჩების ტყე, რომელიც პოეტი ქალის მეხსიერებაში ბავშვობის-დროინდელი წარმოსახვით ცოცხლდება. ცოცხლდება როგორც ტკბილი ზმანების მომგვრელი ზღაპრული ქვეყანა. ეს ქვეყანა დატოტვილია თხილიანის, მაყვლიანის, მარწყვიანის, მოცვისა და სოკოს ქუჩებით. ხოლო აქ-იქ, ქუჩის თავში, ბოლოში თუ გვერდით დგანან ფიქრსმიცემული დიდი წიფლები. აქ ყველა და ყველაფერი მოძრაობაშია, თავისებურად მოქმედებს: ტყის პირად, რკოს ციცქნა კაცუნები თხილს აკნაწუნებენ, „იცინიან და ცელქობენ“, ჯაგებში ბაჯბაჯა მურა დათვი დადის, ბუჩქებში ბუზღუნა მაჩვი დაძვრება. ტყე სავსეა მგლის ლეკვებით, ციყვებით, ბაჭიებითა და თაგვებით — ოქროყანას რომ ოქროს ნამგლებით მკიან...

იხსნება მოგონებათა ფარდა და ტკბილი ხილვების დეკორაციებით დამშვენებულ სცენაზე გაჩნდება „ლეტიბაჩების ქვეყანა — შრიალა, მწვანე ქვეყანა!“

> უჰ, იქ რამდენი ეყარა
> მარტო წაბლი და წიწიბო,
> ანდა თხილი და კაკალი?!
> ზღაპრები ახალ-ახალი!
> მელაკუდებზე, კურდღლებზე,
> ციყვსა თუ
> შაშვის ბუდეზე.

პოეტი ქალი ამა თუ იმ ცოცხალ არსებას ხატავს მათთვის მხოლოდ სპეციფიკური თვისებით: მელას, — როგორც მატყუარას, მგელს, — როგორც მსუნაგსა და ყაჩაღს, დათვს — ბაჯბაჯასა და ღორმუცელას და ა. შ.

ცალკე უნდა ითქვას წიგნში შემავალ ერთადერთ პოემაზე — „ირმებზე, დევებმა რომ მოიტაცეს“.

საინტერესო სიუჟეტითა და მძაფრი დინამიურობით, თავისი ფორმითა და შინაარსით ეს პოემა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ბოლო დროს შექმნილ საბავშვო პოემათა შორის. არ შეიძლება ყველაზე სათუთი გრძნობები არ გაუღვივოს ნორჩ მკითხველს ცხრა ობოლი ნუკრის ცრემლებმა, დევების მიერ დატყვევებული დედა-ირშების საძებრად რომ „გადასიპულ უღრან“ ტყეს მოსდებიან:

— ხეო, ხეო, მხრებმაღალო, ყველაფერს რომ ხედავ, ნუთუ არსად დაგინახავს ჩემი კარგი დედა? —დედაჩემი?! —ჩემი დედა?! —ჩემი ნახე იქნებ?! და აცვივა ცხარე ცრემლი გულფანტელა ფიფქებს...

კარგ საყმაწვილო ნაწარმოებს დიდებიც სიამოვნებით კითხულობენ. ამ მხრივ პოემის ემოციური ზემოქმედების ძალა იმდენად მაღალია, რომ კახა-ბიჭის გმირობის, დევების დამარცხებისა და ფურ-ირმების გათავისუფლების ამბავმა შეუძლებელია ნებისმიერი მკითხველი არ ააღელვოს.

მთელი წიგნი, — თავიდან ბოლომდე, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ მშვენიერ ზღაპარს ჰგავს. წიგნი „ბერიკა პაპას ძილისპირულით“ მთავრდება: „იავნანა, ბაჩო, ნანა, დაღიღინებს ნიავი და ფოთლებთან ძილისპირულს მღერის შრიალ-შრიალით... სძინავს ველებს, სძინავს მინდვრებს, განაბულა მთა-ბარი და მათ ძილში იქსოვება ღამის ლურჯი ზღაპარი“.

მზია ჩხეტიანის „ლეტაბიჩების ქვეყანა“ თანაბრად გაახარებს პატარებსაც და დიდებსაც, ყველას, ვისაც სბავშვო პოეზია უყვარს.

სერგი მინაშვილი

კიდევ ერთი შეხვედრა პუშკინთან

ა. პუშკინი „კაპიტანის ქალიშვილი“, მთარგმნელი ა. გრეგაძე, გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქტორი თ. მაღლაფერიძე, გამომცემლობის რედაქტორი ც. ჩხაიძე, 1977 წელი.

დიდ შემოქმედთან შეხვედრა ყოველთვის დღესასწაულია, მისი სამყარო იმ ჯადოსნურ ქვეყანას წააგავს, რომლის ულამაზეს მინდვრებსა და აღმართებზე ბევრჯერ გიმოგზაურია, რომლის ნაცნობი და გაუხუნარი ხმებიც მრავალჯერ მოგისმენია; ასეთ ჯადოსნურ ქვეყანასთან განშორებას ყოველთვის ახლავს მისი კიდევ, მრავალჯერ ხილვის სურვილი, ვინაიდან მის ნაცნობ ხმებსა და ფერებში ნიადაგ არის რაღაც იდუმალი და შეუცნობელი, რომელიც მომავალი შეხვედრების მარადიულ მიზეზად გვესახება...

მკითხველმა მიიღო პუშკინის მხატვრული, პროზაული ნაწარმოებების სრული კრებული — „კაპიტანის ქალიშვილი“, რამდენიმე ნაწარმოები („კირჯალი“, როსლავლიოვი“, „რომანი წერილებად“, „მარია შონინგი“ და სხვა) პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

როგორც ცნობილია, „ბელკინის მოთხრობების“ შემდეგ („ბელკინის მოთხრობები“ გამოქვეყნდა 1831 წელს) პუშკინის შემოქმედებაში მოჭარბდა ისტორიული და მხატვრული პროზა, პოეტის გზაზე უკვე აღარაა ლირიკული პოეზიის ყვავილების სიმრავლე და პუშკინმა რუსულ მწერლობას შესძინა ბრწყინვალე პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც გვაოცებენ ადამიანის სულიერი სამყაროს რთული და იდუმალი მხარეების წარმოჩენით.

პუშკინის შემოქმედებისა და რუსული პროზის მშვენებაა ისტორიული მოთხრობა „კაპიტანის ქალიშვილი“, რომელიც პოეტმა შექმნა მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად შეისწავლა XVIII საუკუნეში მომხდარი გლეხთა დიდი ამბოხება; ჩვენ კიდევ ერთხელ გადავდივართ ამ ნაწარმოების მღელვარე სამყაროში, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიკეთე აღმართებს ხნავს და დაუნდობელი, სახელმწიფოსათვის თავზარდამცემი, ადამიანის გულსაც სასიკეთოდ აღანთებს: დონელმა კაზაკმა ემელიან პუგაჩოვმა სიკვდილისაგან იხსნა გრინიოვი, დაღუპვას გადაარჩინა მარია ივანოვნაც მხოლოდ იმიტომ, რომ გრინიოვის სიკეთე — ჭიქა არაყი და ნაჩუქარი ტყაპუჭი ახსოვდა. ჩვენს არსებას კიდევ ერთხელ შესძრავს პოლტავის გმირი და რუსეთის ძლევამოსილი გარდამქმნელი პეტრე დიდი („პეტრე დიდის ზანგი“) გერმანის მწარე თავგადასავალი („პიკის ქალი“), ამბავი კირჯალისა, რომელსაც ფაშამ სარზე ჩამოცმა მიუსაჯა და სასწაულით გადაურჩა სიკვდილს („კირჯალი“); ცხადად ვხედავთ ვლადიმირ დუბროვსკის, რომელიც შურისძიების გრნობაზე მაღლა სიყვარულს აყენებს („დუბროვსკი“); ვხედავთ უსახლკაროდ დარჩენილ, დამწუხრებულ მარია შონინგს, რომელსაც განსვენებული მამის მთელი ქონება საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს („მარია შონინგი“)...

პუშკინის იმ ნაწარმოებებშიც კი, სადაც, „სასწაულები“ არ ხდება, მკითხველს ხიბლავს და სამუდამოდ ამახსოვრდება ის, რასაც გოგოლმა უწოდა «Простое величие простых людей».

პუშკინმა ერთ-ერთ თანამედროვეს, რომელიც ბელკინის ვინაობით დაინტერესდა, უთხრა: «Кто бы он там ни был, а писать повести надо вам этак: просто коротко и ясно»...

სწორედ ეს სინათლე და უბრალოებაა შენარჩუნებული ქართულ თარგმანში; ამ ყველასათვის საჭირო წიგნის კითხვისას ქართველი მკითხველი ისევე ბედნიერია, როგორც რუსი ადამიანი, რომელიც პუშკინის შემოქმედებას მშობლიურ ენაზე ეცნობა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ აკაკი ბრეგაძემ უძნელეს საქმეს ჩინებულად გაართვა თავი.

ამ წიგნის გამოცემით გამომცემლობა „ნაკადულმა“ კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა.

ვაჟა ხორნაული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერის უკანასკნელი წიგნი

ალ. ჩავლეიშვილი — ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები. გამომც. „საბჭოთა აჭარა", რედაქტორი გიზო ჭელიძე, 1978 წელი.

წინამდებარე სარეცენზიო წიგნს, სამწუხაროდ, ავტორი ველარ მოესწრო. ეს წიგნი სრულად გამოხატავს ინტერესთა იმ სფეროს, რასაც ხანგრძლივი წლების მანძილზე ნაყოფიერად ემსახურებოდა ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი ალექსანდრე ჩავლეიშვილი. მისი ანგარიშგასაწევი წერილები და გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში სპეციალისტთა ყურადღებას იმსახურებენ. ავტორის ადრინდელი გამოკვლევებიდან ჩვენ გამოვყოფდით 1955 წელს გამოცემულ წიგნში „ლიტერატურის თეორიის საკითხები" დასტამბულ ნაშრომებს „ტიპიურისა და არატიპიურის ურთიერთობისათვის ლიტერატურულ ტიპში", „გმირული სახის ტიპიურობის საკითხები", „დეტალი რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში", „ესთეტიკური იდეა, ცნება, სახე და ტიპი", „ეპიგრაფი მხატვრულ ლიტერატურაში" და სხვ.

ლიტერატურულ-ესთეტიკური საკითხების მეცნიერული დამუშავების სიღრმით გამოირჩევა მეცნიერის უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილი გამოკვლევები „ესთეტიკაში მხატვრული ნაწარმოების მარადიულობის პრობლემისათვის", „მწერლისა და პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულების სწორად გაგებისათვის", „კრიტიკული რეალიზმის თავისებურებანი", „50-იანი წლების ქართული რეალიზმი და დანიელ ჭონქაძის შემოქმედება". ალ. ჩავლეიშვილი არა მარტო ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის საკითხებს იკვლევდა, არამედ იგი აქტიურად მონაწილეობდა მიმდინარე შემოქმედებით პროცესების შესწავლაში. ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იმსახურებს „რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა" და „სასარგებლო კრიტიკული ეტიუდები". ამ წერილებში ავტორი პროფესიული კეთილსინდისიერებით მიმოიხილავს კრიტიკოს ლ. კალანდაძისა და აკადემიკოს გ. ჯიბლაძის წიგნებს, რომელთაც წერილის ავტორი კუთვნილ ადგილს მიუჩენს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს ამავე წიგნში მოთავსებულ ავტორის ორ წერილს: „დამწყებ მწერლებთან მუშაობის ზოგიერთი საკითხი" და „მომხვეჭელობის დაგმობის მოტივი ქართულ ლიტერატურაში". პირველი წერილი პირდაპირი გამოხმაურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებისა „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ", სადაც ავტორი არაერთ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს შემოქმედებით ახალგარდობასთან მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე. ამავე წერილში ავტორი კონკრეტულ ანალიზს უკეთებს ბათუმელი ავტორების რ. ჩხარტიშვილის, დ. თედორაძისა და ნ. ძირკვაძის შემოქმედებით ნიმუშებს. აქვე უნდა ვუსაყვედუროთ წიგნის რედაქტორს: აღნიშნულ სტატიას დაწერის თარიღად უზის 1975 წელი, ხოლო სტატიაში ავტორს განხილული აქვს დავით თედორაძის 1977 წელს დასტამბული ლექსების წიგნი „ბეწვის ხიდი". ამ უმნიშვნელო, მაგრამ უხერხულ ლაფსუსს სათანადო ყურადღება ესაჭიროებოდა.

საკითხის სიღრმითა და განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა მეორე წერილი, სადაც ავტორი რეტროსპექტულად მიმოიხილავს მომხვეჭელობისა და მექრთამეობის მაგალითებს ქართულ ლიტერატურაში, დაწყებული „ვეფხისტყაოსნიდან" დამთავრებული დღევანდლამდე. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიდან ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გურამ ფანჯიკიძისა და ნოდარ დუმბაძის რომანებს „თვალი პატიოსანი" და „თეთრი ბაირაღები". სათანადო, უხვი მაგალითების მოშველიებით გამოკვლევის ავტორი უაღრესი დამაჯერებლობით ნათელყოფს ქართული ლიტერატურის აქტიურ როლს მომხვეჭელობისა და მექრთამეობის დაგმობის საქმეში.

შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ ალექსანდრე ჩავლეიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარების შესახებ, სადაც ავტორი გულდასმით შეისწავლის აჭარაში მხატვრული ლიტერატურის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიას. საყურადღებოა სრულიად ახალი მასალები ნიკო ლომოურის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდის შესახებ.

დაბოლოს, უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ განსვენებული მეცნიერის წინამდებარე სარეცენზიო წიგნი დაწერილია პროფესიული ოსტატობითა და ლიტერატურულ-ესთეტიკური საკითხების ღრმა ცოდნით. იგი საჭირო და სასარგებლო წიგნია არა მარტო ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო ფენებისათვისაც.

რევაზ ჩხარტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოლოდინი

> გიორგი სიჭინავა — „მოლოდინი“, გამოვცემლობა „ალაშარა“, რედაქტორი მ. ხურცილავა, 1978 წ.

ხელოვანის ბედის მხატვრული გააზრების საინტერესო ცდას წარმოადგენს ახალგაზრდა მწერლის, გიორგი სიჭინავას, მოთხრობა „მოლოდინი“, რომელიც მან გასული წლის ბოლოს ცალკე წიგნად გამოსცა.

ნაწარმოების ცენტრში დგას ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც შემოქმედებითი ძიების გზაზე თავჩენილ წინააღმდეგობებთან ბრძოლასა და მათი დაძლევის პროცესებში ჰყავს მწერალს ნაჩვენები. ცოტნე (ასე ჰქვია მხატვარს), რომლის სახითაც გველაპარაკება მწერალი, გვიამბობს თავისი ცხოვრების იმ მონაკვეთის შესახებ, სანამ იგი ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე თავისი ნახატების წარგზავნის უფლებას მოიპოვებდა. მოთხრობაში ცოტნეს მსმენელად გვევლინება, მისი დიდი ხნის უნახავი მეგობარი — შუქრი, რომელიც ამავე დროს მხატვრის შემოქმედებითი ნიმუშების ერთგვარი შემფასებლის როლსაც კისრულობს. ცოტნეს საუბარში მკითხველი ეცნობა თითქმის ყველა იმ პერსონაჟს, რომლებიც შემდგომში მხატვრის შემოქმედებითი ასახვის ობიექტები გამხდარან. ესენია: მოხუცი აბელი, კოლა ხეცია, ბრმა მუსიკოსი, სილამაზით განთქმული მაგდა და მრავალი სხვა. ამ პერსონაჟებთან ურთიერთობაში იკვეთება ცოტნეს, როგორც მხატვრის შემოქმედებითი ინტერესები და მკითხველი მისი მაღალზნეობრივი თვისებების მატარებელ პიროვნებად ჩამოყალიბების მოწმეც ხდება. საინტერესოდაა გადაწყვეტილი ამ მოთხრობის ფინალი. მწერალი გვიამბობს თუ როგორ შეურაცხყვეს მხატვარი მის მიერ შექმნილი სახეების რეალურმა პროტოტიპებმა. გაოგნებული და ნაცემი ცოტნე ამას არ მოელოდა, რადგან მისი აზრით: „... დავხატე ისინი, როგორიც სინამდვილეში არიან. ჩემი ტილო იყო ნამდვილი სარკე. შიგ ჩაიხედეს და მოსაკლავად გამომეკიდნენ“-ო. მხატვრის მეგობარი ბრმა მუსიკოსი კი ამ საკითხზე განსხვავებული აზრისაა: „პატივმოყვარე არსებაა ადამიანი,... საკუთარი თავის მიმართ ყოველგვარ წვრილმანს მტკივნეულად განიცდის. როცა მათ ხატავ, დიდი სიფრთხილე გმართებს. ადამიანები ყოველთვის უნდა გრძნობდნენ, რომ შენ თანაუგრძნობ, მთელი არსებით განიცდი მათ შეცდომებს. თანაგრძნობა და გულისტკივილი აკლდა ალბათ, შენს ნახატებს, ამიტომ გაგიჯავრდნენ“ — ეუბნება იგი ცოტნეს. არა მგონია, ნაწარმოებში აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი მოსაზრება იყოს საზოგადოდ შემოქმედის, და ამ შემთხვევაში მოთხრობის ავტორის ლეიტმოტივი. პროტოტიპების გააფთრება, იმიტომ რომ ცოტნეს ნახატებში თავიანთი ნაკლი დაინახეს, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მხატვრულ შემოქმედებაში პერსონაჟებისადმი ამგვარი მიდგომის მიზანშეწონილობა უარვყოთ. პირიქით, ეს რეალისტური ხელოვნების პრინციპული მოთხოვნაცაა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ცოტნეს ნახატები არც მის მეგობარს შუქრის მოეწონა, რომლის სახითაც შეიძლება საზოგადოების გარკვეული ნაწილიც ვიგულისხმოთ, არც ეს ფაქტორი არ გამოდგება ცოტნეს, როგორც შემოქმედის დამარცხების განმსაზღვრელად. ხელოვნების ისტორია უამრავ ნიჭიერ მხატვარს იცნობს, რომელთაც არ ღირსებიათ აღიარება თავიანთ სიცოცხლეში. ამის მაგალითად ნიკო ფიროსმანიც გამოდგება. საჭიროა დრო, რათა საზოგადოებამ გაითავისოს და ჩაწვდეს ორიგინალური ხელოვნების ჭეშმარიტ სიდიადეს. ჩემი აზრით, სწორედ ამგვარი შემოქმედი ჰყავს გამოყვანილი გიორგი სიჭინავას თავის მოთხრობაში. ნაწარმოების ბოლოს ირკვევა, რომ დროებით გულგატეხილი ცოტნე ოპტიმისტური განწყობილებით ბრუნდება ქალაქში. მას სწამს, რომ ხალხის სიყვარულის დამსახურებას მოლოდინი სჭირდება. „მივდივარ იმიტომ, რომ სული ჩემი რაღაც ნათელის მოლოდნით არის შეპყრობილი. მოლოდინის გარეშე რაა ცხოვრება“ — წერს მწერალი.

მოთხრობაში ვხვდებით ისეთ მხატვრულ სახეებს, რომელთაც არ აკლიათ აზრობრივი და სიმბოლური დატვირთვა. მოკლე და ნათელი წინადადებების მეშვეობით მწერალი ცდილობს არ გააბუნდოვნოს სათქმელი და უშუალოდ მიიტანოს მკითხველთან, რასაკვირველია აზრობრივი სიღრმის შენარჩუნებით. დასასრულს მინდა ვთქვა, რომ გიორგი სიჭინავამ აღნიშნული მოთხრობით მკითხველი სასიამოვნო მოლოდინისათვის მოამზადა. სასურველი იქნება თუ ამგვარ მოლოდინს მწერალი ახალი შემოქმედებითი წარმატებებით გაამართლებს.

ამირან რობაქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ეგვიპტე

იატაკქვეშა საწყობის რელიქვიები

ეგვიპტის ფარაონის ხის ბიუსტი უნახეს ჩემოდანში ჰოლანდიელ ტურისტს კაიროს აეროპორტში შემოწმებისას. საბაჟოს მოხელეთა აღმოჩენამ პოლიცია ანტიკვარული ნივთების გამტაცებელთა კვალზე დააყენა და დაეხმარა ეპოვა ერთ-ერთი სახელმწიფო მოღვაწის ბინაზე რელიქვიათა დიდი იატაკქვეშა საწყობი. ჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა წარსულის ძვირფასი ძეგლების დიდი რაოდენობა.

ძველი ძეგლების საწყობში იპოვეს პაპირუსზე დაწერილი ბარათები, რომლებსაც ძველი ეგვიპტის მმართველები ერთმანეთს უგზავნიდნენ, მეფეთა ქვისა და მარმარილოს სტატუეტები, რომლებიც ეგვიპტის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. ნაპოვნია აგრეთვე განსხვავებული ხანის კერამიკული ნაკეთობა, ჭურჭელი და ძვირფასი ლითონების სამშვინისები. იმ ნივთების უმეტესობა, რომლებიც ძველი ძეგლების სპეკულანტს უპოვეს, უნიკალურია. ყველა ნივთი ეგვიპტის სიძველეთა ორგანიზაციას გადაეცა.

იაპონია

თოვლის დღესასწაული

თოვლის ქანდაკებები, რომლებიც გამოსახავდნენ ძველ ღმერთებს, საყვარელი ზღაპრების გმირებს, სატელევიზიო გადაცემათა პოპულარულ პერსონაჟებსა და ცნობილ კინომსახიობებს, გამოჩნდა წლეულს ქალაქ საპოროს ოდორის პარკსა და ცენტრალურ მოედანზე — იაპონიის უკიდურესი ჩრდილოეთის კუნძულ ჰოკაიდოზე გაიმართა ტრადიციული „თოვლის დღესასწაული“.

ოცდაათი წლის წინათ პირველი თოვლის დღესასწაული რომ მოაწყვეს, მისი მესვეურები მოკრძალებულ მიზანს ისახავდნენ: როგორღაც შეელამაზებინათ თებერვლის, ჰოკაიდოზე ყველაზე თოვლიანი და ყინვიანი თვის მოსაწყენი სურათი. მაგრამ სულ მალე ახალი დღესასწაული გადაიქცა იაპონიაში ერთ ყველაზე უფრო საინტერესო და მიმზიდველ სანახაობად, რომელიც მრავალრიცხოვან ტურისტს იზიდავს ქვეყნის მრავალი ქალაქიდან და საზღვარგარეთიდან.

წლეულს ფესტივალში „მონაწილეობდა“ 175 თოვლის ფიგურა; შეიქმნა ანსამბლები, რომლებიც აღადგენდნენ იაპონელების საყვარელი კინოსურათებისა და ტელეგადაცემების ეპიზოდებს. მათ ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ პროფესიული არქიტექტორები, მოქანდაკეები და ინჟინრები, აგრეთვე ქალაქის ბევრი დიდი თუ პატარა მცხოვრები. ექსპოზიციაში ცენტრალური ადგილი ეკავა უზარმაზარ, მრავალსართულიანი სახლის სიმაღლის თოვლის ქალღმერთის ფიგურას. იგი ფესტივალის 30 წლისთავის აღსანიშნავად შექმნა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა იაპონელმა მხატვარმა ტარო ოკამოტომ.

ინგლისი

მოლაპარაკე კომპიუტერები

სანამ მრეწველობა ემზადება აღიჭურვოს მიკროელექტრონული სქემებით, ხოლო პოლიტიკური და პროფკავშირული მოღვაწეები ასწონ-დასწონიან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ ახალი ეტაპის შესაძლო სოციალურ-ეკონომიურ შედეგებს, მეცნიერები რამდენიმე ათეული წლის წინ იყურებიან: „აი — ბი — ემ“ კომპანიის უფროსი მეცნიერი მუშაკი, დოქტორი ლიუის ბრანსკომბი თვლის, რომ მიკროელექტრონული სქემების გამოყენება მრეწველობაში დიდხანს არ გაგრძელდება. მიკროელექტრონულ სქემებს შეცვლის კიდევ უფრო მინიატურული კომპიუტერები.

ბრანსკომბის პროგნოზები ემყარება ინგლისში ამ ბოლო დროს ელექტრონიკის დარგში აღმოჩენებს. ამ აღმოჩენებში პრინციპული სიახლეა ის, რომ ელექტრონულ მოწყობილობებში დროთა განმავლობაში შესაძლებელი იქნება ადამიანის ტვინის უჯრედების მსგავსი ცოცხალი უჯრედების გამოყენება.

მას შემდეგ, რაც კემბრიჯის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა ბრაიან ჯოზეფსონმა აღმოაჩინა ელექტრონული „ხენდვიჩი“ — ლითონთა შენადნობი, რომელიც თითქმის აბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლუტურ ნულამდეა გაყინული — მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ინფორმაციის შესანახად გამოიყენებენ დეზოქსირიბონუკლეინის მყავას მოლეკულებს — ადამიანის ორგანიზმში მემკვიდრეობის მატარებელს; თითოეულ ასეთ მოლეკულას შეუძლია ათასი მილიარდი საინფორმაციო ერთეულის შენახვა. ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკა, რომელიც 20 მილიონ წიგნს ითვლის, 900 ასეთ მოლეკულაში ჩაეტეოდა.

ბრანსკომბის შეხედულებით, პროგრესი ელექტრონიკის დარგში შესაძლებლობას მისცემს მომავლის ადამიანს იქონიოს პერსონალური კომპიუტერი, რომლის მეხსიერებაში ჩადებული იქნება მთელი კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა. თუკი მეცნიერული პროგრესის ახლანდელი ტემპი შენარჩუნებული იქნება ასი წლის მანძილზე, მაშინ 21-ე საუკუნის მეორე ნახევარში საშუალო კომპიუტერის მეხსიერების მოცულობა გაუტოლდება 1 6000 კაცის საერთო მეხსიერებას. ამის თაობაზე ბრანსკომბი ასე ლაპარაკობს: „ჩვენ ის გასაოცარი დასკვნა გამოვიტანეთ, რომ კომპიუტერში დაგროვილი ინფორმაციის სიმკვრივე წააჭარბებს ადამიანის ტვინის ანალოგიურ მაჩვენებლებს“.

ამასთან ერთად მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ უფრო იაფი დაჯდება საჭირო ინფორმაციის ხელახლა მიღება, ვიდრე მისი შენახვა კომპიუტერში. მაგალითად, 1000 წლის შემდეგ ლონდონში მოხვედრილ უცხოელს ქალაქის რუკა რომ დასჭირდეს, იგი პირადი კომპიუტერის მეშვეობით მოითხოვს თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოსურათს და იმწამსვე გარდაქმნის მას ქალაქის რუკად. ჩვენს ნაშიერებს კომპიუტერთან კლავიატურითა და კოდით კი არ ექნებათ კავშირი, არამედ ჩვეულებრივი ლაპარაკის მეოხებით.

როგორც ჩანს, მოლაპარაკე კომპიუტერი 21-ე საუკუნეში სინამდვილედ იქცევა.

იტალია

კოლიზეუმი ფარდას ხდის საიდუმლოებას

რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა რომში ანტიკური კულტურის ძეგლის, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს აშენებული კოლიზეუმის მიწისქვეშა სათავსოთა აღსადგენი სამუშაოები. ახლა რომაელებსა და იტალიის დედაქალაქის მრავალრიცხოვან სტუმრებს საშუალება მიეცათ გაეცნონ ცირკის სარბიელის ქვეშ დამალული კოლიზეუმის მიწისქვეშა ნაწილს.

ვიწრო დერეფნების ლაბირინთები, დაკბილული, დროისგან გადაშლილი კიბის საფეხურები. კიბეს ქვემოთ ჩავყავართ ჩაბნელებულ ოთახებში, სადაც გლადიატორები ემზადებოდნენ ასპარეზზე გამოსასვლელად. სილრმეში ერთიციცქნა ხენაკებია, მონათა საცხოვრებლები, რკინის ჯაჭვები, სხვადასხვა უბადრუკი ნივთი. იქვე ცხოველების გალიებია. ცხოველებს საგანგებოდ აშიმშილებდნენ, რათა კოლიზეუმის სარბიელზე სისხლმოწყურებულნი გამოეშვათ.

მნახველებს ჯერჯერობით კოლიზეუმის მხოლოდ მიწისქვეშა სათავსოთა მცირე ნაწილის დათვალიერება შეუძლიათ. რომის ხაზინამ ვერ გამონახა სახსრები მათი მთლიანად რესტავრაციისათვის.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 14. 3. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 4. 79 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15.35. შეკვ. № 805. უე 06650. ტირაჟი 36.600.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 9870

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236